

675-1
1993

ISSN-0132-6058

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ეტიმოლოგიის ინსტიტუტი

მაცნე



ისტორიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების
ისტორიის
სერია

2

1V
62

1993

ისტორიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА

სარედაქციო კოლეჯი: ა. ავაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანიას, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი: გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь: Г. Г. Лордкипанидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ბ. სილაგაძე. მონღოლების ბატონობის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში	5	+
ი. ჟღინტი. პლუტარქეს პოლიტიკური შეხედულებანი	25	
ზ. კუტალინიშვილი, ძველქართული ნაწიბი და თანამედროვეობა	41	
ბ. მინდაძე. სამედიცინო ტერმინები — ხალხური მედიცინის კვლევის წყარო	67	

ცნობები და შენიშვნები

ბ. ჯავახიშვილი, რას შეისწავლის ფალერისტიკა	78	
დ. ნინიძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა წარმოშობისათვის	84	+
ბ. ბელაშვილი. ერთხელ კიდევ როსტომ-ხანის ქართლში გამეფების საკითხისათვის	90	+
ბ. ალასანია. ერთი ისტორიოგრაფიული ფაქტის შესახებ	97	+
ზ. ბრატვილი. ლეონტი მროველი და ელინისტური ხანის კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები	109	+
პ. ზაქარაია, კოჭრის „ორმოცთა“ ეკლესია	119	
ი. ტალახაძე, ვანის ქვაბთა ისტორიული გეოგრაფიისათვის	129	
დ. მამლარაშვილი, ჭიკოცონობა საქართველოში	147	

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. კერისელიძე — ბ. ბაშყრილიძე, „ისტორიულ-ტოპოგრაფიული ძიებანი“	151	
ი. ცაიტიშვილი, (ნეკროლოგი)	154	

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

СИЛАГАДЗЕ В. Г. Некоторые вопросы господства монголов в Грузии	5
ЖГЕНТИ И. Т. Политические взгляды Плутарха	25
КУТАЛЕЙШВИЛИ З. Г. Древнегрузинские лодки и современность	41
МИНДАДЗЕ Н. Медицинский термин-источник этнографического изучения народной медицины	67

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

ДЖАВАХИШВИЛИ Н. Г. Что изучает Фалеристика	78
НИНИДЗЕ Д. В. К вопросу о возникновении различных ветвей царского дома Багратионов	84
ГЕЛАШВИЛИ Н. Г. Еще раз к вопросу о воцарении Ростом-Хана в Картли	90
АЛАСАНИЯ Г. Г. Об одном историческом факте	97
БРАГВАДЗЕ З. Д. Леонти Мровели и вопросы истории Колхиды и Иберии	109
ЗАКАРАЯ П. П. Коджорская церковь «Ормонта»	119
ТАЛАХАДЗЕ И. Л. Из исторической географии монастыря Ванисквабеби	129
МАДЗГАРАШВИЛИ Д. Б. «Чиакоконоба» в Грузии	147

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

КЕРЕСЕЛИДЗЕ Н. — ГАМКРЕЛИДЗЕ Г. А. «Историко-топографические изыскания».	152
ЦКИТИШВИЛИ О. (Некролог)	154



განიმონ სილაგაძე

მონოლოზის გატონოგის ზოგიერთი საკითხის შესახებ
საქართველოში

დაპრობილ ქვეყნებში მონოლოზები მმართველობის თავიანთ სისტემას ავტოლებდნენ. ამ მხრივ გამოჩნდის არც საქართველო იყო. დაიკავეს თუ არა იგი, მონოლოზებმა ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად— „დუმანებად“ დაანაწილეს.

სომეხი ავტორის გრიგოლ აკნერცის თქმით „ერთი დუმანი იყო 30 000“ კაცი¹. ქართველი ანონიმი მწერლის ცნობით კი დუმანი ერთ ბევრს უდრიდა², ხოლო ბევრი ძველ ქართულში „ათიათას“ აღნიშნავდა³.

ქართული წყარო საქართველოს დუმანებად დაყოფას უკავშირებს უმეფობის ხანას, როცა რუსუდანი გარდაიცვალა, ხოლო ყაენის კარზე გაგზავნილი მისი ვაჟისა და ძმისშვილის შესახებ აღარაფერი ისმოდა: ამის გამო „გაგდეს ქართველნი უნუგეშისცემოდ და უმეფოდ... (და) ამისათვის... განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარნი“—ო იუწყება მემატიანე⁴.

რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა. ბატონიშვილები კი ურდოდან 1247 წლამდე არ დაბრუნებულან. ამიტომ, თუ ჟამთააღმწერლის ზემოთმოტანილ ცნობას ვენდობით, მონოლოზებს დუმანები საქართველოში სწორედ 1245 წლიდან უნდა შემოედგინათ⁵. მაგრამ, ეტყობა, მემატიანის ეს ცნობა არ ზის თავის ადგილას და ჭეშმარიტება დარღვეულია, დუმანები ჩვენში გაცილებით ადრე უნდა გაჩენილიყვნენ. ამაზე უნდა მიგვიფიქრობდეს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში დუმანების რაოდენობის რამდენიმე რიცხვია დასახელებული. თვით ჟამთააღმწერელი ერთგან 7 დუმანს ასახელებს მეორეგან—9 დუმანს⁶. 9 დუმანი აქვს დასახელებული ფარსადან გორგიჯანიძესაც⁷.

ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხზე მსჯელობისას ჟამთააღმწერლის ცნობას ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ საქართველო 8 დუმანად იყო დაყოფილი⁸. ნ. ბერძენიშვილი თავიდან თვლიდა, რომ მთელი საქართველო ექვსი თუ შვიდი დუმანისაგან შედგებოდა⁹. მაგრამ შემდეგ შეიცვალა აზრი და ისე როგორც ივ. ჯავახიშვილი, ისიც საბოლოოდ 8 დუმანზე შეჩერდა¹⁰. ეს შეხედუ-

1 გრიგოლ აკნერცი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 33.

2 ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 90.

3 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1966, გვ. 99; ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 30.

4 ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 90.

5 ი. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ სადუმნოები საქართველოში 1243 წლის ზაფხულში დაუარსებიათ (ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85).


6 ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 90, 116—117.

7 ი. გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ქველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი H 2140, ფ. 53 V).

8 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 44

9 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 102.

10 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 105.



ლება მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში და ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, მას იმეორებს¹¹. გამონაკლისები არიან რ. კიკნაძე და გ. ნაფიშვილი. ქართული ისტორიული წყაროების ცნობათა ანალიზისა და სხვა მონაცემების საფუძველზე რ. კიკნაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოში XIII ს-ის 40-იან წლებში 9 ღუმანი უნდა არსებულებოდა¹². ხოლო ამ დასკვნის საპირისპიროდ გ. ნაფიშვილი ქამთალმწერლის იმ ცნობას უჭერს მხარს, სადაც მემატიანე მხოლოდ 7 საღუმნოს ასახელებს¹³.

ამრიგად, ზოგი ავტორის მიხედვით საქართველოში ფუნქციონირებდა 6, 7 თუ 8 საღუმნო, ზოგის მიხედვით—მარტო 7, ხოლო ზოგის თანახმად— 9 ასეთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული.

როგორც ვხედავთ, აზრთა სხვაობა ერთ და იმავე საკითხზე საგრძნობია და მას თავისი ახსნა აქვს. ივ. ჯავახიშვილი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ ღუმანთა რიცხვი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. მისი აზრით, ღუმანთა რაოდენობის შემცირება ოთხი ერთეულით უნდა მომხდარიყო დავით ნარინის მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებისა (1259) და აღმოსავლეთ საქართველოსაგან დასავლეთ საქართველოს გამოყოფის შემდეგ¹⁴. მაგრამ ამ ვარაუდს ძალას უკარგავს ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით XIII ს-ის 50-იან წლებში ღუმანთა სისტემა საქართველოში საერთოდ აღარ არსებულა¹⁵. და თუ ეს მართლა ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საღუმნოები ჩვენში გაჩენილან არა 1245 წლის შემდეგ, არამედ გაცილებით უფრო ადრე მონღოლთა მეორედ გამოჩენის დღიდანვე.

როგორც უკვე ითქვა, 1132—1233 წელს საქართველოში მოსული მონღოლები ისე იპყრობდნენ ქვეყანას, რომ „არც ერთი სერიოზული ომი არ გადაუხდიათ“¹⁶. მათ ჯერ აღმოსავლეთ საქართველო დაიკავეს, მერე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ბოლოს, 1243 წელს რუსუდანთან დაზავების შედეგად დასავლეთ საქართველოც დაიმორჩილეს. ვინაიდან საქართველოს ერთიანი ლაშქარი არსად ჩანდა, ... როგორც კი შემოდგეს ფეხი დამპყრობლებმა... მათ მორჩილებით მიეგება არა ერთი დიდი აზნაური და მონღოლთაგან წყალობად მიიღო როგორც საკუთარი ნაქონევი, ქვეყანაც იმ მეზობლისა, რომელიც ჯერ კიდევ მონღოლებს არ დამორჩილებოდა“¹⁷. სა-

11 პ. ინგოროყვა, რუსთაველიანა, — თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 114; შიხიძე, „შოთა რუსთაველი“, გვ. 99—101; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 187—188; ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 85—86; ბ. ლომინაძე, საქართველო XIII ს-ის 40-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 553.

12 რ. კიკნაძე, საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან, (ახლოდ-მოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 92—93, 97, 99). 9 ღუმანს ასახელებს პ. ინგოროყვა რუსთაველი, გვ. 99—101, რომელიც მაშინ საქართველოს აღარ ეკუთვნოდა.

13 გ. ნაფიშვილი, საქართველოში ღუმნების რაოდენობის საკითხისათვის, „ციცკარი“, თბ., 1987, № 12, გვ. 152).

14 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, III, გვ. 44—45.

15 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 557.

16 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, VI, გვ. 103.

17 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, VI, გვ. 103.



მაგიეროდ, ამ აზნაურებისაგან უცილობლად მოითხოვდნენ გარკვეულ ნაწილს ლაშქრის გამოყვანას თავიანთ სასარგებლოდ და სანდო მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა თათართა დაპყრობით ომებში ჯერ კიდევ რუსუდანის დაზავებამდე. მაგ., ცნობილია, რომ რუმის სასულთნოზე გალაშქრებისას (1242) და ანისის ბრძოლაში, რაც წინ უსწრებდა რუმის სულთნის დამარცხებას (1243), თათარ-მონღოლთა გვერდით იბრძოდნენ ავაგისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდ აზნაურთა ლაშქარიც¹⁸.

რაკი ლაშქრის გაყვანა სავალდებულო იყო, მაშინ ისიც მტკიცედ უნდა ყოფილიყო დადგენილი, თუ რომელ ერისმთავარს რამდენი კაცის გამოყვანა მართებდა. ამის გაგება კი შეუძლებელი იქნებოდა მოსახლეობის აღწერის გარეშე. მაშასადამე, ქვეყნის აღწერაც, მისი გადასახადებით დაბეგრაც და ღუმანებად მოწყობაც დაპყრობისთანავე უნდა განხორციელებულიყო ჩინგიზ ყაენის დროს დადგენილი წესით, რომელიც ითვალისწინებდა დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობის ყოველი 10 კაციდან 2 მოლაშქრის გამოყვანას¹⁹.

ვინაიდან საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ ზორციელდებოდა თანდათანობით და არა ერთბაშად, მისი აღწერაც და ღუმანებად დაყოფაც უნდა მომხდარიყო თანდათანობით ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ სამხრეთ საქართველოში და ბოლოს ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. სწორედ ეს გარემოება უნდა ჰქონდეს მხედველობაში ეპითაღმწერელს, როცა ის ჯერ საქართველოში შვიდ ღუმანს ჩამოთვლის, ხოლო მერე ცხრა ღუმანს ასახელებს. სხვაგვარი ახსნა ამ ფაქტისა სწორი არ იქნება, რადგან მემათიანემ კარგად იცის, რომ საქართველოს მონღოლთა მოსვლამდეც 90-ათასი მეომრის გაყვანა ბრძოლაში არ უჭირდა²⁰ და ამიტომ ცხრა ღუმანის ნაცვლად შვიდ ღუმანს არ იტყოდა. ალბათ, ამ მომენტს ითვალისწინებს რ. კიკნაძეც, როცა აღნიშნავს, საქართველო „ცხრა ღუმანად იყო დაყოფილი“ და თავისი ვარაუდისა და ეპითაღმწერლის ცნობის გასამაგრებლად იშველიებს სხვა წყაროთა მონაცემებს, კერძოდ ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებისა“ და თურქული ეპოსის „ქითაბ დედემ კურკუდი“-ს²¹ სათანადო ადგილებს.

ერთ-ერთი საბუთი, რომელიც რ. კიკნაძეს თავისი ვარაუდისა და ეპითაღმწერლის ცნობის სანდოობის დასადასტურებლად ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან მოაქვს, არის ქართველ ერისთავთა მიმართვა რუმის სულთნისა და რუსუდანის სიძის ყიას ად-დინისადმი დასალუბად მასთან გაგზავნილი დავით გიორგის ძის დახსნა-დაბრუნების შესახებ: მიმართვაში „აქა ქართველთაგან ყაისადინისაგან გიორგი მეფის შვილის დავითის თხოვნა“— ნათქვამია: „შევჯერებულვართ თათართაგან სრულ ქართველთ მეფენი, თავადნი და ერისთავებიო, დიდი და ბატარებიო, ვითაც რუსუდან დედოფალ-

¹⁸ Киракос Гандзакец. დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

¹⁹ Рашидад-дин, Сборник летописей, т. II, М.-Л., 1960, გვ. 120

²⁰ 1220 წელს, როდესაც მონღოლები პირველად გაგს მოადგნენ და ეს ამბავი ლაშა გიორგიმ შეიტყო „მოუწოდა სპათა თუსთა იმერთა და ამერთა შეკრება 90-ათასი მხედარი“ (ეპითაღმწერელი, დასახ. თხზ. გვ. 50).

²¹ „დედემ კურკუდის წიგნი“. ოღუზურიდან ქართულად თარგმნეს. წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ელიზბარ ჯაველიძემ და გიორგი შაყულაშვილ-თბ., 1987.



მანო თავისი შვილის გაბატონებისათვის თორმეტის წლის შემდეგ დაიწყო მისი ლავად გამოიმეტა და ჰგომო, ფიცი ძმისა, მეფის გიორგის და სწავლა ასული ტყვილის ძრახვითა, გარდა[ა]გდებინა ძმისწული ყმაწვილი დავით ზღუაში-გან. და ზღვამ სამართალი აღირსა და დაცულ-დაფარული მშრალზედ გაიყვანა. და თქვენ მაშინც გუნება არმოწყალებით იქენით და ჯურღმულს²² საკან-შიგ ჩა[ა]გდებინეთ. და ლმერთმან რუსუდანს გარდა[ა]ხდევინა. თავისავე სიცოცხლეში შვილი ჩინეთს დაეკარგა და თვითონაც შვილის ნაღვლით მიიცვალა, და შევიქენით უპატრონოთ. და ცხრათ გაგუყვეს ჩინგიზიანთა და თითოს თითო ნობინ თავად გვიჩინეს. და თითო თუმანი, რომ თურქთ ენით რომ ბევრსა ჰქვიან... სალაშქროდ ეს ბეგართ დაგვადგვა. იმის ნახევარი ერთ წელს გვალაშქრებენ... ნახევარს მეორედ გვალაშქრებენ...“ ვინაიდან ქართველები „სხვათა ნათესავთა არ მორჩილებნო წყალობა გვიყავით და ჩვენს მეფის ძეო ჩვენზედ მეფეთა ჰქენითო“²³.

მეორე საბუთი, რომელსაც რ. კიკნაძე იშველიებს ის არის, რომ „ცხრა ღუმანი საქართველო“ („დოღუზთუმან გურჯისტან“) იხსენიება „ბაბუა ქორქუდის წიგნში“²⁴.


ეს ცნობები ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ და ადასტურებენ, რომ ყამთაღმწერლის ჩვენება დავით ულუს დროს საქართველოში ცხრა ღუმანის არსებობის შესახებ სინამდვილეს ასახავს. მიუხედავად ამისა, ისე როგორც ყოველთვის ახლის დაბადება გარკვეულ ტკივილებთან და წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული, ამ შემთხვევაშიც ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე გამოითქვა აზრი, რომ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა ყალბია, ხოლო ოღუზური ეპოსის „დედამ ქორქუდუნ ქითაბ“-ში ნახსენები „დოღუზთუმან გურჯისტან“ არ ნიშნავს საქართველოს ცხრა ღუმანად დაყოფას²⁵. ამის დასასაბუთებლად ოპონენტი გ. ნაფიშვილი ამბობს: 1) „თუ დავუშვებთ, რომ ეს წერილი გორგიჯანიძის შეთხზული არ არის და მან იგი გადმოწერა მატინანდან, მაშინ გაუგებარია, რატომ იხსენიებენ თავის თავს ქართველი ერისთავები მეფეებად“; 2) „გარდა ამისა მოყვანილ წერილში თავადნი და ერისთავები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, განსხვავებულ სოციალურ წოდებებად არიან მოხსენიებულნი, რაც გაცილებით გვიან მოხდა“; 3) „ქართველ ღუმანისთავეს მართლაც, რომ დაეწერათ ასეთი წერილი, ისინი XIII ს. 40-იან წლებში თავისთავს არ მოიხსენიებდნენ ცალ-ცალკე „თავადებად“ და „ერისთავებად, რადგან ერისთავები, ანუ მთავრები იგივე თავადები იყვნენ... წერილში ამ ფრაზის არსებობა... XVII ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გავლენაზე მიუთითებს“; 4) „ამ წერილის მიხედვით, მაშინ როცა რუსუდანმა დავით ლაშას ძე რუმში გააგზავნა, რათა სიძის—ყიას ად-დინის ხელით დაეღუპა, იგი თორმეტი წლის უნდა ყოფილიყო“. არსებული ცნობების მიხედვით კი ჩანს, რომ რუსუდანის ასული თამარი 1236/7 წელს უკვე ყიას ად-დინის მეუღლეა, ხოლო ლაშა გიორგის ძე დავითი მაშინ

²² ტექსტშია — „ჩორმაღახანს“.

²³ ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 53. V.

²⁴ Книга моего деда Коркуда. Огузский героический эпос. Перевод В. В. Бартольда, М.-Л., 1962, გვ. 83—85; Orkhan, Dadem Kor kudun Kitabı, Istanbul, 1973, გვ. 150.

²⁵ რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94;



თორმეტის კი არა, ოცი წლის იქნებოდა, რადგან ის 1216 წელს დაიბადებოდა; 5) ოღუზურ სასიძღვრო თქმულებაში „ქითაბი დედემ ქორქულდუნ“-ში დამოწმებული „დოღუზ დუმან გურჯისტან“-ში „დოღუზ“ (ცხრა) საკრალური სიტყვაა და დუმანთა რაოდენობაზე კი არ მიუთითებს, არამედ „ბევრის (მრავალრიცხოვანი, უთვალავი) აღმნიშვნელი სინონიმი“²⁶.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გ. ნაფიშვილი მიზანს ვერ აღწევს, სრულიად შესაძლებელია, ქართველ ერისმთავართა მიმართვა რუმის სულთნის ყიას ად-დინისადმი დავით ულუს განთავისუფლების შესახებ ზუსტად იმ სიტყვებითა და ფორმით როგორც ფარსადანის თხზულებაშია წარმოდგენილი არ არსებობდა და, ამდენად, ის გარკვეულწილად მწერლის „ფანტაზიის“ ნაყოფად მივიჩნით, მაგრამ შეუძლებელია მას რაღაც რეალური ამბავი არ ედოს საფუძვლად. ეს გამოკვეთილად ჩანს როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროების ჩვენებებიდან. განა ჟამთააღმწერელის ცნობით, „მთავარნი ამერიის საქართველოსანი“ (ხაზი ჩვენია, ბ. ს.)—„შანშე, ვარამი, ყუარ-ყუარე, სარგისი, გრიგოლი, გამრეკელი, „ორბელიანი და მრავალნი ერისმთავარნი“ არ შეევედრნენ მონღოლ ნოინებს დაეხსნათ ტყვეობიდან ლაშა გიორგის ძე დავითი და დაესვათ მეფედ? განა ნოინთა ნებართვით არ წარავლინეს რუმის სულთანთან „ანგურაგ მოციქული, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი“? და ბოლოს, განა მათ არ მოიყვანეს დავითი საქართველოში?²⁷.

ჟამთააღმწერელი XIV ს-ის მწერალია და შეიძლება ის ცდება. ამიტომ ამბის მომსწრეთა ცნობებსაც დავიმოწმებთ. გრიგოლ აკნერცის გადმოცემით, მონღოლ ნოინებს ქართველ ერისმთავართა ერთი ჯგუფის თხოვნით, ყიას ად-დინთან გაუგზავნია სავანგებო რწმუნებით აღჭურვილი დელეგაცია „ვარამ გაგელის, ერთი სხვა მთავრისა და 100 მხედრის შემადგენლობით დავითის ჩამოსაყვანად და გასამეფებლად“²⁸. ვარამს რომ რუმის სულთანთან ტყვეობაში მყოფი დავითი ჩამოუყვანია და ის მეფედ დაუსვამთ, ამას იტყვება კირაკოს განძაკეცი²⁹. სწორედ წყაროთა ეს მონაცემები უდევს სიუჟეტად ფარსადანის „აქა ქართველთაგან ყიასდინისაგან გიორგი მეფის შვილის დავითის თხოვნის წიგნს“ და მას ფანტაზიის ნაყოფად ვერ მივიჩნევთ.

ფარსადანი XVII საუკუნის მოღვაწეა. სპარსეთში ცხოვრობდა და სამშობლოდან შორს მყოფს დიდ ცოდვად ნუ ჩავუთვლით თუ მის თხზულებაში რაიმე ტერმინოლოგიური უზუსტობა შეიმჩნევა. არა გვგონია, ფარსადანს არ სცოდნოდა, რომ „თავადი“ და „ერისთავი“ იდენტური სოციალური ცნებები იყვნენ ოღონდ სხვადასხვა დროს. ფარსადანმა ისიც ჩვენზე კარგად იცოდა, რომ უმეფობის ხანაში საქართველოში „სრულ ქართველთ მეფენი“ ვერ შეიკრიბებოდნენ. მაგრამ ის, სრულიად მართებულად, მეფეებად გული-სხმობს დიდებულებს, რომელნიც უმეფობის ჟამს, ჟამთააღმწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განიყვნენ და... წინააღმდგომ იქმნეს ურთიერთას“³⁰, ე. ი. ერთმანეთს ემტერებოდნენ, თავთავიანთ სამფლობელოთა ციხესიმაგრეებში იყვნენ ჩაკეტილნი და, ამდენად, დამოუკიდებელ მეფე-მთავრებს განასახი-

26 გ. ნაფიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—151.

27 ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 99—100.

28 გრიგოლ აკნერცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—26.

29 Киракос Гандзакци, დასახ. თხზულება, გვ. 180—181.

30 ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 99—100.

ერებდნენ. ასე რომ, გორგიჯანიძის „მეფენი, თავადნი და ერისთავები“ უბრალო აღრევა ან ტაგტალოგია კი არ არის, არამედ XVII ს-ის ქართულით გადმოცემული XIII ს-ის მეორე მეოთხედში მომხდარი ფაქტის ეფექტის გასაძლიერებელი ხერხი, საშუალება, მეთოდია.

რა თქმა უნდა, ფარსადანის „საქართველოს ცხოვრება“ უნაკლო ისტორიული თხზულება არ არის, მასში ბევრი უზუსტობაა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამ შეცდომათა სათავე, ძირითადად, მისი წყაროებიდან მომდინარეობს. ფარსადანის ბრალი უმთავრესად მხოლოდ ის არის, რომ თავის წყაროებს კრიტიკულად არ ეკიდებოდა და მათ უზუსტობებს შეუმოწმებლად იმეორებდა.

ერთ-ერთი ასეთი შეცდომა, რომლის სათავე გრიგოლ აკნერცის „მოსართა ტომის ისტორია“ უნდა იყოს³¹ და, რასაც დღესაც ბევრი იმეორებს, ის არის, რომ ყიასად-დინისადმი ქართველთა მიმართვის წერილში მოთხრობილი ამბავი, თითქოს რუსუდანის გარდაცვალების (1245 წ.) შემდეგ, ე. წ. „უმეფობის ხანაში“ (ე. ი. 1245—1247 წლებში) საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. ნამდვილად კი მას ადგილი ჰქონდა რუსუდანის სიცოცხლეში, როცა იგი მონღოლებთან ჯერაც არ იყო დაზავებული და ქუთაისს იმყოფებოდა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ გავიხსენებთ, რომ ჯერ ერთი, დავით ულუს დახსნა ტყვეობიდან და მონღოლ ნოინთა მიერ მეფედ ცნობა მომხდარა ყიასად-დინის დამარცხების (1243³²) წელსვე, რუსუდანის დაზავებამდე; მეორე, მონღოლ სარდლებს ეს მოუ მოქმედებით რუსუდანის ჯიბრზე³³. და მესამე, დავითის მოყვანას და მეფედ დასმას ითხოვდნენ არა მთელი საქართველო, არამედ მისი მხოლოდ აღმოსავლეთ („ამერ“) და სამხრეთ ნაწილების ერისმთავრები (შანშე, ვარამი, ყვარყვარე, სარგისი, გრიგოლი, გამრეკელი, ორბელიანი)³⁴, რომლებიც უკვე მონღოლ ნოინებს იყვნენ შედგომილნი, ევარსლან ბაკურციხელის დაწინაურებას ვერ ურიგდებოდნენ და მის დასამცრობად სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს ეძებდნენ.

მეორე შეუსაბამობა, რაც ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში მოტანილ ქართველ მთავართა მიმართვის „წერილშია“ დაშვებული და გ. ნაფიშვილის თქმით, ამ „წერილის“ სიყალბეზე მიუთითებს, ის არის, რომ დავითი 12 წლის ყოფილა, როდესაც იგი მამიდას დასალუბად ყიასად-დინისათვის გაუგზავნიდა³⁵.

სტეფანოს ეპისკოპოსის ცნობით, დავით გიორგისძე ულუ 1216 წელს დაბადებულა³⁶. ყიასად-დინი კი, აბულ-ფარაჯის მიხედვით, რუსუდანის სიძე გახდა 1235/6 (633) წელს და ამ მოვლენის აღსანიშნავად სულთანმა მეუღლის

³¹ გრიგოლ აკნერცი, დასახ. თხზულება, გვ. 25.


³² Вардан, დასახ. თხზულება, გვ. 180.

³³ Киракос Гандзакети, დასახ. თხზულება, გვ. 180—181; გრიგოლ აკნერი, დასახ. თხზულება, გვ. 118 (ნ. შოშიაშვილის კომენტარი).

³⁴ ეამთაალმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 99, 101.

³⁵ ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. თხზულება, ფ. 67 V.

³⁶ ა. აბდალაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1974, № 2, გვ. 145.



თამარ (თამთა) რუსუდანის ასულის სახელზე მონეტაც კი მოკვდილია³⁷.
 ლაშა გიორგის ვაჟი დავითი სულ მცირე 20 წლის მაინც იქნებოდა და გ. ნა-
 ფიშვილის შენიშვნა ყურადსაღებია. მაგრამ გორგიჯანიძის ამ შეცდომის
 ახსნა-გასწორება, ვფიქრობთ, შესაძლებელია. როგორც ვახუშტი ბატონიშვი-
 ლი იუწყება, რუსუდანი გათხოვდა 1213 (უ^ლგ) წელს³⁸. თუ გავითვალისწი-
 ნებთ იმას, რომ საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში ვახუშტის ქრონო-
 ლოგია 10 წლით ჩამორჩება რეალურს³⁹, მაშინ რუსუდანის ქორწინების ნამ-
 დვილი თარიღი იქნება 1223 წელი. 1223 წლის 3 თებერვალია რუსუდანის
 გათხოვების თარიღად, აგრეთვე, მითითებული აბულ-ფიდასთანაც⁴⁰. მაშა-
 სადამე, ვახუშტის ქრონოლოგიის ჩვენეული გააზრება სწორია. ხოლო თუ ეს
 ასეა, მაშინ მისი შვილები უფროსი—თამარი და უმცროსი—დავითი⁴¹ შესა-
 ბამისად დაბადებულან 1224 და 1225 წლებში (რადგან ცნობილია, რომ შე-
 უღლებიდან ორი წლის შემდეგ რუსუდანი ქმარს გასცილდა).

1224 წელს დაბადებული თამარ რუსუდანის ასული, 1236 წელს როცა
 ის ყიას ად-დინს მიათხოვეს, ზუსტად 12 წლის იქნებოდა. ამიტომ ის თორ-
 მეტი წელი, რომელზედაც საუბარია ფარსადანის ცნობაში და შეცდომით
 დავით ულუს ასაკადაა მიჩნეული მისი რუმს გაგზავნის მომენტისათვის, ნამ-
 დვილად, თამარის წლოვანებას უნდა გულისხმობდეს. ხოლო თუ ეს საეჭვო
 არაა, მაშინ ცნობაში ის ადგილი, სადაც სწერია: „რუსუდან დედოფალმან...
 თორმეტი წლის ყმაწვილი მოსაკლავად გაიძეა“ და რუმს გაგზავნაო, უნდა
 შესწორდეს ასე თამარი თორმეტი წლის იყო, როცა დასაღუბად განწირული
 დავითი რუსუდანმა რუმს გაგზავნა. ჭერჭერობით არ ხერხდება იმის დადგენა
 ეს შეცდომები ავტორისეულია თუ მისი თხზულების ვადამწერისა. მაგრამ
 ვისიც და როდინდელიც არ უნდა იყვნენ ისინი, იმის საფუძველს მაინც არ
 იძლევიან გამოვაცხადოთ, რომ რაკი ერისმთავრებმა არ იციან დავით ულუს
 დაბადების წელი, რუმის სულთნისადმი მიმართვის „წერილში“ მოთხოვნილი
 ამბავი ფარსადანის მიერაა მოგონილი და ყალბია. (1988 წლის გაზაფხულზე,
 ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ტელეხედევის ერთ-
 ერთი გადაცემისას ამერიკელის მიერ დასმულ კითხვას „როდის და რომელ
 ქალაქში დაიბადა კარლ მარქსი“, დარბაზში მყოფმა ვერც ერთმა მოს-
 კოველმა ახალგაზრდამ ვერ უპასუხა დამაჯერებლად, რამაც ამერიკელ თა-
 ნამოსაუბრეთა ირონიული ღიმილი გამოიწვია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს,
 რომ ასეთი გადაცემა და პასუხი საერთოდ არ ყოფილა?).

გორგიჯანიძის ისტორიულ თხზულებაში ხმარებული გამოთქმა „დოყუზ
 დუმან გურჯისტან“-ის მემატიანეს აღებული აქვს ოღუზ თურქთა ეპოსიდან,

³⁷ ქართლის ცხოვრება; II, გვ. 172 და 659; ე. ჯაველიძე, გურჯი ხათუნის (დედო-
 ფალ თამარის) და ჯეღალ ად-დინი რუმის ურთიერთობის ისტორიიდან, „ცისკარი“, № 1,
 თბ., 1970; მისივე, თამარი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. თბ., 1979. გვ. 579—580).

³⁸ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 201.

³⁹ Saint-Martin, Memoires Histoires et Geographiques sur Armenien, t. II, Paris,
 1819, გვ. 25, 292; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 90—91.

⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 40; გ. ნა-
 ფიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

⁴¹ იბნ ბიბის ცნობით, მამასაც დავითი რქმევია (Anado Sluelcuklu Devletitarihî Sbnî-Bibinin
 farsca muhtasar Selcuknamesinden türkceyl cevneni M. Nuri Gencosman, Ankara, 1941,
 გვ. 167.).



რომელსაც „დადემ კორკუდიყენ ქითაბი“ ეწოდება და „ტყევეჩი (1099)“ სიმრავლე-სიუხვეს აღნიშნავს⁴², როგორც ამას გ. ნაფიშვილი და მისი კონსულტანტი ლ. ჩლაიძე იუწყებიან. მაგრამ ეს იმას როდი გამორიცხავს, რომ იგივე „დოყუზ“ არითმეტიკული სიდიდეა და მას ზუსტად „ცხრა“ რიცხვის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მემატთანემ, რომელიც ფრიად გაწაფული ჩანს აღმოსავლურ ლიტერატურაში, „დადემ კორკუდუნ ქითაბი“-ს „დოყუზ ღუმან გურჯისტანი“ გამოიყენა არა იმის საჩვენებლად, რომ XIII ს-ის II მეოთხედში საქართველო „მრავალრიცხოვანი მოსახლეობის“ ქვეყანა იყო, როგორც ეს ესმით თურქ მეცნიერს ორხან შაიქს და გ. ნაფიშვილს⁴³, არამედ ამ ქვეყნის მაშინდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ასახავად.

ამრიგად, ფარსადან გორგიჯანიძის „წერილის“ შინაარსი მთლიანად შეესაბამება XIII ს-ის 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დასაწყისის საქართველოს სინამდვილეს (რაც სხვა წყაროებითაც დასტურდება) და არ შეიძლება მოგონილ ამბად მივიჩნიოთ.

როდის მისულან ქართველი ერისმთავართა წარმომადგენლები რუმის სულთანთან დავით ულუს განთავისუფლების თხოვნით? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად გავიხსენოთ ჟამთააღმწერლის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით რუმს ჩასულ ქართველთა დელეგაციას სულთანი ყიას აღ-დინი მიუხედავს: „აწ არს შვდი წელი, არა უწყვი, ცოცხალ არს, ანუ მკუდარი“ ყრმა დავითიო⁴⁴. თუ კი ეს ჩვენება სწორია და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსუდანი თავის ძმისშვილს ყიას აღ-დინთან დასიძებამდე ვერ გაგზავნიდა, ხოლო დასიძება 1235/6 წელს მოხდა, მაშინ დავითის საძებნად და დასახსნელად მონღოლ ნოინთა მიერ რუსუდანის „ჯიბრზე“ (დამორჩილებაზე უარის თქმის პასუხად) რუმს გაგზავნილი ქართველთა დელეგაცია სულთანთან მივიდოდა 1242/3 წელს, რუსუდან მეფის სიცოცხლეში. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენადაც, რომ ჯერ ერთი, ლაშა გიორგის ძის ძებნა და გამეფება მომხდარა არა რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, როცა ყარაყორუმს გაგზავნილი მისი ვაჟის შესახებ აღარაფერი იცოდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, დედა-შვილის ქუთაისში ყოფნისას, მეორე, წყაროთა მონაცემები იმის შესახებ, დავით ულუს გამეფება და საქართველოში ღუმანთა სისტემის შემოღება „უმეფობის“ ხანაში მოხდაო, 1245—1247 წლებს კი არა, იმ ვითარებას ითვალისწინებენ, როდესაც მონღოლებმა საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილი დაიკავეს, რუსუდანი ქუთაისს გაიქცა და მტრისაგან მიტაცებული ტერიტორიის მოსახლეობა უპატრონოდ, ე. ი. უმეფოდ დარჩა.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ 9 საღუმნოდან ორი, კერძოდ, ეგრისს-გურიისა და ლიხთიმერეთის უნდა შეექმნათ 1243 წელს ან ცოტა მოგვიანებით, როცა რუსუდანი ცოცხალი აღარ იყო. ხოლო ჰერეთის, კახეთ-კამბეჩიანის,

⁴² თურქთა წარმოდგენით „ცხრა“ რომ ბედნიერებისა და სიმრავლის სიმბოლოა, ეს ცნობილი ფაქტია (იხ. С. М. Шапшап, К вопросу о татарских ярликах. В сб. „Россия и Азия“, СПб. 1876, გვ. 310—311; ბ. სილაგაძე, არაბი მწერლების ცნობებში რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 764 წელს, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, V, თბ., 1978, გვ. 30).

⁴³ გ. ნაფიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

⁴⁴ ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 100.



ჩრდილოეთ სომხეთის, ქვემო ქართლის ანუ „ყოველი სომხეთის“, შიდა ქართლის, ჯავახეთისა და სამცხისა კი შედარებით უფრო ადრე, დაახლოებით 1232—1243 წლებში, თანდათანობით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ტერიტორიას როდის დაეუფლებოდნენ მონღოლები.

მაშ რატომ უკავშირებს მემატიანე ღუმნების ჩამოყალიბებას საქართველოში „უმეფობის ხანას“ და რას გულისხმობს უმეფობაში? ამ კითხვებზე ზემოთ ვცადეთ პასუხის გაცემა, მაგრამ აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ „უმეფობა“ საქართველოში ზოგან ადრე, მონღოლთა მოსვლისა და რუსუდანის თბილისიდან ქუთაისში გადასვლის 'დროიდან იწყება, ზოგან—რუსუდანის გარდაცვალების დღიდან. ერთგან, სადაც საუბარი იყო ლაშა გიორგის ვაჟის დავითის მოძებნა-გამეფების თაობაზე, ვთქვით, რომ თბილისიდან ქუთაისს რუსუდანის გახიზვნის გამო მონღოლთა ხელში ჩავარდნილი ტერიტორიის დიდი აზნაურნი მეფის საქციელს უკმაყოფილოდ შეხვდნენ. გარდა იმისა, რომ უმეფოდ დარჩნენ და მოკლებულნი იყვნენ ხელმძღვანელს, ვინც მათ საერთო მტრის წინააღმდეგ ორგანიზებულად წარმართავდა, ვერც იმას ურიგდებოდნენ, რომ ნოინები ზოგჯერ ისეთ აზნაურს აწინაურებდნენ, რომელიც სხვებს გვარიშვილობით ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ ეგარსლან ბაკურციხელის აღზევებას. ამიტომაც იყო, რომ ისინი ჯურმაღუნს ეხვეწებოდნენ დავითის მოძებნას და გამეფებას.

მართალია, ჟამთააღმწერლის თქმით, დავით ულუ საქართველოში მოუყვანიათ და ნოინებს ის მეფედ უცენიათ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ეს ვერსია უცხო წყაროთა მონაცემებით არ დასტურდება. ამდენად, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ მემატიანის სიტყვები: „... და გაქდეს ქართველნი უნუგეშისცემოდ და უმეფოდ“ ან 1243 წლამდე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას გულისხმობს, ანდა აერთიანებს ორ სხვადასხვა ეპიზოდს (იმას, რაც რუსუდანის გარდაცვალებამდე და იმასაც, რაც ბატონიშვილების ურდოდან დაბრუნებამდე მოხდა). ხოლო იმ სახით, როგორც „საუტუნოვან მატინეში“ არის მოცემული და ქართულ ისტორიოგრაფიაში გააზრებული—აშკარა შეცდომაა. მით უმეტეს, რომ მიღებული აზრის მიხედვით ღუმნების სისტემა საქართველოში 1247—1248 წლის შემდეგ აღარ არსებულა⁴⁵. უფრო მეტიც, ის არც მანამდე არსებულა, რადგან ერთი (1246) წელი მარტო მის ორგანიზაციას დასჭირდებოდა.

სადუმნოები საერისმთავროთა საპირისპირო ადმინისტრაციულ წარმონაქმნს წარმოადგენდა. თუ საერისთავოში სამხედრო ფუნქციებს საერო-სამოქალაქო ხელისუფლებაში დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა, სადუმნოში ეს პროპორცია დაირღვა საერთო-სამოქალაქო ფუნქციის საზიანოდ და დუმნისთავი უპირატესად ამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის სამხედრო ხელმძღვანელად მოგვევლინა.

არსებობს მოსაზრება, რომ სადუმნოები იქმნებოდა „არა მოსახლეობის აღწერის“ მონაცემების საფუძველზე, არამედ დაპყრობილი ქვეყნის „ადგილობრივი პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფის სისტემის“ მიხედ-

45 ბ. ლომინაძე, საქართველო XIII ს. 40—70-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III, გვ. 557.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით⁴⁶. ვფიქრობთ, ეს საერთოდ ზოგადი და ძირიდადად სწორი მოსახლეობის ითვალისწინებს იმას, რომ მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის აღწერა სჭირდებოდათ არა მარტო მოლაშქრეთა რიცხვის გასაგებდ, არამედ გადასახადებით დასაბეგრავადაც. ამიტომ, მათ წესად ჰქონდათ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის აღწერა, გადასახადების გაწერა და ამ გადასახადების ამკრეფი მოხელეების—ბასკაეების დანიშვნა. ასეთი მოხელენი კი საქართველოში ჩანან უკვე XIII ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევარში. როგორც კირაკოს განმარტებით იუწყება, ურდოდან მოსულ დიდმოხელეს, ვინმე თონღუზ აღას, რომელსაც რუსუდან დედოფალთან მოლაპარაკება უნდ გაემართა დაზავების თაობაზე, დიდი ყაენისაგან ისიც ჰქონდა დავალებული, რომ გადასახადები აეკრიფა მთელი მოსახლეობიდან⁴⁷.

ასე რომ, მონღოლებისათვის, როცა ისინი საქართველოში თავიანთი მმართველობის სისტემის შემოღებას შეუდგნენ, უკვე ცნობილი იყო მისი დაპყრობილი ნაწილის მოსახლეობის რაოდენობა და სადუმნოებსაც ამისდამიხედვით აყალიბებდნენ. ამიტომაც იყო, რომ სადუმნოს ტერიტორია ყოველთვის ზუსტად არ ემთხვეოდა საერისთავოს ფარგლებს და ყველა ერისმთავარი არ იყო დუმანთა უფროსი. თუ, მაგალითად, XIII ს-ის I მეოთხედში, ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, საქართველოში 15 „საერისთავოსაერისთავო“ იყო, ხოლო პ. ინგოროყვას ჩვენებით, მათი რიცხვი 25-ს აღწევდა⁴⁸, მონღოლების დროს მხოლოდ 9 საათიათსეულო ანუ 9 სადუმნო დარჩენილა. ე. ი. მომხდარა ძველი ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანება იმ ანგარიშით, რომ ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ დანაყოფს ათი ათასი კაცის გამოყვანა შეძლებოდა.

რაკი სადუმნოების ჩამოყალიბებაზე გვაქვს საუბარი, საჭიროა ისიც ვიცოდეთ, თუ როდემდის არსებობდა ეს სისტემა საქართველოში. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს მიღებული თვალსაზრისით, სადუმნოთა სისტემა არსებულა ბატონიშვილების, დავით ულუსა და დავით ნარინის ურდოდან დაბრუნებამდე, ანუ 1247—1248 წლამდე⁴⁹. ამ თვალსაზრისის ავტორი წყაროს არ უთითებს, მაგრამ ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ასეთი დასკვნის გაკეთებისას ეყრდნობა ჟამთააღმწერლის ცნობას, სადაც მემატინან ეხება სადუმნოთა გაჩენის მიზეზს და ამბობს: როდესაც რუსუდანი გარდაიცვალა, ხოლო მისი ვაჟის შესახებ აღარაფერი ისმოდა, ლაშა გიორგის ძე დავითი კი რუმს ხაროში იყო ჩამწყვდეული „და გაჯდეს ქართველნი უნუგეშისცემოდ და უმეფოდ... განაჩინეს თათართა დუმნისა“ თავებიო⁵⁰. აქედან გასაგები ხდება, რომ თუ დუმნების ჩამოყალიბება „უმეფობის“ გამო მოხდა, მეფობის აღდგენისას, ე. ი. 1247 წელს ისინი უნდა გაუქმებულიყვნენ და ბ. ლომინაძე მართალია. მაგრამ როგორც ზემოთ დავინახეთ სადუმნოთა ჩამოყალიბება არც რუსუდანის გარდაცვალებასთან იყო დაკავშირებული და არც დავითების ურდოში ყოფნასთან. მაშასადამე, მათი


⁴⁶ რ. კიკნაძე, საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან, „აღმოსავლური კრებული“, გვ. 89.

⁴⁷ Киракос Гандзакети, დასახ. თხზულება, გვ. 169.

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი, სახელმწიფო წყობილება, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 360—362); პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I; გვ. 551.

⁴⁹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 557.

⁵⁰ ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზულება, გვ. 90.



გაუქმებაც არ უნდა დაუჟკავშიროთ ბატონიშვილების დაბრუნების ქართველოში მეფობის აღდგენას. ისინი, ალბათ, არსებობდნენ მანამდე, სანამ გრძელდებოდა მონღოლთა ბატონობა და საქართველოს მათ სასარგებლოდ ბრძოლაში ჯარის გამოყვანა მართებდა. ყოველ შემთხვევაში საქართველოში საღუმნო სისტემა, რომ ბატონიშვილების ურდოდან დაბრუნებისა და მეფობის აღდგენის შემდეგაც დიდხანს არსებობდა ამის უტყუარი დასტურია ამბის მომსწრე—თვითმხილველის ჯუვეინის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: ჰულაგუმ „657 წლის რამაზანის დამლევს... საქართველოს დამორჩილებული ნაწილის ღუმენების შეკრება“ ბრძანაო⁵¹.

ჰიჯრის 657 წლის რამაზანის დასასრული ქრისტიანული კალენდრის 1259 წლის შუა სექტემბერზე მოდის. მაშასადამე, საქართველოში ღუმენები და საღუმნოები XIII ს-ის 50-იან წლების დასასრულსაც მოქმედებდნენ. მაგრამ როგორც ჯუვეინის ცნობიდან ირკვევა, ეს სისტემა მაშინ არსებობას განაგრძობდა არა მთელ საქართველოში, არამედ მხოლოდ მონღოლებისადმი დამორჩილებულ ნაწილში. ეს კი უეჭველად იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რომელიღაც ნაწილი უკვე გამოსულია მონღოლთა ბატონობიდან და ილხანს მასზე ხელი აღარ მიუწვდება. მემატთანე ამ ნაწილს არ ასახელებს, თუმცა ისედაც იგულისხმება, რომ ის უნდა იყოს დასავლეთ საქართველო, რომელიც წყაროთა სანდო მონაცემებით, მონღოლებს განუდგა 1248 წელს, ბაიჯუსა და დავით ნარინს შორის განხეთქილების შემდეგ*.

ამდენად, ჯუვეინის ამ ცნობის საშუალებით გასაგები ხდება არა მარტო ის, რომ საქართველოში ღუმანთა სისტემა 1247—1248 წლებში მეფის ხელისუფლების აღდგენით არ მოსპობილა, არამედ ისიც, რომ დავით ნარინსა და მონღოლებს შორის განხეთქილება, რამაც აიძულა ნარინი ქუთაისს გაპარულიყო და იმიერ საქართველოს დამოუკიდებელი მეფე გამხდარიყო,—1259 წლისათვის უკვე მომხდარი ფაქტია. ეს გარემოება კი კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ჯერ ერთი, უთანხმოება ნარინსა და მონღოლებს შორის და ნარინის განდგომა-გადახვეწა დასავლეთ საქართველოში 1248 წელს მომხდარა და არა 1259 წელს, როგორც ეს მიღებულია დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეორე, იმავე 1248 წელს მთავრდება დავითების „თანამეფობა“ (თუ კი ასეთი რამ საერთოდ არსებობდა) და ნამდვილად იწყება ორმეფობის ხანა, როცა სრულიად საქართველო გაყოფილია ორ ნაწილად, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოდ და დასავლეთ საქართველოდ და თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი დამოუკიდებელი მეფე. მესამე, ჯუვეინის დამატებითი ცნობით, 1259 წელს დავით ნარინი კი არა, „უფროსი დავით მეფე გამდგარიყო გადასახალთა ნარჩენის მოთხოვნის გამო და ერთგულების უღელი გადაეგდო კისრიდან“⁵². რაც შეეხება დავით ნარინს, ის იმავე მემატთანის ჩვენებიდან ჩანს, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოშია და იქიდან ეწევა აქტიურ ბრძოლას მონღოლების წინააღმდეგ. ნარინი, რომ მაშინ თბილისში ყოფილიყო მემატთანე არ იტყოდა

⁵¹ ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1974, გვ. 51.

* ამის შესახებ ვრცლად იხ. ბ. სილაგაძე, მონღოლთა მეორედ გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაყოფა-დანაწილება, „მაცნე“, ისტორიის... სერია № 3, თბ., 1992, გვ. 56—85.

⁵² ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 51.



„არღუნ ამირი თავისი ამალითა და ერთი რაზმით თბილისი დასავლეთ საქართველოსკენ—ბ. ს.) გაემართა“⁵³. დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში ყოფნაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ მონღოლებთან ურთიერთობისას წყარო ყველგან დავით ულუს ასახელებს, ნარინი კი არსად ჩანს⁵⁴.

აღწერა

მისი მიზეზები და შედეგი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის აღწერა მარტო სამხედრო თვალსაზრისით არ იყო ნაკარნახევი. იგი მონღოლებს აუცილებლად სჭირდებოდათ იმპერიის საგადასახადო სისტემის მოსაწესრიგებლად და ამასთანავე, ბატონიშვილთა, ადგილობრივ გამგებელთა თუ სხვა დიდმოხელეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამოვლენა-აღკვეთისათვის. ამიტომ იყო, რომ აღწერა დიდი ყაენის კარზე ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებად ითვლებოდა და პერიოდულად ტარდებოდა საგანგებო უფლებებით მოსილი მოხელის მიერ, დიდი ყაენის ბრძანებით.

წყაროთა ზუსტი მონაცემებით, ერთ-ერთი ასეთი აღწერა მანგუ ყაენის⁵⁵ დროს ჩატარებიათ.

ჯუვეინის გადმოცემით, ტახტის დაკავებისთანავე დიდმა ყაენმა იმპერიის საერთო მდგომარეობა გამოიკითხა და შეიტყო, რომ საქმე „აწეწილ-დაწეწილია“. ჩინგიზ ყაენის, უგედისა და გუიუქის ზეობისას უფლისწულებს დიდძალი იარლიყი⁵⁶ და ფაიზი⁵⁷ გაუციათ. ვაჭრები ელჩები, შიკრიკები და სხვა მოხელენი თავიანთი გამდიდრების მიზნით უხეშად არღვევდნენ კანონებს. იმპერიაში გამეფებული იყო ძალმომრეობისა და გამოძალვის ატმოსფერო. სისტემატურად ირღვეოდა გადასახადების გაწერისა და გადახდევინების წესები. ასეთი განუკითხაობის შედეგად მკვეთრად უარესდებოდა მოსახლეობის მშრომელი ფენების, განსაკუთრებით, გლეხების მდგომარეობა. უკიდურესობამდე შევიწროებული მიწის მუშა ტოვებდა საცხოვრის და გარბოდა. ეცემოდა სოფლის მეურნეობა, მცირდებოდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც, რაზეც უარყოფითად მოქმედებდა აგრეთვე დაპყრობითი ომების ციკლის დამთავრება. ამიტომ ურდოში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარი დარღვევების ლიკვიდაციის, საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისა და ჯარისკაცთა კონტიგენტის ზუსტად დადგენის მიზნით მოეწყოთ საყოველთაო აღწერა. ამისათვის კი მთელი იმპერია დაიყო ზონებად. ერთ-ერთ ასეთ ზონას წარმოადგენდა დასავლეთის ულუსი, სადაც აღწერის ხელმძღვანელობა და-


53 ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ.

54 დავით ნარინი ამ დროს დიდი ხნის გადასული რომაა დას. საქართველოში ეს ქაბაღღაშის ჩვენებიდანაც ჩანს (იხ მისი თხზულება, გვ. 108—110).

55 -იგივე მანგუხანი.

56 იარლიყი — გასამრჯელო მოწმობა, სიგელი, ხანის წერილობითი ბრძანებულება.

57 ფაიზი—მონღოლთა სამსახურში მყოფი მოხელის მოწმობა, რომელიც წარმოადგენდა ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოს ფირფიტას ვეფხის თავის გამოსახულებით. მისი მთლობელი სარგებლობდა მოსახლეობისაგან ყოველგვარი მომსახურების უფლებით.



ველა ყაენის ყველაზე ნდობით აღჭურვილ არღუნ აღას, რომელიც ვაშლი იჩიეოდა საქმის ცოდნით, ობიექტურობითა და ცენტრალური ბიზნეს-ბისადმი უანგარო ერთგულებით.

650 წლის რამადანის 20-ში⁵⁸ არღუნმა თავისი თანმხლები მალიქებით, ამირებითა და ბითიქიებით⁵⁹ დატოვა ურდო და მინდობილი ქვეყნებისა თუ მხარეების: „მაზანდარანის, ინდოსტანის, ერაყის, ფარსის ქირმანის, ლურის, არანის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოსულის, ალეპოსა“ და რუმის აღწერისათვის მზადებას შეუდგა. აღწერისას მას უნდა ეხელმძღვანელა დიდი ყაენის ბრძანებით, რომელშიც ნათქვამი იყო: აღეწერა მთელი ულუსი, დაედგინა ჯარის ოდენობა, გადასახადები, მათი გაწერისა და გადახდევინების წესები. ვინაიდან წინამორბედი ყაენების დროს უფლისწულებმა უამრავი იარაღი და ფაიზი გაცეს, ვაჭრობაშიც იწყეს მონაწილეობა და ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გზავნიდნენ შიკრიკებს, აგრეთვე ყველა დიდებული თუ მდაბლი ორტალის⁶⁰ უფლების საბუთს ეძიებდა, ისინი ისე მომრავლდნენ, რომ ქვეშევრდომნი ვარბოდნენ. ამიტომ, ვისაც კი ჰქონდა ძველი იარაღი, ფაიზი ან უკანონოდ ბოძებული სხვა საბუთი უნდა ჩამორთმეოდა და უფლისწულებს ამის შემდეგ, სამეფო კარის ნაიბების (გამგებლების) ნებართვის გარეშე არ უნდა გაეცათ ზეპირი ან წერილობითი განკარგულება ასეთ საქმეებზე. დიდ ელჩებს ეკრძალებოდათ იამიდან იამამდე ანუ ერთი საფოსტო სადგურიდან მეორე სადგურამდე თოთხმეტზე მეტი ცხენის აყვანა სამგზავროდ. მათვე ეკრძალებოდათ იმ ქალაქებსა და სოფლებში შესვლა, სადაც საქმე არ ჰქონდათ და თითოეული ადამიანისათვის, საზრდოდ დაწესებულ ულუფაზე მეტის აღება.

„რამდენადაც ძალადობა და ჩაგვრა ზეცას მისწვდა, საგანგებო გადასახადებისაგან⁶¹ განსაკუთრებით გლენობა იყო ილაჯგაწყვეტილი და განადგურებული იქამდე, რომ მოწეული მოსავალი იმ გადასახადების ნახევარსაც არ ჰყოფნიდა, რასაც გლენს ართმევდნენ“. ამიტომ ბრძანება ითვალისწინებდა, რომ „უკლებლივ ყველა ორტალს და მოხელეს ზომიერება დაეცვა ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში. თითოეულმა ადამიანმა მისი დოვლათისა და შე-


58 ჯუვეინის ცნობები საქართველ-ს შესახებ, გვ. 54. ჰიჯრის 650 წლის რამადანისთვის 20 რიცხვი შეესაბამება 1252 წლის 24 ნოემბერს. მაგრამ იმავე ავტორის სხვა ცნობით ეს ამბავი მომხდარა 651 წლის რაჯაბის თვეში (იქვე, გვ. 49), ანუ 1253 წლის სექტემბერში. ამიტომ ძნელია თქმა იმისა, თუ რომელი თარიღი უფრო სანდოა.

59 ბითიქი (თურქ.)—მწერალი, მდივანი, საკანცელარიო საქმის მწარმოებელი.

60 საქარავნო ვაჭრობის მსხვილი მუსლიმური კომპანიის წევრს ორტალი ეწოდებოდა. მათ ხელთ იყო სატრანზიტო ვაჭრობა, რომელიც გამდიდრების ერთ-ერთი სარფიანი საშუალება იყო. ამიტომ მათთან მჭიდრო კავშირში იყვნენ მონღოლი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები, თვით ყაენებიც კი (А. Ю. Якубовский, Восстание Тараби в 1238 г. Труды ИВ АН ССР, т. XVII, 1936, გვ. 112; რ. კიკნაძე, ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 83, შენ. 143).

61 ამ გადასახადს „ავარიზი“ ეწოდებოდა. ეს იყო ფულადი გადასახადი, დაწესებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაზე, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. მაგრამ დროთა განმავლობაში ის იქცა ყოველწლიურ გამოსაღებად V. Minor sky, Tadhkirat al-muluk, გვ. 181; И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII-XIV веков, М.-Л., 1960, გვ. 382—283; რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83, შენ. 143.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 2





ძღვების მიხედვით უნდა გაიღოს, რაც განაწილებით დაეკისრება. სწორედ ამის ბრძანება გადასახადებისაგან ათავისუფლებდა ღვთის მსახურთა: „მოსაღებასაგან—დიდ საიდებს⁶²; შეიხებსა⁶³ და იმამებს⁶⁴; ქრისტიანთაგან—ბერებს, ეპისკოპოსებს, მღვდელმთავრებს, ხოლო ცეცხლთაყვანისმცემელთაგან—თონებებს⁶⁵. ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ აგრეთვე ასაკგადაცილებულნი და შრომისუნარმოკლებულნი.

გლეხები (რაიები) დაბეგრული იყვნენ მრავალი და დიდი გადასახადით, რაც იწვევდა მათ აყრას, მეურნეობის მოშლას და სახელმწიფოს ეკონომიკურ დასუსტებას. ამას ითვალისწინებდა მანგუ ყაენი და ვინაიდან მისი მიზანი იყო „ქვეშევრდომთა მდგომარეობის გაუმჯობესება და არა ზაზინის სიმდიდრის გამრავლება“, აღმწერებს ავალეზდა, შეემცივებინათ გლეხთა გადასახადები, გაეუქმებინათ ისინი და მათ ნაცვლად დაეწესებინათ ერთი გადასახადი—„ყაფჩური“⁶⁶, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა თითოეული გადამხდელის ქონებრივი შესაძლებლობა. დიდი შეძლების კაცს უნდა გადაეხადა წელიწადში 10—11 დინარი⁶⁷, ხოლო ხელმოკლეს—ერთი დინარი, მაშინ, როცა ყაფჩურის შემოღებამდე, ძველი ნიხრით დადგენილი იყო შეძლებულზე ხუთასი და ათასი დინარი⁶⁸.

თუ კაცი ამ განსაზღვრულ გადასახადს გაიღებდა თავისუფალი იყო, იმ წელიწადს მას ველარაჟინ მიადგებოდა და სხვა გამოსაღებს ვერ მოსთხოვდა. დიდი ყაენის „იასა“ (კანონი) გლეხებს ათავისუფლებდა ძველი დავალიანების დაფარვისგანაც. „გადასახადების ნარჩენი, სადაც არ უნდა ყოფილიყო და ვისაც არ უნდა ჰქონოდა გადასახდელი, ქვეშევრდომთ არ უნდა გადაეხადათ და მოხელეებს არ უნდა აეღოთ“.

ვინაიდან მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მაინც მოლაშქრეთა კონტიგენტის დადგენა იყო, მოსახლეობა დაყვეს ათასეულებად და, როგორც რაშიდ აღ-დინი იუწყება, დაადგინეს, რომ დაპყრობილი ქვეყნებიდან ყოველი ათი კაციდან ორი უნდა წასულიყო ლაშქარში⁶⁹.

62 მუჰამედ წინასწარმეტყველის შთამომავლნი პრივილეგიურ წოდებას შეადგენდნენ და გამორჩეული უფლებებით სარგებლობდნენ.

63 შეიხები—სასულიერო ბელადები, ტომის უხუცესნი, სწავლულნი.

64 იმამი—ბელადი, ხელმძღვანელი.

65 თონი—კერპთაყვანისმცემელთა მოძღვარი.

66 ყაფჩური—თავიდან საბალახე გადასახადი იყო. მას იხდიდნენ მეჯოგენი 100 სულ საქონელზე 1 სულს. მონღოლთა იმპერიაში იგი იქცა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სულად გადასახადად (Рашид ад-дин, Джамн ат-табарих, III, 1957, გვ. 255—264; М. Minoviand V. Minor sky, Nasir ad-din Iusi on finance. BSOAS, V. X, part, 3. 1940, გვ. 761; В. В. Бартольд, Сочинения т. IV, М., 1966, გვ. 330—332; И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 360—369; ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მასალები უამთაღმწერლის თხზულებაში. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1968, გვ. 58—58; რ. კიკნაძე, ჭუვეინის ცნობები..., გვ. 76, შენ, 114).

67 ჭუვეინი ერთგან (გვ. 51) 500 დინარს ამბობს, მეორეგან (გვ. 55)—11—10 დინარს.

68 ეს გარემოება მთლიანად აბათრლებს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 1254 წ. აღწერამდე მონღოლთა საგადასახადო სისტემა და ზარკ მარტივი და მცირე იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 558, სქოლიო 2).

69 Рашид ад-дин, Сборник летописей, т. I, გვ. 120, т. II, გვ. 140—142; ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 46—55.



მანგუ ყაენის ამ ვრცელი ინსტრუქციით არღუნ ალა დამხმარე მონღოლთა დიდი ჯგუფის თანხლებით, ჯუვეინის ერთი ცნობით, 1253 წლის აგვისტო-სექტემბერში, ზოლო მეორე ცნობით,—1252 წლის 24 ნოემბერს, ყარაყუმიდან ხორასანს გაემგზავრა. იქიდან კი ბათო ყაენთან წავიდა ვოლგისპირეთში მანგუს ფირმანის (ბრძანების) გასაცნობად. როდესაც ბათოსთან ყველაფერი შეათანხმა, არღუნი დარუბანდის გავლით საქართველო-არ-რან-ანგერბაიჯანს ეწვია და აღწერას შეუდგა⁷⁰. ამ ქვეყნებში აღწერის თარიღის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ჯუვეინი არაფერს ამბობს. მისი ცნობიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ ყოველ ათ კაცზე სამოცდაათი როქნული⁷¹ დინარი გაუწერიათ და მოსახლეობა ათასეულეზად დაუყვიათ⁷². დასმულ კითხვაზე ამაზე მეტ ინფორმაციას არც რაშიდ აღ-დინი იძლევა. მაგრამ ამ „ლაკუნას“ რამდენიმე მაინც ავსებენ ქართულ-სომხური ისტორიული თხზულებანი.

კირაკოს განმარტების გადმოცემით, ოსტიკანი არღუნი და მისი ჯგუფი სომხეთ-საქართველო-აღვანეთის აღწერას შეუდგნენ 1254 (703) წელს. საალრიცხვო დავთარში შეიტანეს ყველა, ათწლიანებიდან ყველაზე უხუცესამდე, გარდა ქალებისა. ყველასგან მოითხოვდნენ იმაზე მეტს, რაც აღემატებოდა მათ შესაძლებლობას. ვინც შეწერილი გადასახადის გასტუმრებაზე უარს იტყოდა, სასტიკად ისჯებოდა. მას ართმევდნენ შვილებს, ზოგჯერ ჰკლავდნენ კიდევ. მონღოლ მოხელეებს ამ საქმეში ადგილობრივი აზნაურებიც ეხმარებოდნენ. დაბეგვრას ექვემდებარებოდა როგორც გლეხი ისე მეწარმე-ხელოსანი, მეთევზე, მემალაროვე, მჭედლები, მღებავები და ვაჭრები. გადასახადებისაგან თავისუფალი იყვნენ სასულიერო პირნი. როცა არღუნი და მისი მოხელენი აღწერას მორჩნენ, წავიდნენ და თან წაიღეს დიდალი ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები. ადგილზე დატოვეს ბოროტი ოსტიკანები, რომელთაც ევალებოდათ დავთრის მიხედვით გადასახადების აკრეფა ყოველწლიურად⁷³.

საქართველო-სომხეთ-არ-რანი, რომ არღუნს 1254 წელს აღუწერია და დაუბეგრავს, ამას ანონიმი სებასტაციც აღნიშნავს. მაგრამ როგორც მისი ცნობიდან ჩანს, მონღოლებს გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ სასულიერო პირებისა და ქალების გარდა მოხუცებიც და მცირეწლოვანი ბავშვებიც⁷⁴. ამას მთლიანად ადასტურებს ვარდანიც⁷⁵. მართალია ის აღწერას 1253 (701) წლით ათარიღებს მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება სხვა წყაროთა მონაცემებს. ყარაყუმიდან დაბრუნებული არღუნი სახელმწიფოს აღწერას, მართლაც, 1253 წელს შეუდგა და ვარდანიც ამ მომენტს გულისხმობს, თორემ საქართველო-სომხეთ-არ-რანში მოსახლეობის „აღთვალვა“ რომ 1253 წელს, კი არა, 1254 წელს ჩაუტარებიათ ეს აღნიშნული აქვთ სტეფანოს ორბელიანსაც და სტეფანოს ეპისკოპოსსაც⁷⁶.

აღწერის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის გრიგოლ აკნერცაცი-მისი თქმით, კალიის მიერ 1251 წელს (ვარდანის მიხედვით 1252 წელს)

70 ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 49—50.
 71 წმინდა, ბაქალო ოქრო (Я г е л л о, Арабско-персидско-русский словарь);
 რ. კ ი კ ა ძ ე, ჯუვეინის ცნობები..., გვ. 78—79, შენიშვნა 120).
 72 ჯუვეინის ცნობები..., გვ. 50—51.
 73 Киракос Гандзакечи, დასახ. თხზულება, გვ. 221—222.
 74 წერილი ისტორიკოსები (სომხ. ენაზე), II, 1956, გვ. 140—141.
 75 В ар д а н, დასახ. თხზულება, გვ. 182.



ქვეყნისათვის მიყენებული დიდი „რისხვის შემდეგ მოვიდა... რა... ქვეყანა... 15 წლიდან ზემოთ ყველას აღრიცხავდნენ 60 წლამდე (და) თითოეული აღრიცხული კაცისაგან იღებდნენ 60 თეთრს“, ვინც გაიქცეოდა ან დაიძალებოდა, როცა იპოვნინდნენ ჯერ გაროზგავდნენ, მერე დასისხლიანებულს სპეციალურად დაგეშილ ძალებს მიუგდებდნენ დასავლელად⁷⁷.

მუქ ფერებში გვიხატავს აღწერას და მის შედეგებს ქართველი ანონიმი ავტორი ჟამთააღმწერელიც. როგორც ის იუწყება, „ყაენმან ბათომ... ინება ვასწორება და აღთუალვა ყოვლისა ქვეყნისა, და პოვა კაცი... სახელათ არღუნ, სამართლისმოქმედი და მართლის მეტყველი, ღრმად გამგონე და გამზრახ რჩეული... წარავლინა ყარაყუმს... და მი-რა-იწია ყუბილ ყაენის წინაშე, ინება მანცა ესრეთ ქმნად და წარავლინა იგივე არღუნ... ყაენს ულოს წინაშე“. ულომ კი მიავლინა იგი მეფე დავითთან საქართველოს აღსაწერად და „ვი-თარცა მოიწია... დიდსა ჳირსა მიეცნეს ყოველი მკვიდრნი სამეფოსა დავითისანი“ და აი რატომ: „იწყეს აღწერად კაცივითან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაჳმდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოკდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა ღუმანი მკედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი. და განაწესეს ძლუენი სოფლისაგან ათასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჳკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და დრაჳკანი ორი და მიზდი ცხენისა თეთრი სამი,—დღისა ერთისა“. საღმრთოდ გაჩენილი ყოველი სჯულის კაცი კი გაათავისუფლა საზღავისაგან. „და მას ჟამსა ინება ყაენმან ულო აღმკედრება ეგვპტესა ზედა“⁷⁸.

ჩვენ მიერ დამოწმებული სომეხ-ქართველი ავტორების ცნობებზე დაკვირვება, მათი ანალიზი და ჯუვეინის მონაცემებთან შედარება გვარწმუნებს, რომ სპარსელი მემატიანის მონათხრობი, მანგუ ყაენის დროს მონღოლების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ, ძირითადად სწორია. აღწერა დაუწყიათ 1253 წელს და რამდენიმე წელს გაგრძელებულა. ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიის ქვეყნების: არ-რან-საქართველო-სომხეთის „აღთვლვა“ 1254 წელს ჩაუტარებიათ ამ საქმის კარგი მცოდნის, ობიექტურისა და მართლის მქნელი რჩეული მოხელის არღუნ აღას მე-თაურობით (ჯუვეინი, ჟამთააღმწერელი). ჯარის კონტიგენტის დასადგენად სააღრიცხვო დაგთარში შეუტანიათ მხოლოდ მამრობითი სქესის მოსახლეობა კირაჯოსის მიხედვით ათწლიანები და უფრო ხნეირნი, აკნერცის მიხედვით—თხუთმეტიდან სამოცწლიანები. აღწერილი მოსახლეობის ყოველი ათი კაცი-დან, რაშიდ აღ-დინის ცნობით, ორი კაცი უნდა წასულიყო ლაშქარში, ხოლო ჟამთააღმწერელი ამბობს: ცხრა სრულფუძიან გლეხს ერთი მოლაშქრე შეაწერესო და საქართველოს ჯარმა ამ ანგარიშით ცხრა ღუმანი ანუ ცხრა ბევრი შეადგინაო. როგორც სპარსული, ისე ქართველი მემატიანის ეს მონაცემები 40-იანი წლების სინამდვილეს ასახავს და მათი დაკავშირება 1254 წლის აღწერასთან იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ადრე არსებული ნორმები თითქმის უცვლელი დარჩენილა. ეტყობა, ცვლილება არც საღუმნო სისტემას განუც-დია, რაზეც მიგვანიშნებს მოსახლეობის დაყოფა ათასეულებად.

⁷⁷ გ რ ი გ ო ლ ა კ ნ ე რ ც ი, მოისართა ტომის ისტორია. გვ. 31—32.

⁷⁸ ჟ ა მ თ ა ა ო ჳ მ წ ე რ ე ლ ე, დასახ. თხზულება. გვ. 116—117.



ვინაიდან აღწერის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საგადასახადო სისტემის მოწესრიგებაც იყო, ალუთელიათ არა მარტო მოსახლეობა, არამედ პირუტყვი, სახნავ-სათესი მიწები (ქამთააღმწერელი) და სხვადასხვა პროფესიის მეწარმე-ხელოსნები: ვაჭრები, მჭედლები, მღებრები, მეთევზენი, მემალაროვენი (კირაკოსი) და დაუბეგრავთა დავთარში შეტანილი ყველა—თითო შეიდი როქნული დინარით (ჯუვეინი), ანუ სამოცი თეთრით (აქნერცი). რაც შეეხება ქამთააღმწერლის მიერ დასახელებულ გადასახადებს ათასისთავისათვის ერთ კრავსა და ერთ დრაჰკანს, ხოლო ბევრისთავისათვის ერთ ცხვარსა და ორ დრაჰკანს, ანდა მიზღს (ქირას, სასყიდელს) ცხენზე სამ თეთრს დღეში, ისინი 1154 წელს კი არა, როგორც ჩანს, უფრო გვიან, დაახლოებით 3—4 წლის შემდეგ დაუმატებიათ.

ჯუვეინის ცნობით, ამ აღწერის შემდეგ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულა. თუ ადრე შეძლებულთ უნდა გადაეხადა 500-დან 1000 ყაფჩურამდე, აღწერის შემდეგ ისინი იხდიდნენ მაქსიმუმ 7—10 ყაფჩურს. გაუქმდა უკანონოდ გაცემული სხვადასხვა საბუთი, რომელიც მოხელეთათვის წარმოადგენდა გამოძალვისა და ყოველგვარი თვითნებობის საუკეთესო საშუალებას. გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ ქალები, მოხუცი და შრომისუნარმოკლებული მამაკაცები, მცირეწლოვნები და ყველა სარწმუნოების სასულიერო პირი, გარდა ებრაელებისა. დადებითად მოქმედებდა აგრეთვე ერთჯერადი წლიური გადასახადების დაწესებაც. მაგრამ ამ ღონისძიებების გატარების შედეგად მკვეთრად შემცირდა ხაზინის შემოსავალი, რომელიც საკმარისი აღარ იყო „ჰაშარის“⁷⁹ იამის, ულაღისა⁸⁰ და ლაშქრისათვის“ საჭირო ხარჯების დასაფარავად. ამიტომ, აუცილებელი გახდა ხელახალი აღწერის ჩატარება და გადასახადის იმ ოდენობით გაზრდა, რომ „ხარჯებს ჰყოფდნოდა“. ამ მიზნით, 1258 წლის სექტემბერში (656 წ. რამაზანში) არღუნი არ-რანს მყოფ ჰულაგუს ეახლა. იქიდან კი მისი ბრძანებით საქართველოს გაემართა, იგი აღწერა, ათასეულბად დაყო და „გააწერა ყაფჩური—“ შეძლებულთათვის ხუთასი დინარიდან შესაბამისად ღარიბების ერთ დინარამდე“⁸¹. სწორედ ამ დროს უნდა შემოედოთ „ძღვენი სოფლისაგან ათასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხვარი ერთი და დრაჰკანი ორი, (აგრეთვე) მიზდი ცხენისა თეთრი სამი,—დღისა ერთისა“. ჩვენი ეს ვარაუდი ემყარება, ჯერ ერთი, იმას, რომ ქამთააღმწერელი პირდაპირ განაგრძობს, ამის შემდეგ არღუნი წავიდა ბაღდადსო, რომელიც 1258 წლამდე მფნლოლებს არ ეკუთვნოდა⁸². და მეორე, სწორედ ამ დროს გახდა საგრძნობი, რომ 1254 წლის აღწერისას დადგენილი საგადასახადო ნორმებით მიღებული შემოსავა-

⁷⁹ ჰაშარი—მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისაგან შემდგარი ტყვე რაზმები, რომლებსაც ბრძოლაში წინ გაიმძღვარებდნენ.

⁸⁰ საფოსტო სადგურში (იამში) მგზავრთა მომსახურებისათვის საჭირო ცხენები ანუ ულალები, რომელთა მიყვანა იამში და მათი მოვლა-შენახვა გლეხობას მართებდა (ერკლად ამის შესახებ იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, გვ. 561—562—საიამე).

⁸¹ ქამთააღმწერელი, ასწლოვანი მატანე, გვ. 117.

⁸² Рашид ад-дин, джами ат-таварих, III, გვ. 43—44; სტეფანოზ ორბელიანი, დასახ. თხზულება, გვ. 71; Вардан, დასახ. თხზულება, გვ. 183—184; გვ. 183—184; Киракос, დასახ. თხზულება, გვ. 231.



ლი ველარ ფარავდა სახელმწიფო ხარჯებს და ამიტომ აუტილებელი განდა გადასახადების გაზრდა.

ილხანთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ბრძანებით არღუნის მიერ ჩატარებული ამ აღწერის ქრონოლოგიური ზღვრის დასადგენად ბაღდადის აღებისა და ხალიფა ალ-მუსთა'სიმის სიკვდილით დასჯის (1258 წ. 20 თებერვალი⁸³) თარიღთან ერთად მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ერაცსა და რუმში აღწერის მომთავრების შემდეგ არღუნი საქართველოში ბრუნდება მონღოლთა წინააღმდეგ ამხედრებული დავით ნარინისა და დავით ულუს დასამორჩილებლად⁸⁴, რაც 1259—1261 წწ. მოხდა⁸⁵. მაშასადამე, 1254 წლის აღწერის შემდეგ მეორე ასეთივე აღწერა არღუნს საქართველოში ჩაუტარებია 1258 წლის დასასრულს, ან 1259 წლის დასაწყისში, როგორც ამას ვარაუდობს რ. კიკნაძე⁸⁶.

მაგრამ ჭუვეინის, რაშიდ ად-დინის, უამთააღმწერლისა და კირაკოს განძაკეცის ცნობების ანალიზი გვარწმუნებს, რომ იმავე არღუნს საქართველოსომხეთ-აზერბაიჯანი და საერთოდ მონღოლების მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღწერა მოუწყვია 1254 წლამდეც, გუიუქ ყენის (1246—1248) დროს. რაშიდ ად-დინის თხზულებიდან ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც ავტორი იუწყება, რომ როგორც კი მანგუმი დიდი ყენის თანამდებობა დაიკავა არღუნ ადას უბრძანა, კვლავ აღწერა მის საგამგებლოში შემავალი ყველა დაპყრობილი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც⁸⁷. სიტყვა „კვლავ“ აქ უსათუოდ იმაზე მიგვითითებს, რომ აღწერა ადრეც ყოფილა ჩატარებული. ამას ადასტურებს კირაკოს განძაკეციც. მისი გადმოცემითაც აშკარა ხდება, რომ ტახტზე ასულ გუიუქს სპარსელების, თურქების, სომხების, ქართველების, აღვანებისა და სხვა დაპყრობილი ხალხების დაბეგვრა და მათგან გადასახლების აკრეფა არღუნისათვის დაუვალებია⁸⁸.

ლ. ბაბაიანის ვარაუდით, აქ უნდა იგულისხმებოდეს კირაკოს განძაკეცის მიერ მოხსენიებული 1254 წლის აღწერა⁸⁹. მაგრამ ასეთი ვარაუდი, ვფიქრობთ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ჯერ ერთი, იმავე კირაკოსის ჩვენებით, 1254 წლის აღწერა მოხდა მანგუ ყენის დროს, მისი უშუალო განკარგულებით. ის აღწერა კი, რომელიც ამჟამად გვინტერესებს, გუიუქის ბრძანებით ჩატარებულა. მეორე, ვინაიდან გუიუქმა დიდი ყენის ტახტი 1246 წელს დაიკავა და მხოლოდ ორი წელი იმეფა, აღნიშნულ აღწერას არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს 1254 წლის აღწერასთან. მეორე, კირაკოს განძაკეცისავე ცნობით, ამ აღწერის დროს ათაბაგი ავაგ ივანეს-ძე მხარგრძელი, რომელიც 1250 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ცოცხალია⁹⁰. მეორე, საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანი და სხვა დაპყრობილ-დამორჩილებული ქვეყნები რომ მონღოლებს 1154 წლამდეც არაერთხელ ჰქონდათ აღწერილ-

⁸³ Рашид ад-дин, დასახ. თხზულება III, გვ. 45.

⁸⁴ ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 51.

⁸⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, III, გვ. 69; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 570.

⁸⁶ რ. კიკნაძე, ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 80, შენ. 127.

⁸⁷ Рашид ад-дин, Сборник летописей, т. II, გვ. 141.

⁸⁸ Киракос Гандзакец, დასახ. თხზულება, გვ. 193.

⁸⁹ Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении, 33. 239.

⁹⁰ Киракос Гандзакец, დასახ. თხზულება გვ. 149.



დაბეგრილი, ეს ზემოთ დასახელებული აქვთ გრიგოლ აქნერცი⁹¹ ად-დინ ათა მალიქ ჭუვეინისა⁹². ხოლო აბუ ლ-ფარაჯი პირდაპირ ამბობს: ვრთ-ერთი აღწერა 1247 წელს ჩატარდა⁹³.

ამრიგად, თუ აქ მოხმობილ წყაროთა მონაცემები სწორია, მაშინ ეკვივარაა, რომ არღუნ ადას ხელმძღვანელობით ჩატარებულ ერთ-ერთ აღწერას საქართველოში ადგილი ჰქონია 1247-1248 წელს. ხოლო მანამდე ასეთივე მისიით საქართველოს სწვევიან გურგუზი⁹⁴, 1243 წელს შარაფ ად-დინი⁹⁵, ბულა (რომელსაც წყაროები ბულა თურქზე უარეს პიროვნებად წარმოგვიდგენენ⁹⁶) და სხვ. მოხელენი.

სწორედ 1243, უფრო კი 1247—1248 წლებში ჩატარებული აღწერის მასალებით უნდა სარგებლობდეს ქამთაღმწერელი, როცა ამბობს: „დიდსა ჭირსა მიეცნენ ყოველნი მკვდრნი სამეფოსა დავითისნი. იწყეს აღწერად კაცი თვან... და გამოჰდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა ღუმანი მკედარი“.

ამ ცნობაში გამოთქმა „სამეფო დავითისნი“ აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ ავტორის მიერ აღწერილ ამბავს ადგილი ჰქონდა ერთიანი საქართველოს დროს, როცა ქვეყანას მართავდა დავით ულუ, ვითარცა უფროსი. ამ დასკვნამდე მივყავართ აგრეთვე ცნობაში დასახელებულ „ცხრა ღუმანსაც“. ცნობილია, რომ „ცხრა ღუმანი“-ს ანუ 90 ათასი მოლაშქრის გამოყვანა მართებდა სრულიად საქართველოს. სრულიად საქართველომ კი არსებობა შეწყვიტა დაახლოებით 1248 წლიდან, როცა დავით ნარინსა და მონღოლ ნოინებს შორის მწვავე კონფლიქტური ურთიერთობის გამო რუსუდანის ძემ ქუთაისს მიამურა, იქ დაიდო ბინა, დასავლეთ საქართველოს მეფობა იკისრა და მონღოლებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

ამის შემდეგ მონღოლებს დასავლეთ საქართველოზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ და მას ისინი ვეღარც აღწერდნენ, ვეღარც გადასახადებით დაბეგრავდნენ და ვეღარც ჯარს მოსთხოვდნენ.

თუ ეს მსჯელობა საბუთიანობას მოკლებული არ არის და სწორია, მაშინ გამოდის, რომ ქამთაღმწერელის ვრცელი ცნობა აღწერისა და მისი შედეგების შესახებ ყველა იმ აღწერის ჯამია, რაც მონღოლებმა საქართველოში ჩატარეს XIII ს-ის 40-იანი წლებიდან 50-იანი წლების დასასრულამდე. ამის გათვალისწინება კი აუცილებელია საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების სწორად გააზრებისათვის. არაა სწორი თითქოს 1254 წლის აღწერას ახალი გადასახადები დაეწესებინოს, ძველი გაედიდებინოს და სამხედრო ბეგარაც გაეფართოვებინოს, როგორც ეს ქართულ საისტორიო ლიტერატურა-

⁹¹ გრიგოლ აქნერცი, დასახ. თხზულება, გვ. 31—32.
⁹² ჭუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, 45—46.
⁹³ Кираакос, Гандзакеци, დასახ. თხზულება გვ. 302, შენ. 5.
⁹⁴ ეს. უნდა იყოს კირაკოს ვინძაკეტან მოხსენიებული თონღუზ ალა (Кираакос, გვ. 45—169).
⁹⁵ ჭუვეინის ცნობები..., გვ. 45—46.
⁹⁶ მან აიკლო მთელი ქვეყანა, მოსპო მოსახლეობა, ავაგის დაღუპვაც კი განიზრახა (Кираакос, გვ. 191). ასეთივე პიროვნება კი შარაფ ად-დინიც (ჭუვეინის..., გვ. 46). იყო,

შია აღწერილი⁹⁷. გადასასინჯია ის შეხედულებაც, რომ მონღოლი ყაენების ინტერესს დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკურ დასუსტება შეადგენდა. პირიქით, ყოველმა მეუფემ მშვენივრად იცოდა, რომ სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა დიდად იყო დამოკიდებული მოსახლეობის გადამხდელუნარიანობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი—მშრომელი მასების ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. ამიტომ, თითოეული აღწერის მიზანი დაპყრობილი ქვეყნებიდან ლაშქარში გასაყვან მემომართა რაოდენობის განსაზღვრა და მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრა მარტო კი არა, მონღოლ უფლისწულთა, მთხელეთა თუ ადგილობრივ გამგებელთა თვითნებური მოქმედებისაგან გლეხობის დაცვაც იყო, რაც გარკვევით ჩანს 1254 წლის აღწერის მასალებიდან. თუ ამ მასალებს ყურადღებით გავეცნობით იმაშიც დავარწმუნდებით, რომ აღწერები მარეგულირებელი საშუალება იყო, რომლითაც ცენტრალური ხელისუფლება ახერხებდა სახელმწიფო ხარჯების ბალანსირებას სავადასახადო სისტემის მეშვეობით. იზრდებოდა ხარჯები, შესაბამისად იზრდებოდა გადასახადებიც, ხოლო სავადასახადო სისტემაში ცვლილებების შესატანად აუცილებელი იყო სახელმწიფოს მოსახლეობისა და მათი ქონების საყოველთაო აღწერა. მას პერიოდული ხასიათი ჰქონდა და ყოველთვის ყაენის მიერ შემუშავებული სათანადო განაწესი ედო საფუძვლად. იმის მიხედვით თუ როგორი იყო ეს განაწესი, აღწერები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი ხასიათით, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ახალი გადასახადების შემოღებაში და ძველის გადიდებაში. თუ ზემოთ დასახელებულ აღწერებს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ დავინახავთ, რომ მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1243, 1248 და 1258 წლების აღწერები, როცა გადასახადები იმ ზომამდე გადიდდა, რომ გლეხებს სანახევროდაც კი აღარ შეეძლოთ მათი გადახდა.

В. Г. СИЛАГАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ГОСПОДСТВА МОНГОЛОВ В ГРУЗИИ

Резюме

Известно, что в захваченных странах, в том числе и Грузии, монголы устанавливали свою систему управления, атрибутами которой, помимо прочего, являлись военно-административные единицы т. н. „дუმены“ и „перепись населения“ центральными властями империи.

В статье, дана попытка показать, что в Грузии было не 8 или 9 думенов, как это в основном принято в современной грузинской литературе, но в разное время и 6 и 7 таких военно-административных единиц и что начало их было заложено не в период междуцарствия (1245—1247), а в 30-х годах XIII века. Отсюда же берет начало и перепись населения страны с целью определения численности как „думенов“ так и налогоплательщиков.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა

⁹⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 567. არც ისაა სწორი, თითქოს 1254 წ. აღწერამდე სავადასახადო სისტემაში მარტივი იყო და ხარკიც შედარებით მცირე (იქვე, გვ. 558, სქ. 2). გამარტივება-შემცირება, სწორედ 1254 წ. აღწერამ მოახდინა.

იოსებ ჟღანტი


პლუტარქეს პოლიტიკური შეხედულებანი

ძველი მსოფლიოს კლასიკურ მწერლობაში და ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად ჩახედული პიროვნება, კიდევ მეტიც, სპეციალისტებიც კი პლუტარქეს მიიჩნევენ ყველა დროისა და ხალხის საყვარელ მწერლად, ფილოსოფოს-მორალისტად და ისტორიკოსად, მაგრამ რატომღაც არავის არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, როგორც პოლიტიკოსისათვის. ამიტომაც არის, რომ მას არავინ იხსენიებს ძველი მსოფლიოს სახელმწიფო პოლიტიკის ისეთი გამოჩენილი თეორეტიკოსების, კანონმდებლების და მორალისტების გვერდით, როგორებიც იყვნენ ლაო-ძი, კონფუცი, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი და სხვები.

დიდი მწერლის, მეცნიერისა და პოლიტიკოსის, ელინისტური ეპოქის უნივერსალური მოაზროვნის პლუტარქეს ცხოვრება და მოღვაწეობა (ახ. წით დაახლოებით 46—125 წწ) დაემთხვა თავისი სამშობლოს, საბერძნეთისათვის მეტად მძიმე პერიოდს, რომელიც ფაქტობრივად მაშინდელი მსოფლიოს უდიდესი, რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად იყო გადაქცეული. მართალია, იგი გაჭირვებით კვლავ ინარჩუნებდა ძველ დიდებას (ათენი კვლავ რჩებოდა მაშინდელი კულტურული მსოფლიოს ცენტრად, — იქ სწავლა-განათლების მისაღებად უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ახალგაზრდობა თვით რომიდანაც კი), მაგრამ იგი მაინც ამ უზარმაზარი იმპერიის ნაწილი იყო.

პლუტარქეს პოლიტიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პლატონიზმის ცნობილმა მიმდევარმა ფილოსოფოსმა ამონიოსმა. პლუტარქეს საოცრად დიდმა ერუდიციამ და ავტორიტეტმა აიძულა თვით რომის მმართველი ელიტაც კი ეძებნათ გზები მისკენ, სამეგობრო ხელი გაეწოდებინათ მისთვის, შეეთავაზებინათ საკმაოდ მაღალი პოსტები სახელმწიფო მმართველობაში, რაც, მიაჩნდა რა აღნიშნულ ეტაპზე თავისი ქვეყნისათვის ძალზე საჭიროდ და სასარგებლოდ, უყოყმანოდ მიიღო კიდევაც დიდმა მოაზროვნემ და პოლიტიკოსმა. ბუნებრივია, პოლიტიკაში ისეთმა ღრმად ჩახედულმა პატრიოტმა და გაწონასწორებულმა ადამიანმა, როგორიც პლუტარქე იყო, კარგად იცოდა, რომ აღნიშნულ უადრესად რთულ ეტაპზე სამშობლოს ხსნისათვის ძალისხმევა ამ გზით უფრო მოსახერხებელი იყო.

პოლიტიკურ ცხოვრებაში პლუტარქე ადრევე ჩაება. საგულისხმოა, რომ ასეთი კარიერა მან თავის მშობლიურ ქ. ქერონეაში დაიწყო სხვადასხვა თანამდებობის აღსრულებით. მას არაერთგზის შეუხსრულებია თავისი მოქალაქეთა წარგზავნილი ელჩის მისია პროვინციის პროკონსულის წინაშე სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. თავის მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად და პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად პლუტარქე არაერთგზის სწევია რომს, სადაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა წარჩინებულ ოფიციალურ მა-



გისტრატებთან. პლუტარქესათვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, უკიდურესად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორ ტრაიანესთან მეგობრობას, რომელიც, ამ უკანასკნელის ინიციატივით დაიწყო და რამაც მის სამშობლოს კიდევაც მოუტანა გარკვეული შედეგები. მას იმპერატორმა მიანიჭა კონსულის საპატიო წოდება, ხოლო ილირიის მმართველებს უბრძანა, პლუტარქეს დაუკითხავად, მისგან რჩევა-დარიგების მიუღებლად არავითარი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე არ წამოეწყოთ.

კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია პლუტარქემ ტრაიანეს მომდევნო იმპერატორის ჰადრიანეს მოღვაწეობის პერიოდში, რომლის აღზრდას და პოლიტიკური კრედიტის ჩამოყალიბებას სწორედ პლუტარქეს მიაწერენ. სწორედ ჰადრიანემ უბოძა პლუტარქეს სრულიად საბერძნეთის საგამგებლოს პროკურატორობა.

როგორც ცნობილია, პლუტარქე თავისი სამშობლოს საბერძნეთის და ბუნებრივია, ბეოტიის, მშობლიური მხარის მგზნებარე პატრიოტი იყო. ეს იქედანაც ჩანს, რომ იგი რომის იმპერიაში თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას (წარჩინებულ, მმართველ წრეებში დიდ ნდობას და პირად სიმპათიებს, ამ გზით მიღებულ თანამდებობებს) ყოველთვის სამშობლოს კეთილდღეობისათვის იყენებდა. მისი რომის იმპერიაში სამსახური სწორედ დიდი პოლიტიკური აღლოთი იყო განპირობებული, რადგან აღნიშნულ პერიოდში ძალზე დიდი სხვაობა იყო რომის და საბერძნეთის სამხედრო შესაძლებლობებს შორის და სხვა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არ ჩანდა. პლუტარქეს პოლიტიკური სიბრძნე და სამშობლოსათვის უანგარო სამსახური ღირსეულად დააფასეს მისმა თანამემამულეებმა, —ათენმა იგი თავის საპატიო მოქალაქედ აირჩია, ხოლო თავის მშობლიურმა ქერონემ და დელფომ გარდაცვალების შემდეგ მას ძეგლი დაუდგეს. მისი რომანოფილობა, რომელიც დროის მძიმე ვითარებით იყო გამოწვეული და სამშობლოს ინტერესებისათვის გამოყენებულ, მისმა თანამემამულეებმა სწორად გაიგეს.

ისტორიაში იმის მრავალი მაგალითია, როცა დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკოსები თუ სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები დამპყრობი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარან მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ამ გზით (რადგან მოცემულ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ იყო) გარკვეული სამსახური გაეწიათ თავისი მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის. ბუნებრივია, ასეთი მოქმედება ქვეყნისათვის ძნელბედობის უამს, რომელიც ბევრ რისკთან იყო დაკავშირებული, შეეძლოთ მხოლოდ შორსმჭვრეტელ და გონიერ პოლიტიკოსებს. სწორედ ასეთ დიდ პოლიტიკოსთა კატეგორიას განეკუთვნებოდა პლუტარქე. რაც შეეხება მის პირად გრძნობებს, პატრიოტულ განწყობილებას, ისე, როგორც ეს ყველა დიდ ადამიანს ახასიათებს, სიცოცხლის ბოლო წლებში აშკარა გახდა: მას გაუჩნდა ნოსტალგია მშობლიური მხარისადმი და როცა პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოშორდა, დარჩენილი ცხოვრება ბოლომდე საყვარელ ქერონეში გაატარა. ძალზე ნიშანდობლივია მისი სიტყვები: „მე ამ პატარა ქალაქში დავიბადე — ჩემი აქედან წასვლა ისედაც პატარა ქალაქს ერთი კაცი კიდევ უფრო შეამცირებსო“. ბუნებრივია, ამის თქმა შეეძლო მხოლოდ თავის მამულზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს.

პლუტარქეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი დაემთხვა რომის იმპერიის დროებითი სტაბილიზაციის ე. წ. „ბედნიერი საუკუნის“ პერიოდს, როცა იქ შედარებით მყარი მდგომარეობა შეიქმნა, საგარეო პოლიტიკაც

•ღმავლობით მიდიოდა და შესაძლებელი გახდა მისი დაპყრობითი პოლიტიკის შემდგომი, ბოლო, მაგრამ მძაფრი გაგრძელება. აღნიშნულ პერიოდში ეს სახელმწიფო განსაკუთრებული სისასტიკით ჩაგრავდა დაპყრობილ ქვეყნებს, ფეხქვეშ თელავდა მათ პოლიტიკურ და სხვა უფლებებს. განსაკუთრებით უღმობლად ექცეოდნენ აღმოსავლეთის ბერძნებით დასახლებულ პროვინციებს. ბუნებრივია, დიდებული წარსულის მქონე ბერძნები ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ რომის იმპერიის მოხელეების განუკითხავ მბრძანებლობას. უდავოა ისიც, რომ პლუტარქეც ასევე მტკივნეულად აღიქვამდა რომაელთა ძალმომრეობას საბერძნეთის მიმართ, მაგრამ მას ისიც კარგად ესმოდა, რომ თავისი სახელოვანი სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი შენარჩუნება აღნიშნულ ეტაპზე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი სხვა გზით, ლოიალობით, შემარிგებლური, დათმობის პოლიტიკით ცდილობდა ურთიერთმისაღები, ბერძნებისათვის არადამამცირებელი გადაწყვეტილებების მიღწევას. პლუტარქე, რაკილა სხვა გზა არ ჩანდა, ბერძნებს მოუწოდებდა „სამშობლოს საკეთილდღეოდ რომაელებს დამორჩილებოდნენ, მაგრამ ისე, რომ თავი მეტისმეტად არ დაემცირებინათ“. რადგან საქვეყნოდ აღიარებულ მწერალს, მეცნიერსა და პოლიტიკოსს ასეთი მოწოდებით გამოსვლა დასჭირდა, ეტყობა იყო საამისოდ საფუძველი; რომის იმპერიის ძალმომრეობის წინააღმდეგ დაწყებული იყო მძლავრი, საყოველთაო მოძრაობა. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია მისი ინიციატივა შეეკავშირებინა რომის იმპერიის სამსახურში მყოფი ბერძნები, რომლებსაც სპეციალური რჩევა-დარიგებაც კი დაუწერა („რჩევა-დარიგება სახელმწიფო მოღვაწეთათვის“). მისი მთავარი შინაარსი ის იყო, რომ გულისყურით და გაგებით მოჰკიდებოდნენ საბერძნეთში რომიდან წარმოგზავნილ პროკონსულებსა და პროკურატორებს, არ დაპირისპირებოდნენ მათ. პლუტარქეს ღრმად სჯეროდა, რომ ეს ისევ საბერძნეთის ინტერესებისათვის იყო საჭირო.

ძლიერი, დამპყრობი და სუსტი, დაპყრობილი ქვეყნების პოლიტიკოსთა ურთიერთდაპირისპირებული, ზოგჯერ ფარული, ზოგჯერ აშკარა ბრძოლა ისევე ძველია და თავისებურად საინტერესო, როგორც თვით კაცობრიობის ისტორია. მასში გადახლართულია ძალმომრეობა და ვერაგობა, დადებული შეთანხმებების მუხანათური დარღვევისა და სხვა არაპოპულარული ხერხები და მეთოდები. ასეთ ვითარებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სუსტი, დაპყრობილი ქვეყნის დიპლომატიის მოქნილობას და შორსმჭვრეტელობას, მანევრირებისა და შექმნილი სიტუაციის გონივრული გამოყენების უნარს. ისე, როგორც შეუძლებელია წინ აღუდგე მთიდან დაძრულ ზეავს, ასევე შეუძლებელია სუსტი სახელმწიფო ძალის გამოყენების მეთოდით წინ აღუდგეს ამ თვალსაზრისით მასზე ათჯერ და მეტად მძლავრ სახელმწიფოს. ამ შემთხვევაში მას უდავოდ კატასტროფა ემუქრება. ასეთ დროს მთელი ძალით უნდა ამუშავდეს ქვეყნის დიპლომატიის ყველა მექანიზმი, ინტელექტუალური ფენომენები, რათა იპოვონ გამოსავალი. კომპრომისების საშუალებით გადაარჩინონ ქვეყანა დაღუპვისაგან, ხოლო აღამიანები მასობრივი გაყვებისაგან. ასეთი ინტელექტუალური დიპლომატია ყველა დროში და ქვეყანაში იყო. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა პლუტარქეც, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა გამოეყვანა თავისი ქვეყანა მძიმე განსაცდელიდან, სწორი, გონივრული მიმართულება მიეცა პატრიოტული ძალების ძალისხმევით.

პლუტარქეს პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად და ასაარსებელ მანინც საისტორიო პროზა იქცა. სწორედ ისტორიის როლი დაწინაურდა ელინისტური ეპოქის რომაულ პერიოდში, რომლის აღიარებული წარმომადგენელი, მწერალი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ბერძენი პლუტარქე იყო. ამას არც რომაელთა მმართველი ელიტა და არც ქვეყნის პირველხარისხოვანი ისტორიკოსები უარყოფდნენ.

ბერძენი ისტორიკოსები მოხერხებულად იყენებდნენ ამ უპირატესობას და აქებ-ადიდებდნენ თავიანთ, მართლაც, დიდებულ წარსულს, რათა რომაელებისათვის დემტკიცებინათ;—ისინი ღირსნი იყვნენ მეტი პატივისცემით მოპყრობისა, ვიდრე სხვა ბარბაროსი ხალხები.

აღსანიშნავია, რომ I და II ს-ის აღიარებულ ისტორიკოსებს ერთმანეთთან აახლოებდათ ბევრი საერთო პოზიცია. კერძოდ, ღრმა ინდივიდუალიზმი და რწმენა ძლიერი პიროვნებისადმი, რომელსაც შეეძლო საზოგადოება მტკიცედ წაეყვანა პროგრესისაკენ, დაეძლია საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობანი და ზნეობრივი დაცემა. ეს პრინციპი კარგად აისახა პლუტარქეს ისტორიული ხასიათის შრომაში „პარალელური ბიოგრაფიები“, რომელშიც თავის მხრივ, ასევე რელიგიურად გამოჩნდა მისი პოლიტიკური შეხედულებანი.

„პარალელური ანუ შედარებითი ბიოგრაფიები“ საისტორიო ხასიათის თხზულებაა, რომელმაც მის ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. მასში ძველი ბერძენი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების ცხოვრების გვერდით და პარალელურად აღწერილია მისი ტოლი რომაელი მოღვაწეების ბიოგრაფიები, ვაკეთებულა საჭირო დასკვნები, რასაც იგი, ასევე ტაქტიკური პოლიტიკური მოსაზრებით აკეთებდა.

გონივრული ტაქტიკური მოსაზრება უდევს საფუძვლად იმასაც, რომ ბერძენი და რომაელი პოლიტიკური მოღვაწეების შედარების დროს უპირატესობას რომაელს ანიჭებდა. იგი შეგნებულად ანგარიშს უწევდა გაბატონებულ ძალას. ამავე დროს, მათ გვერდით სახელოვან ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოყენებით რომაელებს უჩვენებდა, თუ რანი იყვნენ ელინები, ვისთან ჰქონდათ საქმე, რათა გაეჭარწყლებინათ დამპყრობთა ცრუ წარმოდგენა ბერძნებზე, რამეთუ თავდაცვის სხვა უკეთესი საშუალება აღნიშნულ პერიოდში მათ არ გააჩნდათ.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ პლუტარქე ისტორიას პოლიტიკისა და მორალის სამსახურში აყენებდა. იგი მიიჩნევდა, რომ ისტორიიდან გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრების აღწერა უნდა გამოვიყენოთ მომავალი თაობის ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდისათვის. ამიტომაც არის, რომ იგი ისტორიული გმირის დადებითი მხარეების წარმოჩენას მეტი გულსყურით ეკიდება და იმ მიზნით, რათა გვიჩვენოს მისი ხასიათი, დიდ ყურადღებას უთმობს ერთი შეხედვით წვრილმან ეპიზოდებს, ანეგდოტებს, მოსწრებულ სიტყვებს, ხოლო ზოგჯერ მთავარ მოვლენებს გვერდს უვლის. ამიტომ ამბობს: „...ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა, ან რაიმე მოსწრებული თქმა ხშირად უფრო ნათლად გვიმკლავნებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე სისხლისმღვრელი ბრძოლები, დიდი სამხედრო მოქმედებანი და ქალაქთა გარემოცვანი“¹. ამიტომ არის იგი მიჩნეული მორალისტად, ხოლო მის ნაწარმოებებს დიდაქტიკური ხასიათი

¹ პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები. I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ. თბ., 1957, გვ. XI.

აქვთ. იგი ცდილობს გაუფართოოს მკითხველს პოლიტიკური პიროვნების ინტორიული გმირის შეფასება პლუტარქეს აზრით, მის ხასიათს უნდა უხსყარებოდეს და არა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამიტომაც აძლევს ერთ-ერთ ბიოგრაფიაში მონათმფლობელთა კლასის წარმომადგენელი პლუტარქე მაღალ შეფასებას აჯანყებული მონების სახელგანთქმულ მეთაურს—სპარტაკს.

პლუტარქეს გმირები წარჩინებული ვაჟკაცებია, საოცრად ძლიერნი, მაგრამ კეთილშობილები და კაცთმოყვარენი. ისინი მხოლოდ ავაზაკებს ებრძვიან (როგორც თეზევსი, რომელიც იცავდა და ეხმარებოდა სხვებს. დაჩაგრულთა თხოვნას მუდამ ისმენდა და ეხმარებოდა) და ისევე სჯიდნენ ბოროტმოქმედებს, როგორც ძალადობასაც ხმარობდნენ ისინი სხვებზე და ამრიგად, თავიანთ უსამართლო საქციელის საზღაურად სამართლიან სასჯელს ღებულობდნენ. ჩანს, რომ იგი ამით სამართლიანობისაკენ და არა ძალადობისაკენ მოუწოდებდა რომაელ დამპყრობლებს.

პლუტარქე, როცა თეზევსს ახასიათებს, ხაზს უსვამს მის მთავარ ღირსებას—დემოკრატიულ ბუნებას, რაც მას საშუალებას აძლევდა მოსახლეობის ყველა ფენასთან—შეძლებულებთან და მდაბიობებთან გამოენახა საერთო ენა. შეძლებულებს თეზევსმა უმეფო სახელმწიფო წყობილება—დემოკრატია, რომელიც მას მხოლოდ და მხოლოდ საომარ საქმეთა არქონტად და კანონთა მცველად გამოიყენებდა. ყველა დანარჩენთ კი სრულ თავისუფლებას მიანიჭებდა. „ზოგიერთები მან ამაში დაარწმუნა, სხვებმა კი, რომელთაც ეშინოდათ მისი გამბედაობისა და უკვე ეგზომად გაზრდილი ძალისა, იძულების გზით დათანხმებას, საკუთარი ნებით დათმობა არჩიეს. მაშინ თეზევსმა გააუქმა ცალ-ცალკე არსებული პრიტანეონები, საბჭოები და თანამდებობანი, დაარსა ყველასათვის საერთო ერთი პრიტანეონი და ერთი საბჭო იქ, სადაც ახლა ქალაქია გამენებული, უწოდა პოლოსს სახელად ათენი და საზოგადო-პანათენური დღე-სასწაულიც დააწესა... ამის შემდეგ მან, მიცემული პირობის შესაბამისად, სამეფო ძალაუფლებაზე ხელი აიღო და ღმერთების შემწეობით სახელმწიფო წყობილების მოწესრიგებას შეუდგა“². პლუტარქე მიიჩნევს, რომ „თეზევსი პირველი დაეყრდნო ბრბოს და ხელი აიღო მონარქიაზე“, რასაც თავის დროზე აღნიშნავდა ჰომეროსიც თავის „ხომალდთა კატალოგში“ და იმეორებდა არისტოტელე.

ჩვენი აზრით, პლუტარქეს დიდი დამსახურება პოლიტიკური მეცნიერების წინაშე ისიც არის, რომ იგი ერთგვარ ზნეობრივ გაკვეთილებსაც აძლევს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს, ამავე დროს, ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს არა ყველა, არამედ მხოლოდ ისეთი ლიდერების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელთაგანაც ბევრი პოლიტიკოსისათვის ძალზე საჭირო ზნეობრივი გაკვეთილების მიღება შეიძლება, რაც ესოდენ იშვიათი და ამდენად, დიდად დასაფასებელია ქვეყნის მესვეურთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში. სწორედ მან მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ თანამედროვენი ლიკურგეში ხედავდნენ ბუნებრივი თვისებებით შემკულ ნამდვილ წინამძღოლს და კანონმდებელს, რომელსაც ხალხის გაყოლის უნარი შესწევდა. კიდევ მეტიც, იგი ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც ეძებდა პოლიტიკოსისათვის სა-

² პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.



ჭირო ნააზრევს. სწორედ მან აღმოაჩინა ჰომეროსის პოემაში პოეტის ურადლებების ღირსი ჰკუის სასწავლი და სახელმწიფო მოღვაწისათვის ვარგისი ამბები. ამიტომ მან ეს პოემები დიდი სიბეჯითით გადაიწერა და სამშობლოში წასადებად კრებულად ბეკრა³. ძალზე საგულისხმოა მწერალ პიპარქეს ძე—არისტოკრატე სპარტელის ცნობაც იმის შესახებ, რომ ასეთი სახელმწიფო მმართველისათვის საჭირო სიბრძნის მარგალიტების საძებნელად თითქოს ლიკურგემ იმოგზაურა ლიბიასა და იბერიაში და ინდოეთსაც მიადწია.

პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეებისათვის უდავოდ დიდ ზნეობრივ მავალითად მიგვაჩნია პლუტარქეს მიერ მოტანილი შემდეგი ფაქტი: „სპარტელი პედარეტე არ აირჩიეს სამასთა საბჭოში. იგი სახლში სახეგაბრწყინებული და გახარებული დაბრუნდა: საყვარელ ქალაქს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰყოლია“⁴. აქედან კარგად ჩანს, რომ იგი სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეში აფასებდა სახელმწიფოებრივ აზროვნებას, მისი ინტერესების წინ წამოწევას და არა პირადი ანგარიშებით და მოსაზრებებით აზროვნებასა და მოქმედებას.

ლიკურგეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შეფასებისას პლუტარქე გამოჰყოფს მის მიერ უხუცესთა საბჭოს დაწესებას, რომელიც, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, შეერია მეფეთა გადაჭარბებულ მმართველობას და ამით „დიდი ხსნა და ზომიერება“ მოუტანა ქვეყანას, ერთგვარ წონასწორობას ამყარებდა, დემოკრატიას უახლოვდებოდა და „შუა წერტილში დადგმული საპირწამლე“ იყო. იგი მეფის მხარეზე დგებოდა, როცა გადაჭარბებული დემოკრატიის დათრგუნვა იყო საჭირო, ხოლო როცა ტირანიის საფრთხე იქმნებოდა, ხალხს უერთდებოდა. ამრიგად, ლიკურგემ შეძლო ზომიერი სახელმწიფო წყობილების დამყარება.

სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობის, სახელდობრ, იგივე ლიკურგეს მოღვაწეობის შეფასებისას პლუტარქე ყურადღებას აქცევს ადამიანთა შორის უთანასწორობის აღმოფხვრის მცდელობას. ამ მიზნით მიწათსარგებლობის და ვაჭრობის, ფულის მიმოქცევისა და სხვა საკითხებს. ადამიანებს შორის ოქროს და ვერცხლის დაგროვებისადმი მისწრაფება რომ აღმოფხვრა, რკინის ფული შემოიღო, რომლის გადასატანად უღელი ხარის შებმა უხდებოდათ ურემში, რითაც მოსპო მრავალი სახის ბოროტება, დაუკარგა ხალისი ქრთამის აღების მოყვარულებს, ქურდებს და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბავშვთა აღზრდის სისტემას, რომელიც ისტორიაში ცნობილია სპარტანული აღზრდის სახელით და დღემდე მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს.

პლუტარქეს მოჰყავს ლიკურგეს გამონათქვამი სახელმწიფოს მმართველობის შესახებ. ერთი კაცი ლიკურგეს ურჩევდა, სპარტაში დემოკრატია დამყარეო. ლიკურგეს მისთვის უთქვამს: „ჯერ შენ სცადე, შენს ოჯახში დამყარო დემოკრატია“⁵. ლიკურგეს ეკუთვნის გამონათქვამი: „ქალაქზე არ

3 პლუტარქე. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

4 იქვე, გვ. 36.

5 პლუტარქე. დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ითქმის კედლები არა აქვსო, თუ მას აგურის ნაცვლად ვაყენებო, ვარსა? 6.

როგორც ზემოთ ითქვა, სპარტაში ახალგაზრდობის აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. იგი სახელმწიფო პოლიტიკამდე იყო აყვანილი. ეს პროცესი სრულწლოვანებამდე გრძელდებოდა, თუმცა არც ამის შემდეგ ჰქონდა უფლება ვინმეს ეცხოვრა ისე, როგორც მოისურვებდა. სპარტელები ქალაქში ცხოვრობდნენ ისე, როგორც სამხედრო ბანაკში; ემორჩილებოდნენ განსაზღვრული ცხოვრების წესებს, თვლიდნენ, რომ ისინი ეკუთვნოდნენ არა საკუთარ თავს, არამედ სახელმწიფოს და დღენიდაც მის სასარგებლოდ ირჩებოდნენ.

უხუცესთა საბჭო დიდ როლს ასრულებდა სპარტელთა ცხოვრებაში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ საბჭოს წევრთა შერჩევას. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ყველაზე უფრო გონიერნი და კეთილშობილები, აღიარებული პიროვნებები „არა მკვირცხლი და ძლიერნი, არამედ კარგთა და გონიერთა შორის უკეთესნი და უბრძნესნი“, რადგან მათ ენიჭებოდათ ძალა სახელმწიფოსი, მოქალაქეთა სიკვდილისა და პატივის აყრის უფლება, უმაღლესი მბრძანებლობის ნება. იქ ცხოვრების წესად იქცა—კარგი საქმისათვის აქებდნენ, ცუდისათვის ჰკიცხავდნენ და ამის თვალსაჩინო მაგალითები ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალნათლივ ჩანდა. ამიტომ იზღუდებოდა აქაურ მოქალაქეთა სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გამგზავრება, რათა იქედან არ ჩამოეტანათ უფარგისი ჩვევები და არ მიეხადათ სხვათა უწესო ცხოვრებისა და სახელმწიფო წყობილებისათვის. კიდევ მეტიც, ისინი თავიანთი ქვეყნიდან აძევებდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც „უსარგებლოდ“ იყვნენ ჩამოსული სპარტაში.

არ უნდა მოგვეჩვენოს ძალზე მკაცრად პლუტარქეს მიერ ლიკურგეს სიკვდილის სცენის აღწერა: ის ხომ დელფოს სამისნოში ღმერთთან შესახვედრად წავიდა, რათა შეჰკითხვოდა მას—კარგი და საკმაო თუა ჩემი კანონები სპარტის ბედნიერებისა და სიკეთისათვისო? და რაკი ღმერთმა უპასუხა, მისი კანონები კარგი კანონებია, რომ ლიკურგეს სახელმწიფო წყობილების წყალობით სპარტა ყველაზე სახელოვანი ქალაქი გახდებო, ეს წინასწარმეტყველება მან წერილობით აუწყა სპარტელებს, ხოლო მან სპარტის მოქალაქეები დადებული ფიცისაგან რომ არ გაეთავისუფლებინა, რომლებმაც შეჰფიცეს, მის დაბრუნებამდე არ შეცვლიდნენ ლიკურგეს კანონებს (რაც მისი აზრით ბედნიერებას მოუტანდა მათ) თავი მოიკლა შიმშილით. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფო მოღვაწის სიკვდილიც კი არ უნდა იყოს უსარგებლო თანამოქალაქეებისათვის, რომ მისი სიცოცხლის დასასრულიც კი მიზნობრივი უნდა იყოს. სიკვდილი, ლიკურგეს აზრით, ბრწყინვალე საქმეთა შესრულების შემდეგ, დიდი ბედნიერება იყო. იგი არ შემცდარა. მისი სიკვდილის შემდეგ ხუთასი წლის მანძილზე სპარტა სარგებლობდა მისი კანონებითა და მან, მართლაც, მოიპოვა პირველობა საბერძნეთის ქალაქთა შორის ჩინებული წესრიგისა და სახელის წყალობით. სანამ ლიკურგეს კა-



ნონები ძალაში იყო, „სპარტის სახელმწიფო წყობილება“ და გონებით სავსე კაცის ცხოვრებას ჰგავდა“⁷.

ანტიკური ხანის დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის—სოლონის (დაახლოებით 640—659 წწ ჩვ. წ-მდე) საკანონმდებლო საქმიანობის გასაცნობად ჩვენ სამი ძირითადი წყარო მოგვეპოვება. ესენია: 1. პლუტარქეს მიერ დაწერილი ბიოგრაფია; 2. არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ („ათენელთა პოლიტიკა“)⁸ და 3. სვიდას (ახ. წ-ით X ს.) ლექსიკონი სიტყვის ქვეშ. სწორედ არისტოტელეს და პლუტარქეს ცნობები გვიქმნის ნათელ წარმოდგენას სოლონის სახელმწიფოებრივ და საკანონმდებლო მოღვაწეობაზე, ხოლო აღნიშნულ ავტორთა შეფასებანი და კომენტარები საშუალებას გვაძლევს შეგვექმნას წარმოდგენა თვით ამ ავტორთა პოლიტიკურ შეხედულებებზე და პრაქტიკულ მოღვაწეობაზე.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება სოლონის და სკვითი დიდგვაროვანის ანაქარსისის⁹ კამათი საერთოდ, წერილობითი სახელმწიფო კანონების შემოღების თაობაზე. როგორც ცნობილია, სოლონი მოქალაქეთა უსამართლობისა და სიხარბის დათრგუნვის მიღწევას წერილობითი კანონების შემოღებით ცდილობდა და საკმაო წარმატებასაც აღწევდა. ანაქარსისის აზრით, კანონები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ობობას ქსელისაგან, რადგან ისინი, ობობას მსგავსად, მხოლოდ სუსტებისა და წვრილფეხა დამნაშავეების შეპყრობასა და დათრგუნვას ახერხებდნენ, ძლიერნი და მდიდრები კი როცა მოსურვებდნენ, სულ ადვილად არღვევდნენ და ძალას უკარგავდნენ მათ.

ანაქარსისის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ სოლონი უთქვამს, რომ აღამიანები თავად იცავენ იმ შეთანხმებებს, რომელთა დარღვევა არც ერთი მხარისათვის არ არის ხელსაყრელი და რომ მან ისე შეხმატკბილებლად შეადგინა კანონები მოქალაქეებისათვის, რომ ყველას ცხადად უჩვენა, თუ რაოდენ სჯობს კანონთა დარღვევას სამართლიანი მოქმედება. მიუხედავად ამისა, დასძენს პლუტარქე, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ანაქარსისი ვარაუდობდა. ამ კომენტარიდან ჩანს, რომ იგი კანონის საერთო შეფასებაში იზიარებდა ანაქარსისის შეხედულებას.

პლუტარქე საგანგებოდ უსვამს ხაზს ერთ საგულისხმო შემთხვევას: ერთხელ ანაქარსისი ათენში სახალხო კრებას დასწრებია და შემდეგ გაკვირვებით უთქვამს: „ბერძენებში ჰკვიანი ხალხი სიტყვას ამბობს, უსწავლელნი კი საქმეს წყვეტენო“. ფაქტობრივად ამით მან თქვა:—დიდ საქმეს ჰკვიანი ხალხი უნდა გეგმავდეს („სიტყვას ამბობდნენ“) და მას, ასევე, ჰკვიანი ხალხი უნდა წყვეტდნენ, პრაქტიკულად ასრულებდნენო. თანამედროვე გაგებით ეს სხვა არა არის რა, თუ არა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა.

პლუტარქე თვლის, რომ პოლიტიკურ მოღვაწეში „ყოველგვარ ქონებაზე უფრო დიდი და ტკბილი სიკეთე—ზნეობრივი სრულყოფილებაა“, ხოლო უსაზღვრო მწუხარებისა და შიშის მიზეზი სისუსტე არის, რაც იმ აღამიანებს

⁷ პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39;

⁸ არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო პოლიტიკა, თარგ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ქუთაისი, 1936.

⁹ იგი საბერძნეთში მოგზაურობის დროს გაეცნო სოლონს, შეისწავლა ფილოსოფია და ისე გააკვირვა ბერძნები თავისი ჰკვიით, რომ ზოგიერთმა იგი შეიდ ბრძენ ბერძენთა შორისაც კი ჩარიცხა.

ემართებათ, რომლებიც „გონებით არ არიან გაწაფულები ბელს მებრძოლნი“¹⁰.

პლუტარქე, როცა ახასიათებს ათენში სოლონის ხელისუფლებაში მოწვევის წინა პერიოდის პოლიტიკურ მდგომარეობას—ქაოსს, მთელი საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად უკიდურეს გამიჯვნას, მკრეხელობას, ურთიერთდაპირისპირებას, გაუთავებელ მღელვარებებს, როცა „ქალაქი იმდენ პარტიად დანაწილდა, რამდენიც იყო მდებარეობით განსხვავებული ადგილი ქვეყანაში: დიაკრიები (მთიელთა პარტია) უკიდურესი დემოკრატების მიმდევრები იყვნენ; პედიაკები (ვაკის მცხოვრებთა პარტია) უკიდურესი ოლიგარქიისა; მესამენი კი პარალიები (ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა პარტია) ყველაფერს ამჯობინებდნენ სახელმწიფო წყობილების რაღაც საშუალო, ნარევ სახეს, მეტისმეტად ჯიუტობდნენ და პირველ ორ პარტიას გამარჯვების საშუალებას არ აძლევდნენ“¹⁰. ასეთ დროს ათენელთა შორის ყველაზე გონიერმა ადამიანებმა სთხოვეს სოლონს, „ერთადერთ უმწიკვლო კაცს“ ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი საქმისათვის და მოესპო უთანხმოება ქვეყანაში. მან, თუმცა დიდი ყოყმანის შემდეგ, დიდი სიფრთხილით ხელი მოჰკიდა სახელმწიფოს მართვას. იგი აირჩიეს არქონტად, მომრიგებელ მოსამართლედ და კანონმდებლად. ხოლო მასზედ თუ რაოდენ დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა მან თავისი ზომიერებით, მაგრამ მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით თანამედროვეთა შორის, ლაპარაკობს ის, რომ იგი ცნობილ შვიდ ბერძენ ბრძენს შორის მოიხსენება¹¹. ასევე, უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსები პლატონი და არისტოტელე მას ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის მოიხსენიებდნენ.

არქონტად არჩევამდე სოლონს უთქვამს: „თანასწორობა ომს არ წარმოშობს“, რაც სწრაფად გავრცელდა ზალხში და, მართლაც, მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა თანასწორობა მოქალაქეთა შორის და გაკვეულწილად აღწევდა კიდევაც ამას. პლუტარქე განსაკუთრებით აფასებდა მის ამ თვისებას. მართლაც, ძველ საბერძნეთში იშვიათად ყოფილა სხვა სახელმწიფო მოღვაწე, რომლის პოლიტიკა ერთნაირად მოსწონებოდა მდიდრებსაც და ღარიბებსაც. მან საკვანძო თანამდებობებზე მდიდრებს შეუნარჩუნა პრივილეგიები, ხოლო დაბალი ფენების წარმომადგენლებს უფლება მისცა ფართო მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში, რაც მათ აღრე არ გააჩნდათ. ამ ხერხით მან შეძლო ორთავე ფენის გულის მოგება და მხარდაჭერა. ქვეყნის მართვის დროს მისი პრინციპი იყო „ხომალდის შუა ნაწილში ჯდომა და მესაჭის საქმის კეთება“, რითაც ათენის მოქალაქეთა დიდი მხარდაჭერა მოიპოვა.

მონარქიას ტირანიის სახელწოდების გამო სოლონი აღმაცერად უტყეობდა, რისთვისაც მეგობრების საყვედურებიც კი დაიმსახურა. ამან, რო-

¹⁰ პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49;

¹¹ აქ იგულისხმება მილეტელი ფილოსოფოსი თალესი, კარიელი ბიასი, სოლონი. მიტილენელი პიტაქე, ლინდოსელი კლეობულე, კორინთოს ტირანი პერიანდრე და სპარტელი ქილონი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორც პლუტარქე აღნიშნავს, ვერ გადაახვევინა სოლონს შინაგარეული საქმეები. მას უთქვამს „ტირანია კარგი ადგილია, მაგრამ გამოსასვლელი არა აქვსო“¹².

თუმცა ტირანიაზე უარი თქვა, სოლონს არც მეტისმეტი ლობიობა გამოუჩენია. კანონთა გამოცემის დროს მან არც „ძლიერთა ამა ქვეყნისთა“ დაუთმო რაიმე და არც მის არქონტად ამომრჩევლებს. „საუკეთესო მმართველი იგი მაინც იმით იყო, რომ სახელმწიფოს ჯანსაღ ადგილზე მკურნალობა არ ჩაუტარებია და აქ ახალი არარა შემოუღია. მას ეშინოდა, არ აერდაერია ყველაფერი და ქალაქში მღელვარება არ გამოეწვია; იგი მეტრეველარ შეძლებდა წესრიგის აღდგენას და საქმეთა ისეთ შეზავებას, რომ საუკეთესო მართველობა დაემყარებინა. მაგრამ იქ, სადაც იმედოვნებდა რომ ათენელებს სიტყვით დააჯერებდა ან იძულებით დაიმორჩილებდა, სოლონი ისე მოიქცა, როგორც თვითონ ამბობს: „ძალაუფლებას სამართალი შევუხმატებო“¹³.


ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფრაზაში არის ჩაქსოვილი და წარმოჩენილი სოლონის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მთავარი ღირსება და დამსახურება. ლიკურგესაგან განსხვავებით, რომელიც დარწმუნების საშუალებაზე უფრო მეტად ძალას იყენებდა, სოლონი თავის მოქმედებაში უფრო მეტად საკუთარ რწმენას და მისადმი მოქალაქეთა ნდობას ეყრდნობოდა. მართლაც, ათენელები ჩქარა მიხვდნენ, რომ სოლონის კანონები სასარგებლო იყო და მის წინააღმდეგ ბუზღუნს თავი დაანებეს, თავიანთ კანონმდებლად აღიარეს და ყველაფერი უკლებლივ მიანდეს: მაღალი თანამდებობანი, სახალხო კრებები, სასამართლო და საბჭოები, უწყებათა რწმუნებები და ა. შ.

პლუტარქე სოლონის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად სრულიად სამართლიანად მიიჩნევს მის მიერ დრაკონის სისხლიანი კანონების გაუქმებას, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. თითქმის ყველა დანაშაულისათვის მხოლოდ ერთი სასჯელი,—სიკვდილი იყო განსაზღვრული; ზარმაცობაში მხილებულნიც კი სიკვდილით ისჯებოდნენ და ხლის ქურდებიც მკრეხელთა და კაცის მკვლელთა თანაბარ სასჯელს ღებულობდნენ. ათენელმა ორატორმა დემადემ ასე შეაფასა ეს ფაქტი: დრაკონმა თავისი კანონები მეტონით კი არა, სისხლით დაწერაო. ათენის არქონტმა დრაკონმა თავისი გახმაურებული კანონები გამოსცა ძვ. წელთაღრიცხვით 621 წელს. როცა მას ჰკითხეს, ყოველგვარი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა რატომ დააწესეო, უბასუხა: მცირე დანაშაულობანი, ჩემი აზრით, ამის ღირსნი არიან, მსხვილი დანაშაულისათვის კი უფრო დიდი სასჯელი ვერ მოვიგონეო.

სოლონი ყოველმხრივ ცდილობდა სახელმწიფოს მართვის სტრუქტურის შექმნას და გაუმჯობესებას. მან იმ პირთაგან, რომლებიც ერთი წლის მანძილზე არქონტებად იყვნენ არჩეულები, შეადგინა არეობაგის საბჭო და თვითონაც, როგორც ყოფილი არქონტი, ამ საბჭოს წევრი გახდა. უფრო მოგვიანებით მან თითოეული ფილედან—ასეთი კი ათენში ოთხი იყო—ას-ასი კაცი აარჩია და მეორე საბჭოც დააარსა. მას ევალებოდა საქმეების წინასწარ გარჩევა, სანამდე საკითხს საბოლოოდ გადასაწყვეტად სახალხო კრებას გადაუგზავნიდა. „უმადლესი საბჭო, არეობაგი, სოლონმა სახელმწიფო საქმეთა ზედამხედველად და კანონთა დამცველად დააწესა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ ორ

¹² პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

¹³ იქვე.



საბჭოზე, როგორც ორ ღუზაზე დამყარებული ქალაქი ნაკლებ მღვწივს, ვიდრე იქნებოდა და ხალხიც დამწვიდდებოდა“¹⁴.

ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ ძალზე საგულისხმო არის სოლონის მიერ მიღებული კანონი, რომელიც პატივს ჰყრის იმ მოქალაქეს, შინაური მღვწვარების დროს არც ერთ მებრძოლ მხარეს რომ არ ემხრობოდა. იგი თვლიდა, რომ არავინ არ უნდა ყოფილიყო გულგრილი საერთო საქმისადმი საკუთარი თავისა და პირადი ქონების გარანტირებული უშიშროებისა და ხელშეუხებლობის მოტივით ყოველი მოქალაქე შფოთის ატყდომისთანავე უნდა დამდგარიყო სამართლიანი საქმისათვის მებრძოლთა მხარეზე და თანაბრად გაენაწილებინათ განსაცდელიც. აღნიშნული კანონი აიძულებდა თითოეულ ათენელ მოქალაქეს მუდამ ფხიზლად ყოფილიყვნენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი და არ დაეშვათ ამ მხრივ მოდუნება.

საერთო აღიარება და მოწონება მოიპოვა სოლონის იმ კანონმაც, რომელიც კრძალავდა მიცვალებულის აუგად ხსენებას. იმ ქვეყნად წასულს არ ჰკიცხავდნენ. ეს დიდ ცოდვად ითვლებოდა და ღვთის საწინააღმდეგო საქმედ იყო მიჩნეული. კანონი მოითხოვდა ხალხთა შორის მარადიული მტრობის აღმოფხვრას, რაც სახელმწიფოს კეთილდღეობის წინაპირობად იყო აღიარებული. ასევე, აიკრძალა ცოცხალ ადამიანთა ლანძღვა და ცილისწამება ტაძრებში, სასამართლოებში, საგამგებლო შენობებში და შეჯიბრებათა სანახაობებზე. ამ კანონის დარღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 5 დრაქმა, აქედან 3 დრაქმა დაზარალებულს უნდა გადასცემოდა, ხოლო 2 სახელმწიფო ხაზინას. სოლონი თვლიდა, რომ „კანონი ადამიანის შესაძლებლობასთან შეფარდებით უნდა დაიწეროს, თუ კი ამ კანონს სურს, სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ მცირენი დასაჯოს ხოლმე, იმის ნაცვლად, რომ მრავალი დასაჯოს სრულიად უსარგებლოდ“¹⁵.

სოლონმა გამოსცა კანონი ანდერძის დატოვების საკითხებზე (მანამდე ათენელ მოქალაქეებს ანდერძის დატოვების უფლება არ ჰქონდათ). ამავე დროს, ანდერძის დამტოვებელი არ უნდა ყოფილიყო „ავადმყოფობის ან რაიმე სასმელის გავლენის ქვეშ და ასევე არ უნდა ყოფილიყო იგი შეცდუნებული იძულების გზით, ან ქალის ალერსის მეშვეობით“¹⁶. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონის პრინციპები შემდგომში საფუძვლად დაედო პოლიტიკური ანდერძის დადების წესებს რიგ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც) სახელმწიფოს მეთაურთა მხრიდან.

სოლონის საკანონმდებლო და პრაქტიკული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომელსაც ყოველმხრივ განიხილავს პლუტარქე, მიმართული იყო ქვეყანაში სანიმუშო წესრიგის დამყარებისაკენ და მან, მართლაც, შეძლო ფრთა შეეკვეცა ყოველგვარი უწესრიგობისა და თავაშვებულობისათვის.

პლუტარქე შემთხვევით არ ჩერდება უფრო დაწვრილებით სოლონის მრავალმხრივ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე. მას იგი მიანიჩნია, როგორც მოქალაქის და სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწის ნიმუშად, რომლისგანაც უნდა სწავლობდნენ მომავალი თაობები. იგი ზომიერად ზრუნავდა ათენის ყველა მოქალაქის, ყველა ფენის კეთილდღეობაზე.

14 პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 52-53.
 15 იქვე, გვ. 64;
 16 იქვე.



რაც მთავარია, ათენელთა დიდი უმრავლესობა მისი მოღვაწეობის კმაყოფილი იყო. მისგან სწავლობდნენ და მას ჰბაძვდნენ ათენის და არა მარტო ათენის პოლიტიკური მოღვაწეები. თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდება, ყველანი როდი იყვნენ მისი მოღვაწეობით კმაყოფილი. ამის შესახებ თავად სოლონი ამბობდა: „ყველას აამო დიდ საქმეში ძნელია მეტად“.

აშკარად ჩანს, რომ პლუტარქეს სიმპათია ყოველთვის იმ სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწის და სარდლის მხარეზეა, რომელიც ადამიანური, ზნეობრივი თვისებებით გამოირჩეოდა. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება რომაელი ლუკულუსი, რომლის სრული სახელი იყო ლუციუს ლიციინუს ლუკულუსი (106—56 ძვ. წ-ით). პლუტარქე წერს: „რაც შეეხება ლუკულუსს, მას აფასებდნენ და პატივს სცემდნენ არა მარტო ის ხალხები, რომელთაც მან კეთილი საქმე უყო, არამედ სხვა საგამგებლო ეპარქიებისათვისაც სანუკვარი კაცი იყო იგი. ამ ეპარქიათა მოსახლეობა ბედნიერად თვლიდა იმათ, რომელთაც ასეთი წინამძღოლის ყოლა ერგოთ წილად“¹⁷. შემდგომში პლუტარქე კვლავ უბრუნდება ამ თემას: „ლუკულუსმა, რომელმაც აზიაში დიდი კანონიერება და მტკიცე მშვიდობა დაამყარა... აზიის მადლიერმა ქალაქებმა, თავის მხრივ, მის პატივსაცემად „ლუკულუსის დღეობა“ დააწესეს და რომელი სარდალი პატივისცემაზე უფრო მეტად სასიამოვნო გულწრფელი სიყვარულით დააჯილდოვეს“¹⁸.

რა თქმა უნდა, პლუტარქეს შეფასება გადაჭარბებულად გვეჩვენება, თუმცა მას ასეთი დასკვნისათვის, ალბათ ჰქონდა საფუძველი. ისტორიაში იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ დაპყრობილ ხალხებს დამპყრობლის დაბადების დღეობები გაემართოს და ასეთი საერთო „გულწრფელი სიყვარულით“ აღენიშნათ იგი, მაგრამ ფაქტია, სიმართლის ელემენტები მასში არის.

პლუტარქეს შრომაში არის ერთი დეტალი, რამაც განსაკუთრებულ როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაშიც და ათასი ჯურის მომხდურთაგან ქართველი ხალხის დაცვასა და გადარჩენაში. ეს მით უფრო საინტერესოა, როცა უცხოელი ამ შემთხვევაში ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ლაპარაკობს რომელი სარდლის ლუკულუსის პირით, როცა იგი პონტის მეფის მითრიდატეს დევნის დროს კამათობს თავის ოპონენტებთან: „განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის (იგულისხმება მითრიდატე—**ო. უ.**) ზურგში გადაშლილი უზარმაზარი უდაბნო? იქვე ახლოს არის კავკასიონი, მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ ბრძოლის ამრიდებელთა ათასობით მეფე?“¹⁹.

პლუტარქეს აზრით, ლუკულუსი მთელ თავის დანარჩენ საქმეებშიც რომლებიც ლაშქრობებთან არ იყო დაკავშირებული „იმ კაცის ღირსებებისათვის შესაფერის წარმატებებს აღწევდა, რომლის სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის ქებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე თმში მოპოვებული გამარჯვებებისათვის შესხმულ ზოტბას. ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებაში საქმოდ დიდი წილი ედო მხედრობას და კიდევ უფრო მეტი „ბედს სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა კი ლუკულუსის სულის სინაზისა და ზრდილობის მაუწყებელი იყო. იგი სწორედ ამის წყალობით, იარაღის ხმარების გარეშე, ახერხებდა ბარბაროსთა მოთინიერებას. არაბთა მეფეები თავი

¹⁷ პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

¹⁸ იქვე, გვ. 79.

¹⁹ იქვე.

სი ნებით გამოცხადდნენ მის წინაშე და მას მთელი თავიანთი ქონება გადასცეს. ასევე მოვიდნენ მასთან სოფენეს მკვიდრნი. გორდინეს მოსახლეობა კრისე მიენდო ლუკულუსს, რომ ყველანი მზად იყვნენ საკუთარი ქალაქები მიუტოვებინათ და მას გაჰყოლოდნენ უკან. ამის მიზეზი ისევ და ისევ მისი სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა იყო²⁰, რაც, მართლაც, იშვიათი და ძალზე დასაფასებელი თვისება იყო პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის.

ამავე დროს ლუკულუსს, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ისტორიაში, თავისი დიდი პოპულარობის გამო გამოუჩნდნენ მოშურნენი და მოწინააღმდეგენიც, როგორც რომში, ასევე საკუთრივ მასზე დაქვემდებარებულ მხედრობას შორის. ეს შურით და ღვარძლით აღსავსე დემაგოგები, იფიწყებდნენ რა ლუკულუსის ტრიუმფალურ გამარჯვებებს, მას ბრალად სდებდნენ, თითქოს იგი სარდლის რწმუნების გახანგრძლივების და ანგარების მიზნით განგებ აგრძელებდა ომს. ლუკულუსს მისთვის ესოდენ დამამცირებელი ხეწვნა-მუდარაც კი უხდებოდა ჯარისკაცებთან, თითოეულ მათგანთან ცალ-ცალკე, რათა გამოეჩინათ სულგრძელობა და მოთმინება მანამდე, სანამ მტერს საბოლოოდ არ დაამარცხებდნენ, მაგრამ ისინი მაინც ვერ დააჯერა. ეს მოხდა სომხეთში ტიგრანთან და პონტონში მითრიდატესთან ძლევამოსილი ბრძოლების ბოლო ეტაპზე. სწორედ აქედან იწყება ლუკულუსის ცხოვრების მეორე ეტაპი — გულგატეხილობისა და დაღმავლობის ხანა. პლუტარქეს განმარტებით „საკუთარი ბედის ცვლილებაში საკმაოდ დიდი ბრალი თვითონ ლუკულუსს მიუძღოდა“, რადგან ჯარისკაცთა ბრბოს წინაშე პირფერობა მას არ შეეძლო და ხელქვეითების საამებლად გაწეულ ყოველ მოქმედებას ხელისუფლების შეურაცხყოფად და დაკნინებად მიიჩნევდა.

სულ სხვაგვარად ფიქრობდა სენატი, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა სახელმწიფოსა და ძლიერი გავლენის მქონე ლუკულუსზე და მასში პომპეუსის ტირანიის მოწინააღმდეგეს და წარჩინებულთა ფენისათვის ერთგულ მებრძოლს ხედავდა. მიუხედავად ამისა, ლუკულუსი ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში სახელმწიფო მოღვაწეობას სრულიად ჩამოშორდა. შეიძლება მან ეს იმიტომ გააკეთა, რომ მიიჩნევდა, მაშინდელი რომის იმპერია განუკურნებელი სენით იყო დაავადებული, ან მობეზრდა დიდება, მით უფრო, ამდენი უიღბლოდ დამთავრებული ბრძოლებისა და ჯაფის შემდეგ უზრუნველი, ფუფუნებით ცხოვრება მოენატრა. იქნებ მან გაითვალისწინა რომის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მარიუსის, სციპიონის (მის მეგობარ ციცერონსაც ხომ იგივე ბედი ერგო) ბრწყინვალე კარიერის ტრაგიკული ბოლო, რომლებმაც სოლიდურ ასაკშიც არ დაანებეს თავი ახალგაზრდობასთან პოლიტიკურ ბრძოლას, რითაც, ნაცვლად იმისა, რომ დამსახურებულად დაესვენა და საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი ყოფილიყვნენ, ტრაგიკულად დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე. ამ მხრივ საგულისხმოა პლუტარქეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ „პოლიტიკურ მოღვაწეობასაც აქვს თავისი დრო და საზღვარი. როგორც ათლეტთა ბრძოლაში, ისე პოლიტიკურ კვიდილშიც იგრძნობა ხოლმე ძალისა და ახალგაზრდული გატაცების შესუსტება“²¹ (საინტერესოა, რომ თავად პლუტარქე სწორედ ასე მოიქცა). როგორც ჩანს, ლუკულუსი სწორედ ამ მოსაზრებით, ან იქნებ სხვა მიზეზითაც

²⁰ პ ლ უ ტ ა რ ქ ე. დასახ. ნაშრომი. გვ. 85.

²¹ იქვე, გვ. 92.



თვლიდა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობას მთლიანად უნდა ჩამოშორებოდა. მისი წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან თავისი ასაკისათვის იმდენად ნაადრევი და მოულოდნელი იყო, რომ მას ამის გამო კრასუსი და პომპეუსი თავიანთ მომხრეებთან ერთად კიდევაც დასცინოდნენ:—ამ ასაკის კაცს ნებივრობაში ყოფნა კი არა, სახელმწიფო მოღვაწეობა და სარდლობა შეჰფერისო!

პლუტარქეს ზნეობრივი პოლიტიკური პოზიცია კარგად ჩანს თავისი „პარალელური ბიოგრაფიის“ მთავარი გმირების დახასიათებისას. ასე მაგალითად, იგი აშკარად ქებით მოიხსენიებს იმ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და სარდლებს, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობის დროს ყოველგვარ სიტუაციაში იცავდნენ ზნეობრივ ნორმებს და ასევე დაუნდობლად ჰკიცხავს იმათ, ვინც არაადამიანურ, კაცთმოძულე პოლიტიკას ატარებდა, რითაც ხაზგასმით ადასტურებს იმას, რომ სწორედ ზნეობრივი სახელმწიფო პოლიტიკის მხარეზე დგას. მან თავის აშკარა ფავორიტს,—პომპეუს დიდსაც არ აპატია იქნებ უნებლიე უზნეო პოლიტიკის გამოვლენაც კი, თუმცა იგი ამ მხრივ ცნობილი იყო, როგორც დიდად თავშეკავებული და ფრთხილი პოლიტიკოსი. ეს მაშინაც გამოჩნდა, როცა სულამ თავისი მტრობა და გულისწყრომა პომპეუსის მიმართ ყველაზე მკვეთრად გამოამჟღავნა მისი ხელით დაწერილ ანდერძში. მან თითქმის ყველა თავის მეგობარს საჩუქარი დაუტოვა და ზოგიერთი მათგანი შევიღის მეურვედაც კი დანიშნა, პომპეუსს კი სრულიად აუარა გვერდი. პომპეუსმა ეს ამბავი ფრიად აღუღვებლად, პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი სიმშვიდით გადაიტანა. კიდევ მეტიც, როცა რომის იმპერიის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე წინ აღუდგა სულას ცხედრის მარსის ველზე და საერთოდ, საზეიმოდ დაკრძალვას, პომპეუსმა თავი გამოიღო და ისე მოაგვარა საქმე, სულას გვამი ყოველგვარ შეურაცხყოფას აარიდა და იმ დროისათვის შესაფერისი დიდი პატივისცემით მიაბარა მიწას.

ძალზე საგულისხმოა პლუტარქეს ცნობები საქართველოს შესახებ. როცა ეხება კავკასიის ხალხთა ბრძოლას რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ, იგი წერს: „იბერნი რიცხვით აღბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გულადობით სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ... იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე, მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცილნეს თავიდან იმის გამო, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა პარკანიიდან“²².

პლუტარქე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პომპეუსის ძლიერების ხმა საქმამოდ დიდი იყო, მაგრამ ამაზე ნაკლები როდი იყო მისი სათნოებისა და კეთილმოწყალების სახელი. აი, სწორედ ეს სათნოება და კეთილმოწყალება იყო იმის მიზეზი, რომ პომპეუსი თავის მეგობართა და მახლობელთა შეცოდებებს ფარავდა... მასთან მომსვლელ ხალხს იგი ისე ექცეოდა ხოლმე, რომ ეს ხალხი იძულებული იყო, სიმშვიდით მოეთმინა მის მეგობართა ვერცხლისმოყვარეობა და უხეშობა“²³.

როგორც ვხედავთ, პლუტარქე აქაც, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, ყოველგვარი ქარაგმების გარეშე, პომპეუსს დიდს აქებს „სათნოების

²² პლუტარქე. გვ. 112.
²³ იქვე, გვ. 112;

და კეთილგანწყობისათვის“ და „ჰიციხავს „ვერცხლისმოყვარული“ და უხეში მეგობრების მფარველობისათვის. აქაც კარგად ჩანს მისი, როგორც ზნეობრივი პოლიტიკოსის პოზიცია.

პომპეუსის დაჯგუფებამ ხალხის სიმპათია და სიყვარულიც კი მოიპოვა, როცა კატონის წინადადებით სენატის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ მოეკლათ არც ერთი რომაელი ბრძოლის ველის გარეშე და არ გაეძარცვათ რომაელთა მორჩილებაში მყოფი არც ერთი ქალაქი, ისინიც კი, რომელთაც ომთან არავითარი საქმე არ ჰქონდათ ან იმიტომ, რომ მეტად შორს ცხოვრობდნენ, ანდა იმიტომ, რომ უძლურებისა გამო მათ ყურადღებას არ აქცევდნენ, თავიანთ სურვილებს პომპეუსის მომხრეთა სურვილებს უერთებდნენ და ღმერთთა და ადამიანთა მტრად თვლიდნენ იმას, ვისაც პომპეუსის გამარჯვება სიამოვნებას არ მოჰგვრიდა²⁴.

პლუტარქე ყურადღებას ამახვილებს პომპეუსის ერთ თვისებაზე: იგი ხშირად აქებდა იმ ექიმებს, რომლებიც არასოდეს არ ასრულებდნენ ავადმყოფთა ისეთ სურვილებს, საბოლოოდ მათ რომ ვნებას მოუტანდა. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ მის პოლიტიკურ მრწამსზე და ნებისყოფაზეა საუბარი.

პლუტარქე სასტიკად გმობს ერის ორად გაყოფას და ურთიერთდაპირისპირებას. იგი იმოწმებს რამდენიმე კეთილშობილი რომაელის და ზოგიერთი ბერძენის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადამდე მიიყვანა რომის სახელმწიფო ორი კაცის (იგულისხმება პომპეუსი და იულიუს კეისარი—**ი. უ.**) ურთიერთდაპირისპირებამ, სიხარბემ და სიჯიუტემ. გულისტკივილით წერს, რომ „ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ერთნაირი იარაღი ჰქონდათ; მათი რაზმები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს; აღმებიც ერთნაირი იყო და რჩეულ ვაჟკაცთა მრავალრიცხოვანი მხედრობაც ერთი ქალაქიდან მომდინარეობდა. და აი, ეს ძალა, ორად გაკვეთილი, ერთი მეორეზე აღსდგა. ეს ნათლად ამტკიცებდა, თუ რა ბრმა და უგზური ხდება ადამიანის ბუნება, როდესაც ვნებებს აყვება“²⁵. შემდეგ იგი ასკვნის, რომ პომპეუსსა და კეისარს თავიანთი ძალები რომ გაეერთიანებინათ, შეკავშირებულებოდნენ, მთელი სამყაროს საკეთესო და უდიდეს ნაწილს რომის მორჩილებაში მოაქცევდნენ. მათ კი მაშინ, როდესაც ბევრი საკითხი ჰქონდათ გასარკვევი პართებთან, გერმანელებთან, სკვითების მხარეში და ინდოეთში, თავიანთი სიხარბის გამო შინაომებს და ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევას შეაწყვიტეს მთავარი ძალები: „არ დაინდეს საკუთარი ღირსება, რომლის გულისათვის სამშობლოც კი მსხვერპლად შესწირეს“²⁵.

И. Т. ЖГЕНТИ

ПОЛИТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ ПЛУТАРХА

Резюме

Широкий круг читателей и специалисты считают Плутарха любимым писателем всех времен и народов, философом—моралистом, историком. Но,

²⁴ პლუტარქე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

²⁶ იქვე, გვ. 139.

²⁵ იქვე, გვ. 138;

почему—то, никто не обращал на него внимания как на политика. Поэтому его не ставят в один ряд с такими выдающимися теоретиками, законодателями и моралистами, государственной политики Древнего мира, такими как: Лао—дзи, конфуцием, Демократом, Платоном, Аристотелем, Цицеронам и другими.

По мнению автора, выдающийся греческий писатель, ученый и политик, универсальный мыслитель эллинистической эпохи, Плутарх (приблизительно 46—125 годы новой эры), который на протяжении всей своей жизни, в эпоху пребывания Греции под игом Римской империи с точки зрения практического и теоритического исследования достоин, чтобы его поставили в один ряд с вышеуказанными корифеями—законодателями большой государственной политики.

Для исследователей грузинской политической мысли особый интерес представляет позиция Плутарха как представителя сравнительно маленькой страны, входящей в большую Римскую империю, его позиция политика, направленная на защиту ее интересов, способность маневрирования, которая призывала греков: „Ради благополучия родины подчинитесь римлянам, но чтобы не очень унижить себя“, так как в указанных условиях не было более реального выхода, и написал для них учебник „Советы и наставления государственным деятелям“.

Политические взгляды и позиция Плутарха, как политика и дипломата, изложены в настоящем труде, где с этой точки зрения рассмотрены его избранные параллельные биографии, в частности, эпизоды из жизни и деятельности Тезевса, Ликурга, Солона, Лукулусиса, Александра Македонского, Гай—Юлия Кесеря, Тиберия Гракхуса, Гая Гракхуса и Цицирона, селаны выводы.

წარმოადგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პო-
ლიტოლოგიის კათედრამ

ზურაბ კახალიაშვილი

ქველქართული ნაგები და თანამედროვეობა

ქართულ ნაოსნობასთან დაკავშირებულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს¹. საკითხთა ამ წრეს განეკუთვნება: ზღვაოსნობის როლი მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ზღვისპირეთის ურბანიზაცია და დასახლების პრობლემა, მეთევზეობის როლი როგორც მიმთვისებლურ, ასევე წარმოებით მეურნეობაში, ზღვასნობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, ნავსადგურები, ნავმშენებლობა, ხალხური ნავიგაციური ცოდნა და სხვა. გარკვეულ ინტერესს იწვევს, აგრეთვე, ნაოსნობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია... ამდენად, ნაოსნობა საკმაოდ დიდი, მრავალმხრივი და მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გათვალისწინების გარეშე ნაკლოვანი იქნება ნებისმიერი ზღვის კიდეზე მდებარე ქვეყნის ისტორია და გამოწაკლისი არც საქართველოა.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, როგორც წარსულში ისე ამჟამადაც წყლის როლი მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა არხს, მდინარეს, ტბასა და ზღვას ძირითადი კომუნიკაციის ფუნქციას აკისრებს, ხოლო ნავს კი ტრანსპორტის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ხდიდა. ამას დიდად უწყობდა ხელს, აგრეთვე, ძვირფასი ნავსაშენი ხე-ტყის სიმრავლე, სააფრო ქსოვილისათვის საუკეთესო ხარისხის სელის (*Linum colchica* L.), კანაფისა (*Cannabis colchica* L.) და გარეული ფუტკრის ცვლის *Myrica gale* L.) სიუხვეც, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა ნავმშენებლობაში და, რომელთა დამზადებაში ჩვენი წინაპრების მაღალდაწინაურებაზე ანტიკური ავტორები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს (პეროდოტე ისტ., I, II, 105; ქსენოფონტე. II, 4; არიანე. 4,5; სტრაბონი. XI, 2, 17 და სხვ.), რაც მეცნიერული გამოკვლევებითაც დადასტურდა², ხოლო სანავე ხის შერჩევა-მოჭრის, ტრანსპორტირების, შენახვა-დამუშავებისა და ნავმშენებლობის მდიდარი ტრადიციები ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოგვინახა.


1 მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში (რიონის აუზი), ისტორიის ინსტიტუტის "მიმოხილველი", III, თბ., 1953, გვ. 229—244; თ. ჩიქოვანი. ქ. ნიკოლაიშვილი, კოროზხე ნაოსნობის ისტორიიდან, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის „შრომები“, III, ბათუმი, 1958, გვ. 67—87., ზ. კულაღიშვილი, ნაოსნობა დასავლეთ საქართველოში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1978; მისივე, ნაოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987; თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, — ეურნ. „ციცკარი“, 2, 1979, გვ. 125—132; მისივე, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, და სხვ.

2 გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I (სელი), — სსმ „მოამბე“, XIX—B, თბ., 1956, გვ. 171—194., ჯ. რუხაძე, კანაფის მეურნეობა სენეთში, მსე, XVI—XVII; თბ., 1978, გვ. 78—91.


ზღვისპირზე ხანგრძლივმა ცხოვრებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული და ფსიქოლოგიური ხასიათის, სულიერი და მატერიალური კულტურის ფორმირება-განვითარებაში; ამასთან, ქართველებს ჩამოუყალიბდათ საზღვაო ჩვევები, მისთვის დამახასიათებელი ეთნო-ფსიქოლოგიური ნიშნებით. ქართული ნაოსნობის შესახებ წერილობითი ცნობები ძვ. წ. I ათასწლეულიდან მოგვეპოვება (არქეოლოგიური მონაცემებით კი საქართველოს ზღვისპირეთში დასახლების ფორმები ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითიდან დასტურდება, ხოლო ნეოლითში შეიქმნა წყლის ტრანსპორტის ის ტიპი, რომელიც ჩვენში „ნიშის“ სახელწოდებითაა ცნობილი და ამჟამადც გამოიყენება შიდამეურნეობრივი სამუშაოებისათვის...), ამას გარდა, უცხოურ თუ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში და საისტორიო ხასიათის ნაწარმოებებში უხვად შემონახული სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ნაგებობები (მაგ.: კამარა, ნიშა||ნიში, მორა, ვარცლი, კოლხური აფრებიანი ხომალდი, მაკუკი, კატარა, ოლეჰკანდერი, ორჩხომელი, ოდიშური ნავი, ჭალადიდური ნიში, ჭოროხული ნავი, ფათალია ნავი, ხეჭება||ჰეჩება, სანდალი, ფელუკა, ჩეთე და სხვ.), მისი ცალკეული ნაწილების თუ ქარებისა და დინებების, ზღვის მფარველი ღვთაებების აღმნიშვნელი მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული საზღვაო ტერმინოლოგია (მაგ.: აფრა, ბაგე, ბადე, თეთროსანი || ბერძნ. ლევკოთეა, ფრთონა, ზღვაური, ჩხიფი, ჭარკონტი, გრიგოლ და ბასილ ზღვის მფარველები, ზენა ქარი, ლარსა, მესეფი, მხერვალი, ნიავი, საჭე, სახერველი, სიო, ქარბორბალა, ლუზა, წყლის დედა, ჰელესა...), ასევე ნაოსნობის ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციების მაჩვენებელია.

კულტურულ-ისტორიული პრობლემების კვლევის თვალსაზრისით ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლას.


ნაოსნობის ტრადიციები საქართველოში ათასწლეულებს ითვლის. აქ ისტორიულად დამოწმებული და ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია კონსტრუქციისა და ფუნქციის მხრივ განსხვავებული ნაგებობები. მაგალითად, მდინარე რიონის აუზში გავრცელებული ბრტყელძირა და გვერდებგაშლილი „ოდიშური ნაგები“ (ნახ. 1) დიდად განსხვავდება არა მარტო საზღვაო (ღერძიანი || კილიანი), მრგვალძირა, ე. წ. „ლაზური ნაგებისაგან“ (ნახ. 2), არამედ ჭოროხზე (ნახ. 3 და 4), ალაზანზე და ხობზე (ნახ. 5), პალიასტომზე (ნახ. 6), ძველ კოლხეთში (ნახ. 7 და 8), ამ უკანასკნელ დრომდე (ნახ. 9),




ნახ. 1.




ნახ. 2.




ნახ. 3.





ნახ. 4.




ნახ. 5.



ნახ. 6.



Tab. 7




ნახ. 8.

ხმარებული ნაგებობისგანაც. ამასთან, სათევზაოდ, ტვირთის გადასატანად, ზღვის ცხოველებზე სანადიროდ თუ მგზავრთა გადასაყვანად ჩვენში უძველესი დროიდან ვიდრე დღემდე გამოიყენებოდა და გამოიყენება შესაბამისი ტიპის ნაგებობები და ტივები (იხ. რუკა).

ქართულ წერილობით ძეგლებშიც ჩვენი წინაპრები ნაგებს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ზომების, ტიპებისა და ფუნქციის მიხედვით. მაგ.: „დიდი ნავი“, „ფრიალ დიდი ნავი“, „მცირე ნავი“, „დიდად მცირე ნავი“, „ნავი სავაჭრო“ „ნავი მეკობრე“, „საომარი ნავი“ და სხვ.

ზღვასთან ერთად საქართველოში ნაოსნობის განვითარებას და ხასიათს დიდად განსაზღვრავენ მდინარეები, ტბები და ჭაობები. ჩვენში ნავს, როგორც ჩანს, ძველთაგანვე სათევზაოდ იყენებდნენ და სავარაუდოა, რომ პირველი



ნახ. 9.

საგზაო-ავტოსაგზაო უზრუნველყოფის
 წლის გეგმის განხორციელების
 სქემატური ნუკა



გარემონტებული
 გზების სია




პირობითი აღნიშვნები

	გზის რემონტი		გზის რეკონსტრუქცია		გზის გასწორება		გზის გაუმჯობესება
	გზის რეკონსტრუქცია		გზის გასწორება		გზის გაუმჯობესება		გზის რემონტი
	გზის რეკონსტრუქცია		გზის გასწორება		გზის გაუმჯობესება		გზის რემონტი
	გზის რეკონსტრუქცია		გზის გასწორება		გზის გაუმჯობესება		გზის რემონტი

საგზაო-ავტოსაგზაო უზრუნველყოფის განყოფილება

Схематическая карта распространения речного транспорта в Западной Грузии




ЧЕРНОЕ
МОРЕ

Условные обозначения

- Мани, мара-однодеревка
- Малхский корабль
- Катара - малхская боевая лодка
- Александр-Средневековой боевой корабль
- Катара - Средневековой боевой лодка
- Фелука - восточная мирная лодка
- Чиракская лодка
- Одностая лодка
- Чхадзидзури мани - Чхадзидзуская лодка
- Гадзлабули мани - лодка типа катара
- Паталия - восточная рыболовная лодка
- Рыболовная лодка
- Точела - частная рыболовная лодка
- Чочела - Шерелишская лодка
- Туби - Лют
- Вирети - Парет
- Навили - буржуйная лодка





ნაოსნებიც მეთევზეები იყვნენ. საქართველოში მეთევზეობის ხელს უწყობდა აქვაფაუნის სიმდიდრე. მეთევზეობა უკანასკნელ დრომდე ლაზთა, მეგრელთა, აჭარელთა, გურულთა და იმერელთა მთავარი საქმიანობა იყო, რასაც ხალხში გავრცელებული გამოთქმებიც მეტყველებენ. მაგ.: „ლაზის ბალი ზღვა“, „ზღვაში ვხნავთ და ზღვაში ვთესავთ, ზღვაში ვინადირებთ თევზსა“, „არ აშენდა ხუროს სახლი არცა მონადირისაო, ორი დღით ადრე დეინვრა მეთევზე-მებაღურისაო“ (ქველ მეზღაურთა განმარტებით, ამის მიზეზი ზოგიერთი მებაღურის მიერ ქვირითობის დროს თევზის უზომო ხოცვაა, რისთვისაც „ზღვის დედა“ სჯის მათ), „მოთმინებით ვთევზაობთ, მოთმინებით ველით, მოთმინებით გველოდება ჩვენ მესეფე ზღვების“ და მრავალი სხვ.

ქართველი ხალხის ეკონომიკურ ყოფაში თევზის დამკვიდრებამ გამოიწვია საჭირო იარაღების და წესების გამოყენება, მისი შემდგომი სრულყოფა, რომელიც საფუძველს უყრიდა ნაოსნობასაც. სწორედ თევზმა უზრუნველყო პირველად შედარებით ხანგრძლივი ბინადარი ცხოვრება. როგორც დადგენილია, საქართველოში უძველესი მიწათმოქმედება ურწყავი იყო. ხელოვნურ მორწყვას არც ადრებრინჯაოს ხანაში იყენებდნენ⁴. ასე რომ, ადამიანი ქველად ჩვენში მდინარეს, ტბას თუ ზღვას მხოლოდ სათევზაოდ ეტანებოდა, რისთვისაც სხვადასხვა ტიპის ნავი გამოიყენებოდა.

ძვ. წ. II ათასწლეულიდან იწყება კოლხეთის დაბლობის ინტენსიური დასახლება. ნამოსახლარი ბორცვები („ღიხა გუძუბები“) ერთმანეთთან დაკავშირებულია არხებით, რომელთა შორის მიმოსვლა ძირითადად ნავებით ხორციელდებოდა, რასაც ანტიკური წყაროებიც აღნიშნავენ.

ძნელად წარმოსადგენია სამელიორაციო ქსელის ასე ფართოდ განვითარება მეთევზეობის გარეშე. კოლხეთის დაბლობის სადრენაჟო თუ სანაოსნო არხები მდინარეებს უერთდებოდნენ და სათანადო აქვაფაუნის შემცველნი იქნებოდნენ, რაც ადასტურებს იმას, რომ ჩვენი შორეული წინაპრები გამოცდილი მეთევზე-მებაღურები იყვნენ.

მეთევზეობას რომ დიდი ადგილი ეკირა ჩვენი ხალხის მეურნეობაში, ამაზე წარმართულ კულტთა გადმონაშთებიც მეტყველებენ (მაგ., თევზ-ვეშაპები, თევზის მფარველი ღვთაება ზებედე სამეგრელოში, რომლის პატივსაცემად იცოდნენ სპეციალური კვერების გამოცობა, ლარსა იმერეთში, მესეფი ქველ კოლხეთში და სხვ.). ამასვე მიუთითებს მეზღაურთა და მეთევზეთა ცალკე ფენად გამოყოფა (მელითონეთა, მიწათმოქმედთა და სხვათა გვერდით), რაც ქართულ თუ უცხოურ წყაროებში ხშირადაა ხაზგასმული.

რადგან მეთევზეობას ჩვენში თითქმის ყველა კუთხეში მისდევდნენ, ამიტომ გავრცელებული იყო მრავალგვარი სათევზაო იარაღი და თევზჭერის სხვადასხვა წესი, რომლებიც ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იხვეწებოდა და ერთ მთლიან კომპლექსს ქმნიან და თევზაობის, როგორც სამეურნეო დარგის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებენ...⁵

საინტერესოა, რომ ინგლისელი მეცნიერები მაიკლ კროუფორდი და დევიდ მარში მონოგრაფიაში—„მამოძრავებელი ძალა“ (ლონდონი, 1989 წ. წარ-

4 ი. კიკვიძე, მორწყვა ქველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 25.
 5 ქ. შირიანაშვილი, მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში, მსე, XXI. თბ., 1981; ზ. კუტაღიშვილი, მეთევზეობა დასავლეთ საქართველოში, თსუ „შრომები“, 227 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). 1982.
 4. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 2



დგენილი არიან ნობელის პრემიაზე), ამტკიცებენ, რომ სპეციალურად თქმის გამოყენებამ ადამიანის ტვინის ევოლუციურ განვითარებაში უმეტესად გარდაწყვეტი როლი შეასრულა ეს განსაკუთრებით ეხებათ იმ ადამიანთა შორელ წინაპრებს, რომლებიც ზღვისპირას ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, თევზითა და ზღვის სხვა პროდუქტებით საზრდოობდნენ... ამ ავტორთა გამოკვლევების შედეგები სხვა ზღვისპირა ხალხებთან ერთად, რა თქმა უნდა, ეხება ქართველებსაც.

მეთევზეობა რომ ჩვენში ოდითგანვე მეურნეობის მაღალდაწინაურებულ დარგი იყო, როგორც აღინიშნა, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ მიწის მუშაის, მწყემსის, მონადირის თუ სხვა დარგის მოსაქმეთა გვერდით მუდამ იდგა და დგას მეთევზე-მენავე „სველ მინდორზე“, შრომისათვის საჭირო იარაღებით: ბადითა და ანკესით, გოდორათი თუ ფაცერით, ჭვილთითა და ჭილოფით, ფელუკათი თუ ჭირნილით, მეტივის, მეურმის, მხვინელ-მთესველთა და სხვათა მსგავსად, მეთევზე მხატვრულ ფორმაში გამოთქვამდა თავის ნაშრომს, თავის სიდუხჭირესა და სიხარულს, პოეტურად გვიხატავდა თავის ცხოვრებასა და რთულ შრომას.

ლაზი, აჭარელი, მეგრელი, იმერელი, გურული, კახელი თუ ქართლელი მეთევზე ყოველი თევზის ბიოლოგიური თვისებების, ქცევა-ჩვევების ზედმიწევნით მცოდნეა და წარმატებით იყენებდა და იყენებს მას თევზაობის დროს. ცხადია, ყველა თევზი ერთხი ხერხით არ დაიჭირება. მაგალითად, წვირლ თევზს პატარა ანკესით, ხოლო მოზრდილს ჩანგლით („ძვ. „სამქედური“), ზუთხს ბადითაც იჭერდნენ და ა. შ. ზუთხზე ბადით თევზაობა სხვა ავტორებთან ერთად XVII ს-ში აღწერა არქანჯელო ლამბერტმაც: „მეგრელები ასე იჭერენ ზუთხს—თვითელი მეთევზე თავისი ნავით და ბადეთი გამოვა მდინარის ადგილას, სადაც მდინარის მტკნარი და ზღვის მარილიანი წყლები შეერთვიან ერთმანეთს. აქ ნავზე მოაბამენ ბადეს, რომელიც ნავის სივრცეა, ჩვეულებრივ 40 მტკაველია დაახლოებით. ბადეს ჩაუშვებენ პირდაპირ წყალში და ძირში მოაბამენ ქვებს ტყვიების მაგივრად თავში და ბოლოში, რომელნიც წყალში არიან, ამ ბადეს მიბმული აქვს თოკები. ეს თოკები ხელში უჭირავს ორ კაცს, რომელნიც დგანან ნავში, ერთი თავში და მეორე ბოლოში. როცა ეს კაცები იგრძნობენ, რომ ბადეში თევზი გაეზაო, უცბად ამოწევენ ბადეს და ჩააგდებენ ნავში. ამავე დროს თევზს ლაყურებიდან პირში გაუყრიან თოკს, ხელახლავ ჩააგდებენ წყალში, მიაბამენ ამ თოკით ნავზე და ამ რიგად დაჭერილ თევზს დიდხანს ინახავენ ცოცხლად წყალში“⁶. ზემომოყვანილი წესი დღესაცაა შემორჩენილი ანაკლიისა და ყულევის სანაპიროებზე.

ლამბერტის მიერ აღწერილი სათევზაო ნავი 10—12 მეტრი სიგძისა ჩანს, თუმცა ჩვენი წინაპრები ამ მიზნისათვის გაცილებით დიდი ზომის ხომალდებსაც იყენებდნენ. ასეთია მაგალითად, ორჩხომელი (ორჩხომელი), რომელიც შესაძლებელია მეგრული „ჩხომი“ (თევზი)-დანაა წარმოებული და სპე-

* „ჭირნილი“—ლაზურად პატარა სათევზაო ნავს ჰქვია. შესაძლებელია „ნილი“ იგივე „ნიში“ იყოს, ე. ი. „ჭირნილი“—„ჭირნიში“, ისეთი „ნიშია“, რომელიც მხოლოდ ზღვაზე სათევზაოდაა გამიზნული—დაქედლია და განსხვავებულია ერთ ხეში ამოროფილი დაუქედავი ნავისაგან. ჩვენში ცნობილია, აგრეთვე, ამაზე უფრო მცირე ზომის დაქედლი სათევზაო ნავებიც—„ხეჭება“, „ფათალია და სხვ.

⁶ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, ტფ. 1938, გვ. 197—198.



ციალურად ზღვაზე თევზაობისათვის იყო განკუთვნილი. ასეთი რეულ რეისებშიც (კირბეთში) მიდიოდნენ; ამ ტიპის ერთაფრიანი ნავი უნდა იყოს იტალიელი მისიონერის დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიერ სამეგრელოში ჩახატული ნავი, სადაც შემდეგი მინაწერია: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში, რომლითაც სათევაზოდ მიდიოდნენ და კონსტანტინოპოლში შემოსული სანოვაგეც მოჰქონდათ (ე. ი. ამ ნავებით კონსტანტინოპოლიდან ანაკლიაში და პირიქითაც მიმოდოდნენ), რომელსაც პაპი ურბანოს (1568—1644 წწ.) განკარგულებით წმინდა კონგრეგაცია გზავნიდა“⁷.

ამ ტიპის ნავებთან ფუნქციურ მსგავსებას ამკლავებენ ჩვენებური „ოდიური ნავი“ და „ჰალადიდური ნიშა“. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში (X—XI სს.) ტერმინი „ნიში“ (ნუშა, ნიში, ვარცლი, ვარცხლა, მორა—ბერძნული სახელდებით *μυρσίνης*-ი ფორმით მსგავსნი, მაგრამ განსხვავებული ზომის ნავებია) მეგრული „ნისორი“-დან (გობი) შემოდის. გობი თავისი ფორმით ერთ ხეში ამოროფილ (ამოთილი) ნავს შეესაბამებოდა და შემდეგ ყოველგვარი ნავის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცა. ამის შემდეგ ერთ ხეში გამოჭრილ ნავს „ეშათოლირი ნიში“ ეწოდა. მათგან განსხვავებით „ჰალადიდური ნუში (ნიში)“ საკმაოდ დიდი მოცულობის რთული კონსტრუქციის, ფიცრებისაგან შეკრული ბრტყელნერჩა (ნერჩი ნავის ძირის შიდა მხარეს ეწოდებოდა ძველ ქართულში, ზოგჯერ მას ხომალდის ლერძთან || ხერხემალთანაც აიგივებდნენ ნერჩი || ლერძი || ხერხემალი ძველბერძნულის ტროპი და ევროპულის კილია, რაზედაც ხომალდის ნეკრები—„შაპან-პოუტები“ და სხვ. ნაწილები მაგრდება, რასაც ჩვენში ძველად განერჩვას ეძახდნენ; ნავმშენებლობაში ნერჩი ხომალდის კონსტრუქციული საფუძველია, რომელსაც ძველ ქართულში შეესაბამებოდა აგრეთვე ტერმინი „შეშადა“-ც) სამდინარო ნავია, გავრცელებული საქართველოს ზღვისპირეთში, განსაკუთრებით მდინარეებზე: ხობზე, ცივაზე, სუფსაზე, რიონზე, პალიანტომის ტბაზე და მის შემოგარენ მდინარეებში თუ არხებში. ჰალადიდურ ნიშას სხვა ქართული ნავების მსგავსად ჰქონდა სხვადასხვა ზომის ლუზა. ვადმოცემით, ადრე ხის ან ქვის ლუზას ხმარობდნენ. ეს უკანასკნელი რკინის ლუზის მსგავსად ითლებოდა, უკეთდებოდა ნახვრეტი, რომელშიც მაგრდებოდა ხის ნაჭერი და მასზე გამობმული იყო ბაწარი ან მცენარისაგან (ბარდიბინეხი) დაგრეხილი „ღვლეჭი“. ქართველ მეზღვაურთა განმარტებით, ქვის ლუზა იმითაც ყოფილა მოხერხებული, რომ მას „წყალი არ ჰამდა“ და დიდხანს ძლებდა. ამასთან, ძველად ქვის ან რკინის ლუზას უკეთებდნენ ხის ჩარჩოს, რომ ლუზა შლამიან ან მეტად ღრმა ადგილებში ძალიან არ ჩაძირულიყო.

ნავის ერთ ადგილზე გასაჩერებლად ქვის ლუზას ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა, მაგრამ როცა იგი ლითონის ლუზამ შეცვალა (დაახლ. ძვ. წ. VII-V სს.), ეს უკანასკნელი დამკვიდრდა და საბოლოოდ გამოდევნა ქვა. უძველესი რკინის ლუზა ხის კავის მსგავსად კეთდებოდა, რომლის ფორმა ლუზას დღემდე შემორჩა.

ქვის ლუზა რომ არქაულია, ამას არიანეც (95—175 წწ.) აღნიშნავს ფაზისის აღწერისას: „აქ უჩვენებენ არგოს რკინის ლუზას. არა მგონია, რომ

⁷ დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ, თარგმანი ბ. გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 179, ნახ. 473.



იგი ძველი იყოს, თუმცა სიდიდით არ ჰგავს ახლანდელ ლუზის ნაპირებს. ლობითაც განსხვავდება, მაგრამ, მაინც, ვფიქრობ, რომ გვიანდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. აქვე მაჩვენებს მე ქვის ძველი ლუზის ნაპირები, რომლებიც უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ლუზის ნაშთად⁸. ასე რომ, ფაზისში ახ. წ. II ს-ში (საფიქრებელია გაცილებით უფრო ადრეც, რაც ტექსტიდანაც კარგად ჩანს) მაინც ძველებურ ლუზათა (სავარაუდოა ნავის სხვადასხვა ტიპისა და მისი ნაწილების) სპეციალური შესანახი—„მუზეუმიც“ კი არსებულა, რაც ძველ კოლხეთში ნაოსნობის მდიდარ ტრადიციებზე უნდა მიუთითებდეს. ჩვენს მიერ მოზრდილი ქვის ლუზა დადასტურებულია სოფ. ანაკლიაში. იგი თითქმის ანალოგიურია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მსხლის ფორმის საკმოდ კარგად გამოყვანილი ათ ფუთამდე წონის ლუზისა. ამ ლუზის ზემო ნაწილის გახვრეტილი ყური თოკის მისამგელადაა გაკეთებული. იგი ნაპოვნია მდ. რიონზე, ქუთაისის მახლობლად. ამგვარი ლუზები იხმარებოდა სანიჩბო ზომალდებზე ძვ. წ. IX—VIII სს-ში. ისინი (ქვები) „ხნავდნენ ფსკერს“ და ამუხრუჭებდნენ ნავის მოძრაობას. უძველესი ხის ლუზებმა შედგებოდა ორი ჰორიზონტალური და ორი ვერტიკალური გადაჯვარდინებული ძელისაგან. ამ უკანასკნელთა შორის თავსდებოდა ქვა. ამგვარი ლუზების დამუხრუჭების ეფექტიანობა დამოკიდებული იყო მხოლოდ მათ წონაზე.

ლუზის ფორმა იმ სახით, ჩვენ რომ წარმოგვიდგენია, დაახლ. ძვ. წ. V ს-დან მოდის. ასეთია სპეციალისტთა ვარაუდი, მაგრამ შესაძლებელია იგი უფრო ადრინდელიც კი იყოს, რასაც პასუხს წყალქვეშა არქეოლოგია თუ გასცემს, რომელმაც მისცა, აგრეთვე, ბიძგი სავაჭრო ურთიერთობათა კვლევა-ძიების საქმეს, მაშინ, როცა კლასიკური არქეოლოგია ტრადიციულად სწავლობდა ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშებს, წყალქვეშა არქეოლოგიამ კი გამოაქვდა უფრო მეტი ინტერესები უძველესი დროის ეკონომიკური ცხოვრებისადმი და ჩაძირულ ზომალდთა და მისი ცალკეული ნაწილის შესწავლისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანგი ოკეანოლოგის ჟაკ ივ კუსტოსა და ამერიკელი წყალქვეშა არქეოლოგის ჯორჯ ფრენსის ბასის უკანასკნელი ხანების აღმოჩენები.

როგორც აღიარებულია, ზომალდებმა უდიდესი როლი შეასრულეს მსოფლიო ისტორიაში. ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით ზომალდებზე, თუმცა, მეცნიერების, კულტურის და კაცობრიობის ბევრი სხვა მონაპოვარი ზღვებისა-შუალეებით ვრცელდებოდა. დაღუპული ზომალდებისა და მათი ნაწილების (კილი, ლუზა, ნეკნები და ა. შ.) შესწავლით, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, ჩვენ შეგვიძლია პასუხი გავცეთ ბევრ, ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ, მნიშვნელოვან საკითხებს კულტურების გავრცელების გზების შესახებ და სხვ. წყალქვეშა არქეოლოგიას ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის. მართლაც, ყველაზე დიდი რაოდენობით და თავისი მნიშვნელობით ჩაძირული ნაგებობები ხმელთაშუა ზღვის მრავალ ადგილას (სხვაგანაც, მაგ., იტალიის, სკანდინავიის ნაპირებზე და სხვ.) აღმოჩნდა⁹. შავი ზღვა, როგორც

⁸ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი და კომენტარები ნათელა კეჭელაძისა, რუკა აკაკი სანაძისა. თბ., 1961, გვ. 39.

⁹ George I. Bass, A Bronze Age shipwren at Ulu Burun (Kaz) 1984 Campaign, „American Journal of Archaeology“, Volume 90. No. 3, Boston, 1986.

ხმელთაშუა ზღვის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალების მოპოვების გარანტიას იძლევა, მაგრამ წყალქვეშა არქეოლოგია ჩვენში დღესდღეობით მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია და ამიტომ უახლოეს ხანებში მაინც ამ მიმართებით რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ალბათ ზედმეტია. ისე კი, შემთხვევითი ხასიათის სამუშაოებისას ჩვენშიაც ხდება ზოგიერთი „აღმოჩენები“. მაგ., ქვის ღუზის ნაშთების აღოღება ანაკლიასთან, ფოთთან, ანაპასთან, სოხუმთან და სხვაგანაც.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტერმინ „ღუზას“ სადაურობის საკითხიც. ეს სიტყვა რატომღაც მიჩნეულია სპარსულიდან მომდინარედ. თუმცა „ღუზის“ აღმნიშვნელ სიტყვად სპარსულში, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, უფრო „ლანგარი“ ჩანს, რომელიც კასპიისპირეთის ადგილ ლენქორანის სახელწოდებიდან მომდინარედ მიაჩნიათ (კასპიის ზღვაზე ღუზის აღმნიშვნელად ტერმინი „ბაბაი“-ც იხმარება). ეს სახელწოდება ბერძნულში „αγκυρα“-ს, ლათინურში uncinus-ის, არაბულში anqur-ის, იტალიურში ancora-ს, ესპანურში ancla-ს, ფრანგულში ancre-ს, ინგლისურში anchor-ის, გერმანულში anker-ის, რუსულში якорь-ის სახელწოდებებით შევიდა როგორც ჩანს, ტერმინი „ღუზა“ სპარსულში მეგრულიდან დამკვიდრდა. მეგრულ-ლაზები უძველესი დროიდანვე კარგ მუშაუბრებად იყვნენ ცნობილნი. ისინი გადაადგილებისათვის ფართოდ იყენებდნენ საზღვაო ტრანსპორტის ყველა სახეობას, მათ შორის აფრიან ნავებს და დიდ ხომალდებსაც, რა თქმა უნდა, იყენებდნენ ღუზასაც. ეს სიტყვა ქართველური წარმოშობისაა. ასე მაგალითად, სამეგრელოში ხშირად ხმარობენ გამოთქმას: „მუს ოღუზუქ“? ე. ი. „რას ეპოტინები?“ (ეჭიდები); „ღუზა“ წარმოებულია ამავე ძირის ზმნისაგან „ო-ღუზ-უქ“ და გამოხატავს შეჭიდებას, ე. ი. ღუზა მდინარის ან ზღვის ფსკერთან შეხებისას თავისი სიმძიმით ეჭიდება სილას, ეფლობა მასში, რაც აუცილებელია ნავის ერთ ადგილზე დასამაგრებლად. ბუნებრივია, ძველად სხვადასხვა ხალხს სხვადასხვაგვარი ღუზა ექნებოდა, რაც უფრო შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს. შესაძლებელია, რომ ლაზურ ღუზას (მოლას) ახასიათებდა ზოგიერთი უპირატესობა, რის გამოც სპარსელებმა აითვისეს იგი და თანაც დაუტოვეს ლაზურ-მეგრული, ე. ი. ქართული სახელწოდება სათანადო ვარიანტის აღსანიშნავად. ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით პირველად ეს მოსაზრება წამოაყენა პროფ. მ. ნოდიამ (იხ. ვაზ. „თბილისი“, 21. III. 1974. „სადაურია სიტყვა „ღუზა“?).

ცნობილია, რომ ძველად სხვადასხვა ტიპის ხომალდს განსხვავებული ღუზა ჰქონდა. მაგ., ლაზურ საზღვაო აფრებიან ნავზე არც თუ ისე მძიმე, მაგრამ კარგი შეჭიდების უნარის მქონე ღუზას იყენებდნენ, რაც კარგად შეესაბამებოდა ადგილობრივ პირობებს (ამას გარდა, ჩვენს წინაპრებს შორეული ნაოსნობისათვის და მდინარეზე მოცურავე ნავთათვის სხვადასხვა ფორმისა და წონის ღუზებიც ჰქონდათ. ადვილი შესაძლებელია, რომ ლაზური ღუზის ეს უპირატესობა (ნაკლები სიმძიმე და ფსკერზე შეჭიდების საკმაოდ მაღალი პროცენტი) სპარსელებმაც გადაიღეს (ლაზური ნავისა თუ მისი ცალკეული დეტალის თურქების და სხვათა მიერ გადაღების ფაქტები კარგადაა ცნობილი სპეციალურ გამოკვლევებში¹⁰), თანაც, როგორც აღინიშნა, დაუტოვეს

10 ზ. კუტალეიშვილი, ნოსნობა საქართველოში, გვ. 74 და სხვ.

ლაზურ-მეგრული (ე. ი. ქართული) სახელწოდება სათანადო ვარიანტის აღსანიშნავად. დღესაც მეგრულში ქართულ „სმას“ ორი ზმნა აღნიშნავს—„შუმა“ და „ლუზუა“. ზმნა „ლუზუა“ იხმარება მაშინ, როცა სასმელი ბევრი ან დიდი ხალისით დაილია და იტყვიან; „გელუზუ“. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღუზა მხოლოდ წყალში გამოსაყენებელი მოწყობილობაა, მაშინ ზემოთ მოყვანილი ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, სპარსულში, როგორც ითქვა, „ლუზის“ აღმნიშვნელად იხმარება „ლანგარი“ და თუ სესხებასთან გვექნებოდა საქმე, მაშინ ეს უკანასკნელი ბერძნულ-სპარსულისა და სხვა ენების გავლენით უფრო უნდა დამკვიდრებულიყო. ამკარაა, რომ სიტყვა „ლუზა“ სალიტერატურო ქართულში მეგრული „ლუზა“-დან შემოვიდა, რომელიც ღუზის ეკვივალენტურია; ჩვენში შემდეგში დამკვიდრდა ლითონის ღუზა, რომლის ღერძის ბოლოზე მიუმავრდებოდა ორკავი, რომლისთვისაც მთავარია მეგრული „ლუზა“—ღუზვა. ასე რომ, ღუზა ქართველური წარმოშობის, ძირეული ქართული სიტყვაა.

ზემო აღწერილი ღუზის გარდა ჰალადიდური ნიში აღჭურვილი იყო ხოფებით, საჭით (ძვ. ქართულით ხალი ||ხერვალი) და სხვა სანივიგაციო მოწყობილობებით. ამ ტიპის ნავი ჩვენში ამ ბოლო დრომდე იყო გამოყენებული შიდამეურნეობრივი დანიშნულებისათვის (ტვირთის გადატანა, მგზავრებისა და საქონლის გადაყვანა, თევზაობა და სხვ.). ნავის სიგრძე (L) უდრიდა 12—15 მ, მიდელკვეთი (B—სიგანე შუა წიბოდან ანუ შუაშბანპოუტიდან) 2,5 მეტრამდე იყო, გვერდითი (ბაგის) სიმაღლე წყალხაზიდან (H) აღწევდა 0,9—1,2 მეტრს, წყალშიდობა (|| წყალჯდომა—T) 0,5 მეტრია, ხოლო ტვირთტევადობა (|| წყალწყვა—M) 200—350 ფუტს უდრის და საკუთრივ ნავის წონა 350—450 კგ-ს აღწევდა, რაც მის მანევრირებაზეც დადებითად მოქმედებდა და საჭიროებისას წყლიდანაც ადვილად შეეძლოთ ამოეტანათ და ტყეში ან სხვა საიმედო დაცულ ადგილზე შეენახათ (მაგ., „ნავთა სახლში“—თერცხანეში; შდრ. სტრაბონის და სხვათა ცნობებს კოლხური კამარა ნავების ტყეში შენახვას რომ აღწერენ; იხ. სტრაბონი. გეოგრაფია. XI, 2, 12 და სხვ.).

ამგვარი ნავის ეკიპაჟი 10—12 მენავისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთს, ყველაზე გამოცდილს, მესაჰის (ძვ. ქართ. მხერვალის) ფუნქცია ეკისრებოდა, მეორე კი დიდი ორმაგი საჭე-ნიჩაბით (ჟოლოკინი, ძვ. ქართ. „სარვეელი“) ნავის თავში იდგა და მესაჰის ბრძანებებს ასრულებდა, ხოლო დანარჩენები ზოფებს (|| ნიჩაბი) უსვამდნენ. ჰალადიდური ნიშის დამხმარე სამართავ საშუალებად ერთ ძელზე (ანძა, მეგრ. მალიაკრი) აღმართული სამკუთხა (ლათინური) აფრაც იყო.

როგორც ცნობილია, აფრა სელის ნაჭრისაგან დამზადებული მოწყობილობა ხომალდზე, რომლის საშუალებითაც ქარის ძალა ადამიანმა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული გამოცდილების შემდეგ პირველად გამოიყენა ნავის საცურაოდ, რომელიც მან განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც ვარაუდობენ, დაახლ. ძვ. წ. VI—V ათასწლეულებს შორის ისწავლა. ირიბ-აფრიანი ხომალდები (სხვადასხვა კონსტრუქციისა) ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საქართველოშიც (მაგ., ძვ. წ. II—I ათასწლეულების სამხედრო-სავაჭრო „კოლხური აფრებიანი ხომალდი“, „კამარას“ ტიპის საბრძოლო ნავები, მოგვიანებით ვეფხისტყაოსანში აღწერილი „კატარლები“ და სხვ.), რითაც ჩვენი წინაპრები არა მარტო შავი ზღვის აუზში დაცურავდნენ, არამედ ქმნიდნენ



დასახლებებს ხმელთაშუა ზღვის აუზში და სავარაუდლოა უფრო შორეულ ექსპედიციებსაც კი აწყობდნენ, ხოლო მოგვიანებით (ახ. წ. VI—VIII სს-ში) სამკუთხა, ე. წ. ლათინური აფრით აღჭურვილი ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ქართველ მეფე-დიდებულთა თუ საეკლესიო პირთა ქართული თუ უცხოური ხომალდებით განხორციელებული მოგზაურობებიც ამის დასტურია...

ჩვენი უძველესი წინაპრების მიერ აფრიანი ნაგებით შორეული ნაოსნობის ტრადიციები გააგრძელეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებმა ქართველებმა (ლაზებმა), რომლებიც შავსა და ხმელთაშუა ზღვებში მთელი ფეოდალური ხანის განმავლობაში (თურქთა გაბატონების შემდეგაც კი) საუკეთესო მეზღვაურებად და „ზღვის ნამდივლ მეგობრებად“ იყვნენ აღიარებულნი, რასაც ხაზს უსვამდნენ XIX ს-ის ზღვაოსნობის ცნობილი ბერძენი მკვლევარი ს. იოანიდისი, დიდი ენათმეცნიერი ნ. მარი და სხვ.¹¹

ქართველთა „საზღვაო ენას“, ისე როგორც ყველა სხვა ხალხისას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება—პირობითობა და ტერმინოლოგია აქვს. თუმცა, ქართული ენისათვის უცხო არაა სხვა ხალხების საზღვაო ტერმინებისა და ტექნიკური მიღწევების სესხება-ათვისება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ნებისმიერი ზღვაოსანი ხალხისათვის. მაგ., ძველევგვიპტელთა სანაოსნო მიღწევები გადაიღეს და განავითარეს ფინიკიელებმა, რომელთაგან თავად ეგვიპტელებმაც უფრო ბევრი რამ ისწავლეს, ხოლო ფინიკიელთა მიღწევები გააუმჯობესეს ძველმა ბერძნებმა, ისე როგორც ვიკინგებისა—ინგლისელებმა და ევროპის სხვა ხალხებმა. ცნობილია, რომ რუსული საზღვაო ტერმინოლოგიის 93%-ზე მეტი ინგლისური, გერმანული და განსაკუთრებით კი პოლანდიური ენიდანაა აღებული და ა. შ.

აფრასთან დაკავშირებით ნიკო მარი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი ქართველებმა აფხაზებისაგან გადმოიღეს, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ აფხაზთა ზღვასთან ურთიერთობა არ იძლევა ამგვარი ვარაუდის დაშვების საშუალებას¹².

აფხაზები და ქართველები უძველესი დროიდანვე მეტად მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით ცხოვრობდნენ და სიტყვათა სესხების ფაქტი მათ შორის სავსებით ბუნებრივ მოვლენად ჩანს, მაგრამ „აფრა“ აფხაზური ტერმინი არაა—„ფრ“ ძირიდან მრავალი ძირეული ქართული სიტყვაა წარმოებული: ფრთა, ფრთე—მაღე || ფრთამალი || სწრაფი (შდრ. სწრაფმავალი ნავის თვისებებს), ფრიალი, ფრთიანი || ფრთოვანი, ფრენა || ფრინვა, ფრინველი, აფრენა, აფრიალებს (ქართული გვარები: აფრასიძე, აფრი-აშვილი, აფრიაშვილი და ა. შ.). ეგების ეს სიტყვები ქართულში მას შემდეგ დამკვირდა, როდესაც იგი აფხაზურს დაესესხა ტექნიკურ ტერმინს „აფრას?“ პირიქით, უდავოა ისაწინააღმდეგო ზოგლენა—აფხაზური афрыра ქართული ენიდანაა ნასესხები, ისე როგორც, ქართული ნავის—ნიშის დამკვიდრება აფხა-

¹¹ 'Ιωαννίνης Σ, 'Ιστορία και σφραγιστική Τραπεζις ზანγოს και γης κερί ταυτης Χώρας. Κοινηταινιουσικολή, 1870, ფ. 258., Н. Я. Марр. Из поездки в турецкой Лазистан. ИИАН, С.—Пб., 1910.

¹² Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.—Л., 1938, с. 87.



ზურში მოხდა „ანიშის“ სახელწოდებით (შდრ. რუსული „лодка“ და აფხაზური „алодка“, „шхуна“—„ашхуна“, „море“—„аморе“, უცხოურიდან აბხაზურში შემოსული თევზის მრავალი სახეობის სახელწოდება და ა. შ).

მარინისტული სამეცნიერო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზღვისპირზე ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრება გადამწყვეტი ფაქტორია ავტოქტონ მოსახლეთა შორის ნავმშენებლობასა და ნაოსნობის ხელოვნებაში დაწინაურებისა, რასაც შესაბამისად აუცილებლად უნდა მოჰყვეს საზღვაოსნო ტერმინოლოგიის გაჩენა. ამ მიმართებით თანამედროვე მეცნიერული კვლევები შედეგები და ეთნოგრაფიული მონაცემები აფხაზების მაგალითზე სრულიად საწინააღმდეგო სურათს წარმოაჩენს. ასე რომ, „აფრა“ ფრიალიდან (ვარიანტებით) წარმოშობილი ძირეული ქართული საზღვაო ტერმინია, რომელიც უკვე V საუკუნიდან მოყოლებული ხშირად გვხვდება როგორც საკუთრივ ქართულ, ისე ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებში და თუ ქართულში არ მოიპოვებოდა შესაბამისი ტერმინი, მაშინ სხვა ენებიდან თარგმნისას პირდაპირ შემოვიდოდა უცხო ტერმინები, რაც სხვა შემთხვევაში გვხვდება კიდევ. მაგრამ „აფრის“ მიმართ ამის მაგალითი არ არსებობს. მაგ.: „შთამოჰკრეს აფრაჲ ნავისაჲ... აღიპყრეს აფრაჲ იგი მციარჲ კერძო“ (საქმე 27, 17, 40); „...იქმნა ვითარცა აფრაჲ უბოვანი ნავისაჲ“—(Sin. 106,2), სადაც „უბოვანი აფრაჲ“ ნიშნავს აშეგებულ ნავს გაშლილი აფრით (აფრაგაშლილი ნავი); „განასხეტაკოს ზღვაჲ აფრებითა ნავთა მისაჲთა“ (შატბ. 173,37) და მრავალი სხვ.

როგორც დადგენილია, აფხაზურში ზღვაოსნობასთან (და სხვა რიგისაც) დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულიდანაა შესული და აფხაზური ვარიანტები მათგან არის მიღებული—პირუკუ პროცესის დაშვებას ეტიმოლოგიასთან ერთად ხელს უშლის სესხების კანონზომიერებანი—აფხაზურ ვარიანტებს ისეთი ფონემტური სტრუქტურა აქვთ, რომ მათგან ქართული ვარიანტების მიღება ვერ იხსნება¹³.

საინტერესოა, რომ „აფრასთან“ ერთად ზოგიერთ ქართულ წერილობით წყაროში გვხვდება ტერმინები: „საბერველი“, „აფქიო“, „აფთიონი“ და სხვა, მაგრამ ნაკლებად. საბას განმარტებით: „აფრა ნავის აფქიო“ „...აფრა ეწოდების ნავთა და ხომალდთა აფქიოსა, რომელ არს ქართა გამბერველობით ნავთა მატარებელი“. სომხურში აფრის შესატყვისია არაგასტ (აფრაგასტ), რაც ფარდას, საქორწინო ოთახს ნიშნავს და ქართულიდანაა შესული. ძველ ქართულში ფარდის, ქსოვილის ფართო ნაჭრის ეკვივალენტურია სიტყვა „ეზო“, რომელიც აფრის მნიშვნელობითაც გვხვდება, ხოლო აფრიან ნავს „ნავი ეზომბული“—ც ერქვა. ზოგჯერ აფრის მნიშვნელობით „ფრთა“—საც ხმარობდნენ, რაც X ს-ის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერშია დამოწმებული (მაგ., „შატბერდის კრებული“, გვ. 177).

ბერძნული *φάρος* -იდანაა მიღებული რუსულ და სხვა ენებში შესული *парус*, ხოლო ფრანგულში, ჰოლანდიურსა და გერმანულში შესულია ლათინური სახელი აფრისა—*velum*. თუ სესხებასთან გვექნებოდა საქმე, მაშინ ჩვენს

¹³ თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ზოგი ტომონიშის საკითხისათვის, II რესპუბლიკური კონფერენცია ონომასტიკაში, თბ., 1989. გვ. 13—14.

წინაპრებს, როგორც ეს სხვა შემთხვევაში გვხვდება კიდევ, ბერძნულიდან ან ლათინურიდან რომ გადმოვლოთ ეს სიტყვა, უფრო დასაშვებია.

როგორც აღვნიშნეთ, სააფრო ქსოვილის (სელისა და კანაფის) დამზადების მაღალი კულტურა ჩვენში ძველთაგანვე ყოფილა განვითარებული (რაც ეთნოგრაფიული მასალებითა და უცხოელ ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით დაადასტურა გამოჩენილმა ეთნოგრაფმა, ახლახან აშშ-ში გარდაცვლილმა გერცელ ჩაჩაშვილმა), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სელი, კანაფი, და ცვილი ნავსაშენ ხე-ტყესთან ერთად, რომლითაც ცნობილია საქართველო ძირითადი ნედლეული იყო ნავმშენებლობაში.

ამგვარად, სააფრო ქსოვილების დამზადების მდიდარი ტრადიციები ჩვენში უძველესი დროიდანვე მომდინარეობს, რაც, ზღვაოსნობის განვითარების პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ დააყენა და, რამაც ძველ ქართულში, შესაბამისად, სპეციალური საზღვაო ტერმინის გაჩენის აუცილებლობა გამოიწვია. ამკარაა, რომ საკუთრივ ტერმინი „აფრა“-ც ადგილობრივ, ქართველური ენების წილშია შექმნილი.

ამასთან, ჩვენს ენაში მრავალი ქართველური წარმოშობის საზღვაო ტერმინი მოგვეპოვება, რაც არაზღვაოსან ხალხში ვერ დამკვიდრდებოდა. ყოველივე ამას სხვა მომენტებთან ერთად ამაგრებს მთელი რიგი მონაცემებიც, რომლითაც დგინდება, რომ ჩვენში ადგილობრივი ზღვაოსნობის ისტორია იწყება არა ბერძენთა მოსვლით, არამედ გაცილებით შორეულ წარსულში (მაგ.: Plin. Nat. hist., VI, 20; Mela. 11, 2; Arr. Per., 24, 3 და სხვ.). ეტყობა, ჩვენი წინაპრების ხომალდიონთა (სტოლა || ფლოტი) ნაგები იგებოდა რა ადგილობრივ, შავი ზღვის აკვატორიისათვის გათვალისწინებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან შეხამებით, ამ რეგიონში ბერძნულ (და სხვ.) ხომალდებთან შედარებით უკეთესი სანაოსნო ტექნიკურ-ტაქტიკური თვისებებითაც გამოირჩეოდნენ...

სათევზაო (სავაჭრო, მგზავრთა გადასაყვანი) აფრებიანი ნავის ტიპებს შორის საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე აღსანიშნავია, აგრეთვე ლაზური აფრებიანი ნავი „ფელუკა“ და აგრეთვე აფრებიანი „ქოთარა“, რომლის $L=16-20$ მეტრს, $B=4-5$ მ-ს, ხოლო $M=15-20$ ტონას, რომელზედაც როგორც წესი ჰქონდათ ორი მცირე ზომის ნავი ე. წ. „სატყუარა“. ამ პატარა ნაგებზე ჰქონდათ გრძელი კაუჭი, რაზედაც მისაწოვარს (სატყუარას) აგებდნენ და ასე იჭერდნენ დიდი ზომის და განსაკუთრებული ჯიშის თევზებს; სათევზაოდ გასვლის წინ იმარაგებდნენ გამხმარ თევზსა და ზღვის ღორის ქონს, რომლებსაც ინახავდნენ სპეციალურ თიხის ჭურჭელში (თალარში).

არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად ჩვენში მეთევზეობის დაწინაურებაზე მიუთითებს ქართული ზღაპრული ეპოსი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თევზთან დაკავშირებული ჩვეულებები და მოტივები შესაძლოა გენეტურ ურთიერთობაში იყოს ისეთ რწმენა-შეხედულებასთან, რომელთა მიხედვით თევზი ადამიანის წინაპრად არის მიჩნეული¹⁴.

მართალია, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ძველებური ნაგები და პრიმიტიული ბადეები, რომლებითაც ჩვენი მებაღურეები ერკინებოდნენ წყლის სტიქიას და თავიანთი არსობის პურს ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით შოულობდ-

14 ზ. თანდილაევა, თევზი ქართულ ჯადოსნურ ეპოსში, კრ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, თბ., 1975.



ნენ (ამასთან, თევზის მრეწველობა, წვრილკუსტარული წარმოების განვითარება, მიტიულ ტექნიკაზე დამყარებული დარგიდან, გადაიქცა მძლავრ, მსხვილ ინდუსტრიულ დარგად; დღეს უკიდევანო ოკეანეებსა და ზღვებს სერავენ საქართველოს ქარხანა-გემები, სადაც თევზის მოპოვებასთან ერთად ხდება მისი ადგილზევე გადამუშავებაც), მაგრამ ძველებური ნავებითა და ხალხური წესებით წყალსატევებში, ტბებში, მდინარეებსა თუ შავ ზღვაში დაჭერილი თევზი საშუალებას იძლევა იგი მოსახლეობას მივაწოდოთ ცოცხალი სახით, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობა ენიჭება ზღვებსა და ოკეანეებში მოპოვებულ თევზთან შედარებით, რომლის მიღება მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ გაყინული ანუ კონსერვების სახით. ასე რომ, ჩვენი ხალხის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ცოდნას მეთევზეობის დარგში დღესაც არ უკარგავს და არც მომავალში დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

სრული დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალი ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი ყოფისა და ტრადიციების გათვალისწინებით ეროვნული გამოყენებითი ხელოვნება და მხატვრული რეწვა ახლანდელ მოთხოვნილებათა დონეზე წარმართოს. მრავალ განზომილებიდან არსებითია თვით დარგების შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა, აგრეთვე ის მატერიალური შემოსავალი, რაც ტურიზმის განვითარების თანამედროვე პირობებშია მოსალოდნელი, თუკი საქმეს სწორი მიმართულება მიეცემა. სხვა დარგებთან ერთად, კარგ შედეგებს მოგვეცემს ბრტყელძირა ხალხური ნავების კუსტარული წესით აგების აღორძინება, რაც სამეურნეო ეფექტისა და ტურიზმის განვითარებასთან ერთად, წყალდიდობის დროს (ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში რომ ხშირი ხასიათი მიიღო) მათი პრაქტიკულად გამოყენების უპირატესობამაც დაადასტურა.

როგორც ცნობილია, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება შეუძლებელია მოწინავე გამოცდილების განზოგადების გარეშე. მოწინავე ხერხებისა და გამოცდილების გავრცელება კი დაკავშირებულია საუკუნეების მანძილზე საზოგადოების განვითარების ისტორიასთან. ამიტომ ბუნებრივია, ხალხური სამეურნეო გამოცდილება, ქართველი ხალხის თვალსაჩინო მიღწევები გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სახალხო მეურნეობის წარმოების განვითარების პრაქტიკული ორიენტირი. არადა განახლებულ საქართველოს ძველებური ნავი თუ ხომალდი, ტივი, ბორანი თუ წყლის წისქვილი ძლიერ დაშვენდებოდა. ახლა ჩვენი ლურჯი სივრცეები ფაქტობრივად ცარიელია. ამის უფლება კი არა გვაქვს, ეს ერის ისტორიის, კულტურის, ტრადიციის ღალატი იქნებოდა...

ამასთან, შესაძლებლად მიგვაჩნია აკად. გ. ჩიტაიას სახ. ქართული ხე-როთმოდგრებისა და ყოფის თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის აღჭურვა ძველქართული ხოფიან-აფრებიანი ნავებით, რაც სპეციალისტთა გაანგარიშებით მნიშვნელოვნად გაზრდის რესპუბლიკის დედაქალაქში სპორტის ამ მასობრივი სახეობის მოყვარულთა რაოდენობას. მით უმეტეს, ჩვენში ძველთაგანვე არსებობდა ნავებით სპორტული შეჯიბრების ტრადიციები, რომლებშიც გამოცდილ მენავეებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალები და ბავშვებიც. გამარჯვებულთ სპეციალურად გამოყოფილი ყიური აჯილდოვებდა...

თანამედროვე ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანს მკვეთრად შეუმცირა ფიზიკური შრომა. ამიტომ არის, რომ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ძირითად „დაავადებად“ იქცა ჰიპოკინეზია (ჰიპოდინამია), რაც ორგანიზმის ფიზიკური მოძრაობის (აქტივობის) ხანგრძლივად შეზღუდვას ნიშ-

ნავს. ეს კი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სახიფათო მრავალი სხვადასხვა დაავადების საწინდარია...

ჰიპოკინეზიის კომპლექსის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ხალხური სანაოსნო საშუალებებით სეირნობა. გარდა კუნთური მოქმედებისა, სუფთა ჰაერი, მზის სხივები, წყლის მიკროკლიმატი, ბუნების სილამაზე დადებითად მოქმედებს მათზე, ვინც სეირნობს ნიჩბიანი ნაწილებით. ამ დროს ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა თავისუფლდება გონებრივი და ფიზიკური შრომით გამოწვეული დაღლილობისა და დაძაბულობისაგან. ამრიგად, ნიჩბოსნობა და აფროსნობა აქტიური დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამასთან, დადგენილია, რომ ხალხური ნაწილების ნიჩბვა, მისი ტექნიკის შესწავლა გაცილებით იოლია, ვიდრე ნიჩბოსნობა სხვა სახის თანამედროვე სპორტული ნაწილებისა, და ამდენად, ხელმისაწვდომია ფართო მასებისათვის.

ამგვარად, ჩვენს წყალსატევებში ქართული, ძველბურთი ხის ხოფიან-აფრიანი ნაწილების გაცოცხლება საშური საქმეა, იგი დიდად გაზრდის ახალგაზრდობის ინტერესს ცურვის, ტურიზმის, საწყალოსნო სპორტის, ზღვაოსნობისა თუ ხომალდშენებისაკენ... ამ საქმის დიდი აღმზრდელითი, სასწავლო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ექვს არ იწვევს... ასევე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მისი, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლის გაცოცხლების ფაქტს... ეს და სხვა ღონისძიებანი ხელს შეუწყობს აგრეთვე ტურიზმის განვითარებასაც კუს ტბის მიდამოებში, სადაც ამისათვის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიც მეტად ხელსაყრელია. ამის შემდეგ, თუკი რესპუბლიკა ეკონომიკურ მოგებას ნახავს, მაშინ სხვა რეგიონებში, უფრო ფართო მასშტაბებით, შესაძლებელი გახდება ამგვარ ღონისძიებათა დანერგვა-განვითარება, რისთვისაც, კოლხეთის დაბლობის გამოყენებას, ალბათ, მეტი პერსპექტივა აქვს.

რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, ძველბურთი ნაწილები და სხვა საშუალებანი იცხოვრებენ რა ახალი ცხოვრებით, აცხოვრებენ სხვასაც, ანუ თავის აღმშენებელს თუ პატრონს, ვინაიდან მათი გონივრული გამოყენება-გაქირავებით მივიღებთ სოლიდურ შემოსავალს. ამ გზით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დიდ მოგებას პოულობს, რაც საყოველთაოდაა ცნობილი. გახსოვთ, ალბათ, პოეტის სიტყვები: „დროს რომ ეცლია, მტერს რომ ეცლია, კოლხეთს ვაქცევდით ჩვენც ვენეციად...“ და კიდევ, გაცოცხლებული ძველ ქართული ნაწი, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენი, თანამედროვე დიზაინერთა გონების დარჩავეში გამოვლილი, ქართული მზის, მთვარის, ვერძის თუ თევზის ორნამენტებით დამშვენებული, უთუოდ ამაღლებულ განწყობილებას შეუქმნის ყველას, ვინც მას სასეირნოდ ეწვევა...

და ყოველივე ეს რომ გაკეთდეს, უნდა ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ ვიდრე გვიანი არ არის, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ჩვენი ნაწიშენებლები, რომლებმაც დღემდე მოგვითანეს ეს საიდუმლო... იქნებ გავაერთიანოთ ისინი, შევქმნათ კოოპერატივი; მაგალითად, ამ წესით ვანელებმა სულ რამდენიმე კვირაში ააგეს „არგოს“ ასლი და დიდი გალაკტიონის სახლ-მუზეუმის სიახლოვეს, სპეციალურად მისთვის აგებულ პავილიონში დაუდეს ბინა. რა გვეთქმის, კარგია როცა ასეთ პატივს მივაგებთ „არგოს“, რომელმაც მოგვტაცა ოქროს საწმისი და მედეა, კარგია როცა აღტაცებას ვიჩენთ ყოველი უცხოელის თუ უცხოის მიმართ, მაგრამ ჩვენი, ჩვენებურიც არ უნდა დავივიწყოთ (ამ მხრივ,

ზოგიერთი ღონისძიებების გვერდით, აღსანიშნავია 1984 წელს თბილისში სასტუმრო „აჭარის“ საზღვაო რესტორნის ინტერიერის მოწყობა ჩვენი რეკომენდაციით, ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით და ამ რესტორნისათვის კოლხ მეზღვაურთა მფარველი ღვთაების „მესეფი“-ს დარქმევა), გვახსოვდეს, რომ ოქროს საწმისის ლეგენდის მიხედვით თვით ძველი ბერძნები კოლხური ხომალდების საუკეთესო საზღვაო თვისებებს (სისწრაფე, გამძლეობა, კარგი მანევრირების უნარი...) განადიდებენ, მიუთითებენ ხომალდთა სიმრავლეს კოლხეთში, აღიარებენ რომ ღია ზღვაში აიეტის და აფსირტეს ხომალდიონმა (ფლოტმა) გაუსწრო თვით სწრაფმავალ „არგოს“ და სხვ.

ჩვენებური ნაგებისადმი განსაკუთრებული დაინტერესება, რაც კარგადაა ცნობილი უცხოელ ავტორთა შრომებით, დამამტკიცებელია მათი უნივერსალობისა, რომლებშიც ხორცშესხმულია საუკეთესო საზღვაო თვისებები, რაც ასევე შედეგია საქართველოში ნავმშენებლობისა და ნაოსნობის უძველესი ტრადიციებისა, რომელთა აღდგენა-განვითარებას თეორიულ ღირებულებასთან ერთად მომავალში დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა ექნება. შესაძლოა, ძველებური ქართული ნაგები სახელმძღვანელოდაც გამოდგეს დაუმსახურებლად დაგვიყვებული ხალხური ნაოსნობის აღსადგენად. ჯერ ერთი, ეს საჭიროა არა მარტო ჩვენი ყოფის კოლორიტის, თავისებურებათა შესანარჩუნებლად, არამედ ტრადიციული მეურნეობის კანონზომიერი განვითარებისათვის. ამასთანავე, ზღვის სანაპიროს, მდინარეების, ტბების და წყალსატევების სისუფთავე დიდად არის დამოკიდებული მათი გამოყენების ხარისხზე. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, რესპუბლიკაში უმძიმესი მდგომარეობაა. ეკოლოგიური თანაფარდობა ვერაფრით ვერ დამყარდება თუ თანამედროვე ძრავებიანი წყლის ტრანსპორტი, სადაც შესაძლებელია, მინიმუმამდე არ შეიკვეცა, სპაგიეროდ უნდა გამოვიყენოთ ის უვნებელი ხალხური საშუალებანი, რომლებიც ჯერჯერობით ასე უხვადაა ჩვენი შემორჩენილი. რაც მთავარია, პრაქტიკულად ამის განხორციელება დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, მხოლოდ მონდომებაა აუცილებელი და მეცნიერული მიღწევების ხორცშესხმას უსათუოდ შევძლებთ. მეტადრე უკუგება თვალსაჩინო იქნება. ამას მოითხოვს დღეს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებელი განვითარების შინაგანი კანონზომიერება და კარზე მომდგარი ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც გვინდა თუ არა მაინც შემოგვეჭრა. ამჯერად ერთი რამ დავგრძენია—ეს მოძალეა ისეთ კალაპოტში ჩავაყენოთ, რომ ეროვნული რეალიების შენარჩუნება-აღდგენით მისი მართვა შევძლოთ.

მაგალითად, დადგენილია, რომ ძველებური ქართული ხის ნაგების (ჭალადიდური ნიში, ოდიშური ნავი, ლაზური ფელუკა, ნიშა და სხვ.) კუსტარული წარმოების აღორძინება გამართლებული და მისაღებია ეკონომიკური თვალსაზრითაც, რადგან საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, მრავალფეროვან კლიმატურ პირობებში, ადგილობრივი ტრადიციული სანაოსნო ტრანსპორტის შენარჩუნებით უფრო რენტაბელური და იაფი გახდება კოლხეთის ჭაობიანი ადგილების დაშრობასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება (ძრავიანი ნაგები აჭუჭყიანებენ რა გარემოს, ხელს უშლიან თევზების ტოფობას, ამასთან, დაბალ და შლამიან ადგილებში მალე გამოდიან მწყობრიდან და შესაბამისად, მატერიალური ზარალიც დიდაა...). საინტერესოა, რომ



ქველქართული
წიგნების გამომცემი

სულ ახლახან, რუსეთშიც, აშშ-ის, კანადის, იაპონიის კვალდაკვალ აფრიანი ხომალდების დანერგვა, კერძოდ, კასპიის ზღვის აკვატორიაში, სადაც წელიწადში თითქმის 300 დღე ქარია, რაც ხელსაყრელია აფრიანი ნაგების სამეურნეოდ გამოყენების თვალსაზრისით. ამგვარი ხომალდები აგებულია ძველებური გამოცდილების გათვალისწინებით. მათი დანერგვით, მთლიანად არა, მაგრამ ეკოლოგიური პრობლემებიც ნაწილობრივ მაინც დადებითად გადაწყდება. მომავალში გათვალისწინებულია ამ ტიპის ხომალდთა გამოყენება ტურისტული მარშრუტებისათვისაც, რაც შავი ზღვის მიმართაც რომ განხორციელდეს, უპრიანია: განახლდება ისტორიული შიდასამდინარო და სანაპირო ნათანობა—ნაწილობრივ მაინც აღდგება ძველი, მივიწყებული სანაოსნო არტერიები (მომავალში შავი და კასპიის ზღვების უძველესი, ტრადიციული კავშირ-ურთიერთობის გამოცოცხლებაც არაა გამორიცხული, მით უმეტეს, ეს რეგიონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნობილი „აბრეშუმის გზის“ სისტემაში, რომლის აღდგენასაც ამჟამად მრავალი ქვეყანა და კერძო კომპანია ცდილობს—გამოყოფილია დიდძალი თანხა, შექმნილია საორგანიზაციო საბჭო...), რამაც ტურიზმის განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია სამეურნეო მნიშვნელობაც აღიდგინოს, რითაც ამიერკავკასიის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობის ფართო პერსპექტივებიც ისახება... ამასთან, ბრტყელნერჩა ხის სამდინარო ძველქართული ნაგების აღდგენა-აღორძინებით მნიშვნელოვანდ განმტკიცდება ის კავშირ-ურთიერთობანი ჩვენი ქვეყნის შიდა რეგიონებს შორის, რაც ოდითგანვე არსებობდა და, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება. მართლაც, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნების ამასწინანდელ თათბირზეც აღინიშნა, ამ გზით (ე. ი. ძველებური ხის ნაგების გამოყენებით) კიდევ უფრო გაიზრდება იმ ნედლეულის რაოდენობის საზღვარგარეთ გატანა, რითაც მდიდარია საქართველო და ასევე გაფართოვდება ჩვენთვის აუცილებელი პროდუქციის შემოტანაც...

ზღვაოსნობის ძველი ტრადიციების აღდგენის საქმეში კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტური გახლავთ ტიმ სევერინის ექსპედიცია ხომალდ „არგოთი“.

ბერძნული თქმულება არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ მიკენტურ ხანაში შეიქმნა (დაახლ. ძვ. წ. XIII ს-ის I ნახევარი) და მასში აისახა ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. თანამედროვე არქეოლოგიური, ლინგვისტური, ეთნოგრაფიული და მეცნიერების სხვა დარგების მონაცემების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არგონავტების მითი ეგეოსის ზღვისპირეთსა და პონტოსპირეთს შორის რეალურად არსებული ურთიერთობის საფუძველზეა აღმოცენებული, ხოლო შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ამ ორ რეგიონს შორის ორმოცდაათხოფიანი ხომალდის შექმნამდა (ანუ ძვ. წ. VII ს-მდე), ეგეოსის ზღვის შავ ზღვასთან დამაკავშირებელ სრუტეებში (განსაკუთრებით ბოსფორის სრუტეში) ძლიერი საწინააღმდეგო დინების გამო (3-იდან 8 კმ-მდე საათში) შეუძლებელი იქნებოდა ნაოსნობა (პ. მერლე, მ. კარპენტერი, ჯ. გრემი), აქარწყლებს, როგორც საკუთრივ ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემები (ვ. ნევსკაია, ს. მაკაროვი), ასევე ბრიტანელი მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის მიერ 1984 წელს (3 მაისი—22 ივლისი) მოწყობილი ექსპედიციის შედეგები. ამ ექსპედიციამ ძვ. წ. II ათასწლ. ეგეოსური სამყაროსათვის ტიპიური ოცხოფი-



ქართული

განმარტოების

ანი ხომალდით განვლო არგონავტებისათვის ნავარაუდები ქ. იოლკოსიდან (თანამედროვე ქ. ვოლოსი) მდ. რიონის შესართავამდე. არც ერთ ლიტერატურულ წყაროში (ძველადმოსავლური, ბერძნულ-რომაული და ა. შ.) არ არის აღწერილი ხომალდის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური წესები, რის გამოც ტ. სევერინმა გამოიყენა ძველი ესკიზები, სხვადასხვა ნივთზე ნავების გამოსახულებანი და ძველ ავტორთა ცნობები. მაგრამ ძირითადად იგი მაინც დაეყრდნო საბერძნეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ აფრიანი ხომალდების მშენებლობის ტრადიციებს, რომლის დროსაც არ გამოუყენებიათ არც ერთი ლითონის დეტალი. ახალი „არგო“ ოცხოფიანი ხომალდი—მიკენური ეპოქის ბერძნული საბრძოლო თუ საექსპორტო ხომალდის ზუსტი ასლია. ამ ხომალდის სიგრძე 15,50 მ, სიგანე 2,85 მ, ქიმის სიმაღლე 1,6 მ, წყალშიდობა 1,2 მ-ია და აქ დაცულია ძველი ბერძნული წესი ხომალდების მშენებლობისა: სიგანე სიგრძის დაახლ. ერთ მეექვსედს უნდა შეადგენდეს. საინტერესოა, რომ ეთნოგრაფიული მონაცემებით ანალოგიური წესით ხომალდმშენებლობა, ლითონის დეტალების გამოყენების გარეშე და სხვ. დადასტურებულია საქართველოს ზღვისპირეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, და რაც ყველაზე საინტერესოა, ძველკოლხური საბრძოლო კამარაც, ფორმითა და დანიშნულებიდან მიხედვით, ძალზე ჰგავს არგონავტების ხომალდს, თუმცა კამარა ანტიკური ავტორების მიხედვით მხოლოდ კოლხეთში გავრცელებული ნავის ტიპია და იგი სხვაგან არსად არ გვხვდება (მათ, ალბათ, მხედველობაში ჰქონდათ კამარას უფრო დიდი ზომა, და ტევადობა და სხვ.). ტიმ სევერინმა ძველ ზღვაოსნთა მსგავსად, რომლებსაც არ გააჩნდათ საზღვაო ხელსაწყო-იარაღები, გამოიყენა ნაოსნობის ხალხური ცოდნა-გამოცდილება (ვარსკვლავების მოძრაობა, ქარების მიმართულება, ტალღების მოყვანილობა და ა. შ.). ხომალდის სიჩქარე 5 კვანძი იყო, რაც ნაკლებია კოლხური კამარას მიერ განვითარებულ სისწრაფეზე და იგი მანევრირებითაც ჩამორჩებოდა ამ უკანასკნელს...

ამ მოგზაურობით ტ. სევერინმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა 33 საუკუნის წინანდელი ლეგენდა კოლხეთის სანაპიროზე და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამგვარი ტიპის ნავებით (არგო, კამარა, დრაკარი, კიილე და სხვ.) შორეული ნაოსნობა, რაც ადრე წარმოუდგენლად ითვლებოდა, სავსებით რეალურია¹⁵. დაახლოებით „არგოს“, კოლხური კამარას, ვიკინგური დრაკარის მსგავსი ნავით ლეივ ერიქსონმა XI ს-ის დასაწყისში მოაწყო ნორვეგიიდან ამერიკაში მოგზაურობა. უფრო ადრე ვიკინგები თავიანთი კიილე ნავებით საქართველოსაც ეწვივნენ, რაც კარგადაა ცნობილი. ახლახან ვიკინგური ნავით, რომელიც ძველი მოდელის მიხედვით ააგეს ამერიკელებმა, მინესოტას შტატიდან მოაწყეს ვადაცურვა ნორვეგიაში (7600 კმ), რასაც 10 კვირა დაჰქირდა. ამგვარი მავალითების მოყვანა კიდევ მრავალგზის შეიძლებოდა... არადა კოლხები სანაოსნო საქმეში, როგორც ირკვევა, არ ჩამოუვარდებოდნენ ძველი სამყაროს ცნობილ ზღვაოსან ხალხებს, მაგრამ დღეს სხვას ან ჩვენს საზოგადოების ფართო მასას როგორ დავუმტკიცოთ, ეს, თუ არ გვექნება საქართველოში ერთ დროს არსებული ხოფებიანი ნავების და აფრიანი ხომალდების ასლები მოქმედებაში ან სამუზეუმოდ მაინც.

¹⁵ T. Severin, The Voyage of Tason and she Argonauts to seek the Golden Fllace, London, 1985.

დღეს საქართველოს აქვს თავისი საოკეანო ფლოტი საქართველოს ზღვაო-სანაოსნოს სახით (დაახლ. 65 ხომალდი და რამდენიმე ათეული პატარა დამხმარე ორჩხომელი), მთავარი საზღვაო ჭიშკარი ბათუმის ნავსადგური, გარდა ამისა საოკეანო თევზჭერის ფლოტი—საზღვაო ჭიშკარი ფოთის ნავსადგური. მათთან ერთად გარკვეულ როლს ასრულებს სოხუმის ნავსადგურიც. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ: მეზღვაურთა კონტიგენტის შერჩევა ხდება სტიქიურად და ნაწილობრივ წინასწარი მომზადების გარეშე. ამის მთავარ მიზეზად, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდობის მიერ არჩეული სპეციალობის მიმართ ქართული ზღვაოსნობის ტრადიციების უცოდინარობა და მასთან ერთად საქართველოს ნაოსნობის ისტორიის უგულვებელყოფა. ამიტომ საჭიროა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, ბათუმის საზღვაო პროფტექსას-სასწავლებელში და ფოთის მეზღვაურთა სკოლაში, როგორც სპეცკურსი ისწავლებოდეს საქართველოს ნაოსნობის ისტორია, რათა გავაღვივოთ ჩვენი მომავალი მეზღვაურების ინტერესი ეროვნული ნაოსნობისადმი და არჩეული პროფესიისადმი.

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია აგრეთვე ამჟამად არსებული სქემების, ნახაზებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აღდგენილ იქნას ძველი ქართული ნაგების და მათი ასაგები ხელსაწყო-იარაღების საჩვენებელი ნიმუშები. ალბათ, უკვე დროა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სანავსადგურო ქალაქების მაგალითზე, ჩვენი (ბათუმი, ფოთი, სოხუმი) შეიქმნას ქართველთა ზღვასთან ურთიერთობის და სანავიგაციო ყოფის მუზეუმი, რაც გააქარწყლებს ზოგიერთის ინდეფერენტულ თვალსაზრისს ქართულ ნაოსნობაზე. ჩვენი სატიკვარი სამუზეოზე ჩვენვე უნდა გამოვიტანოთ, რათა აღვიდგინოთ ჩვენი ისტორიის უკულმართი ჟამთა სვლის შედეგად დაკარგული ძველი საზღვაო ქვეყნის სახელი და დიდება, რაც ასე სჭირდება დამოუკიდებელ საქართველოს, მის მომავალ თაობას. ამგვარი მუზეუმების შექმნა სკოლის ასაკიდანვე შთაუწერავს ჩვენს ახალგაზრდობას სურვილს, მისწრაფებას და სიყვარულს საზღვაო საქმისადმი და დააფიქრებს: „რანი ვიყავით წინათ და რანი ვართ დღეს...“ ამასთან, ძველი კოლხური ნაგების აღდგენა საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ეროვნული სპორტულ-ეთნოგრაფიული შერკინება საქართველოს სხვადასხვა რეგიონს შორის, რაც უეჭველია მიიზიდავს ჩვენი მოსახლეობის (ძირითადად ახალგაზრდობას) მნიშვნელოვან ნაწილს. არა გვგონია ასეთი სანახაობის მიმართ ჩამოსული სტუმარიც გულგრილი დარჩეს და მასთან ერთად დასაბამს მისცემს კიდევ ერთი დაკარგული ქართული ტრადიციის აღდგენას.

XVIII—XIX სს-ში დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა მდინარე და მასთან ერთად მათი დამაკავშირებელი უამრავი არხი მაქსიმალურად გამოიყენებოდა ნედლეულის, სხვადასხვა საქონლის და მოსახლეობის გადასაყვანად, მაგრამ XX ს-ის 20-იანი წლებიდან ახალი სატრანსპორტო საშუალებების გამოჩენასთან დაკავშირებით მათ დაკარგეს თავისი ეკონომიკური მნიშვნელობა მოქმედებდნენ ამ მდინარეების და არხების მხოლოდ 10%, რომლებიც გამოიყენებოდა დიდი გაბარიტიანი ტვირთის გადასატანად და კომერციული თვალსაზრისით.

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე უარყოფილი დიდი ბრიტანეთის პატარა მდინარეები და არხები სამოციანი წლებიდან ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა და მის ექსპლუატაციას სათავეში ჩაუდგა „ინგლისის საწყლოსნო გზების დეპარტამენტი“ (მსგავსი ორგანიზაციის შექმნა არც ჩვენთვის იქნე-



ბოდა ურიგო), რომლის მეშვეობითაც უკვე „დრომოკმული“ საწარმოების გამოყენება დაიწყო ტურისტულ-რეკრეაციული და ეგზოტიკურ-კომერციული თვალსაზრისით. მოხდა ამ მდინარეების და არხების მოდერნიზაცია, აღდგენილ იქნა ვიკინგთა და საქსთა ნაგებობების ტიპები, მცირე რაოდენობით ტვირთის გადატანაც დაიწყო, საიდანაც გაჩნდა სახსრები შეკეთებითი სამუშაოების ჩასატარებლად და რაც მთავარია, ამან გამოიწვია ნამდვილი ტურისტულ-რეკრეაციული „აფეთქება“. ამასთან დაკავშირებით ჟურნალ „Англия“ (1977,4) წერდა: „დიდი ხნის წინათ მიგდებული მდინარეების და არხების აღდგენა და გარდაქმნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალი ინგლისელის ცხოვრებაში. ეს მდინარეები და არხები ძირითადად გამოიხსნა იმათთვის, ვისაც უყვარს დასვენება და მოგზაურობა სხვადასხვა ფორმის, ზომისა და დანიშნულების ნაგებობით“.

საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობზე არსებულ მდინარეებზე და სადრენაჟო არხებზე უნიკალური პირობებია რეკრეაციულ-ტურისტული და კომერციული თვალსაზრისით მათი გამოყენებისა (ნაწილობრივ, აღმოსავლეთ საქართველოშიც შეიძლება ამ ღონისძიების გატარება მდინარეების მტკვრისა და ალაზნის აუზებში).

კოლხეთის დაბლობის ერთადერთი ჰემიპილესი ლანდშაფტი, მრავალი მდორე მდინარე და არხი შესაძლებელს ხდის ძველი (კოლხური) სანაოსნო საშუალებებით მათი ათვისებისა. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის თვალსაზრისით უნიკალურია მდინარე ფიჩორას და პალიასტომის ტბის რეკრეაციული სისტემა, სადაც შესაძლებლად მიგვაჩნია წინასწარ შედგენილი სქემით 2—3 დღიანი ტურისტულ-რეკრეაციული მარშრუტების დაგეგმვა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის, ცხენებითა და ძველებური ხოფიან-აფრებიანი ნაგებობით მოგზაურობისათვის. განსაკუთრებით მიმზიდველი და საინტერესო იქნება ძველი კოლხური სხვადასხვა ტიპის მცირე და საშუალო მოცულობის ნაგებობების აღდგენა, თავისი ეგზოტიკური მორთულობით და მენავთა ჩაცმულობით, რაც ძველისა და ახლის ჰარმონია იქნება. ასეთი ღონისძიებების გატარება, ერთი მხრივ (შესაბამისი პროსპექტებისა და ბუკლეტების დამზადების შემდეგ), მოიზიდავს ჩვენში უცხოელ ტურისტებს და აღადგენს ამ მხარეში ქართული ძველებური ნაგებობების დამზადების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას მისცემს შემოსავალს მყარი ვალიუტის სახით.

ამგვარად, ქართული ზღვაოსნობისადმი ზოგიერთთა ნიჰილისტური შეხედულება (რომელიც ყოველგვარ ისტორიულ ჰემიპირიტებას მოკლებული თვალსაზრისია, რადგან, ისეთი მდიდარი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შემოშლავება, მიუხედავად ისტორიული ბედუქულმართობისა, ჩვენმა წინაპრებმა რომ დაგვიტოვეს, არაზღვაოსანი ხალხისათვის გამორიცხულია და მსოფლიო საზღვაო პრაქტიკისათვის ამგვარი მაგალითი ცნობილი არცაა...) საბოლოოდ გაქარწყლდება მხოლოდ მეცნიერულ-თეორიული გამოკვლევების ფართო პროპაგანდითა და ზემოთ მოყვანილი პრაქტიკული რეკომენდაციების ცხოვრებაში დანერგვით.

კუთალიშვილი ზ. გ.

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ЛОДКИ И СОВРЕМЕННОСТЬ

Резюме

В работе на основании этнографических, археологических материалов и письменных источников показан высокий уровень навигации в древней Грузии, рассматривается назначение некоторых типов лодок и кораблей.

В Грузии с древнейших времен известны различные виды речного и морского транспорта, используемые в рыболовстве (ниши, фаталия, хечпа, чирниги, чаладидური ниში, одишури ნავი, орчხომელი и др.), в торговле (კოლხური ხომალდი, сандали, ფელუკა и др.) и в сражениях (კამარა, კატარგა, ოლეჩკანდერი и др. см. карту).

Характерно, что этнографические данные нередко совпадают с данными античных авторов, подчеркивающих высокий уровень развития судоходства в Грузии.

Этнографические данные свидетельствуют также, что именно эти типы лодок явились основой для развития судоходства в Грузии. Отмечаются их конструктивно-функциональные особенности, установлен ареал распространения отдельных видов, определена связанная с судоходством богатая и многообразная терминология, значительная часть которой грузинского происхождения /apra||პარუს, yuza||якорь, avi Kari, apkio, aptioni, ebdí, eye, zena kari, Larsa, Mesepi, mesače mxervali, kamara, maquki, peči, niavi, niši, olečkanderi, orčxomeli, sače, maliağri, saxerveli, šešai çalikoni, sio, xali, ხეჯერა, gunda, Helesa, Tetrosaei, niavkari, çirniyi, xori||xori, qui||якорь. хула...).

По-видимому, в древней Грузии, богатой всем необходимым для судостроения (драгоценные сорта корабельного леса, конопля *canabis colchica* L., лен *linum colchica* L., воск *mirica gala* L., *Kva dazi*, *bambaco Gophocarus fruticosus* L., *ckidila||kapanura bidens tripartita* L., *çarxu*, *putkugi*, *çilori* и др.) имелись разные типы лодок. Некоторые из них (одишури ნავი, чаладидური ниში, лазская фелюка, сандали и т. д.) использовались в народном быту вплоть до наших дней. Они отличались высокой маневренностью, что подтверждается как этнографическими данными, так и античными и другими письменными источниками.

Из трудов зарубежных авторов известно, что интерес к отечественным лодкам обусловлен их универсальностью, т. е. превосходными навигационными качествами, что является следствием древнейших традиций кораблестроения и судоходства в Грузии. Возрождение этих традиций может иметь в будущем теоретическое и практическое значение как для хозяйства, так и для экологии.

На грузинских реках, дренажных каналах, озерах и на побережье имеются уникальные условия, позволяющие использовать старинные суда для организации отдыха и туризма на коммерческой основе. Го заранее



разработанной схеме можно спланировать двух-трехдневные туристические маршруты с использованием лодок старинной конструкции.

Это мероприятие, с одной стороны (после подготовки соответствующих проспектов и буклетов), воскресит в Грузии технико-технологические традиции строительства древних лодок, а с другой стороны, привлечет к нам иностранных туристов и обеспечит приток валюты.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ

სამედიცინო ტერმინები—ხალხური მედიცინის კვლევის წყარო

ამა თუ იმ ხალხის სამედიცინო აზროვნების გაშუქებისათვის აუცილებელია განხილული იქნას სამედიცინო ლექსიკა: როგორც ზოგადად დაავადების, ისე ცალკეულ სნეულებათა აღმნიშვნელი ტერმინები და სხვა.

თანამედროვე მედიცინაში ზოგადად დაავადების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: თვით დაავადება, ავადმყოფობა და სნეულება. ძველ ქართულში V—XVIII საუკუნეების წერილობითი წყაროების მიხედვით, დაავადების აღმნიშვნელი სხვადასხვა ცნება გვხვდება: „სნეულება“ ანუ „სნება“, „სატკივარი“ ანუ ტკივილი; „სალმობა“, „წყულელი“, „ჭირი“, „მანკი“, „ავადმყოფობა“ და სხვა¹.

თითოეულ ამ ცნებას თავისი კერძო, განსხვავებული შინაარსი აქვს. მედიცინის ისტორიის მკვლევართა აზრით, ტერმინი სენი, რომელიც სიმართელის ანტონიმია, დაკავშირებულია უძველეს წარმოდგენასთან სამყაროს აგებულებასა და სიცოცხლეზე. შემდეგ კი ამ ცნებამ თავდაპირველი მნიშვნელობა შეიცვალა და მასში აისახა შეხედულება, რომლის მიხედვით სიცოცხლისა და ჯანმრთელობის // სიმართელის მდგომარეობა სხეულში არსებული ოთხი სითხის: სისხლის, ბალღამის (ლორწო), ზაფრასა და სევდის (ყვითელი და შავი ნალველის) წონასწორობას ნიშნავს, ხოლო სენი—წონასწორობის დარღვევას².

აღნიშნული მოსაზრების ერთ-ერთ არგუმენტად მეცნიერებს მოაქვთ სულხან საბა ორბელიანის შემდეგი განმარტება: „სენად ვიტყვთ ყოველთა ქცეულობათა ბუნებისასა“³. ხოლო „ქცეულობა // ქცევა, საბას მიხედვით, „ნაშენებათა“ ე. ი. აშენებულის, მოწესრიგებულის, გაწონასწორებულის დარღვევას ნიშნავს⁴.

სენი // სნება ზოგადად დაავადების მნიშვნელობით ქართულ ხალხურ სამედიცინო ლექსიკაში უკვე ნაკლებდ გვხვდება. რიგ შემთხვევებში, იგი აღნიშნავს მძიმე დაავადებას, რომელსაც ახასიათებს მაღალი სიცხე და გონების დაკარგვა⁵. მოწოდება აგრეთვე გამოთქმა—მუცლის სნება, რომელიც ძლიერი მუცლის ტკივილით, კუჭის აშლილობითა და მაღალი სიცხით

1 მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია. ტ. III, წ. I, თბ., 1956, გვ. 146.

2 იქვე, გვ. 150.

3 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

4 იქვე.

5 об. Ив. Пантюхов, О народной медицине туземцев Ринской долины, Медицинский сборник Кавказского медицинского общества, кн. XXIV, № 2, 1834, гв. 12.



მიმდინარე დაავადებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ, ⁶მედიკოსების მიხედვით, სნება ძველ ქართულში „საფუძვლით მიძიმე ავადმყოფობას“ ერქვა⁶.

სნებისგან განსხვავებით, წყლული // წყლულება, რომელიც ჭრილობის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ტერმინია⁷, ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში აღნიშნავს აგრეთვე სხვადასხვა ორგანოს ანატომიური მთლიანობის დარღვევას ანუ მორფოლოგიური ცვლილებების განვითარებას. მაგ., ნაწლავების წყლული, კუჭის წყლული, ფილტვის წყლული და სხვ. ე. ი. წყლული მთლიანობის ყოველგვარ დარღვევას აღნიშნავდა, რითაც უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული ჭრილობის მიყენებითა თუ სხვ.⁸

ამგვარად „სნება... ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესის მოშლას გამოხატავდა, ხოლო წყლული ანატომიური ხასიათის პათოლოგიურ ცვლილებებს“⁹.

ქართულ ხალხურ სამედიცინო ლექსიკაში წყლული ძირითადად ჭრილობას, გაღიზიანებულ ჭრილობას, კანის ზოგიერთ გაღიზიანებას აღნიშნავს. შინაგან ორგანოებთან მიმართებაში გვხვდება ძირითადად ტერმინი კუჭის წყლული, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიის გავლენას.

ცნება საღმობა, რომელიც ძველ ქართულში ტკივილის შესატყვისია, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ქართულ ხალხურ მეტყველებაში არ მოწმდება.

ტკივილი კი ხალხურში, ისევე, როგორც შუა საუკუნეების კლასიკურ მედიცინაში, აერთიანებს ამა თუ იმ ორგანოს სხვადასხვა დაავადებას, რომელთაც ერთი საერთო სიმპტომი—ტკივილი ახასიათებთ. მაგ.: ღვიძლის ტკივილი, კუჭის ტკივილი, თავის ტკივილი და სხვ.

რაც შეეხება ავადმყოფობას, ძველ ქართულში, ამ ცნებაში მხოლოდ დაავადება კი არ იგულისხმებოდა, არამედ საერთოდ „არა კარგად ყოფნა, მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანს რაიმე აწუხებს, ან გამოჯანმრთელების პერიოდშია და ჯერ კიდევ არ არის სრულიად განკურნებული“¹⁰. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტერმინი არ არის განმარტებული სულხან-საბა ორბელიანის მიერ. საერთოდ ძველ ქართულში ეს ტერმინი ზოგადად დაავადების მნიშვნელობით ნაკლებად მოწმდება.

განსხვავებით ზემოაღნიშნულისგან, ავადმყოფობა // ავადობა, როგორც დაავადების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, ხალხურ მეტყველებაში ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული.

არ არის გამორიცხული, რომ ცნება ავადმყოფობა, სენის მსგავსად, გარკვეული მსოფლმხედველობის, კერძოდ, ხალხში ყველაზე მეტად პოპულარული დუალისტური კონცეფციის—კეთილისა და ბოროტის დაპი-

⁶ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1948, გვ. 64.

⁷ იხ. იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება. კრბ. ქართული მწერლობა, თბ., 1982, გვ. 230. 231...; სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.;

⁸ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლესიკონი, თბ., 1973, და სხვ.

⁹ მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

¹⁰ იქვე, გვ. 166.

¹¹ იქვე, გვ. 147.



რისპირების ამსახველი იყოს. ე. ი. ისევე როგორც კარგად მყოფი, ჯანმრთელი ადამიანი, კეთილად, სიკეთეში მყოფს ნიშნავს¹¹. ავადმყოფი—ავად, არა კეთილად, სიავესა და ბოროტებაში მყოფს გულისხმობს¹². აქედან გამომდინარე, დაავადება//ავადმყოფობა, როგორც საერთოდ ყველაფერი უარყოფითი, ადამიანისათვის საზიანო მოვლენა, ხალხური გააზრებით, მოქცეულია ბოროტების //სიავის კატეგორიაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ—ავადმყოფობა—პოპულარული ხალხური მსოფლმხედველობის გამოხატველი ტერმინი ყველაზე მეტად შეეთვისა ხალხურ მეტყველებას.

საინტერესოა გადამდებ და ეპიდემიურ დაავადებათა აღმნიშვნელი ქართული ტერმინები: ძველ ქართულში გადამდებ დაავადებებს „სახადი“, „სარიგო“, „ჩამომავალი“, „მოარული“ ეწოდებოდა. ამ ცნებების შინაარსობრივი მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ცნობილი ყოფილა გადამდები სნეულების ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება. მაგ., ცნება „სახადის“ მიხედვით ირკვევა, რომ ადამიანს გადამდები დაავადება მეორედ აღარ ემართება, თუ ერთხელ გადაიტანა იგი უკვე მოხდილად ითვლება. ცნებები „სარიგო“, „ჩამომავალი“, „მოარული“ სენი გამოხატავენ გადამდებ სნეულებათა უმთავრეს თვისებას გადადებას, გავრცელებას¹³.

ზემოჩამოთვლილი ტერმინებიდან ხალხურ მეტყველებას მეტად შემორჩა: სახადი //სახდური და მოარული სენი. პირველი ძირითადად ინფექციურ სნეულებებს: წითელას, ყვავილს, ყვიანახველას, ქუნთრუშასა და სხვ. აერთიანებს და ზუსტად ასახავს ამ დაავადებათა ბუნებას, მათი იმუნიტეტის უნარს. მოარული სენი კი უფრო ფართო ტერმინია და ყოველგვარი სახის ეპიდემიების (ტიფი, დიზენტერია, ქოლერა, ამ ბოლო ხანებში სხვადასხვა სახის ვირუსული გრიპები და სხვ.) გულისხმობს და პირდაპირ მიუთითებს მათ კონტაგიოზურ, გადამდებ თვისებაზე.

ხალხური სამედიცინო აზროვნებისათვის, იმის გამო, რომ იგი ემყარება ძირითადად ემპირიულ დაკვირვებას, ძნელია გარკვევა დაავადებათა რეალურ არსში. სწორედ ამიტომ, ხალხურ მედიცინაში დაავადება უმეტესწილად განიხილება, როგორც სინდრომი ან სიმპტომი, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ცალკეულ სნეულებათა აღმნიშვნელი ზოგიერთი ხალხური ტერმინი: მქავანა, წითელა, სიყვითლე, ყვიანახველა, ციებ-ცხელება და სხვ.

დაავადებათა ზემოაღნიშნული სახელწოდებანი გვხვდება ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მაგ.: მქავანი//ქავანი¹⁴, წითლისა მანკი¹⁵, ცხელება, ცივება¹⁶ და სხვ.

ვგვიკრობთ, ეს ქართული ტერმინები, რომლებიც ხშირად კარაბადინებში არაქართული ტერმინების პარალელურად იხმარება, ხალხური ლექსიკიდან

11 კარგი—კეთილი, იხ. სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.
12 ავი—არა კეთილი, ავ—თქმის კაცისა ბოროტებისათვის და სხვ. სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.
13 მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.
14 იხ. უსწორო კარაბადინი, თბ., 1940, გვ. 59, 504; წიგნი სააქიმო. თბ., 1936, გვ. 259; ზაზა ფანაკერტელი—ციციშვილი. სამკურნალო წიგნი, თბ., 1988, გვ. 166, 732 და სხვ.
15 წიგნი სააქიმო. გვ. 266 და სხვ.
16 იაღიგარ დაუდი, თბ., 1985, გვ. 489 და სხვ.

არის შესული პროფესიულ სამედიცინო ლიტერატურაში, რაც თავისთავად ხალხური და პროფესიული მედიცინის ურთიერთკავშირზე მიგვიჩივებს.

ხშირად დაავადებათა აღმნიშვნელი ტერმინები ასახავს დაავადებათა ეტიოლოგიას, ზოგჯერ ისეთ უძველესს, რომელიც ხალხურ ცნობიერებას ნაკლებად შემორჩა, როგორც მაგ.,—დაავადებათა ნატურალისტური, მაგრამ არარეალური ახსნა, რომელიც საზოგადოების განვითარების ადრეული ეტაპისათვის შეიძლება უნივერსალურად ჩაითვალოს¹⁷. მაგ., გარკვეულ დაავადებათა მიზეზის სხეულში შეჭრილ რაიმე სავანსა თუ ცოცხალ ორგანიზმთან დაკავშირება. ამ მიმართებით საინტერესოა კბილის დაავადებათა აღმნიშვნელი ხალხური ტერმინები: დაჭიანებული, ჭიანაჭამი კბილი და სხვ. ამ უკანასკნელ ხანებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, კბილის ტკივილის ჭიანთან დაკავშირება ნაკლებად მოწმდება, ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში კი კბილის დაავადებათა ასეთ ეტიოლოგიას საკმაოდ ხშირად ვხვდებით: მაგ., „თუ კბილი მოეჭამოს ჭიან და მხურვალი იყოს“...¹⁸ ან კბილისათვისევე—კაპრისა ძირი მოადულე და გუნდი მოვალე, მისი ოდენი მარული გაურთე და პირშივა ჩაიყენებდეს, კბილისა ტკივილსა უშუელის და ჭიანსა მოჰკლავს“¹⁹.

როგორც ჩანს, ასეთივე ახსნა ჰქონდა გარკვეული სახის სიმსივნურ დაავადებებს, რაზედაც ძირითადად ამ დაავადებათა ზოგიერთი სახელწოდება მიგვიჩივებს. მაგ., კუ²⁰, დღემდე შემორჩენილი კიბო და სხვ. ეს ტერმინები დამოწმებულია როგორც ხალხურ მეთყველებაში, ისე კარაბადინებში. მაგ.: „თუ სარატანი იყოს რომე კუსა ქუიან მას ასრე შენახვა უნდა, რომე არ დაიფანტოს, თვარა მოკლავს კაცსა“²¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური განმარტებითაც კუ//კუს ქარი უმეტესწილად ავთვისებიანი სიმსივნეა, თუმცა ზოგ შემთხვევაში, იგი სხვადასხვა სახის კეთილთვისებიან სიმსივნეებსაც გულისხმობს (ფურუნკული, მასტიტი და სხვ.)²².

საქართველოში დამოწმებულ პროფესიონალ მკურნალთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უძველეს და საკმაოდ გავრცელებულ ლეგენდაში, რომელსაც ქართული ფოლკლორი უშუალოდ გალენუსს უკავშირებს, სწორედ ზემოხსენებულ ეტიოლოგიაზე, კერძოდ, მიიმე დაავადების „ტვინზე ჩაბლაუჭებული კუს“ მიზეზით ახსნაზეა საუბარი²³.

აღსანიშნავია, რომ კუს//კუს ქარის სამკურნალო მეგრული შელოცვები და სხვა მაგიური ქმედებანი, სხეულიდან კუს განდევნას ისახავს მიზნად²⁴.

¹⁷ იხ. Henry E. Sigerist, A History of Medicine, New zork, 1951, გვ. 128.

¹⁸ უსწორო კარაბადინი, გვ. 243.

¹⁹ ზ ა ზ ა ფ ა ნ ა რ ს კ ე რ ტ ე ლ - ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

²⁰ აღნიშნული დაავადების შესახებ სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით იხ. ლ. ფ ი ფ ი ა, სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან, კრბ. „ეთნოგრაფიული გამოკვლევები“, თბ., 1989, გვ. 90—98.

²¹ უსწორო კარაბადინი. გვ. 382 და სხვ.

²² იხ. ლ. ფ ი ფ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96.

²³ იხ. А. О. Яшвили, Народная медицина в Закавказском Крае, 1904, გვ. 108—111.

²⁴ ლ. ფ ი ფ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.



ამგვარად, ქართული კიბო, კუ, კარაბადინებში დამოწმებული კირ-
ჩხიბი და სხვ., ისევე როგორც ლათინური Cancer (ქართ. კიბო) როგორც
ჯხედავთ, ზემოხსენებული წარმოდგენის ამსახველი უძველესი ტერმინებია.
ეს წარმოდგენები ხალხურ ცნობიერებას უკვე ნაკლებად შემორჩა და მათ
შესახებ უმეტეს შემთხვევაში ტერმინებისა და სხვადასხვა სამკურ-
ნალო საშუალებებით შეიძლება მსჯელობა.

დაავადებათა უძველეს ეტიოლოგიას ასახავს ტერმინი ქარო/ქარები,
რომელიც ხალხურ მეტყველებაში სახსრების დაავადებას აღნიშნავს. ეს სი-
ტყვა შემადგენელია აგრეთვე სხვადასხვა დაავადებათა სახელწოდებებისა: მაგ.,
თიქარი, ფერდის ქარი, წითელი ქარი, კუს ქარი და სხვ.

ძველ ქართულ სამედიცინო ლექსიკაში ქარი დამოუკიდებლად, როგორც
დაავადების აღმნიშვნელი ტერმინი, არ გვხვდება. მოწმდება ძირითადად სხვა-
დასხვა ორგანოსთან მიმართებაში: მაგ., საშვილოსნოს ქარი, კოლინჯის ქარი,
ნიკრისის ქარი და სხვ.

ამავე დროს გვხვდება ავი ქარი²⁵, რომელიც რევმატულ დაავადებებს
გულისხმობს.

ქართულ კარაბადინებში ცნება ქარის მნიშვნელობა ეხმიანება ჰიპოკრა-
ტეს ცნობილ კონცეფციას ქარების შესახებ. ჰიპოკრატეს მიხედვით, ადამიანი
და საერთოდ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი საზრდოობს: საჭმლითა და ჰა-
ერით//სულით (პნევმა). ქარი ადამიანის სხეულში მოთავსებულ ჰაერს/სულს
ეწოდება, რომლის მოძრაობა სხეულში, მისი წონასწორობის დარღვევა იწვევს
სხვადასხვა დაავადებას²⁶.

როგორც ივ. ბერიტაშვილი აღნიშნავს, „ქართველმა ექიმებმა ისარგებ-
ლეს ამ ცნებით და თავისებურად განავითარეს იგი. ჰიპოკრატეს მიერ მოცე-
მული წარმოდგენის საფუძველზე მათ შეიმუშავეს თავისებური ფილოსოფი-
ური შეხედულება ავადმყოფობათა გენეზისზე. მათ დასახეს ქარები, როგორც
ორი მოწინააღმდეგე ძალა განსაზღვრული მატერიალური თვისებებით. წო-
ნასწორობის დარღვევა მათ შორის გარემო პირობების ზეგავლენით იწვევს
სხეულის დაავადებას“²⁷.

ლ. კოტეტიშვილმა, XVII ს-ს ერთ-ერთი სამედიცინო ხელნაწერის: „ყო-
ველთა სენთა დაბადებაზე ანუ რომლისა მიზეზისა გამო დაუტოვებს სული
გვამსა და სადგურსა თვისსა“ საფუძველზე, ქარების შესახებ შემდეგი კონ-
ცეფცია ჩამოაყალიბა: „სამყაროში არსებობს ორი საწყისი, ორი მამოძრა-
ვებელი ძალა: ცხელი ქარი და ცივი ქარი.

თუ ამ ქართაგან ერთ-ერთი იმატებს, მაშინ მოიშლება წონასწორობა
და ჰარმონია ყოველი სხეულისა. აქედან ჩნდება ავადმყოფობაც.

სხვანაირად ყოველგვარი ავადმყოფობის წარმოშობი მიზეზი ან ცხელი
ქარი არის ან ცივი, თუ სხეულში გამრავლებას იწყებს ერთი
რომელიმე ქარი, მაშინ მცირდება მეორე და გაძლი-
ერებული ქარი იჭერს მის ადგილს“²⁸ (ხაზი ჩემია **ვ. მ.**).

25 უსწორო კარაბადინი, თბ., 1940. გვ. 55.
26 ივ. Гиппократ, О ветрах, იხ. Избранные книги., 1936, ვგ. 264.
27 ივ. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში
(ძველი დროიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე), თბ., 1947, გვ. 175.
28 ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში (XV ს.) იხ. იაღიგარ დაუდი,
თბ., 1985, გვ. 13.

ამ მიმართებით საინტერესოა აგრეთვე ერთ-ერთი ფრაგმენტი „იადი-გარ დაუდიდან“: „...ღ თან ადამ შექმნა და კაცად გამოსახა, ოთხის ნივთისაგან შექმნა და გამოსახა: წყლისაგან. ცეცხლისაგან, ქარისაგან და მიწისაგან“²⁹. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ქარი იხმრება სიტყვა ჰაერის ნაცვლად.

ზემომოყვანილიდან ნათლად ჩანს, რომ კარაბადინებში ტერმინი ქარი სხეულში მოთავსებულ ჰაერს გულისხმობს და ამ ჰაერის წონასწორობის დარღვევა არის გარკვეულ დაავადებათა მიზეზი. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ქართულ სამკურნალო წიგნებში ქარით აღინიშნებოდა უმეტესად ის დაავადებანი, რომელთაც გამობერილობა ახასიათებდათ. მაგ., თიაქარი, ნიკრისის ქარი, წითელი ქარი და სხვ³⁰.

საინტერესოა ეზიარა თუ არა ქართული ხალხური სამედიცინო აზროვნება ზემოაღნიშნულ კონცეფციას. ჩვენს ხელთ არსებული მასალა ამის დამადასტურებელ პირდაპირ ფაქტებს არ მოიცავს. მაგრამ ზოგიერთ დაავადებათა ხალხური ეტიოლოგია ამ მიმართებით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს; კერძოდ, უნდა აღინიშნოს ხევსურეთში დამოწმებული მასალა „თავის ტკივილის“ შესახებ, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „თავის ძვლების გამრუდებით“ ხსნიან. „თავის ძვლების და ტვინის გამრუდებას“ კი „გაქარვით“ (გაციებით). „თავის ძვლების გამრუდებას (ხევსურეთში—**ბ. მ.**) იგებენ თავის სახსრების გაზომვით. შუბლიდან გაზომავენ ძაფით უკანა კეფის სახსრამდე, მეორე გვერდიდან გაზომავენ და თუ რომელიმე გვერდი მეტი ან ნაკლები აღმოჩნდა ან გამოწეულია (გამობერილია), მაშინ თავის ძვლები გამრუდებულია.

თავის ძვლების გამრუდების წამალი არაფერიაო, ისე კი ხელებით მოუქვარენ მაგრად, თავს იქითკენ მისწვენენ, რომელ გვერდზედაც აკლია ზომაში. როცა თავის ძვლები გასწორდება, თავის ტკივილიც გაუვლის“³¹.

ამგვარად, „თავის ძვლების გამრუდება“, ე. ი. ჩაზნექა—გამობერილობა“, ხევსურების აზრით, „გაქარვით“ არის გამოწვეული. და გაქარვა ამ შემთხვევაში გაციებას ნიშნავს, ეს სავსებით ლოგიკურია.

მაგრამ საინტერესოა ერთი ფაქტი, გაციება // გაქარვა ამ შემთხვევაში იწვევს არა უშუალოდ თავის ტკივილს, არამედ „თავის ძვლების გამრუდებას“, რომელიც არის თავის ტკივილის მიზეზი. „ხოლო თავის ძვლების გამრუდების“ გაციებით ახსნა უკვე ერთგვარ ეჭვს ბადებს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში „გაქარვა“, ქარების შესახებ ჩვენს მიერ ზემოაღწერილ კონცეფციასთან იყოს გარკვეულ კავშირში. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია და ამ მიმართებით უფრო ღრმა კვლევის პერსპექტივას სახავს.

ქართულ ხალხურ მეტყველებაში ქარის სხვა მნიშვნელობაც გვხვდება, კერძოდ „ავი ქარი“ განსხვავებით ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერებისაგან³². ავი სულის სინონიმია, ამ მიმართულებით საყურადღებოა ტერმინი: „ავქარდაკრული“, ე. ი. ავადმყოფი, რომელიც ავი ქარის//ავი სულის მიზეზით არის ავად და სხვ.

29 იადიგარ დაუდი, თბ., 1985, გვ. 229—230.

30 მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 89.

31 მ. ბალაური, ხალხური მედიცინა ხევსურეთში, ხელნაწერი, 1940, გვ. 2, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი.

32 იხ. უსწორო კარაბადინი, გვ. 55



ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ სულის ერთ-ერთი განმარტება: „ქარიც სულად უთქვამთ“, როგორც ჩანს, სულის ეს სინონიმი შემორჩა ხალხურ მეტყველებას. მხოლოდ იგი იხმარება, არა დამოუკიდებლად, არამედ ყოველთვის მსაზღვრელ ავთან (და არა კეთილთან) ერთად, ბოროტი სულის მნიშვნელობით.

ყურადღებას იმსახურებს ცნება ჟამი/ავი ჟამი და უჟმური, პირველი ხალხურ თუ ძველ პროფესიულ მედიცინაში შავი ჭირის სინონიმა. ცნობილია, რომ ჟამი დროის, კერძოდ, განსაზღვრული დროის, აღმნიშვნელი ტერმინია. როგორც ჩანს, ამ ტერმინში დროის ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე, კერძოდ, ავი ჟამი შესაძლებელია იმ ავ, ცუდ დროს აღნიშნავდა, როდესაც საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია მძინვარებდა და თვით დაავადებამაც ეს სახელწოდება მიიღო. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ავი ჟამი და შემოკლებული ჟამი ძველ ქართულ მედიცინაში შავი ჭირის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ამ მოსაზრების ერთ-ერთ არგუმენტად გამოდგება ნ. ჩუბინაშვილის შემდეგი განმარტება: ჟამი—ჭირი, მომსრელი სენი; ჟამიანობა, დრო, როდესაც მომსრელი სენი არის; ჟამ-კეთილი-კაი დრო³³.

ვფიქრობთ, დროის ფაქტორი უნდა იყოს ასახული აგრეთვე საქართველოში ფართოდ გავრცელებული დაავადების უჟმურის სახელწოდებაში. ამ დაავადების შესახებ ჩვენ აქამად არ ვისაუბრებთ³⁴.

აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართულში უჟამო/უჟამური/უჟამური-ჟამი³⁵, უდროვო დროს³⁶; სიბნელეს³⁷, გვიან დამეს³⁸ აღნიშნავს. ამავე დროს უჟამური/უჟამური—სენია უდროვოდ მოსული³⁹, ციება⁴⁰, ჭაობის ციებ-ციხელება⁴¹. უჟმურის მესამე მნიშვნელობა რწმენა-წარმოდგენების სფეროს განეკუთვნება, კერძოდ, უჟმური ზოგადად ავი სული⁴², ან უშუალოდ დაავადების გამომწვევი ავი სულია⁴³.

ეთნოგრაფიული, საარქივო თუ ლიტერატურული მონაცემებითაც უჟმური ზოგ შემთხვევაში თვით დაავადების სახელწოდებაა, ზოგჯერ ავი სულის ერთ-ერთი სინონიმი, ან ერთ-ერთი კატეგორია—დაავადების გამომწვევი ავი

33 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
34 აღნიშული საკითხის შესახებ იხ. დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984; Т. Сахокия, Из Мингресьской мифологии (Этнографический очерк) ხელნაწერი 1907, გვ. 10; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი; ნ. კაკუშაძე. უჟმურის საიდუმლოება, ჟურნ. „საბჭოთა ქალი“, 1964, № 4; ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981, გვ. 95; ლ. ფიფია, მასალები სამეგრელოს ხალხური მედიცინის ისტორიიდან (ნაეპმა) კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. თბ., 1988, გვ. 116—129 და სხვ.
35 ალ. დლონტი. ქართულ კილო—თქმათა სიტყვის კონა, 1984.
36 დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი; ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.
37 აქვე.
38 ალ. დლონტი, ქართულ კილოთქმათა ლექსიკონი, თბ., 1984.
39 ნ. ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი.
40 დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.
41 ალ. დლონტი, დასახ. ნაშრომი.
42 ჰ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VI.
43 Чурсин, Почитание огня на кавказе иб. Кавказ, 1902 № 121.

სულია. ამავე მასალების მიხედვით, უქმურით დაავადების დროდ მიჩნეულია მზის ჩასვლის შემდგომი ხანა—სალამო, ღამე, ხოლო „უქმურის აყოლის“ ადგილად—ზნელი, ნესტიანი ადგილები, უფრო ზუსტად კი ნესტიანი მიწა⁴⁴. ვფიქრობთ, სწორედ ეს შეხედულებებია ასახული ცნებაში უქმური და მის ერთ-ერთ სინონიმში აყოლილი, რომელთაგანაც პირველში უქმურით დაავადების დრო ან სნეულების „გამომწვევი“ ავი სულების მოქმედების აქტიურობის ხანა (მზის ჩასვლის შემდეგ) ასახული, მეორეში კი დაავადების შეყრის ადგილზე—„მიწიდან აყოლაზე“ მინიშნება.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, დაავადებათა აღმნიშვნელი ტერმინები ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდის ხალხური სამედიცინო აზროვნების წარმოსახენად. მაგ., საინტერესოა სახელწოდებანი: „სამთავრიო“, „მთავრული“ მეგრ., „თუთაში“ და სხვ., რომლებიც დაავადებებთან დაკავშირებულ ხალხურ ასტროლოგიურ ცოდნაზე მიგვითითებს, ხოლო სახელწოდება „საყმაწვილო“—დაავადებათა ასაკობრივ ხალხურ კლასიფიკაციაზე.

ბუნებრივია, ჩვენ აქ ვერ შევძელით შევხებოდით ყველა იმ ხალხურ სამედიცინო ცნებას, რომელშიც ხალხური ცოდნა ასახული. ასეთი მონაცემები კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

გვინდა განვიხილოთ კიდევ ერთი ტერმინი—ეკიმბაში, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „პირი, რომელსაც სამედიცინო მომზადება არა აქვს და ავადმყოფებს მკურნალობს შელოცვებითა და თვითნაზადი წამლებით“, ე. ი. ეს ტერმინი არაპროფესიონალს, ხალხურ მკურნალს აღნიშნავს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეკიმბაშს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოდ, იგი როგორც თვით სიტყვის პირდაპირი თარგმანი „ეკიმბათავი“, მართლაც ეკიმბათეთურს აღნიშნავდა და საქართველოს სამეფო კარის უფროსი ეკიმბის ტიტულს გულისხმობდა.

„მეფის კარზე მომუშავე ეკიმბები ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით ხარისხდებოდნენ: ეკიმბებზე მაღლა იდგა ეკიმბაში (ეკიმბაში), ხოლო ეკიმბაშთა შორის ერთ-ერთ პირს ენიჭებოდა კიდევ უფრო მაღალი ხარისხი, თუ წოდება „პირველი ეკიმბაშისა“⁴⁵.

ამ კუთხით საინტერესოა, სოლომონ II-ის მიერ ანტონ ყარაშვილისადმი გაცემული მოწმობის წიგნი, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს მეფეს თემურაზს მოუწვევია სამეფოსა შინა საქართველოს ქალაქსა თბილისსა თავის-

⁴⁴ უქმურთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. იხ. Т. Мамалაძე, Народные обычаи и поверия гурийцев. СМОМПК, Тф., 1893, вып. 17, გვ. 102; М. Машурко. Из области фантазии и быта Тифлиской губернии, СМОМПК, вып. 18, Тф., 1894, გვ. 319; Ф. Сахокия, დასახ. ნაშრომი გვ. 10; Г. Ф. Чурსин, Амулеты и талисманы Кавказских народов, Махачкала, 1929; И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского языка, СПб, 1814 გვ. 337 1914, გვ. 337; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 207; ჯ. ნოლაიძე, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ტფ., 1935, გვ. 7—8; ბ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981, გვ. 95; ლ. ფიფია, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—124; Н. Абакелия, Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991, გვ. 49—51 და სხვა.

⁴⁵ მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173,

და მახლობლად, და მასაც მიეღო დიდი პატივითა აზნაურობისა და განსაზღვრებით დამტკიცებულსა პაპისა ჩუენისაგან ბოძებულთი სიგელისა და მის მთელთა გვაროვნებისათვის ებოძებინა ახალი სიგელი აზნაურობისა და დაედგინებინა წინაშე თვისსა პირველ ექიმბაშად და განეგლო ერთგულებით სამსახურით⁴⁶.

ასევე საგულისხმოა გიორგი XIII-ის 1799 წლის სიგელი, სადაც ვკითხულობთ „წყალობითა ღმრისათა ჩუენ იესიან დავითიან სოლონიან პანგერათანამან სდ ქართლოსი კახეთის და სხუათა მეფემა გიორგიმ და თამემცხედრემან ჩუენმან ციცი სვილის ასულმან ბატონმა დედოფალმა მარიამ და ძეთა ჩუენთა დავთ იანემ ო.—ქროპირმა და ირაკლიმ და მისმა ძემან ჩუენმან გრიგოლ ესე წყალ-ბის წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩუენს ერდგულს და წესისაებრ მრავალ გუარად ნამსახურს ანტონ—ნაშვილს ექიმბაშს (ხაზი ჩვენია, ნ. მ.) იოსებს სვილსა შენსა იოანეს პეტრეს ანდრიას და ანტონის სვილთა და მომავალთა სახლისა“⁴⁷ და ა. შ., როგორც ვხედავთ აქ ანტონ ყარაშვილის სვილების იოსების და სხვათა შესახებ არის საუბარი⁴⁷.

საინტერესოა თუ რატომ მიიღო ამ ტერმინმა შემდეგ სხვა მნიშვნელობა. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი, რომელიც მას ერთ-ერთი ქართველი უდიპლომო ექიმის სიმონ ცოტაძის „შევიწროების“ გამო დაუწერია.

სიმონ ცოტაძე როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, „უმალღეს მთავრობის“ ზოგიერთ ექიმს „უმეცარ ექიმბაშად და ექიმობის არა მცოდნე პირად“ მიუჩნევია და „მთავრობის კანონის ძალით მისთვის ექიმობის აკრძალვა მოუთხოვია“. სწორედ ამ მიზეზის გამო ზ. ჭიჭინაძე თავის სტატიაში წერს, რომ რა თქმა უნდა, ყველას ვაღია „მატყუარა ექიმბაშები ალაგმოს“, მაგრამ მათ რიცხვში არ უნდა მოექცეს ისეთი პირნი, რომელთაც შესაძლებელია ევროპული განათლება არ მიუღიათ, მაგრამ ქართულ კარაბადინებზე არიან აღზრდილნი. ხოლო „ქართულ ძველ „კარაბადინებში“ ბევრი ისეთი მკურნალობა არის აღწერილი, „რის ცოდნა ევროპის მედიცინას არა აქვს, ამიტომ, ყველა მას შესწავლა უნდა, გაცნობა და არა დევნა და გმობა ძირიან-ფესვიანა, ეს აუცილებელია ვინაიდან ქართულ კარაბადინებს“ აქვს მეტად მდიდარი ისტორია, იგი წარმოადგენს არა მარტო ქართველი ერის განათლებულ მკურნალთა და დოსტაქართა ცოდნას, არამედ იგი არის განსწავლულ ექიმთა და მკურნალთა, ასევე ინდოელთა, ქალდეველთა, არაბთა, სპარსთა, ოსმალთა, სომეხთა და სხვათა“⁴⁸.

ამ ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, რომ მაშინდელი ოფიციალური წრეების მიერ ექიმბაშად იწოდებოდნენ ის პირნი, რომელთაც ქართული სამედიცინო სკოლა ჰქონდათ გავლილი და ქართულ სამედიცინო ტრადიციებზე აღზრდილი პროფესიონალი მკურნალები იყვნენ. ვფიქრობთ, ტერმინ ექიმბაშის მნიშვნელობის შეცვლა საქართველოს მედიცინის ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპს უკავშირდება. კერძოდ, ცნობილია, რომ XIX საუკუნეში საქართველოში სახელმწიფო სამედიცინო სამსახურში ქართულ მედიცინას

46 მოწმობის წიგნი სოლომონ II-ისა ანტონ ყარაევისადმი, იხ. მ. სააკაშვილი ო. ა. გელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

47 გიორგი XIII-ის სიგელი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ф—Hd № 13170.

48 იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართული მკურნალობით განსწავლული მკურნალის სიმონ ცოტაძის ქართული დიპლომის ამბავი (ისტორიული მიმოხილვა VII—XV საუკუნეების), ტფ., 1925, გვ. 1.



ენაცვლება „რუსულ-ევროპული“ პროფესიული მედიცინა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ადრე ქართულ მედიცინას არავითარი კავშირი არ ჰქონია ევროპულ მედიცინასთან, რომ არაფერი ვთქვათ ადრეულ პერიოდზე, ამის მაგალითად მხოლოდ საქართველოში კათოლიკე მისიონერების სამედიცინო საქმიანობაც იკმარებდა. საინტერესოა, რომ ზემოხსენებულმა, „ანტონ ყარაევმა (ყარაშვილმა, ნ. მ.) ექიმობა შეისწავლა კათოლიკეებისაგან“, იტალიურ ენაზე. მან ექიმობა შეასწავლა თავის ორ ვაჟს—ივანეს, რომელიც ზოგან იოანედ იწოდება და ანდრიას⁴⁹, როგორც მ. შენგელია აღნიშნავს: „ჯერ კიდევ XVI ს. და განსაკუთრებით კი XVII საუკუნიდან ქართულ მედიცინაში აშკარად იგრძნობა ევროპული მედიცინის გავლენა ტერმინოლოგიის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის მეთოდებისა და სხვა მხრივ. საქართველოში თანდათან მრავლდებიან რუსეთსა და ევროპაში განათლება-მიღებული ექიმები, მაგრამ აღორძინების პერიოდი (XV—XVII—XVIII საუკუნეები) უმთავრესად მაინც ძველი ქართული მედიცინის განახლების, ძველი ქართული სამედიცინო აზროვნების აღორძინების ხანაა...

...„საქართველოს რუსეთთან შეერთებამ... დააჩქარა თანამედროვე (რუსულ-ევროპული) მედიცინის საბოლოოდ გავრცელება-დამკვიდრების ადრე დაწყებული პროცესი, 1803 წლიდან საქართველოში (ჯერ ქართლ-კახეთში და შემდეგ თანდათანობით დასავლეთ საქართველოში) დამყარდა სამედიცინო მომსახურების რუსული სისტემა (ხაზი ჩემია—ნ. მ.) „საექიმო“ მმართველობის სამაჟრო ექიმის თანამდებობების, საკარანტინო სამსახურის, აფთიკების, საავადმყოფოებისა და სამხედრო ჰოსპიტლების სახით, ხოლო ძველი ქართველი ექიმების მოღვაწეობა აკრძალეს⁵⁰. მაგ. „1826 წელს „საექიმო გამგეობამ“ აუკრძალა პრაქტიკა ივანე და ანდრია ყარაევებს⁵¹.

სწორედ ამის გამო, ვფიქრობთ, ძველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილმა პროფესიონალმა ექიმებმა თუ ექიმბაშებმა, ხალხური მკურნალობის რანგში გადაინაცვლეს და ამ სიტყვამაც, სრულიად ახალი, არაპროფესიონალის, ხალხური მკურნალის მნიშვნელობა მიიღო. ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე საქართველოს მთიანეთში დამოწმებული ხალხური დასტაქრის აღმნიშვნელი ტერმინი „აქიმი“. რადგან ასეთი მკურნალების საქმიანობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ოფიციალური წრეების მიერ შეფასებული იყო, როგორც უარყოფითი მოვლენა, სავსებით ლოგიკურია, რომ ეს სიტყვა უარყოფითი დატვირთვით იხმარებოდა. თვით ზ. ჭიჭინაძე—ტერმინ ექიმბაშს, არაპროფესიონალის, უმეცარის, ხშირ შემთხვევაში, შარლატანის მნიშვნელობას ანიჭებდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მეტყველებაში ექიმბაშის სწორედ ასეთ ასოციაციას იწვევს. ამის ნათელ მაგალითს ქართულ ენციკლოპედიაში დაბეჭდილი ექიმბაშის განმარტებაც იკმარებდა⁵².

ვფიქრობთ, ზემოთმოტანილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამედიცინო ტერმინების კვლევას ხალხური სამედიცინო აზროვნების გამოვლენის, მედიცინის განვითარების ისტორიისა თუ საერთოდ ქართული ხალხური მედიცინის შესწავლისათვის.

49 იხ. მ. ბერძენიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983, გვ. 207—208.

50 მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970, გვ. 182—183.

51 მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

52 იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1979, ტ. IV.

Н. МИНДАДЗЕ

 МЕДИЦИНСКИЙ ТЕРМИН—ИСТОЧНИК ЭТНОГРАФИЧЕСКОГО
 ИЗУЧЕНИЯ НАРОДНОЙ МЕДИЦИНЫ

Резюме

Для изучения народного медицинского мышления весьма важно исследование медицинских терминов, в которых отражены: народное мировоззрение, как, например, дуалистическое воззрение в терминах: ა ვ ა დ მ კ ო პ ი (больной) — дословно, человек который находится во власти зла и „კარგადმკოპი“ (здоровый) — человек в добром мире; народные представления о причинах заболеваний в терминах: „დაჩიანებული კბილი“ (червявый зуб), „კუ“ (черепашка) — древнегрузинское название злокачественных опухолей и т. п.; народные знания в области симптоматики в терминах: მკავანა — чесотка, სიკვითლე — желтуха и т. д.

Заслуживает внимания термин „экимбаши“ — знахарь. В XVIII веке, это слово применялось для обозначения титула приворных врачей, точнее, главного врача при дворе грузинских царей. С XIX века оно приобретает иное содержание и означает знахарья, а лаще знахарья — шарлатана. В XIX веке после присоединения Грузии к России, грузинская традиционная медицина на государственном уровне заменяется „русско — европейской“ медицинской системой и она (грузинская медицина) переходит в ранг народной медицины. В связи с этим официозом запрещается деятельность грузинских врачей-профессионалов. Не исключено, что именно этот процесс отражен в изменении значения термина „экимбаши“.

Вышесказанное указывает необходимость дальнейшего изучения народной медицинской терминологии.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერ ღირებულებათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ.



ნიკო ჯავახიშვილი

რას შეისწავლის ფალერისტიკა

ფალერისტიკა წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან Phalara. იგი აღნიშნავდა ლითონის ბალთებს, სამკაულებს, რომლებიც მიმაგრებული იყო მებრძოლთა მუზარაღზე, მკერდზე ან ცხენის შუბლზე და სამხედრო წარჩინების ნიშნების როლს ასრულებდა. მოგვიანებით, ეს წესი რომაელმა ლეგიონერებმაც გადაიღეს თავიანთი მხედრული ღირსების აღსანიშნავად. ფალერა წარმოადგენდა ჯილდოს მამაცობისათვის.

ფალერისტიკა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომლისადმი ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში.

ისტორიულ დისციპლინათა რიგში ფალერისტიკა, რომელსაც კვლევის საკუთარი სფერო, თავისებური სტრუქტურა და სპეციფიკური ამოცანები გააჩნია, ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან შევიდა. მანამდე იგი მონეტების შემსწავლელი მეცნიერების—ნუმიზმატიკის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. ჩეხმა ნუმიზმატებმა პირველებმა შემოიტანეს წინადადება, რომ ნუმიზმატიკურ მასალას გამოყოფოდა ჯილდოები: ორდენები, ჯვრები, მედლები და სხვ. 1937 წელს ჯილდოთა ჩეხმა კოლექციონერმა ოლდრჟიხ პილცმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტერმინი „ფალერისტიკა“, რომელიც საბჭოთა პერიოდიკაში პირველად 1965 წელს გამოჩნდა¹.

ფალერისტიკა წარჩინების ნიშნების წარმოქმნასა და არსებობას შეისწავლის თანადროულ ისტორიულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. იგი იკვლევს ორდენებს, მედლებსა და სხვა სახის წარჩინების ნიშნებს, როგორც ისტორიის ნივთიერ წყაროებს.

დაჯილდოების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის შესწავლის პროცესში, ფალერისტიკა, წარჩინების ნიშნების გარდა ეყრდნობა შემდეგ ისტორიულ წყაროებს: დაჯილდოების დოკუმენტაციას (მასში შედის დაჯილდოების აქტები, დაჯილდოების სტატისტიკური მონაცემები, ცნობები დაჯილდოებულ პირთა შესახებ); ფონოდოკუმენტებს; ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს; კინო-ფოტო დოკუმენტებს, რომლებზედაც უშუალოდ წარჩინების ნიშნები და მათი მფლობელია გამოსახული².

ჯილდოთა შესწავლა ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი ამოცანაა, რადგან ფალერისტიკულ ძეგლებზე ნათლად არის ასახული კაცობრიობის მიერ განვლილი გზა, ისტორიული ქარტეხილები, რითაც გაჯერებულია ჩვენი წარსული. ფალერისტიკა ისევე დრამატულია, როგორც თვით ისტორია.

1 ლ. ფირცხალავა, ისტორიის მეცნიერების შესავალი, თბ., 1995. გვ. 80.

2 იქვე.



ქართული
ენების
მეცნიერება

გარდა იმისა, რომ წარჩინების ნიშნები, დაჯილდოების სისტემა და მათთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაცია საკმაოდ ვიზუალურია, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის შესწავლისათვის, განმასხვავებელი ნიშნები საიუველირო ზელოვნების ძეგლებია და თავისი დროის მხატვრული გემოვნების მაჩვენებელიცაა. მართალია, წარჩინების ნიშნები ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ გამონაკლისი აქაც მოიპოვება შვეიცარიის სახით, სადაც საერთოდ არ არსებობს არავითარი პირადი ჯილდო და კანონით აღიარებული ჰელვეციის ყველა მოქალაქის თანასწორობა უკრძალავს მათ უცხო სახელმწიფოს ორდენის მიღებასაც კი³.

წარჩინების ნიშნების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებისათვის იყო ცნობილი დაჯილდოების ისეთი ორიგინალური ფორმა, როგორიცაა ადამიანის სხეულის ტატუირება. ასეთი პატივი, ძირითადად, ბრძოლაში თავგამოჩენილ მეომრებს ხვდებოდათ წილად⁴.

მსოფლიოს ქვეყნების ისტორიიდან ფართოდ არის ცნობილი ჯილდოთა არაერთი სახეობა, თუმცა ფალერისტიკა შესწავლის ძირითადად ორდენებსა და მედლებს. მეცნიერების ამ დარგის ინტერესთა არეში შედის ისეთი წარჩინების ნიშნებიც, როგორიცაა საპატიო იარაღი (მეტწილად ძვირფასი ქვებით მოოჭვილი და ოქრო-ვერცხლით მოსვეადებული), აგრეთვე, ე. წ. სამაგიდო მედლები, რომლებიც გაცემულია გარკვეული დამსახურებისათვის, ანდა რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის აღსანიშნავად არის მოჭრილი.

ისეთი სახის ჯილდოები, როგორიცაა: წერილობითი მადლობის სიგელი, დიპლომი, აღიარების დეკრეტი, ლითონის ან ბროლის თასი, ოქროს ან ვერცხლის საათი, ავტოკალამი, წიგნი, ფულადი პრიზი და სხვა მისთანანი—არ წარმოადგენს ფალერისტიკის კვლევის ობიექტს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ტერმინ „ფალერისტიკის“ მეტნაკლებად შესატყვის ქართულ ტერმინად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ჯილდოთმცოდნეობა“, თუმცა ეს უკანასკნელიც დაახლოებით ისეთივე პირობითი ცნება იქნება, როგორც მაგალითად „ნუმიზმატიკის“ ნაცვლად დამკვიდრებული „საფასთმცოდნეობა“ (ეს ტერმინი მონეტებთან აერთიანებს ქალაქის ფულსაც, რომელიც ნუმიზმატიკისაგან მკვეთრად გამიჯნული სპეციალური საისტორიო დისციპლინის—ბონისტიკის შესწავლის საგანია).

ორდენი წარმოდგა ლათინური სიტყვიდან Ordo, რომელიც ნიშნავდა რიგს, თანრიგს. ფრანგი მკვლევრის ა. პროს აზრით, პირველი ორდენი ჩნდება ჯერ კიდევ 370 წელს ეთიოპიაში⁵.

ორდენი ეწოდება სხვადასხვა ფორმისა და სახელწოდების მქონე წარჩინების ნიშანს, რომელიც გარკვეული დამსახურებისათვის გადაეცემა ამა თუ იმ პიროვნებას. ორდენი შეიძლება იყოს, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ხარისხისა. ორდენის, როგორც საპატიო ჯილდოს წარმოშობა უკავშირდება სასულიერო და სარაინდო ორდენგაერთიანებებს, რომლებიც მე-12 საუკუნის-

3 ლ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

4 Всеволодов И. В., Беседы о фалеристике (Из истории Наградных систем), Москва, 1990, стр. 6.

5 ლ. ფირცხალავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.



დან არსებობდნენ ევროპაში, მსგავსად ბერ-მონაზონთა ორდენებისა. სამხედრო ბერ-მონაზონთა სარაინდო ორდენები, კერძოდ, ტამპლდერთა ორდენი, იოანიტთა ორდენი და გერმანული ორდენი ჯვაროსნული ომების დროს დაარსდა პალესტინაში. მე-13—მე-14 საუკუნეებში სარაინდო ორდენების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა დასავლეთ ევროპაში. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ტეცტონთა და ლივონიის ორდენები ათი ათასობით რაინდს ითვლიდა. თავდაპირველად, ეს ორდენები სამხედრო-რელიგიურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და ექვემდებარებოდნენ რომის პაპს, ხოლო შემდეგ მათი უმრავლესობა მოექცა ცალკეულ მონარქთა გამგებლობის ქვეშ, რომლებიც თვითონვე აარსებდნენ ახალ სარაინდო ორდენებს. ორდენთა წევრები ატარებდნენ სხვადასხვა ფორმისა და ფერის ჯვრების გამოსახულებიან ტანისამოსს. მე-14—მე-16 საუკუნეებში ფართოდ ვრცელდება სამეფო კარის ორდენები. ამ ორდენთა წევრებს ეცვად ბრწყინვალედ და ჰქონდათ გამორჩეული საორდენო ნიშნები, რომლებმაც, მოგვიანებით, ჯილდოთა სახე მიიღო. ასეთი იყო, მაგალითად, წვივსაკრავის ორდენი, რომელიც 1349 წელს დაარსდა ინგლისში ედუარდ მესამის (1327—1377) მეფობის დროს, ანდა სულიწმინდის ორდენი, რომელიც 1579 წელს დაწესდა საფრანგეთში⁶.

აღსანიშნავია, რომ იზაბელა პორტუგალიელზე ქორწინების დღეს—1429 წლის 10 იანვარს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა ფლანდრიაში დააწესა ოქროს საწმისის ორდენი რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ ცნობილ ჯილდოდ ითვლება. ცოტას ხედა წილად ამ ორდენით დაჯილდოების პატივი, რადგან ხსენებული წარჩინების ნიშნის მსურველთათვის მისაბამ მაგალითად თვით კოლხეთიდან ოქროს საწმისის გამტაცებელი ლეგენდარული იაზონი იყო დასახული⁷.

ორდენი, ძირითადად, ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმის იყო. როგორც წესი, მას სპეციალური ძეწკვით ატარებდნენ ან საორდენო ლენტზე ამარებდნენ. მაღალი ხარისხის ორდენები ზოგჯერ კეთდებოდა მხარზე გადაკიდებულ, ფართო, ფერად ლენტზე. არსებობდა გარკვეული საფეხურებრივი კიბე ორდენთა შორის და მათი მინიჭების საგანგებო წესი (სტატუტი). ზოგჯერ, ორდენთა გადაცემა სპეციალურად მოწყობილ ცერემონიალებზე ხდებოდა.


მე-18—მე-20 საუკუნეებში მსოფლიოში არაერთი ორდენი დაწესდა. ამას ხელი შეუწყო ხსენებულ პერიოდში მომხდარმა მრავალრიცხოვანმა ომებმა. სამხედრო ხასიათის ჯილდოები განსაკუთრებით მომრავლდა პირველი (1914—1918) და მეორე (1939—1945) მსოფლიო ომების დროს.

მედილი წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან *Metallum* და ეწოდება მრგვალი, ოვალური ან სხვა ფორმის გამოსახულებიან ნიშანს, რომელიც იჭრება ამა თუ იმ ცნობილი მოღვაწის პატივსაცემად, ან რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად, ანდა, გამოიყენება, როგორც წარჩინების ნიშანი. იგი პირველად იტალიაში მოჭრეს მე-14 საუკუნეში. თავდაპირველად, მედალს ჰქონდა, როგორც ქვეყნის ხელისუფლება, ისე ცალკეული საზოგადოება, ან

⁶ Жалейко Б. А., Залесский С. А., Орден, БСЭ, т. 18. Москва, 1974, гл. 491.

⁷ Фенглер Х., Гироу Г., Унгер В.. Словар нумизмата, Москва, 1982, гл. 197.

⁸ Всеволодов Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 41.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძო პირი, მე-17 საუკუნიდან კი მისი დამზადება სახელმწიფოს ხელისუფლებას გადაეცა. მედალი როგორც ჯილდო ოფიცერთათვის, მე-17 საუკუნეში შემოიღო შვედეთის მეფემ გუსტავ ადოლფმა (1594—1632). აქედან იგი მთელს მსოფლიოში გავრცელდა. მედლით აჯილდოებენ სამხედრო, მეცნიერულ-კულტურული თუ სხვა დამსახურებისათვის⁹.

ორდენებისა და მედლების დიდი ნაწილის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მედალიონი. იგი არის მრგვალ ან ოვალურ ჩარჩოში ჩასმული გამოსახულებანი თუ ორნამენტებიანი კომპოზიცია, რომელსაც ზოგიერთი ორდენის ან მედლის ცენტრში ათავსებენ.

ეროვნული წარჩინების ნიშნები სხვადასხვა დროს შემოიღეს მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოებში. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან პირველი სახელმწიფო ჯილდოები (ორდენები) დაწესდა: რუსეთში—1698 წელს, ოსმალეთში—1799 წელს, ხოლო ირანში—1808 წელს. კავკასიელთა შორის პირველი ეროვნული ჯილდოები 1841 წელს შემოიღეს ჩეჩენთ-დაღესტანში. ეს ფაქტი დაკავშირებულია იმამ შამილის სახელთან¹⁰.

რუსეთის საიმპერიო არმიაში მომსახურე ილია დიმიტრის ძე ორბელიანი (1816—1853), რომელიც 1842 წელს, რვა თვის განმავლობაში ტყვედ იმყოფებოდა შამილთან, თავის მოგონებათა წიგნში წერდა: „როცა შამილი ჯარს ესტუმრება ან ჩაუვლის მას, ატყდება თოფების სროლა. მამაცობისათვის შამილი აჯილდოვებს მათ. მამაცობისათვის დაწესებულ მედალს აქვს წარწერა ალ-ყურანიდან, რომელიც იუწყება: „ლაი ხეველა ვოალა კუვოტა ილაპ ბილაპ (არარაობაა ძალა, ციხე-სიმაგრე—გარდა ღვთისა)“¹¹.

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების წარჩინების ნიშნების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს. შექმნილია ფრიალ მნიშვნელოვანი ნაშრომებიც ^{12—35}.

⁹ Жалейко Б. А., Медаль, БСЭ, т. 15, Москва, 1974, с. 553.

¹⁰ Спасский И. Г., Иностранные и русские ордена до 1917 года, Ленинград, 1963, с. 126—130.

¹¹ ორბელიანი ი., რვა თვე შამილის ტყვეობაში, სათავგადასავლო ოხზულება, თარგმნა, წინასიტყვაობა დაურთო და ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა ელიზბარ უბილაევამ, თბ., 1991, გვ. 88.

¹² Спасский И. Г., დასახ. ნაშრომი.

¹³ Всеволодов И. В., დასახ. ნაშრომი.

¹⁴ Колесников Г. А., Рожков А. М., Ордена и Медали СССР, Москва, 1978.

¹⁵ Дуров В. А., Русские и советские боевые награды. Государственный орден Ленина Исторический музей. Внешторгиздат., Изд. 471 p, 1890.

¹⁶ Abbott P. E., Tamplin J. M. A., British Gallantry Awards, London, 1971.

¹⁷ Brinkmann J., Orden und Ehrenzeichen des „Dritten Reiches“, München, 1975.

¹⁸ Chaffanjon A., Les grands ordres de Chevalerie, Paris, 1969.

¹⁹ Dimacopoulos G. D., Greek orders and Medals, Athens, 1961.

²⁰ Falkenstein J. Von, Imperial Austrian Medals and Decorations, Tucson Arizona, 1972.

²¹ Gillingham H. E., South American Decorations and War Medals, 1932.

²² Gillingham H. E., Italian Orders of Chivalry and Medals of Honour, MeW York, 1939.

უკანასკნელ დრომდე, ქართული ფალერისტიკის საკითხები არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თეთრ ლაქად რჩებოდა³⁶. არადა, არსებობს ქართული ორდენების ტრადიცია, რომელიც 1915 წლიდან იღებს სათავეს, თუმცა ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ბოლოს წამოაყენა იოანე ბაგრატიონმა (1768—1830).

პირველი ქართული წარჩინების ნიშანი—თამარ მეფის ორდენი 1915 წელს დაწესდა. ამ ორდენით დაჯილდოება 1918 წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში (1917—21) სახელმწიფო ჯილდოთა როლს რუსეთის იმპერიის სამხედრო წარჩინების ნიშნები—გიორგის ჯვრები ასრულებდა.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ დაწესდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, როგორც სამხედრო წარჩინების ნიშანი და შრომის წითელი დროშის ორდენი, როგორც შრომითი ჯილდო. მსგავსი დასახელების საერთო-საკავშირო ორდენების შემოღების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში თანდათან შეწყდა მოქალაქეთა ეროვნული წარჩინების ნიშნებით დაჯილდოება. აქედან მოკიდებული, თითქმის სსრ კავშირის დაშლამდე, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთა როლს ასრულებდა საერთო-საკავშირო ორდენები და მედლები.

ქართული ფალერისტიკული ძეგლებისა თუ მათი პროექტების (რომელთაც მთელ რიგ მიზეზთა გამო არ ელირსა განხორციელება) ისტორიის დეტალურ შესწავლას გარკვეული პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე, როდესაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს ისტორიის მიჩქმალულ საკითხთა ობიექტური კვლევის აუცილებლობა. ხაზგასასმელია ქართული ფალერისტიკის საკითხების განხილვის მნიშვნელო-

³² Gordon L. L., *British Battles and Medals*, London, 1962.

³⁴ Grove F. W., *Orders Awards and Military Decorations of Mexico*, 1974.

³⁵ Harelton A. W., *The Russian Imperial Orders*, New Uovk, 1932.

³⁶ Klenau A., Graf. *Grossev deutscher Ordenskatalog*, München, 1974.

³⁷ Klientman K. G., *Phaleristik-Rumänien*, Bevlín, 1975.

³⁸ Lange K., *Orden und Ehrenzeichen der Deutschen Demokratischen Republik*, Dresden, 1964.

³⁹ Mericka V., *Orden und Auszeichnungen*, Prag, Artia, 1966.

⁴⁰ Mericka V., *Faleristik, ein Buch über Ordenskunde*, Prad, Artia, 1976.

⁴¹ Neudecker O., *Ordensritterliche Heraldik*, Görlitz, 1940.

⁴² Svoboda Z., *Vietnamska vyznamenani*, Praha, 1965.

⁴³ Werlich R., *Orders and Decorations of all Nations (Ancient and Modern, Civil and Military)*, Washington, 1973.

⁴⁴ Werlich R., *Russian Orders, Decorations and Medals, including those of imperial Russia, the Provisional Government and the Soviet Union*, Washington, 1968.

⁴⁵ Werlich R., Andolienko S., *Badges of Imperial Russia, Military, Civil and Religion*, Washington, 1973.

³⁶ ნ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის. ახლგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „პარტანუჯი“, 1994, № 1, გვ. 19—23.



ბა ჩვენი სამხედრო ისტორიის ახლებური შესწავლის თვალსაზრისითაც. დამ-
მულ პრობლემას აქტუალობას მატებს ის ფაქტიც, რომ საბედნიეროდ, სსრ
კავშირის წარჩინების ნიშნების ადგილი უკვე დაიკავეს ახალმა ქართულმა
სახელმწიფო ვილდობმა.

Н. Г. ДЖАВАХИШВИЛИ

ЧТО ИЗУЧАЕТ ФАЛЕРИСТИКА

Резюме

В труде разъяснено—что изучает одна из подсобных отраслей истории
— Фалеристика, которая была создана как историческая дисциплина три
десять лет тому назад, но до сих пор считалась составной частью ну-
мизматики.

Отмечено, что, много значительных исследований созданы о наградах
— орденах и медалях—в отдельных странах мира, однако вопросы грузинс-
кой фалеристики до сегодняшнего дня не были монографически изучены
и оставались белыми пятнами истории.

После обзора нескольких основных вопросов грузинской фалеристики
в статье подчеркнута необходимость ее теоретического и практического
изучения.

წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ

ღაკით ნინიძე

ზაგრატიონთა სამეფო სახლის განუხრებლად წარმოშობისათვის

თეიმურაზ II-ის მიერ კონსტანტინე მუხრან ბატონისათვის 1745 წ. ნაბოძებ მუხრანბატონთა ვერცხლის მრგვალი დროშის წარწერაში აღნიშნულია, რომ მეფე თეიმურაზმა გადასცა „დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს“...¹ ყურადღებას იქცევს ტერმინი—„ნატომსა მეფეთასა“ ანუ „ნატომი მეფეთა“, რომელიც ერთ დროს ზაგრატიონთა—მუხრანბატონთა მიმართ იმარება და, ჩვენი აზრით, აღნიშნავს, რომ ისინი უკვე აღარ არიან „ტომი მეფეთა“ ანუ მეფეთა გვარისა, არამედ მხოლოდ „ნატომი“ ზაგრატიონთა სახლისა.


რა პროცესი უნდა იგულისხმებოდეს ამ ტერმინის ქვეშ?

XV ს-ის ბოლოს საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის თვალსაზრისით ახალი ეტაპი დგება. მნიშვნელოვანმა ტეხილმა „ბატონიშვილობის“ საკითხშიც შეიტანა შესაბამისი ცვლილებები. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ამ ვითარებაში „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტი ახალ ხასიათს იძენს, მისი ძველი ფორმები ქრება და შესაბამისი—ახალი იბადება. მათ შორის გაქრა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტიც, რომელიც XIV—XV სს-ში არსებობდა².

ერთიანი სამეფოს დაშლის შედეგად წარმოშობილ ტერიტორიულად მცირე, პატარა ქართულ სამეფო-სამთავროებში ე. წ. „კნინ მეფეთა“ არსებობისათვის აუცილებელი პირობები აღარ არსებობენ. ახალ ვითარებაში დამოუკიდებელი სამეფო ტახტები უფრო უნარიანად აღმოჩნდნენ დინასტიური ბრძოლისა და „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის ასეთი სეპარატისტული ფორმების საარსებო საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაშლისაკენ მიმავალი და „ჩიხის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის სამეფო ტახტს XIV—XV სს-ში უჭირს მისი სამფლობელო ტერიტორიების შესაბამისი კონტროლირება, სათანადოდ ვერ იბრძვის ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგ, რომელთა შორის „პროვინციის მეფეებიც“ არიან. XVI ს-დან ისედაც პატარა სახელმწიფოებში სამეფო ხელისუფლება თავის კუთვნილ ტერიტორიის უკვე უწყვეს რეგულირებას. მეფეები და მთავრები აღარ უშვებენ ასეთი

¹ Е. Такайшвили. Серебряное знамя Мухранского владетеля Константина. 1745г. „Изв. Кавк. отд. Имп. Моск. арх. общества“, вып. 11, 1907, გვ. 117

² ვრცლად იხ. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობისათვის, „მაცნე“, № 3, 1992; დ. ნინიძე, მ. სანაძე, პოპანავანქის მონასტრის ეგვტრის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“. ისტორიის სერია, № 3, 1990.



„მეფეების“ მფლობელობისათვის აუცილებელი პირობების არსებობის საძლებლობას. ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში სამეფო ტერმინი რიულ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძირითადად გადატარა მთელი ტერიტორია. თუ XIV-XV სს-ში „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო მამულებს იმუნიტეტი აქვს და იგი ძირითადად გამოყოფილია სამეფო დომენიდან, მომდევნო პერიოდში საუფლისწულო—საბატონიშვილო სამეფო დომენის განუყოფელი ნაწილი ხდება.

XVII—XVIII სს-ში საბატონიშვილოები (სადედოფლოც) პირობით სამფლობელოს წარმოადგენდა, მეფე მისი უზენაესი და ფაქტიური გამგებელი, მეპატრონე იყო. რადგან ამ პერიოდიდან იგი სამეფო დომენის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ სახასოს დაქუცმაცებასაც ადგილი აღარ აქვს. წინა ეტაპთან შედარებით ეს იყო ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი. ამდენად, „ბატონიშვილობის“ საკითხის ახალ საფეხურზე (XVI—XVII სს.) „პროვინციის მეფეთა“ არსებობის ანუ ე. წ. „ჩიხის“ ეპოქის საპირისპირო ვითარება გვაქვს. XVI—XVII სს-ში საბატონიშვილო და სადედოფლო სამფლობელოები დროებით სარგებლობაში გადაცემული საკუთრებაა. მეფის თანხმობის გარეშე სამეფო სახლისა და ბაგრატიონთა გვარის წევრებს მათი გასხვისების უფლება არა აქვთ³. ბატონიშვილის გარდაცვალების შემთხვევაში სამეფო დომენიდან მისთვის გადაცემული მიწები კვლავ ტახტის განკარგულებაში გადადიოდა, მეფე კი ამ მამულების წყალობას თავის ნება—სურვილის მიხედვით აზორციელებდა. ამ პერიოდში ბატონიშვილები და დედოფალი მსგავსი სამფლობელო მიწებიდან ღებულობდნენ წლიურ შემოსავალს და სამეფო სახლის უახლოეს წევრთა მფლობელობის პრობლემა ასეთი კუთხით წყდებოდა, მაგრამ გამწვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხის მოგვარება მაინც ვერ ხერხდება. იგი კვლავ მწვავედ დგას და ახალ ნიშან-თვისებებსაც იძენს.

მთავარი მიზეზი, რაც ბაგრატიონთა სამეფო სახლში ვითარებას ამწვავებს და „ბატონიშვილობის“ საკითხის მხრივ ახალ პრობლემებს წარმოშობს, XVI—XVIII სს-ის ქართული სამეფო-სამთავროების ურთულესი საშინაო ვითარებაა—„დაღმავალი“ ფეოდალიზმი, განანგრძლივებული ბატონყმობის ხანა, რომელსაც თავისებურად „შეთავსდა“ სათავადოების სისტემა და სხვ. ამას ურთულესი საგარეო ფაქტორიც ეჯაჭვება და ყოველივე ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების სტაგნაციას იწვევს. XVI ს-დან „საქართველების“⁴ მდგომარეობაზე აკად. ნ. ბერძენიშვილი ლაკონურად აღნიშნავდა, რომ „საქართველო ასეთი უმეზობლო, ასე მტრებშემოკვეული არასოდეს ყოფილა“⁴.

ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა ერთი ნაწილი მათთვის გადაცემული სამფლობელოებისა თუ სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობების საშუალებით მოიპოვებდა შესაბამის უფლებრივ სტატუსს, რითაც მათი „ბატონიშვი-

3 ვრცლად იხ. ზ. ხიდურელი, ფეოდალური მიწათმფლობელობა XV—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (სამეფო დომენი), თბ., 1989.

* ტერმინი იხმარება იმ პერიოდის ისტორიულ წყაროებში დაშლის შემდეგ წარმოშობილი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოების აღსანიშნავად—„განაწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თესთადმი სამეფოხსათუს საქართველოსა“ (1791 წ.), ქსძ, II, 1965, გვ. 509, 516. 522.

4 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. მსკი, ნაკვ. I, 1944, გვ. 47.



ლობის“ საკითხი გარკვეულად რეგულირდებოდა, მაგრამ **ბაგრატიონთა** ორე უმეტესი ნაწილისათვის „ბატონიშვილობის“ პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. სამეფო ოჯახის ბიძაშვილები, შორეული ნათესაეები, განსაკუთრებით, ბაგრატიონთა გვარის გამრავლებული გვერდითი შტოს წარმომადგენლები, თავიანთი ბაგრატიონობის გამო, ტახტისაგან შესაბამისი იურიდიული სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ. მათ ზოგიერთ წარმომადგენელს გარკვეული ლეგიტიმური უფლებებიც ჰქონდა, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი კარგადაა შენიშნული XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის მთავარსარდლობის მიერ: „Персидский государь имел власть выбирать в грузинские цари по произволу своему кого-либо из Багратионов...“⁵ ის მომენტი, რომ ირანი და ოსმალეთი ხშირად ყურადღებას არ აქცევდა ლეგიტიმურობას და „საქართველობის“ ტახტზე მისთვის სასურველ ბაგრატიონს ამეფებდა, თავის მხრივ, ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ხშირ დარღვევას იწვევდა, რასაც ქართულ სამეფოებში მათ გარეშეც ჰქონდა ადგილი. ეს განაპირობებდა ბაგრატიონთა ისედაც გამრავლებული შტოების გვერდით ახალ განშტოებათა წარმოშობას, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური პრეტენზიები უჩნდებოდა. მათი ერთი ნაწილი გარკვეული სამართლიანობის—ლეგიტიმურობის აღდგენას მოითხოვს და სამეფო ტახტის მოსაპოვებლადაც იბრძვის. ასეთი კუთხით გართულებული პრობლემა ერთმანეთს უპირისპირებს ბაგრატიონთა სამეფო სახლის გამრავლებულ სხვადასხვა შტოებს, რაც, ბუნებრივია, „ბატონიშვილობის“ საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს. მეორე ნაწილი შეიძლება სამეფო ტახტისათვის არც იბრძვის, მაგრამ მათთვის ბაგრატიონობის შესაბამისი სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. უმთავრესი კი ის არის, რომ ამას ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად და სოცეკონომიკურად დაუძღურებულსა და დასუსტებულ სახელმწიფოებში. სამეფო ტახტს ამ კუთხით თავისი ძველი ფუნქციის შესრულება აღარ შეეძლო. ამდენად, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ „ბატონიშვილობის“ საკითხმა სხვა სიმწვავე შეიძინა ანუ სამეფოების შიგნით არსებული გამწვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხი—მათი ურთიერთბრძოლა და მოგვარების გარკვეული გზები, ხოლო მეორე მხრივ, დინასტიური ბრძოლა თავად დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და მათში გამეფებულ ბაგრატიონთა დინასტიის სხვადასხვა სამეფო შტოებს შორის.

ვახუშტის სიტყვებით, „ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმენ იბატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკვიდრე მეფეთა ნათესავი“ და „თუ „მეფობის“ მდომი „მეფეთა მონათესავეთაგანი“ არ იყო, მაშინ იგი „ვერ იკადრებდა. მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობასა მეფეთასა“⁶. მაგრამ, თავის მხრივ, არსებობდა თავად „მეფეთა მონათესავეთაგან“—თა ანუ ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით მოსაწყისრიგებელი არაერთი საკითხი; XVI საუკუნიდან, ზემოაღნიშნული „ბატონიშვილობის“ საკითხისა და დინასტიური ბრძოლის ფონზე, ზოგიერთ ბაგრატიონს, მითუმეტეს, ბატონიშვილს შეეძლო და ერთი ნაწილი კიდევ აღწევდა მეფო-

⁵. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, под редакцией А. Берже. Тфл., 11. გვ. 126

⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაზხიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 565.



ბის მოპოვებას, მაგრამ სამეფო საგვარეულოში გამრავლებულ ბავრატონთა მეორე დიდი ნაწილი უკვე ველარც „გუარობასა მეფეთასა“ ინარჩუნებს, რაც „ნატომი მეფეთა“ წარმოშობას განაპირობებს.

ერთიანი სამეფოს დაშლას ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბავრატონთა ძირითადი შტოების ჩამოყალიბებას ბავრატონთა საგვარეულო სახლის არაერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა. თუ წინა ეტაპზე, XIV—XV სს-ში გვერდითი შტოს ბავრატონთა ერთი ნაწილი, ფრანგული „პანაქების“ მსგავსად, გარკვეულ სამფლობელოებში ბატონობას აღწევს და „პროვინციის მეფეებად“ გვევლინება, XVI—XVIII სს. ზემოაღნიშნულ ახალ პირობებში, „ბატონიშვილობის“ საკითხი კიდევ უფრო მწვავედება, მითუმეტეს, განსაკუთრებით გვერდითი შტოებისათვის. ხაზგასმულია, რომ ამ ეტაპზე ბავრატონთა შტოები საკმაოდ მრავლდება, ხოლო პირობები მათთვის შესაბამისი მდგომარეობისა და სტატუსის შესაქმნელად აღარ არსებობს.

„ბატონიშვილობის“ საკითხის გამწვავება უპირველესად უფლებრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული; როგორც აღინიშნა, XVI—XVIII სს. ქართული სამეფო-სამთავროებისათვის ძნელბედობის და სტაგნაციის პერიოდს წარმოადგენს, ამიტომ, სხვებთან ერთად ბავრატონებისათვისაც აქტუალურად დაისვა კითხვა, რომელსაც „პარიზის ქრონიკა“ ასე აყალიბებს: „ჩვენ რაღა პატივი დაგვედების?“ ბუნებრივიცაა, რომ პირველ რიგში პატივზე პრეტენზია სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს უჩნდებათ, სიტუაცია კი კრიზისულია: არც ბავრატონობიდან გამომდინარე შესაბამისი „პატივი“ და აღარც „კინი მეფობა“—„პროვინციის მეფობა“; უმეტესი მათგანის ვერც სახელმწიფო თანამდებობებით დაკმაყოფილება ხერხდება. თუ XIV—XV სს. „ჩინს“ სიტუაციაში ერთიან სამეფო ტახტს. ჯერ კიდევ გააჩნია გარკვეული რესურსები ვითარების მოსაწესრიგებლად (თუმცა ყოველთვის არა), XVI ს-დან ეს პრობლემები ახალ ფორმებსა და ნიშან-თვისებებს იძენს.

ბავრატონთა გვარის ერთი ნაწილი, მიუხედავად მცდელობისა, კარგავს რა სამეფო ტახტზე ასვლის ყოველგვარ უფლება—საშუალებას და „მეფეთა მონათესავეთაგანი“—სათვის შესაბამის „პატივს“, იძულებულია შეწყვიტოს ტახტისათვის ბრძოლა; მათი ერთი ნაწილი ყალიბდება როგორც სამეფო საგვარეულოს გვერდითი განშტოება. ადგილი აქვს პრინციპულ განსხვავებას, თუ XIV—XV სს-ის ეტაპზე ბავრატონთა სახლის გვერდითი შტოები უკლებლივ ბავრატონებად რჩებიან (მაგ., ალასტანელი ბავრატონები), XVI საუკუნიდან, არსებობს რა ხელსაყრელი პირობები სათავადოების წარმოსაქმნელად, ზოგიერთი მათგანი ბავრატონობას ანუ ბავრატონთა გვარსაც კი ველარც ინარჩუნებს და კარგავს მას. ამ პროცესს მათი გათავადება მოსდევს, ვახუშტის ტერმინოლოგიით, ისინი ველარც კადრულობენ „ვერცა გუარობასა მეფეთასა“. და „ნატომი მეფეთა“ ხდებიან. XVI—XVIII სს-ში დინასტიური სიტუაციის, მძიმე პოლიტიკური ვითარებისა და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ურთიერთდაჯაჭვა განაპირობებს ბავრატონთა საგვარეულო განშტოების წარმოშობას. მათგან ყალიბდება იმ პერიოდის შესაბამისი თავადური სახლები, რაც ახალ გვართა წარმოშობის საფუძველი

7 ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ. 119.



ხდება. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რაც ზოგიერთი ბაგრატიონის განქვეითებას იწვევდა. მაგ., მუხრანბატონები, გოჩაშვილები...

„ბატონიშვილობის“ საკითხის სიმწვავისა და მისი მოუწესრიგებლობის გამო, ბატონიშვილთა ზოგიერთი წარმომადგენელი იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი სამეფო და მეორე ქართულ სახელმწიფოში გადასულიყო. ბუნებრივია, ეს მძიმე და იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ერთი ქართული სამეფოდან მეორეში გადასვლის გამო თავადი სოციალური კატეგორიის კიბეზე ერთი საფეხურით დაბლა იწევდა, მაგ., აბაშიძეები, ჯაფარიძეები, ჭილაშვილები იმერეთიდან ქართლის სამეფოში გადასვლის შემდეგ მეორე კატეგორიის თავადებად გამოცხადდნენ. შესაძლებელია, ზოგჯერ ასევე ყოფილიყო ბაგრატიონთა შემთხვევაში: როცა ბაგრატიონთა ერთი შტოს რომელიმე წარმომადგენლის იძულებითი გადასვლა ხდება ბაგრატიონთა მეორე სახლის საგანმგებლოში, როგორც ჩანს, მისი ლეგიტიმური უფლებებიც ირიცხება; ასეთ ბაგრატიონთა შთამომავლობისათვის სამეფო ტახტზე ასასვლელად საჭირო იურიდიული თუ რეალური პირობები აღარ არსებობენ. ასეთ შემთხვევაში მიუხედავად ბაგრატიონობისა, ისინი რანგით დაბლა უნდა იწევდნენ, რაც საბოლოოდ მათ თავადობას იწვევს. ამდენად, ესეც ერთ-ერთი მიზეზი და გზა იყო ბაგრატიონთა სამეფო სახლის ზოგიერთი საგვარეულო განშტოების წარმოშობისა, მაგ., შეიძლება მოვიყვანოთ დავითიშვილები, რომელთა მამამთავარი კახეთიდან ქართლის სამეფოში გადმოდის.

იოანე ბატონიშვილი თავის „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნავს: „ხოლო მდბაღანი რომელთაც არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა, იხსენებოდნენ ტიტლოთი განათლებულესათ, ბრწყინვალე თავადად, ვითარცა არს აწ მუხრანის თავადი, მუხრანის ბატონად წოდებული“⁸. აქ სწორად ის პროცესია აღნიშნული, რომ „მდბაღანი“ ანუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი, რადგან „არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა“, XVI ს-დან ვათავადდა; აღსანიშნავია, იოანე ბატონიშვილთან მუხრანბატონების მოხსენიების ფორმაც—„მუხრანის თავადი“. ამდენად, ბაგრატიონთა „მდბაღანი ნათესაობის“ (ვახტანგ VI-ის ტერმინი⁹) ზოგიერთი სახლი XVI ს-დან მოყოლებული იქცა სამეფო გვარიდან გამოყოფილ ჩვენთვის საინტერესო საგვარეულო განშტოებად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვახტანგ VI მის მიერ შედგენილ ბაგრატიონთა გენეალოგიაში, რომელიც მას მოჰყავს ადამ და ევადან XVIII ს-მდე, გზა და გზა უჩვენებს სამეფო საგვარეულოს ზოგიერთ უახლოეს გათავადებულ განშტოებასაც, მაგ., გოჩაშვილებს.

ბაგრატიონთა ზოგიერთი გათავადებული განშტოების წარმოშობის პროცესის აღმნიშვნელ ტერმინად შეიძლება „გავგვარება“ ვიხმაროთ. ამ გამოთქმას საინტერესო კუთხით ვხვდებით იოანე ბატონიშვილთან: „...გაიგვარა მამისა თვისისა“ სახელის მიხედვით¹⁰, ან „გარნა გაუგვარდათ სახელისა გამო“¹¹. ასეთი „გავგვარების“ ანუ ბაგრატიონთა საგვარეულოს ზოგიერთი შტოს „გაღარიბების“ შედეგად წარმოიშვა ახალი თავადური სახელები, იგივე სამეფო

⁸ „ივერია“, 1884, IV, გვ. 3.

⁹ ვახტანგ VI-ის ბაგრატიონთა „ნათესაობის წიგნი“—იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 341.

¹⁰ „ივერია“. 1884, IV, გვ. 2.

¹¹ „იქვე“, 1884, 9—VI, გვ. 29, 41.

საგვარეულო განშტოებანი: მუხრანბატონები, დავითიშვილები, რამათიშვილები, გოჩაშვილები... ისინი, როგორც ბაგრატიონთ—ყოფილები ველაჩი ინარჩუნებენ ვახუშტის ტერმინით—„გუარობას მეფეთა“ და ზემოაღნიშნული მუხრანბატონთა დროშის წარწერის ტერმინით—„ნატომი მეფეთა“ ხდებიან. მათ შესახებ შესანიშნავი ლაკონური ფორმულა აქვს იოანე ბატონიშვილს (ამ შემთხვევაში კონკრეტულად მუხრანბატონებთან დაკავშირებით): მუხრანბატონები იყვნენ „მეორისა ხარისხით ბაგრატიონად წოდებულნი და პირველნი თავადნი“¹².

ამდენად, XV ს. ბოლოს საქართველოს დაშლა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიაშიც თვისობრივი ტეხილით აღინიშნა, რასაც XVI ს-დან მოყოლებული ბაგრატიონთა ერთი ნაწილის „გაგვარება“ და საგვარეულოს გათავადებული განშტოებების წარმოშობა მოჰყვა; თუ XIII—XV სს-ში წარმოშობილი ბაგრატიონთა გვერდითი შტოები ბაგრატიონობას ინარჩუნებენ, XVI ს-დან ზოგიერთი მათგანი „ბაგრატიონთ—ყოფილებად“ იქცევიან და თავადთა სტატუსით მფლობელობენ. ამან დინასტიური ბრძოლისა და „ბატონიშვილობის“ საკითხის მხრივ ახალი ეტაპის წარმოშობა განაპირობა.

НИНИДЗЕ Д. В.

К ВОПРОСУ О ВОЗНИКНОВЕНИИ РАЗЛИЧНЫХ ВЕТВЕЙ ЦАРСКОГО ДОМА БАГРАТИОНОВ

Распад Грузинского царства повлек за собой не только возникновение Картлийских, Кахетинских и Имеретинских Багратионов, но и боковых ответвлений внутри царствующего дома. Это являлось новым этапом в истории династической борьбы, поэтому вызвало соответствующие изменения в «вопросе царевичей».

Распад государства привел к исчезновению института «Провинциальных царей»; с 16 века Картлийские, Кахетинские и Имеретинские цари оказались более дееспособными в борьбе с ними, исчезают необходимые для существования «Провинциальных царей» условия. Наступает новый этап — династическая борьба царевичей и представителей различных ветвей Багратионов внутри независимых грузинских государств. С умножением числа боковых ветвей Багратионов, когда условия их существования постепенно исчезают, «вопрос царевичей» еще более обостряется. Некоторые представители рода Багратионов, потерявшие права на престол, прекращают всякую борьбу, и образуют боковые ветви Багратионов. С возникновением благоприятных условий для появления княжеств (сатавадо) некоторые Багратиони становятся князьями; в результате этого возникли княжеские ветви Багратионовского дома: Мухранбатони, Давитишвили, Рамазишвили, Гочашвили.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ.

ერთხელ კიდევ როსტომ-ხანის ქართლში გამეფების საკითხისათვის

როსტომის (ხოსრო-მირზას) ქართლში ზეობის ხანა (1639—1658) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ირან-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ დროს შაჰ აბას I-ის (1587—1629) მიერ დაწყებულ კომპრომისულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ აგრძელებდა მისი შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე შაჰ სეფი I (1629—1642), რომელმაც ქართლის სამეფო ტახტი როსტომს უბოძა. ამას წინ უძღოდა უმძიმესი ომები, გიორგი სააკაძის მიერ ორგანიზებული 1625 წ. მარტყოფის აჯანყება, მარაბდისა და ქსნის ბრძოლები, პარტიზანული ომი ყიზილბაშ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ა. შ. ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაამტკიცა, რომ მას მოსპობა-გადაშენება არ ეწერა. მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შაჰ აბას I იძულებული გახდა ხელი აეღო საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების მიხედვით და გარკვეულ დათმობებზე წასულიყო.

ირან-საქართველოს ურთიერთობის ახლებური ფორმა ყველაზე ნათლად ქართლის ვალის¹ როსტომის მოღვაწეობისა და ზეობის პერიოდში გამოვლინდა. კომპრომისული პოლიტიკა გამოიხატებოდა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, სამეფო ტახტი ბაგრატიონთა ხელში რჩებოდა, მხოლოდ მაჰმადიანობის და ვალის ტიტულის მიღების პირობით².


ცნობილია, რომ როსტომი იყო ქართლის მეფის, სიმონის ძმის დავითის (დაუდ-ხანის) ვაჟი. სიყმაწვილის ხანა მან ირანში გაატარა და შაჰ აბასის სამეფო კარზე გიორგი სააკაძის წყალობით დაწინაურდა³. მისი გავლენა და ავტორიტეტი ირანში კიდევ უფრო ამაღლდა შაჰ სეფის სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ, რაშიც სწორედ მან შეასრულა უმთავრესი როლი.

სეფიანთა ირანის სამეფო ტახტის ახალ მფლობელს ფიქრიც კი არ შეეძლო ირანის ოდინდელი უფლებების აღდგენაზე საქართველოს მიმართ, მით უმეტეს, რომ მას არც ნიჭი და ენერჯია მოსდგამდა თავის პაპისა. ახალ ვი-

¹ ვალის შესახებ დაწერ. იხ. ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამაი, ოსუ შრომები, XXV, თბ., 1949, გვ. 218—219; კ. კუცია, „თაჭირათ აღ-მულუქის“ ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 264.

² ვ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 312.

³ დაწერ. მის შესახებ იხ. კ. კუცია, ისფაჰანის ქართველი ტარუღები (1618—1722), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 95—96; ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამაშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა. თბ., 1981, გვ. 35—40.; გ. ჟორჯოლიანი, საქართველო XVII ს-ის 30—50-იან წლებში. თბ., 1987, გვ. 34—35.



თარებაში ქართველები ირანის პოლიტიკური ბატონობისგან მოღვაწეობდნენ, ვისუფლებასაც შეეცადნენ. ამის ნათელი გამოხატულება იყო მეფე თეიმურაზ I-ის და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგის დაუდ-ხან უნდილაძის ერთობლივი აჯანყება ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ 1632 წელს, რომლის შედეგადაც შაჰ სეფიმ უნდილაძეთა საგვარეულო ამოწყვიტა ირანში, ქართლში გასამეფებლად კი თავისი უერთგულესი პიროვნება როსტომი გამოგზავნა, რომელსაც იგი, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „მამას უხმობდა“⁴.

აღნიშნული მოვლენები ფართოდაა გაშუქებული ქართულ, სპარსულ, ოსმალურ, სომხურ და დასავლეთ ევროპულ წერილობით წყაროებში⁵, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. გაბაშვილის, გ. ჯამბურისა, ნ. ნაკაშიძის, კ. კუციას, დ. კაციტაძის, თ. ნატროშვილის, გ. ჟორჯოლიანისა და სხვათა ნაშრომებში), რომელთა მონაცემების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე დადგენილია, რომ თეიმურაზ I-ის და დაუდ-ხანის 1632 წლის აჯანყებას მოჰყვა როსტომის გამეფება ქართლში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საკითხი კვლავ გარკვევასა და დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, ამას გვაფიქრებინებს დ. კაციტაძის პუბლიკაცია „როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის“, რომელშიც მიმოხილულია წერილობით წყაროებსა და სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში მითითებული თარიღები როსტომის ქართლში გამეფების თაობაზე, მათ შორის ჩვენ მიერ გამოქვეყნებული XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის მოჰამედ მა'სუმის თხზულებაში „ხულასათ ას-სიიარ“ დაცული მონაცემებიც⁶. ამ უკანასკნელის მიხედვით, როსტომი ქართლში გამეფდა 1631 წელს. პატივემუხლი ოპონენტის აღნიშვნით, ჩვენი არგუმენტი ხსენებული თარიღის სასარგებლოდ ისაა, რომ სპარსული თხზულების „ავტორი კარის ისტორიოგრაფია, ამიტომ მის მიერ მოტანილ თარიღს და ცნობებს უნდა მიეცეს უპირატესობა“. ამასთანავე აღნიშნულია, რომ მოჰამედ მა'სუმის ცნობას ავტორები (იგულისხმება ნ. გელაშვილი და ი. პავლოვა) უეჭველად მიიჩნევენ და მის მიხედვით აზუსტებენ ქართლის ტახტზე როსტომის გამეფების თარიღს 1631 წლის 3 ნოემბერს⁷. სინამდვილეში კი ჩვენ ვწერდით, რომ, მართალია, ისქანდერ მუნში და ზოგიერთი ქართული ქრონიკა მიუთითებენ 1632 წელს, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მოჰამედ მა'სუმის მონაცემებსაც, როგორც შაჰ სეფი I-ის კარის ისტორიკოსს, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ოფიციალურ დოკუმენტებზე⁸. მით უმეტეს, რომ მანამდე იგი მოხმობილი არ ყოფილა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კუთხით.

⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 441.

⁵ დაწვრილებით ამ წყაროთა ცნობები იხ აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 27—39; თ. ნატროშვილი, მაშრიფთ მალრიბამდე, თბ., 1974, გვ. 154; დ. კაციტაძე, როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის, თსუ შრომები, 309, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1992, გვ. 118—122.

⁶ Н. Гелашвили, И. Павлова. К вопросу о назначении Ростом-хана на Картлийский престол. „მაცნე“ ისტორიის სერია, №4, 1987, გვ. 88—94.

⁷ დ. კაციტაძე, როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის, გვ. 119—121.

⁸ Н. Гелашвили, И. Павлова, К вопросу о назначении Ростом-хана на Картлийский престол, გვ. 90



მოჰამედ მა'სუმის „ხულასათ ას-სიიარ“ ძვირფასი პირველი გამოცემა მხოლოდ ირანის, არამედ ირან-საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად⁹. კერძოდ, იგი მოგვითხრობს დაუდ-ხანის და თეიმურაზ მეფის აჯანყების შესახებ, დაწვრილებით გადმოგვცემს როსტომის ამბებს: მის აღზევებაზე ირანში, იმ მალალ ავტორიტეტსა და მდგომარეობაზე, რომელიც მას სეფიანთა სამეფო კარზე ჰქონდა მოპოვებული. მოჰამედ მა'სუმი საგანგებოდ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულა როსტომმა შაჰ სეფი I-ის სამეფო ტახტზე აყვანში. ნაშრომში აღწერილია აგრეთვე, როსტომის ქართლში გამეფება, მისი დაპირისპირება თეიმურაზ მეფესთან, შემდეგ მისი ქორწინება ოდიშის მთავრის ლევან დადიანის დაზე. ასე რომ, ხსენებული თხზულება ფრიად საინტერესო და უთუოდ გასათვალისწინებელი წყაროა XVII საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს ისტორიის არაერთი მოვლენისა თუ ფაქტის გასაშუქებლად, სხვადასხვა წყაროში დატული ცნობების ახლებურად გასააზრებლად, შესავსებად ან უგულვებელსაყოფად.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ხანის სხვა წერილობითი წყაროების მსგავსად, მოჰამედ მა'სუმის თხზულებაც გარკვეულწილად ტენდენციურია. როგორც სამეფო კარის ისტორიკოსი, იგი გაბატონებული სეფიანთა დინასტიის ინტერესების გამომხატველი და დამცველია. თავის თანამოკალმეთა მსგავსად, მას ახასიათებს ცალკეული ისტორიული მოვლენების სუბიექტური აღქმა, ზოგი ფაქტის მიჩქმალვა ან გაზვიადებული აღწერა, თარიღების აღრევა და ა. შ. ამ შემთხვევაში ეს ეხება მის მიერ როსტომის ქართლში გამეფების თარიღის არაზუსტ მითითებას. კერძოდ, მოჰამედ მა'სუმის გადმოცემით, ჰიჯრის 1044 წლის რაბი ას-სანის თვის 8 რიცხვში (1631 წ. 3 ნოემბერი) შაჰ სეფიმ ბრძანება გამოსცა ისფაჰანის ტარულას, როსტომ ხანის ქართლის ვალიდ დანიშვნის თაობაზე¹¹. ამას წინ უძღოდა თეიმურაზ მეფის და დაუდ-ხანის მიერ იმავე წლის საფარის თვეში (აგვისტო) დაწყებული აჯანყება, რომლის შედეგად შაჰ სეფი I-მა სპასალარი როსტომ ხანი გაგზავნა საქართველოში ყიზილბაშთა დიდი ჯარით, ქართლის ვალიდ კი, როსტომი (ხოსრო-მირზა) დანიშნა¹². ცხადია, ავტორი მოვლენათა თანადროულობას ურევს, მაგრამ უზუსტობა მხოლოდ ერთ წელიწად-წელიწადნახევარშია. ამგვარი შემთხვევები გვხვდება ქართულ საისტორიო მწერლობაში (მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილის ან ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომები), სპარსულ, ევროპულ ან სხვა ქრონიკებშიც, სადაც არეულია თარიღები, ისტორიულ პიროვნებათა საკუთარი სახელები, მოვლენების და ფაქ-

⁹ დაწვრ. მის შესახებ იხ. Н. Д. Миклухо-Маклай. Описание персидских и таджикских рукописей Института Востоковедения. Вып. 3, М., 1975, с. 192; О. Ф. Акимушкин, „Продолжене Искандера Мунши“ и „Краткая суть жизнеописания“ Мухаммад Ма'сума, в сб. „Иран“, М., 1976, /გვ. 98--101.

¹⁰ ჩვენ ვისარგებლეთ სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში დატული „ხულასათ ას-სიიარ“-ის მიკროფილმით (№ 127), რომელიც გადაღებულია მიუნხენის ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან. ამჟამად ცნობილია თხზულების ოთხი სრული (მეშვედის, ორი თეირანის. მიუნხენის) და ერთი არასრული ხელნაწერი, რომელიც შაჰ სეფის ზეობის მეხუთე წლიდან იწყება (სანქტ-პეტერბურგის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში).

¹¹ მოჰამედ მა'სუმი, ხულასათ ას-სიიარ, ფ. 74 ბ.

¹² იქვე.

ტების თანადროულობა. განა ამით მათი სამეცნიერო ღირებულება და მნიშვნელობა კლებულობს და ამის გამო შეიძლება საისტორიო თხზულების ცნობათა უგულვებელყოფა? წყაროთმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც წერილობით წყაროთა შესწავლის ახალი მეთოდები ინერგება და სულ უფრო ღრმავდება კვლევა-ძიება ამ სფეროში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალ წერილობით წყაროთა მიკვლევა-გამოვლენას და მათ გამოყენებას (რა თქმა უნდა, სათანადო კრიტიკული ანალიზის შემდეგ). ჩვენი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვეტანა XVII საუკუნის 30-იანი წლების ირან-საქართველოს ურთიერთობის კუთხით შეუსწავლელი საკმაოდ მნიშვნელოვანი პირველწყარო, თვითმხილველის მიერ დაწერილი. რაც შეეხება მასში დაცული ცალკეულ ცნობების უტყუარობის დადგენას, კონკრეტულად კი როსტომის ქართლში გამეფების თარიღთან დაკავშირებით, იმ ეტაპზე ჩვენი მიზანი ეს არ ყოფილა, რადგან ამის თაობაზე უკვე გვექონდა გამოთქმული მოსაზრება¹³, კერძოდ ის, რომ როსტომი ქართლში გამეფდა თეიმურაზ დაუდ-ხანის 1632 წლის აჯანყების შემდეგ. როგორც ჩანს, ამის გამო გაჩნდა აზრი, თითქოს ხსენებული პუბლიკაციის ავტორები (ნ. გელაშვილი და ი. პავლოვა) უკრიტიკოდ იზიარებდნენ მოჰამედ მა'სუმიის თვალსაზრისს. აქვე შევნიშნავთ, რომ დ. კაციტაძე ჩვენს საწინააღმდეგოდ (უფრო ზუსტად მოჰამედ მა'სუმიის საწინააღმდეგოდ) იმოწმებმს ჩვენს მიერვე გამოცემულ სხვა ნაშრომში მითითებულ თარიღს¹⁴.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია გაუგებრობის გასაფანტავად, ერთხელ კიდევ უფრო გამოკვეთილად გამოვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი როსტომის ქართლში გამეფებასა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენის, თეიმურაზ I-ის და დაუდ-ხან უნდილაძის აჯანყების თაობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ამბების შესახებ უხვი ცნობებია დაცული სხვადასხვა წერილობით წყაროში. ერთ-ერთი საუკეთესო პირველწყაროა ამ თვალსაზრისით ისქანდერ მუნშის „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ-არაი-ე აბასი“. (აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება). ავტორი ცალკე თავს უძღვნის აღნიშნულ მოვლენას „ამბავი ალავერდი-ხანის ვაჟის დაუდ-ხანის აჯანყებისა და თეიმურაზთან მისი შეთანხმების შესახებ“,¹⁵ სადაც აღწერილია დაუდ-ხანის და თეიმურაზ მეფის ახლო მეგობრული ურთიერთობა: მათი შეხვედრები, ერთობლივი ნადირობა ყარაბაღის და საქართველოს სანახებში, თუ როგორ დაიგეგმა და მზადდებოდა აჯანყება, საბოლოოდ კი როგორ გაიტყუა დაუდ-ხანმა ყაჯარი დიდებულები სანადიროდ და ქართველთა დახმარებით ისინი ამოხოცა. ამის შემდეგ თეიმურაზ მეფემ და დაუდ-ხანმა ორჯერ დაარბიეს განჯა-ყარაბაღი. როდესაც ეს ამბები შაჰ სეფის მოახსენეს, იგი სასტიკად განრისხდა და უმკაცრესი ზომები მიიღო აჯანყებულთა მიმართ; უპირველეს ყოვლისა, მან განჯა-ყარაბაღი დაუდ-ხანს ჩამოართვა და მის უწინდელ მფლობელს—მოჰამედ ყული-ხან ზოიად-ოღლი ყაჯარს დაუბრუნა, ქართლის სამეფო ტახტი კი ხოსრო-მირზას უბოძა. იქვე ისქანდერ

¹³ დაუდ-ხანისა და თეიმურაზ I-ის აჯანყება ისქანდერ მუნშის თხზულების „გაგრძელების“ მიხედვით. „მაენე“, ისტორიის სერია, თბ., 1977, № 2, გვ. 103—111; აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 28—36.

¹⁴ დ. კაციტაძე. როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის, გვ. 119, 120.

¹⁵ ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 52—58.

მუნში გვაცნობს მას: „იგი ბაგრატ-ხანის ძმაა, რომელიც გარდაცვლილი ლუ-არსაბ-ხანის¹⁶ შვილიშვილია. მისი უდიდებულესობის დროს ხოსრო-მირზას როსტომ-ხანი ეწოდა და სასახლის დოღამთა ყულარაღასი გახდა“¹⁷.

მასზე წინ შაჰ სეფის ბრძანებით საქართველოსკენ გაემართა ყიზილბაშთა დიდი ჯარი სპასალარ როსტომ-ბეგის (როსტომ-ხან სააკაძე) მეთაურობით. როგორც კი ამის შესახებ დაუდ-ხანმა და თეიმურაზ მეფემ შეიტყვეს, მათ ყარაბაღი მიატოვეს და საქართველოსკენ გაეშურნენ¹⁸.

დაუდ-ხანის ხელიდან დასხლტომით განრისხებული შაჰ სეფი მთელი სისასტიკით გაუსწორდა მის ახლობლებს. ისქანდერ მუნშის თქმით, „ალავერდი-ხანის მთელი საგვარეულო, რომელიც წლების მანძილზე ისფაჰანიდან ომანის სანაპირომდე, ერთი თვის სავალ გზაზე ბატონობდა, წყეული დაუდის უკადრისი საქციელის გამო, არარაობის ქარს მიეცა“¹⁹. შაჰის ბრძანებით, ერთიანად გაიქცა უნდილაძეთა საგვარეულო ირანში: ჯერ დაუდ-ხანის უფროსი ძმა იმამყული-ხანი და მისი შვილები, აგრეთვე დაუდ-ხანის ვაჟი დახოცეს, რომელიც გორგანს მართავდა, შემდეგ კი ყველა მათი ახლობლები და ნათესავები.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ აჯანყებაზე საუბრისას, სპარსელი ისტორიკოსი ცდილობს გამართლება მოუძებნოს თეიმურაზს და ყველაფერში დაუდ-ხანს ადანაშაულებს. მისი გადმოცემით, დაუდმა ცბიერებით და მოტყუებით შეაცდინა თეიმურაზი და დაარწმუნა იგი, რომ შაჰი მის მიმართ გულწრფელი არ იყო. უფრო მეტიც, მან თეიმურაზს გაუმხილა, რომ შაჰ აბას I-ის ვაჟი მის ძმასთან, იმამყული-ხანთან იმყოფება ფარსში და ამ უკანასკნელის შვილად ითვლება. ახლა კი, როდესაც სინამდვილის გამჟღავნების უამი დადგა, ისინი იმამყული-ხანის თანამზრახველთა დახმარებით იმ უფლისწულს ირანის სამეფო ტახტზე აიყვანდნენ. თეიმურაზმა ეს დაიჯერა, და ამიტომ განჯა-ყარაბაღის დალაშქვრას დათანხმდა²⁰. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული წყაროს ცნობას იმის თაობაზე, რომ ძმები უნდილაძეები შაჰ აბასის უკანონო ვაჟის გამეფებას აპირებდნენ, ადასტურებენ XVII საუკუნის ევროპელი ავტორები: ადამ ოლეარიუსი, არქანჯელო ლამბერტი, დონ პიეტრო ავიტაბილე²¹.

უნდილაძეთა ამოწყვეტის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა თანამედროვე ირანელი მკვლევრის ნასროლა ფალსაფის შეხედულება, რომელიც ძირითადად „ზეილ“-ის ცნობებს ეყრდნობა. იგი ვრცლად მოგვითხრობს უნდილაძეების შესახებ, ალავერდი-ხანიდან მოყოლებული²². ამგვარად ყურად-

¹⁶ ქართლის მეფე ლუარსაბი (1527—1556).


¹⁷ ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. გვ. 57.

¹⁸ წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ დაუდ-ხანი ოსმალეთში გადაიხვეწა, თეიმურაზ მეფემ კი, იმერეთს შეაფარა თავი.

¹⁹ ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 60.

²⁰ ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 56—57.

²¹ Подробное описание Голытинского посольства в Московию и Персию в 1633, 1936 и 1939 гг., Составленное секретарём посольства Адамом Олеарием. Перевёл с немецкого П. Барсов, М., 1870, გვ. 877; თ. ნატროშვილი, მართლმადიდებელი მართლმადიდებელი, გვ. 154; დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, შესავალი, თარგმანი და კომენტარები შ. გორგაძის თბ., 1977, გვ. 43.



ღებას ვამახვილებთ ამ საგვარეულოს უკანასკნელ დღეებზე. ნანია, საფის აზრით, მისი შიშით რომ იმამყული-ხანს შაჰ აბასის შვილად ცნობილი ვაჟი არ გამეფებინა, შაჰ სეფიმ ალავერდი-ხანის მთელი საგვარეულო ამოწყვიტა. ამასთან იგი იმასაც შენიშნავს, რომ შაჰი გამეფებისთანავე მიზეზს ეძებდა მათ თავიდან მოსაცილებლად²³. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო შეეფერება სინამდვილეს. შაჰ-სეფის, რომელსაც თავის მარჯვენა ხელად როსტომი და მისი თანამზრახველები ყავდა, ქართველთა მეორე დაჯგუფება იმამყული-ხანის მეთაურობით, მოსვენებას უკარგავდა. მაგრამ ვინაიდან ქართველი ხანი მას ერთგულად ემსახურებოდა, იგი მოთმინებით ელოდა მარჯვე შემთხვევას. რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შაჰ სეფი გამეფებისთანავე შაჰ აბას I-ის კარზე დაწინაურებულ მოხელეთა მოშორებას ცდილობდა, მათ შორის უთუოდ უნდილაძეებიც იყვნენ, რომლებმაც ხსენებული დროისათვის განსაკუთრებულ აღზევებას მიაღწიეს ირანში. ამიტომ დაუნდობელი შაჰი უბრალო შემთხვევასაც კი არ გაუშვებდა ხელიდან მათ თავიდან მოსაცილებლად, და აი, როდესაც მან დაუდ-ხანის ღალატის ცნობა მიიღო, თავისი საწაღელი აისრულა—ეს საგვარეულო აღგავა პირისაგან მიწისა.

ამ მოვლენათა უშუალო გაგრძელება და შედეგი იყო როსტომის ქართლში გამეფება. ისქანდერ მუნშის ვადმოცემით, ჯომადი აღ-ავალის თვის 18 რიცხვში (1 დეკემბერი) როსტომი ყიზილბაშთა ჯარით ისფაჰანიდან დაიძრა²⁴, შემდეგ იგი მცირე ხნით ყაზვინში შეჩერდა, რადგან განუწყვეტლივ თოვდა და როგორც ჩანს, გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ბოლოს, როდესაც ქართლის მომავალი მეფე თბილისს მიუახლოვდა, განაგრძობს თხრობას ისქანდერ მუნში, შაჰის ბრძანების შესაბამისად, მას ქართლის თავკაცები, აზნაურები და დიდებულები შემოეგებნენ, რომლებმაც მას მორჩილება და ერთგულება აღუთქვეს²⁵.

მცირე განსხვავებით და უფრო მოკლედაა მოთხრობილი ზემოხსენებული ისქანდერ მუნშის მომდევნო ხანის სპარსულ საისტორიო თხზულებებში (მოჰამედ მასუმის, ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის ნაშრომებში)²⁶, რომლებიც ძირითადად მის ცნობებს ეყრდნობოდნენ, აგრეთვე ქართულ (ფარსადან გორგიჯანიძის, „სწავლულ კაცთა“, ვახუშტის საისტორიო თხზულებები, „პარიზის ქრონიკა“, არჩილ მეფის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ და სხვა ქრონიკები), რუსულ (თ. ვოლკონსკი, ა. ხვატოვი, ე. მიშცკვი, ი. კლუჩარევი), სომხურ (ზაქარია კანაკერცი), ოსმალურ (ქათიბ ჩელები,

22 ე. გაბაშვილი, უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს ირანში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. 11, თბ., 1972, გვ. 64—84.

23 ნასროლა ფალსაფი, ზენდეგანიე შაჰ აბას-ე ავალ, I, თეჰრან, 1333 (1953), გვ. 101, 394.

24 სპარსელი ისტორიკოსი მიუთითებს მხოლოდ თვეს, დ. კაციტაძის პუბლიკაციაში კი აღნიშნულია, რომ ისქანდერ მუნშის ცნობით, როსტომი ისფაჰანიდან გავიდა 1042 წ. ჯომადი აღ-ავალის თვრამეტში (დ. კაციტაძე, როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის, გვ. 122).

25 ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება გვ. 60.

26 მოჰამედ მასუმი, ხულასათ ას-სიიარ, ფ. 73ა—74ბ; ვლ. ფუთურიძე, „უკეთესოგან უკეთესი (ისტორია)“ ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2, თბ., 1942, გვ. 85—86.

მუსტაფა ნაიმა) წერილობით წყაროებში. არანაკლებ საინტერესოა ევროპელ ავტორთა (ადამ ოლერიუსი, ჯუსტო პრატო, არქანჯელო ლამბერტი, ღონ პიეტრო ავიტაბილე, ბართლომეო ფერო და სხვა) მონაცემები²⁷. ზემოხსენებულ წყაროებში დაცული ცნობები განსახილველი მოვლენების შესახებ სათანადოდაა წარმოჩენილი ისტორიოგრაფიაში, ამიტომ ამჯერად ყურადღებას აღარ ვამახვილებთ მათზე. აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ საისტორიო თხზულებებში და ქრონიკებში არსებული მასალის ურთიერთშეჯერების და კრიტიკული ანალიზის, აგრეთვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიგვაჩნია (იხევე როგორც ადრე), რომ თეიმურაზ I-ის და დაუდ-ხან უნდილაძის აჯანყება 1632 წლის შემოდგომაზე მიმდინარეობდა, ხოლო როსტომის ქართლში გამეფება მოხდა იმავე წლის მიწურულს ან ახალი 1633 წლის დამდეგს.

Н. Г. ГЕЛАШВИЛИ

ЕЩЕ РАЗ К ВОПРОСУ О ВОЦАРЕНИИ РОСТОМ - ХАНА В КАРТЛИ

Резюме

Изучены вопросов, касающихся воцарения в Картли Хосров-мирзы (1632/33 — 1658), известного под именем Ростом-хана, представляет особый научный интерес.

Анализ восточных, западноевропейских, а также грузинских, русских и армянских первоисточников (среди которых особо ценными являются персидские памятники, составленные очевидцами описываемых событий) с учетом ряда положений, высказанных в специальной научной литературе, позволяет уточнить последовательность исследуемых нами исторических событий и их хронологию. Воцарению Ростом-хана в Грузии предшествовало восстание 1632 года, направленное против Иранских властей, которое возглавили царь Кахети Теймураз I и Гянджийский беглербер Давуд-хан Ундиладзе. Восстание было жестоко подавлено, после чего правителем Картли по указу шаха Сефи I (1629 — 1642) стал его приверженец Ростом-хан, который по нашим данным начал царствовать в конце 1632 или же в самом начале 1633 года

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილებამ

²⁷ ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, გვ. 52—60; თ. ნატროშვილი, მაშრიყით მალრიბამდე, გვ. 116—119, 141—145; გ. ჟორჯოლიანი, საქართველო XVII ს-ის 30—50-იან წლებში, გვ. 34—40; დ. კაციტაძე, როსტომ ქართლის ვალის გამეფების თარიღისათვის, გვ. 119—122.

გიული ალასანია

ერთი ისტორიოგრაფიული ფაქტის შესახებ

XIII ს-ის საქართველოს ორი მეფის მეტსახელების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარი შეხედულებაა შემუშავებული. ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის შესახებ არსებულ წყაროებს.

ცნობები ქართველთა და მონღოლთა ურთიერთობებზე გვხვდება ქართულ ლათინურ, სპარსულ, სირიულ, არაბულ წყაროებში. მოვიტან ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტებს ზოგიერთი მათგანიდან.

მოვლენათა თანამედროვე და თვითმხილველი ოქროს ურდოში მყოფი იტალიელი პლანო კარპინი მოგვითხრობს: „თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე სადავო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მათ გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გიორგიის მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი, ხოლო მეორე დავით—გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. იმ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა, მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედიტურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც, მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი.... მათ, მოსვლის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს, განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისთვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერ ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა. ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლებოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს...“¹ როგორც ვხედავთ, ტექსტში არ არის ნახსენები მეფეების მეტსახელები, თუმცა აღნიშნულია, რომ ლაშას ძე უფროსი იყო.

მეორე თანამედროვე ირანელი ავტორი ათა მელიქ ჭუვეინი (1226—1283) 1255/3—1260 წწ. შედგენილ თხზულებაში „ქვეყნის დაპყრობის ისტორია“ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „გულიუქ ხანმა ყიზ-მალიქის (ქალ-მეფის) ძე დავითი მეორე დავითის ბრძანებას დაუმორჩილა“. შემდეგ ავტორი შენიშნავს: „არ-

¹ პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა. რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გ. ქიქოძემ.—„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. III, თბ., 1942, გვ. 3, 37, როგორც ვხედავთ, თანამედროვე ავტორი რუსულდანის და გიორგიის ვაჟებს შეცდომით ძმებად მიიჩნევს.

7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 2



ლუნ ამირი ჯერ საქართველოში წავიდა, რადგან დავით მეფეს დაეწინაურებოდა. მალიქისა, აჯანყებულიყო“... „როდესაც იგი კვლავ მოვიდა საქართველოში როსი დავით მეფეც გამდგარიყო გადასახადთა ნარჩენის მოთხოვნის გამო და მორჩილების უღელი გადაეგდო კისრიდან“². ამგვარად, აქ კვლავ არის აღნიშნული ლაშას ძის უფროსობა, თუმცა მის სახელად მხოლოდ დავითია მითითებული.

ამავე საუკუნის სირიელი ავტორის გრიგორიუს აბულ ფარაჯის, იმავე ბარ ჰებრეუსის (1226—1286) გადმოცემით, 1246/7 წელს საქართველოში ორი დავითი—დიდი და მცირე მართავდა. 1247/8 წელს ყიზ მალიქის შვილად ცნობილი დავუდ მცირე დაუქვემდებარეს თბილისის პატრონს დიდ დავითს³.

ორ დავითს იხსენიებს XIII—XIV სს-ის ირანელი ავტორი რაშიდ აღდინი (დაბ. 1247—გარდ. 1318), რომლის თხზულება „მატიანეთა კრებული“ 1310/11 წ. დასრულდა. ავტორი აღნიშნავს ფაქტს, რომ დედოფლის ვაჟი მეორე დავითს დაუქვემდებარეს. ისტორიკოსი არ იცნობს მათ მეტსახელებს.

მთელი ეს ცნობები შეიძლება ასე შეჯამდეს: ორი დავითი, ლაშას და რუსუდანის ძეები, დამატკიცეს საქართველოს მეფეებად; ასაკის გამო, ერთს დიდი, მეორეს მცირე უწოდეს. და ლაშას ძეს რუსუდანის ძე დაუქვემდებარეს.

ცნობები XIII ს-ის შუა წლების საქართველოს ისტორიის შესახებ, როგორც აღნიშნეთ, არის სომხურ წერილობით ძეგლებშიც.

კარაკოს განძაკეცის (1200—1271) სიტყვებით, („თათრებმა), როცა დამარცხეს ჰორომთა სულტანი—მისი (რუსუდანის) სიძე და აიღეს მრავალი მისი ქალაქი გაუგზავნეს მას მოციქულად მთავარი ვაჰრამი (და შეუთვალეს, რომ) დამორჩილებოდა (თათრებს). მან (ვაჰრამმა) უკან წამოსვლისას წამოიყვანა თავისთან ქართველთა მეფის გიორგი ლაშას შვილი, რუსუდან დედოფლის ძმისშვილი, რომელიც (რუსუდანს) გაეყოლებინა თავისი ქალისათვის ბოროტი განზრახვით, მოეკლა ის, რათა რაიმე ზიანი არ მიეყენებინა მისი მეფობისათვის. (მას შემდეგ) იყო (გიორგი ლაშას ძე) სულთანთან დაკავშირებული. წამოიყვანა ვაჰრამმა და ამცნო თათართა ჯარს: ჩვენი მეფის წულია და უსამართლოდ მოცილებულია თავის სამფლობელოს. ხოლო მათ, მის სა-

² ჯუჯუინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუშლევარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. ჯიქანიძემ. თბ., 1974, გვ. 22, 25.

³ თხზულების ავტორის ეულ არაბულ ვერსიაშია (გ. გიუნაშვილი, ტერმინ „ნაროყალას“ მნიშვნელობისათვის.—ი. ჯაფახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, 1976. გვ. 317, სქოლიო.) ხოლო სირიული ვერსიის ინგლისურ თარგმანშია the Great; the Less ან the Little, რაც სირიულად ჯღერს როგორც Dawid Zoghoura, თუმცა ამ უკანასკნელს ავტორი შემოკლებით შუა იბრაჰის მეფედ მიიჩნევს (The chronography of Gregory Abu' Faraj commonly known as Bar Hebraeus, translated from the syriac by Ernest A. Wallis Budge. vol. 1, London, 1932, გვ. 403, 411; V' S a i n t—M a r t i n. Memoires historiques et géographiques, t. 11, Paris. 1819, გვ. 292. რუსუდანის შემკვიდრეს დავითს, რომელსაც ქართველები სოსლან დავითს უწოდებდნენ. შაპის სახელს [იოანე ბაგრატიონი], შერქმეული ჰქონდა აგრეთვე სახელად Sain, რაც ინგლისურ ენაზე ნიშნავს ვეთილს Histoire des mongols depuis Tchinguiz—khan jusqu'a Timour Beu ou Tamerlan par M. Le Baron C. D'Ohsson, t. III. La Haye et Amsterdam, 1834, გვ. 43, 91, 293.

⁴ Рашид ад-Дин, Сборник летописей. т. II, пер. с персидского Ю. П. Верховского, примеч. Ю. П. Верховского, М.—Л. 1960, гв. 118, 120.



წინააღმდეგოდ, გაამეფეს ის, ბრძანება გასცეს, ქრისტიანული წესრიგების დაცვით, დაქვემდებარებოდა მისი მამის ყველა მთავარი და ქალაქ ტფილისში. წაიყვანეს დიდდიდმა მთავრებმა, რომლებიც თათართა მორჩილებაში იყვნენ: ავაგმა, რომელიც მხედართმთავარი იყო, შაჰან-შაჰმა ზაქარიას ძემ, ვაჰრამმა და მისმა შვილმა ალბულამ და მოიყვანეს მცხეთაში. მოუწოდეს ქართველთა კათალიკოსს და აკურთხეს ის მეფედ. ერქვა მას სახელად დავითი... ხოლო ისინი (ქართველი უფლისწულები) წავიდნენ გუიუმ ლანთან, მან სიყვარულით მიიღო ისინი და განუწესა მათ, რომ ემეფათ რიგით. ჯერ, რომელი უფროსი იყო მათ შორის, დავით ლაშა გიორგის ძეს, ხოლო მისი აღსრულების შემდეგ, თუ კი ცოცხალი იქნებოდა, მეორე დავითს, რუსუდანის შვილს,—მის მამიდაშვილს. როცა მოვიდნენ (დავითები), ჰყვეს ასე ივანეს ძის ავაგის ძის შუამდგომლობით: დაჯდა ლაშას ძე დავით ქალაქ ტფილისს, ხოლო მეორე დავითი—სვანეთს“⁵.

სტეფანოს ორბელიანის (გარდ. 1305 წ.) მიხედვით, „ქართველთა მეფობა ეპყრა ერთ ქალს, სახელად რუსუდანს, (ხოლო) ლაშას დარჩა ერთი ვაჟი, სახელად დავით, რომლის დაღუპვასაც მრავალი ღონისძიებით ცდილობდა ეს რუსუდანი. მაგრამ ყველაფერს გადაურჩა ღვთის განგებით და გაიქცა დიდ მეფე მანგუ ლანთან, გამობრუნდა მისგან, მოვიდა და გამეფდა თავის ქვეყანაში, ხოლო რუსუდანი ნახა გარდაცვლილი“⁶.

ამავე ხანის მოღვაწის მხითარ აირივანეცის (დაბ. დაახლოებით 1230—გარდ. დაახლოებით 1300—1305 წწ.) ქრონოგრაფიულ ისტორიაში ორჯერ ვხვდებით ორ დავითს, რომელთაც ავტორი ერთ შემთხვევაში იხსენიებს როგორც დავით მცირეს და დავით დიდს⁷.

XIII საუკუნის სომეხი ავტორის გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორიის“ მიხედვით, სადაც 1220—1270 წლების მოვლენებია გადმოცემული, „მხნე და სახელოვან ქართველთა ჯარს უკვე კარგა ხანია აღარ ჰყავდა თავისი მეთაური და მეფე. ლაშას ქალი რუსუდანი გარდაიცვალა და ქართველები დარჩნენ უპატრონოდ, როგორც სამწყსო, რომელსაც არა ჰყავს მწყემსი. ამ დროს ღვთის განგებით (ქართველებმა) განიზრახეს (გაემეფებინათ) თავიანთი მეფის ძე დავითი, რომელიც საპყრობილეში იჯდა, ჰორომებთან. ქართველთა მთავრებმა შეიპყრეს ჰორომთა ჯარის მთავრები და მიიყვანეს ბაჩუსთან, რომელიც იყო თათართა მეთაური და გამოჰკითხეს წამებით მეფის ძის დავითის შესახებ... როცა დაინახეს იგი თათრის ჯარმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, გაოცდნენ დიდად მისი ცოცხლად ყოფნის გამო და აღიდეს ღმერთი. ქართველთა მეფის ძე დავითი იყო ტანით მაღალი და ვაჟკაცი, მშვენიერი სახისა, შავი წვერით... მიიღეს ბრძანება დიდი ლანისაგან, მოიყვანეს და დასვეს

5 გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 119;
 Киракос Гандзакечи, История Армении, пер. с древнеармянского Л. А. Ханларян, М., 1976, გვ. 194.
 6 გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი; სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრებაჲ ზარბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანებ. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები. დაურთო ე. ცაგარედშვილმა, თბ., 1978, გვ. 96—97.
 7 მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ე ც ი, ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან აღარგმნა შესავალი, შენიშვნები და საძიებლები. დაურთო ე. ცაგარედშვილმა, თბ., 1990, გვ. 32.



დავითი მისი მამის ტახტზე, თბილისში. ძლიერ გაიხარეს შინაგარეშეობა, უწოდეს მას „ვარამული მეფე“, ე. ი. „ვარამ დასვი მეფედ“⁸. როგორც ვხედავთ, სომხური წყაროებიდან ეს ერთადერთი ასახელებს ლაშას ძის მეტსახელს, რომელსაც აკავშირებს მის მხსნელ ვარამ გაგელთან, მაგრამ ეს ავტორები ასხვავებენ ორ დავითს მათი ასაკის მიხედვით და ერთს უფროსს, მეორეს უმცროსს უწოდებენ (კირაკოს განძაკეცი, მხითარ აირივანეცი).

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ალბათ ქართულ წყაროებს უნდა მიენიჭოს. ორი მეფის ხელმოწერილი დოკუმენტების ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებში მათ სახელებს შემდეგი ფორმით ვხვდებით: დავით ბაგრატიონიანი რუსუდანის ძე, დავით ბაგრატიონი, ძე მეფეთმეფის რუსუდანისა, მეფეთ-მეფე დავითი, რუსუდანის ძე, დავით მეფე, მეფეთა-მეფე დავითი⁹. XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ორმეფობის ხანის „მრავალი სიგელი იპოვების“ და თვით მას უნახავს „რომელ სიგლისა თავს სწერია: „მეფენი ბაგრატიონანი“ და „ნებითა ღმრთისათა დავით და დავით“ და „კელთაცა ორთავეს რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“¹⁰. ორი დავითის სახელზე დაახლოებით 1261 წლის II ნახევარში მოპრილ მონეტაზე წარწერა: „დავით მეფე, მეფეთა მეფე დავითი“¹¹.

ქართული ისტორიოგრაფია ორმეფობის ხანას რამდენიმე თხზულებით იცნობს, მაგრამ ესენი ყველა ფაქტობრივად ერთ ნაწარმოებზე დაიყვანება—XIV საუკუნის ცნობილი ავტორის ვრცელ თხზულებაზე, რომელსაც პირობითად „ასწლოვანი მატიანე“ (თ. ჟორდანი, რ. კიკნაძე), ხოლო მის ავტორს ასევე პირობითად ქამთალამწერელი (ი. ჯავახიშვილი) ეწოდა. ძეგლის შინაარსი იძლევა საფუძველს სხვა და მათ შორის XIII ს-ის ავთენტური წყაროების სავარაუდოდ. როგორც ირკვევა, მოგვიანო ავტორი ხშირ შემთხვევაში არჩევანის წინაშეც კი მდგარა და უპირატესობა რომელიმე ერთი წყაროსათვის მიუნიჭებია. ასე მოქცეულა, მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაშიც. შართალია, მისი ვერსიით „ვითარ ცილობა იყო მეფეთა შორის... ამისთვის დაშთეს მრავალთა წელთა ყარაყურუმს... მაშინ ინება ყაენმან ყუბილმან, წარმოავლინა ორნივე მეფენი ძმასა ამისსა, ულოს თანა, და მიუმცნო ესრეთ, რათა, უკეთუ სთნდეს, ორთავეს მისცეს მეფობა, რომელ ყვნა ულო უკანასკნელ და ორთავე მეფობა დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი“. მაგრამ იქვე განსხვავებული წყაროც არის მითითებული. „მოწვეულ არს ესეცა სიტყუა რომელ სხვა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყვის, ვითარმედ: ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუიუქ ყაენმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა

⁸ გრიგოლ აკანელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27.

⁹ ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, № 32, 34, 37, 39, 41. 42.

¹⁰ ქამთალამწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეთვა, შენაშენებში და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987, გვ. 108.

¹¹ Д. К. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 75—79; И. Л. Джалаганна., Из истории монетного дела в Грузии, XIII в., Тб., 1958, გვ. 25 35; Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970.



ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთში, რადგან მე არა შევიწყნარებ ამას¹².

ამგვარად, XIV ს-ის ისტორიკოსი თავის ნაშრომს სხვადასხვა წყაროებზე ამყარებს, რომელთა ნაწილი, შესაძლოა, შემდგომი ხანის მოღვაწეებისთვისაც იყო მისაწვდომი—ფარსადან გორგიჯანიძის (XVII), ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.), იოანე ბაგრატიონისათვის (XIX ს.). მაგრამ ამ ისტორიკოსებისათვის ამოსავალი კვლავ „ასწლოვანი მატიანე“ რჩება. იმის გამო, რომ ეს ძირითადი წყარო რამდენადმე დაცლებულია აღწერილს, მისი ავტორი, ბუნებრივია, ყოველთვის ვერ ახერხებს მოვლენათა თანმიმდევრობის და ზოგიერთი დეტალის ზუსტად აღდგენას, ზოგჯერ კი შეგნებულად არღვევს მათ¹³, მაგრამ თხზულების დიდი ნაწილი სანდოდ არის მიჩნეული. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო ამბები შეცდომით გადატანილი და მოთავსებულია ცოტა გვიან და სხვა ისტორიულ კონტექსტში. წყაროს მიხედვით, ორი მეფის დამტკიცება მოხდა უკვე ილხანთა სახელმწიფოს არსებობის დროს, ილხან ჰულაგუს (1256—1264 წწ., რომელიც აქ ულოს სახელით იხსენიება) გამგებლობის წლებში და არა 1246—1247 წწ., გუიუქ ყაენის (1246—1249) დროს¹⁴, როგორც ამას ზოგიერთი თანადროული წყარო მიუთითებს. მაგრამ უთუოდ საყურადღებოა განმარტება იმის შესახებ, რომ თუმცა ლაშას ძე და რუსუდანის ძე „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა“ და არა წინააღმდეგობდეს ერთმანერთსა“, „უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა, დავითს ეპყრა ლაშას ძეობისათვის, დაღაცათუ უხუცესობისათვის“¹⁵. ამავე დროს თხზულებაში არსად არ არის მითითებული ლაშას ძის დავითის რაიმე მეტსახელი. ლაშას ძე დავითი თხზულებაში ყველა შემთხვევაში იხსენიება როგორც შვილი მეფისა ჩუენისა ლაშასი, სახელითა დავით, მეფე დავით, დავით, დავით მეფე. რაც შეეხება რუსუდანის ძეს იგი იმავე თხზულებაში გარკვეული მომენტიდან, როგორც წესი, ნარინად იხსენიება. ეს ხდება მას შემდეგ, რაც რუსუდანის ძე დავითი წაიყვანეს, ავტორის აზრით, ბარდავს, „სადა დაებანაკა ნონითა“, „ვითარ იხილეს ჩარმადან, ჩალატა, იოსურ და ბიჩო, განიხარეს და პატივი უყვეს-მეფესა... ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დავითობით უწოდეს, ე. ი. არს სეფისპირი დავით“¹⁶. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, „პირად ითქმის პირისაზე კაცისა“, სეფე—„დიდებულთათვის“. ამგვარად, XIV ს-ის ანონიმი ავტორი მკაფიოდ განმარტავს, რომ რუსუდანის ძეს ნარინი გარეგნობის გამო ეწოდა. „ასწლოვანი მატიანიდან“ ირკვევა აგრეთვე, რომ ნარინი რუსუდანის ძეს დავით ლაშას ძის გამოჩენამდე დაერქვა, ჯერ კიდევ მისი მეფედ დამტკიცებამდე. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ძეგლის გამომცემელმა რ. კიკნაძემ¹⁷.

¹² ქაშთალმწერელი, ასწლოვანი მატიანე, გვ. 107.

¹³ იქვე, გვ. 27—28.

¹⁴ იქვე, გვ. 27—28.

¹⁵ იქვე, გვ. 108.

¹⁶ იქვე, გვ. 79. ი. ჭავჭავაძის მიხედვით, სეფისპირი (პირ[მშო]ა?—ქართველი ერის ისტორია, 1966, გვ. 116.

¹⁷ იქვე, გვ. 225, 11 თავის მე-18 შენიშვნა; ამავე ტომზე ყურადღება გაამახვილა მ. კიკნაძემ / М. К. Кикнадзе, О связи терминологических разысканий с интерпретацией источников.—Источниковедческие разыскания. 1985, Т.6., 1988, с. 111—112; она же. Терминологические разыскания, и проблема интерпретации письменных источников (по восточной

ძველი „ქართლის ცხოვრება“, როგორც ცნობილია, ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული, ამათგან ყამთაღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ მხოლოდ მცხეთური ციკლის ხელნაწერებშია შესული. მსგავსი ხელნაწერები თავის დროზე ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო და ზოგიერთი უფრო უკეთ დაცული, ვიდრე ამჟამად არსებული. აღნიშნული არაერთი კონკრეტული მაგალითით დაადასტურა XVII ს-ის მიწურულის ცნობილი ქართველი მოღვაწის ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების შესაბამისი მონაცემთა საგანგებო კვლევამ¹⁸. ირანში მცხოვრებ ქართველ ისტორიკოსს ხელთ „ქართლის ცხოვრების“ ნაკლები ტექსტი ჰქონია, მაგრამ მასში მრავალი დღეს დამახინჯებული და გაუგებარი ადგილი თურმე უკეთ იკითხებოდა. გარდა ამისა, როსტომ ქართლის მეფის ტახტზე აღზრდილს მას სხვა წყაროებიც და მათ შორის ზეპირი გადმოცემებიც შეიძლებოდა სტოდნოდა საქართველოს ისტორიის შესახებ. ნაცნობი იყო მისთვის სპარსული წყაროებიც. ვნახოთ რას გვაძლევს ეს ტექსტი ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის. მონღოლთა ბატონობის ხანისათვის ფარსადანის ერთადერთი წყარო კვლავ ყამთაღმწერლის თხზულება რჩება, რომელსაც იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს იმ განსხვავებით, რომ რუსუდანის ძეს ყველგან მეტსახელს ნარინს უმატებს, იქაც კი, სადაც ძირითადი წყარო ამის საფუძველს არ იძლევა: „დასხდეს ტახტსა მამათასა თბილის ქალაქთა შიგან დავით გიორგის მეფის შვილი და ნარინ დავით (ძირითად წყაროშია დავით) რუსუდანის შვილი, ორნიც, მოწვენილ არს ესეც ითქვა, რომე სხვა ვინმე ყოველთაღმწერელი იტყვის, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფაში ორნივე სამეფონი გაუყვეს და ასრთე გაბრჭვეს, რომე მეფობა ლაშას ძეს დავითს მისცეს და დაუმტკიცეს და რუსუდანის ძე ნარინ დავით (წყაროშია დავით) ღამით გაიბარა და წავიდა აფხაზეთს, მე არ შევიწყნარებ ამას... „მრავალი სიგელი იპოვების და თვით მეც მინახავს, რომ სიგელთა თვად სწერია... „ნებითა მღთისათა ჩვენ მეფემან დავით და ნარინ დავით“ (წყაროშია დავით) და ჯელი ორთავესი რთავს: „ჩემის დავითისაგან მტკიცე (და ჩემის დავითისაგანცა მტკიცე არს“... და ბოლოს „უმეტესი პატივი და ზეით ჯდომა ლაშას ძეს დავითს მიაპყრობდეს მეფის შვილობისათვის“¹⁹. (აკლია „დადაცათუ უხუცესობისათვის“). მიორე დავითს ფარსადანი იხსენიებს როგორც ლაშა გიორგი მეფის ძე დავითს.

იმავე „ასწლოვანი მატიანე“ იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს-ის 40-იანი წწ.), ოღონდ თავისი სიტყვებით. ავტორი არ იცნობს დავით ლაშას ძის არავითარ მეტსახელს, ხოლო რაც შეეხება ნარინს, რომელსაც საკმაოდ ხშირად იხსენიებს, მის შინაარსს თავისებურად განმარტავს: „კეთილად შეიწყნარეს და პატივსცეს და უწოდეს ნარინ (ესე არს მისრული)“. ავტორმა

терминологической лексике грузинских письменных памятников XII—XVIII вв.) Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб. 1990, გვ. 15—16.

¹⁸ რ. კეკელიძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთან“, თბ., 1975; Р. К. Кикиндзе, Очерки по источниковедению истории Грузии, Парсидан Горгияджанидзе и „Картлис цховრება“, Тб., 1980.

¹⁹ ფ. გორგიჯანიძე, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Н—2140, ფ. 60რ.

იცის, რომ „აქუნდა უპირველესი პატივი დავითს ლაშას ძეობისათვის და ქამითაცა უხუცესი იყო“²⁰.

იოანე ბაგრატიონი ძირითადად კვლავ „ასწლოვან მატიანეს“ და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას იმეორებს, მაგრამ უმატებს ზოგიერთ ახალ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ, ზებირ) წყაროს. ავტორმა იცის რუსუდანის ძის შერქმეული სახელი ნარინი, რაც შეეხება დავით ლაშას ძეს, იოანეს აზრით, მას პაპის სახელით დავით სოსლანიტაც იხსენიებდნენ. „ნარინ დავით უფრორე ჰსცხოვრობდა იმერეთ შინა, ხოლო დავით ლაშას ძე ქართლსა შინა, ვინაიდგან ხნითაცა და მეფობითაცა იყო უფროსნი ნარინ დავითსა ზედა. ამისთვის იმყოფებოდა ქართლშია, რომელ ყაენთან და სხუათა ადგილთაგან მრავალნი მოვიდოდიან ელჩები საქმისათვის“²¹.

სიტყვა „ნარინს“ თავის დროზე ყურადღება მიაქცია მონღოლთა ხანის ისტორიის მკვლევარმა მ. შმიდტმა, რომელსაც მონღოლურ ენაზე დაწერილი მონღოლთა ოთხნაწილიანი ისტორია ეკუთვნის. მან ის განმარტა როგორც კობტა, დახვეწილი, ჰკვიანი²².

„ნარინის“ შინაარსი დაწვრილებით განიხილა ჯ. გიუნაშვილმა სტატიაში ნარიყალას შესახებ. ამ მონღოლურ-თურქული წარმოშობის სიტყვას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: „წვრილი, თხელი, გაწაფული, გულმოდგინე, აკურატული, დეტალური, საფუძვლიანი, მკაფიო; თურქულ-სპარსულში—განსაკუთრებული, ახალი, ნაზი, მოხდენილი, მზიური, ვიწრო, წვრილი, წვრილად დაკეპილი ხორცი და ცომისაგან მომზადებული ეროვნული კერძი, გადატანილი მნიშვნელობით—შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი ადამიანი“²³. როგორც ხედავთ, სიტყვის ზოგიერთი მნიშვნელობა სავსებით შეესაბამება ქამითაღმწერლისეულ განმარტებას იმის შესახებ, რომ რუსუდანის ძეს ნარინი მეფური, ე. ი. მოხდენილი გარეგნობისათვის შეერქვა.

XIII ს-ის საქართველოში ორმეფობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „საქართველოს სახელმწიფო თუმცა წინანდებურად მთლიან სახელმწიფოდ და სრულიად საქართველოდ დარჩა, მაგრამ ერთი მეფის მაგიერ ტახტზე ორი მეფე აღმოჩნდა, რომელთაგან ერთი უფროსად, მეორე უმცროსად ითვლებოდა. თითქოს განზრახ ამ ორსავე მეფეს სახელიც ერთი და იგივე, დავითი ერქვა. ასე რომ მათი გარჩევაც კი შეუძლებელი იყო, თუ რომ თითოეულ მათგანს რაიმე განსხვავებული ნართული სახელიც არ მიეკუთვნებოდა. მათი თანამედროვენი სწორედ ასე მოიქცნენ და ერთს, უფროს დავით გიორგი ლაშას ძეს, ულუ ეწოდა მეტსახე-

²⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.—ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 207. როგორც ახლად მოსულს განმარტავს „ნარინს“ ი. კლაპროტიც (V. Saint-Martin, 292).

²¹ იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H—2134. ფ. 663 r/v—666r.

²² სენ. მარშენის მონაცემებით, დავით ლაშას ძეს ქართველები ხშირად დავით სოსლანად იხსენიებენ. მაგრამ მასვე იცნობენ sain მეტსახელითაც, რაც მონღოლურ ენაზე კარგს ნიშნავს (V. Saint-Martin, II, 293).

²³ Histoire de la Géorgie. Depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, traduite du géorgien par M. Brossel 1-re partie. S—P. II livraison, 1850, გვ., 540, სქ. 4.

²³ ჯ. გიუნაშვილი, ტერმინ „ნარიყალას“ მნიშვნელობისათვის, გვ., 313—318.



ლად, უმცროსს დავით რუსუდანის ძეს კი—ნარინი. ქართველი უმთავრესი მონეტარული ნარინის მონეტების განმარტებით ულუ ნიშნავდა დიდს, უფროსს, ხოლო ნარინ მონეტა უფროსად თხელს, ე. ი. ამ შემთხვევაში, უმცროსს გამოჰხატავდა²⁴. ქართველი უმთავრესი მონეტარული მხოლოდ XIV ს-ის ანონიმს შეიძლება გულისხმობდეს, რომელსაც ეს სახელი პირობითად თვით ი. ჯავახიშვილმა შეარქვა. როგორც დავით უმცროსით, XIV ს-ის ისტორიკოსი არ იცნობს ლაშას ძის მეტსახელს და, ცხადია, ვერ განმარტავს მას, ხოლო ნარინი, მისი აზრით, არა უმცროსი, არამედ სეფისპირია. ერთადერთი, რაც შეიძლება გადავხედოთ როგორც მსგავსი განმარტება, მემბტიანის შემდეგი ცნობაა: „იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხელ“. „რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერთა ფეროვან და შვენიერ და თმითა თხელ“²⁵. მიუხედავად ასეთი გაუგებრობისა, ივ. ჯავახიშვილის აზრი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო ზოგიერთი ნაშრომი მას იმეორებს როგორც წყაროს²⁶.

აზრი ერთგვარი სხვაობით განმეორდა ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე (1943): „მეფობა დავით მეექვსეს, გიორგი ლაშას ძეს, როგორც უფროსს, მისცა, მაგრამ ამასთანავე დავით რუსუდანის ძეც მეფედ დაამტკიცა. ერთი მათგანი უფროსად იქნებოდა. მეორე უმცროსს მეფედ, ისევე როგორც თვით მონღოლების სახელმწიფოში ერთი დიდი ყაენი იყო, ხოლო დანარჩენი სამი ჩვეულებრივ ყაენებად ითვლებოდნენ. ეს მოხდა 1247 წელს. შემდეგში, დავით VI-ეს, გიორგი ლაშას ძეს, დავით ულუ (უფროსი) ეწოდა, ხოლო დავით V-ეს, რუსუდანის ძეს დავით ნარინი (უმცროსი)“²⁷. არ არის დაზუსტებული, თუ როდის მოხდა ეს.

როგორც დავინახეთ, ქართულმა ისტორიოგრაფიულმა მეხსიერებამ არ შემოგვინახა დავით ლაშას ძის ეს მეტსახელი არც შედარებით ამ მოვლენებთან ახლო და არც მათგან დროით დაცილებულ ისტორიულ ძეგლებში. მაგრამ იგივე წყაროები ერთხმად ასახელებენ რუსუდანის ძის მეტსახელს—ნარინს, რომელიც მას ჯერ კიდევ ლაშას ძის მცირე აზიაში ყოფნისას დაერქვა. ამავე დროს მათი ცნობა ლაშას ძის უპირატესობის შესახებ სავესებით ეთანხმება უცხოენოვანი ძეგლების ჩვენებას და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მაშ რა საფუძველი აქვს ივ. ჯავახიშვილის ასე ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას?

1849 წელს მ. ბროსემ გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ კომენტარებით ფრანგულ ენაზე. იმ ხანისათვის არ იყო აღმოჩენილი ძველი რედაქციის არც ერთი „ქართლის ცხოვრება“ და გამოცემას საფუძვლად XVIII ს-ის სამი

24 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, — თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982, გვ. 51. ამავე ნაშრომის 1966 წ. გამოცემაში აღნიშნული ნაწყვეტი არ არის შეტანილი. მაგრამ „ნარინი“ და „ულუ“ აქაც გაგებულა როგორც „უმცროსი“ და „უფროსი“ (გვ. 116—117; 340).

25 უმთავრესი მონეტარული, ასწლოვანი მათიანე. გვ., 109.

26 თ. აბრამიშვილი, XIII—XIV სს. დასავლურ ქართული ფული, 1959. გვ. 98. არის ზოგიერთი გამოწვევის, მაგალითად E. A. Пахомов, Монеты Грузии, 1970, სადაც რუსუდანის ძე დავითი იხსენიება როგორც ნარინი, ხოლო მეორე დავითი როგორც ლაშას ძე.

27 ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან III საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1943, გვ. 208,



ნუსხა დაედო: ე. წ. რუმინანცევისეული (ხელნაწერთა ინსტ. H—2080), ხელნაწერ-რაზისეული (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი, M—24, ძველი შიფრები: G—1, M—13) და ფალავანდიშვილისეული (ხელნაწერთა ინსტ. H—988). ამთგან პირველი სამეცნიერო ლიტერატურაში დაახლოებით 1703 წლით არის დათარიღებული, თეიმურაზისეული XVIII ს-ის პირველი მეოთხედი. უკანასკნელის შესახებ ცნობილია, რომ XVIII ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულისათვის მისი მფლობელი იყო ნიკოლოზ რუსთველი, კ. გრიგოლიას ვარაუდით, შემკვეთ-რედაქტორი ან გადაწერი, მესამე—ფალავანდიშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ გადაწერა ზაქარია ხუცესმა წილენელმა იმავე ამბროსი ნეკრესელმა გვარად მიქაძემ 1761 წლისათვის²⁸. ფალავანდიშვილისეული ნუსხა მ. ბროსეს გამოცემისათვის ძირითადი ტექსტია. სწორედ აქედან გადაუწერია სვიმონ ტაბიძეს 1839 წელს „ქართლის ცხოვრება“ ბროსესათვის. ფალავანდიშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ XIII საუკუნე წარმოდგენილია აგრეთვე ქამთაღმწერლის თხზულებით, სადაც სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთ ადგილას ვკითხულობთ: „იყოფოდეს ორნი ესე ულუ დავით და ნარინ დავით“²⁹.

სიტყვა „ულო//ული-ს მონღოლურ-თურქულ ენებში აქვს დიდის, დიადის, უზარმაზარის, უფროსის, ძლიერის, ამყის, ახოვანის, ზორბას მნშვნელობები³⁰. მსგავსი არაფერი მოიპოვება არც რუმინანცევისეულ და არც თეიმურაზისეულ ხელნაწერებში. სხვა მხრივ თხზულება ფალავანდიშვილისეულ ხელნაწერში არაფრით განსხვავდება სხვებისაგან. აქაც დავით რუსუდანის ძე თითქმის ყველა შემთხვევაში იხსენიება როგორც ნარინი, ხოლო მეორე მეფე როგორც დავითი, ან ლაშას ძე და ა. შ. ეს ნაწყვეტი არ არის ორგანული ტექსტისათვის და აშკარად ჩანართის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ საიდან და როდის უნდა გაჩენილიყო ტექსტში ეს ინტერპოლაცია?

ფალავანდიშვილისეული ნუსხის გადამწერის ანდერძის მიხედვით, მას სამი ხელნაწერთ უსარგებლია: „სამი დედანი ვნახე, ასე აკლდა: მცხეთისა, მეფისა და ერისთავისა“. ამთგან მცხეთური ხელნაწერი, მართალია, არ არის შემონახული, მაგრამ გვაქვს მისი ციკლის ნუსხები, ე. წ. მარიამისეული (ხელნაწერთა ინსტ. S—30) და 1697 წლის Q—1219 (ხელნაწერთა ინსტ. Q—1219). ლაშას ძის მეტსახელი არც ერთ მათგანში არ არის. არ არის ის, როგორც აღვნიშნეთ, არც რუმინანცევისეულში, რომელთანაც აიგივებს „მეფისას“ ხელნაწერს კ. გრიგოლია. გვრჩება ე. წ. ერისთავისა, რომლის შესახებაც ცნობები არა გვაქვს, მაგრამ მსჯელობის საფუძველს გვაძლევს შემდეგი. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია ნარინიც და ულუც, მაგრამ ეს სიტყვები ლექსიკონის შემდგენელისათვის ანტონიმები არ არის. თუ „ულუ—დიდად თიქმის (ქართლის ცხ.), ნარინის განმარტება ქამთაღმწერლის თხზულები-

²⁸ კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 129.

²⁹ H—988, ფ. 390, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 220.; ქამთაღმწერელი, ასწლოვანი მატინე, გვ. 102.

³⁰ Древнетюркский словарь, М., 1974; Э. В. Севортян, Этимологический словарь юрских языков, გვ., 593.

დან მომდინარეობს—„მეფის პირია (ქართლის ცხ.)“. სხვათა შორის, ფალავანდიშვილისეულ ნუსხაში დავით ლაშას ძის მეტსახელი ულუ არ არის განმარტებული. ამიტომ არ არის ცნობილი, იყო თუ არა ჩანართის ავტორისათვის ეს ორი სიტყვა ანტონიმები. თუ გადამწერს ეს ორი სიტყვა ესმის როგორც დიდი და მცირე, მაშინ გაუგებარია, რატომ არ შეცვალა მან უფრო ადრე ტექსტში მოტანილი ნარინის განსხვავებული განმარტება. როგორც ცნობილია, ს.-ს. ორბელიანი ლექსიკონის შედგენაზე 1685—1716 წლებში მუშაობდა. ვინაიდან ორივე სიტყვა მას „ქართლის ცხოვრებიდან“ აქვს ამოღებული, არ არის გამორიცხული, რომ იმ დროისათვის აღნიშნული ჩანართი უკვე იყო კრებულის რომელიმე ნუსხაში, საიდანაც აღმოჩნდა ფალავანდიშვილისეულსა და მისი ციკლის ნუსხებში. ესენია ბარათაშვილისეული (ხელნაწ. ინსტ. S—25), რომელიც გადაწერა იოანე დეკანოზმა 1761 წელს, და დადიანისეული (ხელნაწ. ინსტ. S—354), რომლის გადამწერის ვინაობა და თარიღი უცნობია, მაგრამ პალეოგრაფიული და სხვა ნიშნების მიხედვით ამავე პერიოდით თარიღდება. ფალავანდიშვილისეული ნუსხიდან ჩანართი მოხვდა მ. ბროსეს გამოცემულ ტექსტში, მაგრამ მთარგმნელის ეჭვი გამოიწვია: „ულუ მონღოლურად დიდს ნიშნავს, მაგრამ არავითარი სხვა მინიშნება არ ჩანს, რომ ეს მეტსახელი ლაშას ძეს მიეცემოდა, მაშინ როდესაც სომეხი ავტორების მიხედვით, ის ვარამულის სახელს ატარებდა“³¹. მიუხედავად იმისა, რომ დაეჭვების საფუძველი იყო, საფიქრებელია, რომ ისტორიოგრაფიაში ლაშას ძის მეტსახელი სწორედ მ. ბროსეს გამოცემის წყალობით გავრცელდა. მაგალითად, თ. ჟორდანიას ნაშრომში ორი დავითი იხსენიება როგორც დავით ულუ და დავით ნარინი³², ხოლო საბოლოოდ ამ მეტსახელების როგორც დიდის და მცირის გააზრება ი. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა.

ამგვარად, მივიღეთ ის, რასაც აღნიშნავს ჯ. გიუნაშვილი: „თანამედროვენი სეფეს-პირს დავითს გარკვეული მიზეზის გამო უწოდებდნენ მცირეს“, რის გამოც, „უნდა ვიფიქროთ, „ნარინ-დავითი“ გაუტოლდა „სალირ-დავითს“, ე. ი. მოხდა ერთგვარი სემანტიკური კონტამინაცია, რის შედეგადაც „ნარინი“ გაგებული იქნა როგორც „მცირე“, თუმცა მონღოლურ და თურქულ ენებში ამნაირი გაგებისათვის საფუძველი არ არსებობდა“³³.

ვინაიდან ლაშას ძის დავითის მეტსახელი უცნობია XIV ს-ის უამთააღმწერლისა და მასზე დამოკიდებული თხზულებებისათვის, ის საქართველოში, როგორც ჩანს, პოპულარული არ ყოფილა. მართალია, წყაროთმცოდნეობაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მოგვიანო წყარო უფრო ძველს და უფრო ზუსტ ცნობას შემოგვიანხავს, ვიდრე აღწერილ მოვლენებთან დაახლოებული ძეგლი, ფალავანდიშვილისეული ნუსხის ჩანართის შემთხვევაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია, ვინაიდან იქ ეს ცნობა თავისი წყვეტილი, უადგილო ხასიათის და ტექსტის დანარჩენ მონაკვეთებთან შეუთანხმებლობის გამო უფრო ეჭვს იწვევს, ვიდრე ნდობას. არ არის გამორიცხული მეორე შესაძ-

³¹ Histoire de la Géorgie, გვ. 38, შენიშვნა 4.

³² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოგრაფიულად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მეორე, ტფ., 1897, გვ. 125, 163, 184—195; იხ. აგრეთვე, სარჩევი XXXVI.; იხ. აგრეთვე. ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთატარამეტე საუკუნემდის, წიგნი მეორე, ტ. პირველი, მეორე გამოც. ზ. კვიციანიძის, ტფ., 1897, გვ. 552.

³³ ჯ. გიუნაშვილი, ტერმინ „ნარიყალას“ მნიშვნელობისათვის, გვ. 317, სქ. 23.

ლებლობა, რომ ჩანართი ერთი რომელიმე გადამწერის კონიექტურაა, რომელიც ამასთანავე არ ემყარება ისტორიულ საფუძველს. ასეთი გაუგებრობის წყარო შეიძლება თვით ჟამთააღმწერლის ნაშრომიც კი გახდეს, სადაც ჰულაგუ ყაენი ულოდ იხსენიება, და ეს სახელი ზოგიერთ შემთხვევაში ისეა გადაჭაჭვული დავითთან, რომ ზედაპირულად წაკითხვისას შეიძლება მის სახელადაც კი იქნეს გაგებული. მაგალითად, „მას ჟამსა წარვიდა მეფე დავით ულო ყაენს წინაშე მულიანს“. მსგავსი შემთხვევები სხვაც არის.

ამგვარად, წარმოდგენილ დაკვირვებებს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ: ზუსტად არ ვიცით უწოდეს თუ არა თანამედროვეებმა დავით ლაშას ძეს ულუ, ვინაიდან ჩვენამდე მოღწეული წყაროს ჩვენება, რომელიც ამ მეტსახელს შეიცავს, საკითხის დადებითად გადასაწყვეტად რეპრეზენტატულად ვერ ჩაითვლება.

კიდევ უფრო ნაკლები საფუძველია ნარინის და ულუს ანტონიმებად მიჩნევისათვის.

ამიტომ, მიზანშეწონილია დარჩეს აზრი იმის შესახებ, რომ ორ დავითს ეწოდათ უფროსი და უმცროსი, და აღინიშნოს, რომ რუსუდანის ძეს დახვეწილი გარეგნობის გამო ნარინიც შეერქვა.

Г. Г. АЛАСАНИЯ

ОБ ОДНОМ ИСТОРИОГРАФИЧЕСКОМ ФАКТЕ

Резюме

Статья касается прозвищ царей периода двоецарствия Грузии Давида, сына царицы Русудан и Давида, и сына царя Георгия IV-Лаши. В грузинской историографии за ними укоренились прозвища Улу и Нарин—понимаемые как Старший и Младший. Сведения латинских, персидских армянских, сирийских, арабских, грузинских источников, упоминающих, в некоторых случаях двух грузинских царей как Давида Старшего и Давида Младшего, не дают, тем не менее, повода переводить эти определения как Улу и Нарин.

По наиболее близкому к интересующему нас времени и подробному сочинению грузинского анонима XIV века в своде „Картлис цховრება“ (КЦ) сын Русудан Давид был наречен Нарином (озн. тонкий, искусный, усердный, аккуратный, деятельный, основательный, четкий, особенный, свежий, нежный, солнечный, узкий, красивый, в переносном смысле дальновидный и пронизательный человек) еще до прибытия сына Георгия IV Лаши из Матой Азии в качестве царя. То же самое повторяют и более поздние историки-Парсадан Горгиджанидзе (XVII в.), Вахушти Багратиони (XVIII в.), Иоани Багратиони (XIX в.). Эти же источники вовсе не упоминают прозвища Улу в связи с другим Давидом.

Имя Улу, как определение сына Георгия в тексте того же анонима XIV века, впервые и лишь однажды встречается в рукописи КЦ Палаван-

დიშვილი и повторяющих ее списках Дадiani и Бараташвили. Все указанные списки относятся к 60-м гг. XVIII века. Предложение, не имеющее ничего общего с содержанием текста сочинения в целом, оставляет впечатление поздней интерполяции. Источником недоразумения вполне мог послужить текст самого сочинения анонима XIX века, где Уло, имя ильхана Хулагу, в определенных контекстах при поверхностном чтении вполне могло быть воспринято как прозвище Давида Старшего. Из списка Палавандишвили сообщение попало в публикацию КЦ на французском языке (1849г.). Несмотря на то, что оно сразу же было поставлено под сомнение переводчиком и исследователем М. Броссе, отсутствие долгое время древних списков КЦ способствовало восприятию Улу и Нарина как антонимов, хотя ни значение слова „нарин“, ни показания древних списков КЦ не говорят в пользу такой интерпретации.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების წყარომცოდნეობითი შესწავლის განყოფილებამ

ზურაბ ბრახვაძე

ლეონტი მროველი და ელინისტური ხანის კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ლეონტი მროველის ისტორიოგრაფიული განხილვა-შეფასება დიდი სიძნელის საკითხების გაშუქებას მოითხოვს, მაგრამ ლეონტის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სამუშაო უნდა გაწეული იქნას. ქართული ისტორიოგრაფია დღეს იმ სიმაღლეს არის მიღწეული, რომ ლეონტის „კრიტიკული ათვისება“ ყოველად გარდაუვალია. ლეონტიმ ხომ ქართველთა ცივილიზაციის საკითხი ამოცანად დაისახა და თავისი დროის შესაფერად გადაჭრა. ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა და ჩვენი მეცნიერება ამ საკითხის გაშუქებისას ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის იმას, ვინც ეს საკითხი ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველად დასვა და გააშუქა. ლეონტის დებულებათა შეწყნარება თუ უარყოფა, მათი კრიტიკული განხილვა მუდამ სავალდებულოდ დარჩება ჩვენს ისტორიოგრაფიაში“¹.

ლეონტი მროველის თხზულების მეცნიერულ მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივად, ერთადერთი ქართული წერილობითი წყაროა, რომელშიც გადმოცემულია წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად მწყობრი სურათი. რა თქმა უნდა, სხვა საქმეა, როდესაც ამა თუ იმ მკვლევარს თავისებურად ესმის ლეონტის მიერ მოთხრობილი ისტორიული მოვლენები და სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ მის ნაამბობს. ნებისმიერი მკვლევარის უფლებაა ეჭვი შეიტანოს ისტორიკოსის მიერ გადმოცემული ამბების სინამდვილეში, ან სულაც უყოყმანოდ მიიღოს ყველაფერი, რასაც გვთავაზობს ავტორი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ყველაფრის უყოყმანოდ გაზიარება, ისევე როგორც ამ წყაროს მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება და მასში აღწერილი ამბების ლეგენდად ან ნაყალბევად გამოცხადება, თუმცა არც ის არის დასაძალი, რომ ასეთი ფიქრის საფუძველს თვით ლეონტი მროველი იძლევა, რომელიც ისეთ ფაქტებს გვთავაზობს, რაც არც ქართლის და არც კოლხეთის ისტორიაში ნამდვილად არ ყოფილა და მათ შესახებ კამათი მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს (მაგალითისათვის ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავიც იკმარებდა). არადა, ისმის კითხვა, რას უნდა ველოდეთ ისტორიკოსისაგან, რომელიც მისი დროიდან საქაოლ დაშორებულ მოვლენებს გადმოგვცემს? მიახლოებით მაინც რომ ვიცნობდეთ ლეონტის წყაროებს, კიდევ შეიძლებოდა რღვაულების გადამოწმება, ან მეტი სანდოობის გამოჩენა. რა თქმა უნდა, ლეონტის არც ბოლომდე ნდობა შე-

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 549.



იძლება და არც მთლად უარყოფა. თუ მის გადმოცემებს ჩამოვამოთხვეთ, ნაპირულ-ლეგენდურ იერს და დარჩენილ ცნობებს შევადარებთ ელინისტური ხანის მწერალთა ცნობებს და არქეოლოგიურ მონაცემებს, იმ შემთხვევაში. შესაძლოა, ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს მეტ-ნაკლებად მოახლოებული ისტორია შეგვჩვენოს ხელთ, მაგრამ როგორ უნდა ენდო ლეონტის, როდესაც ძვ. წ. IV—I საუკუნეების თანადროული ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობებიც ზოგჯერ საეჭვოა და ისეთ მოვლენებს გადმოგვცემენ, რაც ან არ მტკიცდება, ან დღემდე საკამათო და გადაუწყვეტელია. საგულისხმოა, ისიც, რომ მიუხედავად ფართომასშტაბიანი სამუშაოების ჩატარებისა, ჩვენი არქეოლოგიაც ჭერჭერობით ვერ იძლევა ისეთ ხელშესახებ მასალას, რომლის მეშვეობით შედარებით იოლად გადაიჭრებოდა ესა თუ ის პრობლემა.


ჩვენი ამჟამინდელი კვლევა ლეონტი მროველის თხზულებაში აღწერილ ძველი საქართველოს ისტორიის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ეპიზოდს შეეხება. მხედველობაში გვაქვს, ქართლისა და ეგრისის ურთიერთობის რეალიები. აქვე ვიტყვი, ეს იმდენად საკამათო საკითხია, რომ მის ირგვლივ არსებობს არაერთი მკვლევრის მოსაზრება, და თითქმის ყველა მათგანი თავისებურად, განსხვავებულად უყურებს აღნიშნულ პრობლემას (გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური, მ. ინაძე, დ. მუსხელიშვილი და სხვა). ვფიქრობთ, ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს განსახილველი საკითხის სირთულის და მისი მეცნიერული მნიშვნელობის დონე.

აღბათ, მართებული იქნება, სანამ უშუალოდ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, გავარკვიოთ, თუ როდის იქნა დაწერილი ლეონტის თხზულება, რადგან ეს პრობლემა, უშუალო კავშირში უნდა იყოს წარმოდგენილი საკითხის თვით ავტორისეულ გაგებასთან და მისი მეცნიერული ინტერპრეტაციაც ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი საუკუნის მოღვაწედ მივიჩნევთ ლეონტი მროველს.

პროფ. ნ. ლომოური აღნიშნავს, ფარნავაზისა და ქუჯის ურთიერთობის ამსახველ რეალიებში ჩანს თვით ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია, რომელიც უნდა ასახავდეს XI საუკუნის საქართველოში გამეფებულ იდეოლოგიას, რომელიც საქართველოს განიხილავდა უძველესი დროიდანვე როგორც ერთიან სახელმწიფოს, რომლის სათავეში იდგა ქართლი².

ხოლო ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, ლეონტი მროველს საქართველო წარმოუდგენია სავსებით გამოკვეთილი, ცალკე ერთეულად. ეს ქართლი არის სწორედ ის საქართველო, X—XI საუკუნეში საბოლოოდ რომ ჩამოინაკვთა და ლეონტის ერისთავებიც ისეთივენი არიან, როგორც იყვნენ ერისთავნი XI საუკუნეში. ლეონტის ერისთავები მეფეებს სვამენ, ისინი ადგილთა ერისთავები არიან, მამა-პაპურ რჯულს იცავენ, მეფის თვითნებობას ებრძვიან, და რაც ყველაზე უმთავრესია, ლეონტი არც ერთ შემთხვევას არ აღნიშნავს, რომ მეფე ერისთავს სცვლიდეს. ერისთავნი მკვიდრად სხედან თავთავიანთ საერისთავოში. თითოეული საერისთავო ვეებერთელა ტერიტორიაა. რეალურ-ისტორიული საეჭვოა აქ რაიმე იყოს, სამაგიეროდ ლეონტის დროის სურათია მო-

² Н. Ю. Ломоури. К вопросу о методике использования некоторых античных и грузинских историков по истории древней Грузии, „Источниковедческие Разыскания“, Тб./1985, გვ. 59.



ცემული. ასეთი სურათი ყველაზე უფრო შესაფერისია X—XI სს. ურთიერთობებისათვის³.

ფარნავაზის ერისთავები ლეონტის ათარიღებენ. აქ უკვე „ყოველი ქართლიც“ აღარაა. არგვეთ-ეგრისი ქართლოსის ძმის ეგროსის წილი იყო და არა ქართლოსის ჩამომავლობისა. არგვეთ-ეგრისის ასეთი დანაწილება და „ყოველ ქართლში“ შემოტანა X—XI საუკუნის საქმეა, როცა ქვეყნის გაერთიანების ნიადაგზე ქართლის ახალი, ვრცელი გაგება შემოვიდა „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების“..., VIII—IX საუკუნეში ასეთი წარმოდგენის შემუშავებისათვის საფუძველი არ იყო⁴. და კიდევ ერთი ნიშანდობლივი მომენტი ისევ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებიდან—ლეონტი მროველის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ეგრისწყალზე გადის. ეს შეიძლება იმის მოწმობა იყოს, როგორი ვითარებაც შეიქმნა IX—X საუკუნეში, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან დევნილი ბერძნული ეკლესია აფხაზეთის სამთავარებისკოპოსოს ინარჩუნებდა⁵. ამგვარად, სავსებით რეალურად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლეონტი მროველის პოლიტიკური კონცეფცია ნამდვილად არსებობს და ეს X—XI საუკუნის საქართველოს იდეაა, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით საწინააღმდეგო მოსაზრებასაც. აკად. დ. მუსხელიშვილის აზრით, აღნიშნულ თვალსაზრისს საფუძველი არა აქვს და X საუკუნიდან თვითონ ქართლი წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საერისთაოს—აფხაზეთის სამეფოს ნაწილს. ამიტომ, მთელი XI საუკუნის განმავლობაში 1122 წლამდე, ქვეყანაში პოლიტიკური ჰეგემონია ეპყრა დასავლეთ საქართველონ⁶. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება და დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, თუ ქვეყნის დედაქალაქი დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, ნიშნავს კი ეს იმას, რომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და ეთნიკური ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოს ეპყრა? მაშ, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სწორედ X საუკუნიდან უკვე არსებობს ტერმინი „საქართველო“⁷. ალბათ, არ იქნება სწორი გვეფიქრა, რომ ერთიანი ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდება „საქართველო“ იშვა დასავლეთ საქართველოს წიაღში. ამით სულაც არა გვსურს იმის მტკიცება, რომ დასავლეთ საქართველოში ვერ აღმოცენდებოდა ქართული ეთნიკურ ჯგუფთა კრებითი სახელწოდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მაშინ ამ ტერმინს „საქართველო“ ნამდვილად ვერ შეერქმეოდა. ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოშიც კი სახელმწიფო ენა იყო ქართული და არა მეგრულ-ლაზური⁸. მართებულად არის შენიშნული, რომ საქართვე-

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IX, თბ., 1979, გვ. 12—14.
 4 იქვე; გვ. 15.
 5 იქვე; გვ. 13.
 6 დ. ჯ. მუსხელიშვილი, Некоторые Проблемы Источниковедческой Критики Грузинских Средневековых Источников, „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1986, გვ. 67.
 7 დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, „საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993, გვ. 370.
 8 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 396.



ლოს შეკრება-გაერთიანება პერიფერიიდან დაიწყო და ესე იგი „ქართული“ ველესად გამოწვეული იყო გარე პოლიტიკური გართულებებით (არაბობა), მაგრამ ამ ვითარებაშიც კი ქვეყნის ბუნებრივ გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ცენტრს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა ქართლი და თბილისი⁹.


ამ საკითხზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუქცევთ მოსაზრებას, რომ ფეოდალური „ქართლის“ კულტურულ და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწე X საუკუნეში აღინიშნებოდა სახელით „ქართველი“, მაგრამ ამ ცნებაში ამჯერად არა მხოლოდ ქართ-ის ჩამომავალი იგულისხმებოდა, არამედ იმ „ქართლის“ მოღვაწე, რომელიც დიდი ხანია გადასცდა ქართლის ეთნოგრაფიულ საზღვრებს. ამრიგად, წარმოიქმნა მცნება „საქართველო“, რომელიც ძველი „ქართლის“ ცნებაში აღარ თავსდებოდა და შეიქმნა „საქართველო“, სადაც „ქართველი“ ნიშნავდა უკვე არა ეთნიკური ქართლის შვილს, არამედ ქართულ პოლიტიკურსა და კულტურულ სარბიელზე მოღვაწე ადამიანს, სულ ერთია რა წარმოშობისაც უნდა ყოფილიყო იგი. ეს პროცესი, ფეოდალური საქართველოს შექმნის პროცესი, ქართლის, იბერიის ჰეგემონობის ნიშნის ქვეშ, X—XI საუკუნეებში დასრულდა¹⁰.

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ სანამ ტერმინი „საქართველო“ გაჩნდებოდა, მის მაგივრობას „ყოველი ქართლი“ სწევდა. ამ მხრივ ის ცნება „საქართველოს“ ექვივალენტურია. „ყოველი ქართლი“, რა თქმა უნდა, გაცილებით ფართო ცნებაა და ბევრად სცილდება ეთნიკური ქართლის ფარგლებს. იგი იმ ეთნოტერიტორიულ ერთობას მოიცავს, რაც შემდგომ ხანაში ტერმინ „საქართველოთი“ აღინიშნებოდა. ამრიგად, ლეონტი მროველის „ყოველი ქართლი“ იგივე საქართველოა, თუმცა იგი იმ ქვეყნის აღმნიშვნელად, სადაც ქართველები სახლობენ, არსად ხმარობს ტერმინს „საქართველო“ და ყველგან იყენებს ტერმინს „ქართლი“ ან „ყოველი ქართლი“, მაშინ როდესაც XI საუკუნისათვის „ქართლის“ ხმარება ზოგადად ქვეყნის აღმნიშვნელ ცნებად, აშკარად მოძველებული ფორმაა. შესაძლებელია დავუშვათ, რომ ლეონტი მროველმა კარგად იცის საქართველოს ძველი ისტორია და უწყის, რომ „ქართლი“ უფრო უკეთ შეესაბამება წინაქრისტიანული ხანის ისტორიულ სინამდვილეს, ვიდრე მოგვიანებით გაჩენილი „საქართველო“. ამიტომ მისთვის მისი თანადროული საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ფარგლებშიც იგი ათავსებს ანტიკური ხანის „ყოველ ქართლს“. ფარნავაზის დროინდელი ქართლი მისი თანადროული საქართველოა—საზღვრებითაც, ეთნოსითაც, საერისთავოებითაც.

ლეონტი მროველის პოლიტიკური აზროვნებისათვის ნიშანდობლივია, რომ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის თანასწორი მონაწილეა ეგრისი, ფარნავაზი ეგრისის დამპყრობელი კი არაა, არამედ—ქუჯის მოკავშირე, ერთად იბრძვიან საერთო დამპყრობლების, ბერძენების წინააღმდეგ. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს ტრადიცია შექმნილია იმ დროს. როდესაც ეგრისი იმპერიის (ბიზანტიის—**ზ. ბ.**) მიერ შევიწროებული, აღმოსავლეთი მოძმისაკენ მოიწევს, როცა იმპერია აფხაზეთს ეფერებოდა, როცა იმავე დროს, ქართლი სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა მოძმე ეგრისში, როცა რიონის

⁹ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 213.

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 410.



სამხრეთი ქართული ხდებოდა¹¹. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ლეონტი მროველი ფარნავაზის „ქართლის“ ისტორიის გადმოცემისას, სათანადო ყურადღებას უთმობს ქუჯის „ეგრისსაც“, რამეთუ უკვე ლეონტის მოღვაწეობის პერიოდში ეს მიწა-წყალი განიხილებოდა ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ლეონტი მროველი არ ივიწყებს ეგრისს, მეგრელთა ეთნარქს და ქართლოსის ლვილ ძმად ჰყავს დასახული. ეს გარემოება შეუძლებელია მართოდ აღვნიშნოთ ავტორის ნებისმიერი ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნიოთ,—აქ უეჭველია, პოლიტიკური, ეთნიკური მომენტი და საქართველოს გაერთიანების ხანის ტენდენციაც იგულისხმება. ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია და მის მიერ მოტანილ ლეგენდაში ყურადღებაა გამახვილებულ ქართველ ტომთა ერთიანობის სიდიადის შესახებ¹².

აღსანიშნავია, რომ ლეონტიმ არ იცის ეგრისის ძველი სინონიმი „კოლხეთი“. მის თხზულებაში ვერც „ლაზიკას“ ვხვდებით. იგი ან ცუდად იცნობს დასავლეთ საქართველოს უცხოურ სახელწოდებებს, ან იმ შემთხვევაში თუ იცნობს, არ იყენებს მათ და უპირატესად საკუთრივ ქართული სახელით—ეგრისი—სარგებლობს. ლეონტის წყაროსათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ არ მოიხსენიება ბერძნული წყაროებით ცნობილი არც ერთი პიროვნება და კოლხი მოღვაწეებიდან აქცენტი მხოლოდ ქუჯიზეა გადატანილი¹³. როგორც ჩანს, ლეონტი არც კოლხეთ-იბერიის ისტორიის ამსახველ უცხოენოვან (ბერძნულ-რომაულ) წყაროებს იცნობს კარგად. მეტიც, თავი რომ დავანებოთ ელინისტურ ხანას, მას არც შედარებით გვიანი პერიოდის ეგრისის ისტორია „აგონდება“. მაგალითად, ისეთი თავბრუსხვევი ეპოქა დასავლეთ საქართველოს ისტორიაში, როგორც იყო V—VI საუკუნის ეგრისი, ან თუნდაც რომაელების შემოსვლა საქართველოში. სწორედ ეს გარემოება ხდება საფუძველი ვიეჭვიანოთ, რომ ლეონტისთან ძალიან ბევრი რამ ან გამონაგონია, ან დამახინჯებულია ინტერპრეტირებული. თუმცა, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, ეს მაინც არ გვაძლევს სრულ უფლებას, ხელაღებით უარყვათ იგი და კოლხეთ-იბერიის კულტურულ-პოლიტიკური თანამშრომლობა ზღაპრად გამოვაცხადოთ¹⁴.

ლეონტი მროველის მიხედვით, ეგრისი რაღაც პოლიტიკური ერთეულია. ექვს გარეშეა, რომ ეს არის ოდესღაც ძლიერი კოლხეთის შემკვიდრე ქვეყანა. მაგრამ ასე დაკნინებული? მართალია, ბერძნული წერილობითი წყაროებიც (სტრაბონი) გადმოგვცემენ, რომ ელინისტური ხანიდან კოლხეთი აღარ არის ისეთი ძლევამოსილი, როგორც—აღრე და ქვეყნის მეფეს აქვს ზომიერი ხელისუფლება¹⁵, მაგრამ სტრაბონთან არ არის მითითებული კონკრეტულად როდიდან იწყება კოლხეთის დაცემა. შესაძლებელია ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. III საუკუნის შუა წლებიდან ან თუნდაც ძვ. წ. III საუკუნის მიწურულიდან და არა მაინცდამაინც ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე კოლხეთში შექმნილიყო

11 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი; გვ. 549.

12 ა. ბარამიძე, საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართული წყაროების მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1992, გვ. 30.

13 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 543.

14 იქვე, გვ.

15 Strabo, XI, 2.

8. „მაცნე“. ისტორიის სერია, 1993, № 2



ქართველი
წიგნითადაც

უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას მორჩილება გამოეცხადებინა იმ პიროვნებისათვის, რომელიც ჯერ მეფეც არ არის და ფაქტობრივად სამშობლოწართმეულია (ქუჯი ფარნავაზს). აქვე საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ფარნავაზი ქართლის ტახტის პირდაპირი მემკვიდრეც არ არის. ჩვენ არ ვიცით მცხეთის მამასახლისს ჰყავდა თუ არა შვილი, ვისაც წესით, უნდა რგებოდა ტახტი. რადგანაც ლეონტი მასზე საგანგებოდ არაფერს ამბობს, შეიძლება გვეფიქრა, რომ სამარას მემკვიდრე არ ჰყავდა და ყველა შემთხვევაში, აზო რომც არ შემოსულიყო ქართლში, ტახტზე ავიდოდა ფარნავაზი, მაგრამ ამ ვითარებაში ხომ ირღვევა ქართლის მამასახლისისა თა პირდაპირი გენეალოგიური ხაზი. თუ ლეონტის სურს გვიჩვენოს, რომ ფარნავაზამდე ქართლში მეფე არ მჯდარა და პირველი ფარნავაზია, მაშინ რაღა საჭიროა სამარას გამოგონება? თუ ეს მას იმიტომ დასჭირდა, რომ ფარნავაზის კანონიერი უფლებები წარმოაჩინოს სხვა საქმეა, ხოლო თუ მან ფარნავაზის და ქუჯის ურთიერთობები მხოლოდ იდეოლოგიური მოსაზრებების გამო წამოსწია, მაშინ ამ ფაქტს მეორე, უარყოფითი მხარეც აქვს. კერძოდ, ერთი ქართული სახელმწიფო შთანთქავს მეორეს. თუმცა, ლეონტის აზრით, ეს გამართლებულია და ქვეყნის ინტერესებისთვისაც ასე სჯობია. მოკლედ ამ ეპიზოდში ბევრი ისეთი დეტალია, რაც ალბათ, დიდხანს ვერ მოასვენებს ისტორიკოსებს.

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც უარყოფილია ლეონტი მროველის ცნობების სისწორე იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ საქართველო, ფარნავაზის დროს, მოქცეულია ქართლის სამეფოს ფარგლებში, რადგან ანტიკური წყაროები გვიხატავენ სულ სხვანაირ სიტუაციას და კოლხეთს განიხილავენ, როგორც ერთიან ქვეყანას იმ საზღვრების ფარგლებში, რაშიც არსებობდა ის ფარნავაზის წინა პერიოდში¹⁶.


ლეონტი მროველის ყველაზე დიდი შეცდომა, ალბათ, ის არის, რომ მისი აზრით, ელინისტურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ქვეყანაა—ქართლის სამეფო. რაც შეეხება კოლხეთს, ამ დროს იგი მას სტატუსდაქვეითებულ პოლიტიკურ გაერთიანებად მიიჩნევს და მეტიც—ცალკე ქვეყანადაც არ თვლის და წარმოაჩენს ქართლის მორჩილებაში მყოფ ერთ-ერთ საერისთაოდ. ჩვენი ვარაუდით, ლეონტის წარმოდგენა ელინისტური ქართლის სამეფოს სიდიადეზე ნაკლებსარწმუნოა, ისევე როგორც კოლხეთის სამეფოს გაუქმება არ არის სწორი ძვ. წ. IV—III საუკუნის მიჯნაზე და ძვ. წ. III საუკუნეში და არ დასტურდება არც ანტიკური წერილობითი წყაროებით, არც არქეოლოგიური მონაცემებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ქუჯი თავისი მდგომარეობით მეფეა, მისი პოლიტიკური ძალა, საისტორიო ტრადიციის მიხედვით, მის მიერ ციხე-გოჯის მშენებლობის ფაქტშია განსახიერებული, რადგან ვინც ციხის უფალია, ის ქვეყნის რეალური მფლობელი და გამგებელიც არის¹⁷.

ლეონტი მროველისათვის სრულიად „გარკვეულია“ ელინისტური ხანის დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება—ეგრისი ქართლის პოლიტი-

¹⁶ Н. Ю. Томоурн, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 58.

¹⁷ მ. ი ნ ა ძ ე, *ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის*, „მნათობი“, № 8, 1989, გვ. 156.



კური ქვეშევრდომია, რომელიც სჯერდება საერისთაოს სტატუსს (მეფის სვანეთით)¹⁸, ე. ი. ოდესღაც ძლიერი ქვეყანა დაიშალა, — „ეგრისის“ ქვემოთ დარჩათ ბერძენთა“ — და დასავლეთ საქართველო (ქუჯის სამეფო) ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი გახდა ქართლის საკუთრება, მეორე ნაწილი — ბერძენებისა. ვითარება თითქოს ნათელია, მაგრამ მდგომარეობას ართულებს არგვეთის საკითხი. ფაქტია, რომ ფარნავაზი ამ მიწა-წყალს ქართლის პოლიტიკურ ფარგლებში აქცევს და იქ ერისთავს სვამს, მაგრამ საკითხავია, ვის ეკუთვნოდა ამ მომენტამდე არგვეთი; წარმოდგენდა იგი ეგრისის სამეფოს ტერიტორიაში მყოფ კუთხეს თუ თავიდანვე ქართლის საკუთრება იყო. ლეონტი მროველი ამ კითხვაზე არ უპასუხებს. მის გადმოცემაში სრული ბურუსითაა მოცული ეს საკითხი. ლეონტის მაინცდამაინც არც არგვეთის საზღვრებზე აქვს ნათლად გარკვეული წარმოდგენა — „მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ამდე [ეგრისისა] რიონს ზემოთ“¹⁹. ე. ი. გამოდის, რომ არგვეთის საერისთაო რიონამდე ვრცელდებოდა.

ძველი ქართული მ—არგუ—ი უძველეს დროს უთუოდ ნიშნავდა მეგრელებით (მეგრებით) დასახლებულ სამეგრელოს ერთ მხარეს. მ—არგუ—ი, მ—არგუ—ელ—ი ფორმების უმარცვლო უ(ე) მარცვლოვანი უ—საგან მომდინარეობს. პროცესი შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო: აგურ-აგრუ-არგუ-ეთ²⁰. ამ ვითარების გათვალისწინებით, ხომ არ შეიძლებოდა ჰიპოთეზის სახით გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ფარნავაზმა ეგრისის მხოლოდ ნაწილი (არგვეთი) შეიყვანა ქართლის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო რიონს იქითა ეგრისი დამოუკიდებელი დარჩა.

ვნახოთ, რას და როგორი თანმიმდევრობით წერს ლეონტი მროველი: ფარნავაზმა სამეფო დაპყრო რვა საერისთაოდ. ამ რვა საერისთავოში დასავლეთ საქართველოდან მოიხსენიება მხოლოდ არგვეთი. ეგრისი ნახსენები არაა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ლეონტი ჩამოთვლის საერისთავოებს მათთან ერთად არ ასახელებს ქუჯის საგამგებო ქვეყანას. მასზე საუბარი აქვს ამ მოვლენებზე ადრე. ლეონტის მიხედვით ირკვევა, რომ ფარნავაზს ჯერ ქუჯისთვის მიუცია ქვეყანა, და მხოლოდ ამის შემდეგ დაუყვია სამეფო საერისთავებად. თანმიმდევრობა ასეთია: „და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვ თავან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და ამან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი. მაშინ ფარნავაზ ჟუში იქმნა ყოველთა მეტრთა თვ სგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლოსიანნი, განაწესდა ერისთავი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ამდე [ეგრისისა] რიონს ზემოთ“²¹... და ა. შ. ე. ი. ფარნავაზი ქუჯის აძლევს საგამგებო ტერიტორიას, ამტკიცებს ერისთავად და შემდგომ, იწყებს საერისთავოების შექმნას. ვფიქრობთ, აქ მთლად გარკვეული არ არის ყველაფერი და ქუჯისთან მიმართებაში „ერისთავის“ ხმარება მთლად ზუსტად ვერ გადმოსცემს რვა-

18 ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955, გვ. 22.
 19 იქვე, გვ. 24.
 20 ო. კახაძე; ტერმინი ეგრისი „საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, გვ. 381.
 21 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.



ლურ ვითარებას. თუ ქუჯი სხვა ერისთავების თანასწორი ფაქტობრივად მაშინ რატომ არ მოიხსენიებს ლეონტი მათთან ერთად, იმიტომ, ხომ არა, რომ იგი დანარჩენ ერისთავებს აღემატება. ლეონტი მროველი ბოლომდე ვერ ხსნის საქმის რეალურ ვითარებას. მისი მიხედვითაც კი, ქუჯი დანარჩენ ერისთავებზე გამორჩეულ პირობებშია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფარნავაზის სიძეა. მის მდგომარეობას განსაზღვრავს მისი სტატუსი. იგი მეფეა. ლეონტი ერიდება მისთვის მეფის ტიტულის „მინიჭებას“, არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგი არსად მოიხსენიებს ქუჯის მეფედ. მეტიც, არსად, გვიმხელს მის ტიტულს და სანამ ფარნავაზი ერისთავად „დაამტკიცებს“, უბრალოდ „ქუჯი“ მოიხსენიებს²².

ლეონტის სიტყვები, რომ ფარნავაზმა ქუჯი „დაამტკიცა ერისთავად მუნ“, ჩვენი აზრით, უნდა მიანიშნებდეს ფარნავაზის (ქართლის) მიერ ქუჯის (ეგრისის) აღიარებას და აგრეთვე იმასაც, რომ ეგრისის ნაწილის—არგვეთის—მითვისების საფასურად იბერიამ ცნო ეგრისი ცალკე სახელმწიფოდ და ამ დამოებით ეგრისმა თავი გადაიჩინა ქართლის სრული ექსპანსიისაგან.

ძნელი სათქმელია ამ შემთხვევაში არის თუ არა არქეოლოგიური მასალა სრული არგუმენტი, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი ელინისტური ხანის განმავლობაში მკვეთრი განსხვავება დასტურდება, მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, კოლხეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს შორის. ეს ვითარება განსაკუთრებით თვალში საცემია კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინციების (რიონ-ყვირილას აუზი) და შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური მონაპოვრის შედარებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ კოლხეთში გამოვლენილი ელინისტური ხანის მატერიალური კულტურა არაფრით განირჩევა აღმოსავლეთ საქართველოში. საკუთრივ ქართლში შიკვლეული კულტურისაგან და ნათელი ხდება, რომ საერთო მოვლენებთან გვაქვს საქმე²³. ვფიქრობთ, ეს გარემოებაც ზემოთქმულის დადასტურების ერთ-ერთ საბუთად უნდა მივიჩნიოთ.


სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე—ვანი, მთისძირი, ვარციხე, მოდინახე, საირხე—დამოწმებული ნახანძრალი ფენები ფარნავაზის საომარი მოქმედების შედეგად არის წარმოქმნილი²⁴, და ეგრისისათვის ბრძოლის ფაქტად განიხილება²⁵. საირხის საბადურის გორის სტრატეგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, დაბეჭივებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აღმოსავლეთ ეგრისში (არგვეთი) არანაირი მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია და არც საირხეში, არც მოდინახეზე არ არსებობს ძვ. წ. IV—III საუკუნის ნახანძრალი ფენები, რაც დადასტურებდა ვარაუდს, რომ ფარნავაზს დიდი ომების გადახდა დასჭირდა, რათა არგვეთი ქართლის პროვინციად ექცია. ძვ. წ. IV—III საუკუნეში საირხეში საბადურის გორაზე ფუნქციონირებს სამაროვანი. ექვგარეშეა, რომ სამარხებში დაკრძალული არიან კოლხეთის ერთ-ერთი საგამგეო

²² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 22—24.

²³ О. Д. Лордкипанидзе. Вани в IV—II вв до н. э. „Причерноморье В Эпоху Эллинизма.“ Тб. 1985.

²⁴ გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1985, გვ. 92—93.

²⁵ Д. Л. Мусхелишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.



ერთეულის უმაღლესი ხელისუფალი²⁶, და შესაბამისად, ამ პერიოდში საირხე ისევე როგორც არგვეთის ეს ნაწილი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაშია. ძვ. წ. III საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს სამარხები ქრება და ეს ადგილი იფარება სტერილური შრით. სულ ცოტა ხანში, ალბათ, ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან იმავე ადგილზე წარმოიქმნება სამოსახლო. სტრატეგრაფიულად იდენტური სიტუაციაა საირხის წყაროსთვის გორაზე, სადაც მხოლოდ ნამოსახლარი ფენებია ფიქსირებული და საშუალება გვძლევს დავრწმუნდეთ, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეებს კულტურული ფენები არ არის ძალდატანებით განადგურებული და არ ფიქსირდება ნგრევის, ან რაიმე თუნდაც მცირე მასშტაბის კატასტროფის კვალი. ახალი იმპულსები, მხედველობაში გვაქვს ძველი კოლხური არისტოკრატის უფლებების დაკარგვა და შესაბამისად, კოლხური საქალაქო ცენტრის მოშლა საირხეში ძვ. წ. III საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს შეინიშნება²⁷. მიგვაჩნია, რომ ეს ვითარება ქართლის სამეფოს უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა, მაგრამ არც ძვ. წ. III საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს და არც ძვ. წ. III საუკუნის განმავლობაში საირხის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ ფიქსირდება საომარი მოქმედებების კვალი, რაც საშუალებას მოგვცემდა, გვევარაუდა, რომ არგვეთი მართლა ბრძოლით მოიპოვა ქართლის სამეფომ. ამ უმთავრესი მომენტის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვიცხავთ რაიმე დიდ ბრძოლებს ქართლსა და ეგრისს შორის არგვეთისათვის და მივიჩნევთ, რომ ეგრისის ამ ტერიტორიის ქართლის მფლობელობაში გადასვლა შესაძლოა უბრძოლველადაც მოხდა, რის შედეგადაც ეგრისმა გარკვეულწილად თავი დაიკვა ქართლის შემოტევისა და სრული განადგურებისაგან. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ შეიძლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არქეოლოგიური მასალა არ არის სრული არგუმენტი, მაგრამ ამდაგვარს უნდა მიანიშნებდეს ის გარემოება, რომ ქართლისთვის დამახასიათებელი არქეოლოგიური კულტურის ნიშნები არ ვრცელდება რიონის მარჯვენა სანაპიროს დასავლეთით. ეგრისის რაღაც განსხვავებულ სტატუსთან დაკავშირებით, ლეონტი მროველის თხზულებიდან გამომდინარე, მიანიშნებს აკად. მ. ლორთქიფანიძეც, თუმცა უფრო დეტალურ კონკრეტულობას აღარ გვთავაზობს²⁸.

ლეონტი მროველისა და სტრაბონის ცნობების შეჯერების საფუძველზე მ. ინაძეს მიაჩნია, რომ ლეონტისეულ „ეგრისის სამთავროში“, რომელიც თითქოს ფარნავაზის გამეფების შემდეგ შეიქმნა, უნდა იგულისხმებოდეს არა წაერისთავო, არამედ დამცრობილი კოლხეთის სამეფო, რომელსაც მართავს ზომიერად ძლიერი, მაგრამ ჯერ კიდევ მეფედ წოდებული ხელისუფალი და სწორედ ამ სამეფოდან იღებს სათავეს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში შემონახული სავსებით კონკრეტული ცნობები ელინისტური ხანის კოლხეთის მეფეთა შესახებაც, რომელნიც თავს ლეგენდარული აიეტის, ანუ ოდესღაც ძლიერი კოლხეთის სამეფოს ხელისუფალთა ჩამომავლებად მიიჩნევდნენ²⁹. ამჯერად ლეონტი მროველის ისტორიაში შემონახული მხოლოდ ერთი

26 ჯ. ნაღორაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, გვ. 144.
 27 ზ. ბრაგვაძე, აღმოსავლეთ კოლხეთი ძვ. წ. V—I საუკუნეებში, თბ., 1993, გვ. 41—53.
 28 მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის II ნახევარში, თბ., 1979, გვ. 47.
 29 მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.



ეპიზოდი განვიხილეთ. როგორც ვნახეთ, იგი მკვლევართა შორის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს და აღძრავს ურთიერთსაწინააღმდეგო, რიგ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებსაც კი.

დასკვნის სახით შეიძლება გვეფიქრა, რომ ლეონტი მროველი, რომელსაც ჩვენ XI საუკუნის მოღვაწედ მივიჩნევთ, ელინისტური ხანის ქართლის და ეგრისის ისტორიას უყურებდა და წერდა თავისი დროის გადასახედიდან და ამიტომ, მისმიერ მოთხრობილი ამბებიდან ბევრი რამ XI საუკუნის საქართველოს სინამდვილეს უფრო შეესაბამება, ვიდრე ძვ. წ. III საუკუნის რეალობას.

З. Д. БРАГВАДЗЕ

ЛЕОНТИ МРОВЕЛИ И ВОПРОСЫ ИСТОРИИ КОЛХИДЫ И ИБЕРИИ СРЕДНЕВЕКОВОЙ ЭПОХИ

Резюме

В работе рассмотрен вопрос о взаимоотношении между двумя грузинскими государствами эллинистической эпохи—Колхидой и Иберией. Помимо источника Леонти Мровели „Житие Царей“ автор касается и сведений древнегреческих источников (Страбон), а также стратиграфических данных археологического памятника—городища Саирхе, и высказывает мнение, что Леонти Мровели, который был историком XI века, не совсем точно описывает картину истории III века до н. э., так как ни античные письменные источники, ни археологический материал не дают повод, чтобы судить об упразднении Колхидского царства в IV в. до н. э.

Автором статьи высказано предположение, что первый царь Картли (Иберии) Парнаваз захватил лишь часть Колхидского царства (Аргвети), а остальная Колхида продолжала существование как отдельное государство.

წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმმა

საქართველოს მცნეიერებათა აკადემიის წმგრ-კორმსკონლენტი
პაგმენ ზაბარანი

კოჯრის „ორმოცთა“ ეკლესია

ეკლესია დგას კოჯრიდან სამხრეთით, სამიოდე კილომეტრზე¹, კოჯრიდან ზხა მიდის კაბენის მონასტრის მიმართულებით, შემდეგ უხვევს ახეულას ციხისაკენ („ქოროლლისკენ“), უვლის ამ კონცხს აღმოსავლეთით და ეშვება ტაფობისაკენ. ტყით დაფარულ ტაფობზე შორიდანვე მოჩანს აგურის გუმბათოვანი ტაძრის სილუეტი. მის ირგვლივ ნასოფლარია. ახლა ამ ნასოფლარის სახელი არავის ახსოვს. მოპირდაპირე მხარეს, შორს ხევგალმა, სოფ. ღოუბანი². ძეგლზე ისტორიული მონაცემები არ არის და არც დამთარიღებელი წარწერა ახლავს.

ეკლესია საქართველოში VIII—IX სს-ში წარმოქმნილი ტიპის ე. წ. გუმბათოვანი დარბაზის (Kuppelhalle), ერთ-ერთი თითქმის უკანასკნელი გამოძახილია. გეგმის მხრივ იგი განსაკუთრებულ გადახვევებს არ შეიცავს. ყველა მონაცემით ტიპიურია, მხოლოდ თავის ეპოქის ნიშნებს აშკარად ატარებს.

ეკლესია მთლიანად აგურითაა ნაშენი და კრამიტით ყოფილა გადახურული. ამჟამად გადახურვა ჩამოშლილია, ასევე კბილანა კარნიზი მთლიანად ჩამორღვეულია. სამხრეთით ეკლესიაზე შემდეგში მიუშენებით ეკვდერი და სამრეკლო.


ორმოც სებასტიანელ მოწამეთა ეკლესიის გეგმა მცირედ მოგრძო სწორკუთხედიან (სურ. 1). მასში შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. შიგნით ცენტრში გუმბათქვეშა კვადრატს ქმნის საკურთხევლის კუთხეებისა და გვერდითი კედლების მოგრძო შვერილები. შიდა სივრცის ჯვარი შექმნილია გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე მკლავით.

1 სამამულო ომის დაწყების შემდეგ, ქართული ხელოვნების ახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტში, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, შეიზღუდა ექსპედიციები. ამ პირობებიდან გამომდინარე, მეცნ. აკადემიის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ს. ჯანაშიამ, ინსტიტუტის ერთ-ერთ დამაარსებელს რენე შმერლინგს და მე, მოგვცა წინადადება—შეგვესწავლა თბილისის მიდამოების ძეგლები და მოგვეზადებინა გამოსაცემად. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ეს წინადადება და შევეუდევით გასვლებს, უტრანსპორტობის გამო, ცხადია, ფეხით. ასეთი გასვლები მოეწყო რამდენიმე მიმართულებით. სწორედ ამ გასვლების დროს ენახეთ კოჯრის „ორმოცთა“ ეკლესია. ძეგლის აზომვაში მშველელმა მუზეუმ „მეტეხის“ თანამშრომელი არქიტექტორი თ. ქარუმიძე (სამწუხაროდ, გადატვირთულობის გამო ამ სამუშაოს ორიოდ წლის შემდეგ ჩამოვიცილი. რ. შმერლინგთან ერთად საქმე ბოლომდე მიიყვანეს თ. ბარნაველმა და ვ. დოლიძემ).

2 ეკლესიას მოკლედ ეხებთან „თბილისის მიდამოების ზხამკვლევში“—რ. შმერლინგი, თ. ბარნაველი, ვ. დოლიძე (Окрестности Тбилиси. 1960, გვ. 92), ვ. ბერიძე (ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები, თბ., 1974, გვ. 171. ჩვენგან განსხვავებით ავტორი ძეგლს აუთენებს სოფ. ღოუბანს) და ნ. ასათიანი, ი. ჭიჭინაძე, ალგეთი, თბ., 1985, გვ. 64.



მკლავებიდან სამი სწორკუთხაა, ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთისა, საკურთხევის აფსიდს წარმოადგენს. ჯვარის მკლავებიდან აღმოსავლეთ-დასავლეთისა გრძელდება, ხოლო გვერდითები „მოკლები და თანატოლები.




სურ. 1.

საკურთხევის აფსიდის გვერდებზეა სწორკუთხა გეგმის მქონე სამკვეთლო და სადიაკვნე. პირველი მათგანი როგორც ეს ხშირად ხდება, კარებით უერთდება როგორც დარბაზს, ისე საკურთხეველს. ხოლო სადიაკვნე მხოლოდ დარბაზს უერთდება. აფსიდში და გვერდით კომპარტიმენტებში თითო სარკმელია აღმოსავლეთით. გვერდითი სათავსების სარკმლების ქვემოთ ნახევარწრიული თაღოვანი მოზრდილი ნიშებია. იქვე, შიდა კედლებში, მალა, იწყება მეორე სართულზე ასასვლელი კიბეები. ზედა სათავსების კამარები გვერდებიდან აგურის წყობის თანდათანობით დავიწროებითაა მიღებული (სურ. 2,4). ეს სამალავეები აღმოსავლეთიდან ნათდება პატარა, წვრილი სარკმლებით.

საკურთხეველს მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომად ერთი განიერი საფეხური გასდევს. იქვე, სარკმლის გვერდებზე, თითო მცირე ზომის ნიშებია.

ჯვრის დასავლეთის მკლავის გვერდებზეც ღრმა და მაღალი ნიშნებია, რომელთა გარე კედლები შეისრული თაღებითაა დამუშავებული. ასევე, ისრული ფორმის კამარებით მთავრდება აფსიდის კონუსი და მკლავების კამარები (სურ. 3).

ეკლესიაში დასავლეთის კარი ნახევარწრიულადაა გადახურული, სამხრეთისა კი გარედან არქიტრაულია, შიგნიდან კი—თალოვანი.



სურ. 2.

სამხრეთის კარი გარედან ხის კოჭითაა გადახურული. მის აღმოსავლეთის ბოლოში შემდეგი ასომთავრული წარწერაა შერჩენილი: [..] **იჲჟიჲიღ ზცჲღიწი:** **მ7 ზჲნი.ღზ.** ამას გარდა, კოჭის შუაზეც ყოფილა წარწერა, მაგრამ იგი ნაჯახითაა ამოჩეხილი და მხოლოდ რამდენიმე ასოს ფრაგმენტილაა გადარჩენილი.


წარწერა ასე იკითხება: „(...) ღმერთო, აცხოვნე, შ(შეიწყალ)ე ამინ, (უ(ფა)ლ(ო)“. სამწუხაროდ, თუ ვის „ცხოვნებაზეა“ საუბარი, ამის მარჯვენა-ბელი წარწერის ნაწილი ამოჩეხილია.

პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერა VI ს-ეს მიეკუთვნება³.

მაღალი გუმბათის ყელი ისრული ფორმის „დამჯდარი“ გუმბათითაა გადახურული (სურ. 3). თვით ყელში რვა მაღალი და ვიწრო სარკმელია განლაგებული. ინტერიერში კამარები და თალები ყველა ისრული მოხაზულობისაა, სარკმლებს კი მხოლოდ ნახევარწრიული თალები ამთავრებს.

³ წარწერის წაკითხვაში კონსულტაცია გამიწია პროფესორმა ე. სილოგავამ. რისთვისაც მადლობა მომიხსენებია.


ინტერიერის კედლები შეღესილი ყოფილა, მაგრამ შემდეგში ჩამორეცხი-
ლა. ნაღესობის ფრაგმენტებს აქა-იქ კიდევ ეტყობა ფრესკის კვალი.



სურ. 3.

ეკლესია გარედან კარგი პროპორციებისაა. ფასადები სადაა (სურ. 5—7). ეკლესიები ძირიდან თავამდე მხოლოდ აგურითაა ნაგები (აგურის ზომები: $25 \times 13 \times 4$ სმ.). ფასადების სიბრტყეებზე მხოლოდ კარ-სარკმლების ხერ-
ლობები მოჩანს. ერთადერთი მორთულობა სარკმელთა თავზე ჩადგმულ კე-
რამიკულ ფილებზეა. მათზე გამოსახულია ჯვრები, თითო მოზრდილი ცენ-
ტრში და გვერდებზე მომცროები. ჯვრები ჩაქედვით, მარტივადაა გამოსახული.
ქვედა კორპუსის გადახურვა მთლიანად ჩამოშლილია. აღარსადაა კარნი-
ზიც. ბევრგან კარნიზის მომდევნო რიგებიც მორღვეულია. გადახურვაზე ძირს
დაყრილი ბრტყელი და ნახევარცილინდრული ფორმის წითელი კრამიტის
ფრაგმენტებით ვმსჯელობთ.

ქვედა კორპუსის ფასადებისგან განსხვავებით გუმბათის ყელის ფასადე-
ბი შედარებით მდიდრულადაა მორთული. გუმბათის ყელი საწყისში ცილინ-
დრულია. მას უვლის აგურისავე ჰორიზონტული ლილვი. ზემოთ კი რვაწახ-



სურ. 4.

ნაგა ყელი ლილვოვანი თაღებითა დამუშავებული. წიბოებსაც თითო ლილვიანი პილასტი ამშვენებს. საკმლის ირგვლივ მდებარე სიბრტყე ერთი საფეხურითაა ჩაწეული. ასე, რომ წახნაგზე ორი თალი იკითხება.

გუმბათის მაღალი შუბლის დამამთავრებელი კარნიზი აგურის ოთხი რიგისაგან შედგება. ამათგან პირველი და მესამე კბილანაა, მეორე და მეოთხე კი პორიზონტულადაა ნაწყობი. ალბათ, ქვედა კორპუსის კარნიზიც ანალოგიური იქნებოდა. თვით გუმბათის სახურავი რვაგვერდა პირამიდას წარმოადგენს. ახლა მას თავი მორღვეული აქვს. სახურავის მასა პორიზონტულად ნაწყობი აგურითაა ნაგები, გვიანი საუკუნეების ძეგლებში ეს ხერხი საერთოდ მიღებულია. ამათგან აქ შეიძლება დავასახელოთ XVI ს-ის ნინოწმინდის სამარეკლო⁴, 1675 წ. ანჩისხატისა⁵ და ანანურის 1669 წ. სამარეკლოები⁶.

4 გ. ჩუბინაშვილი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 137.

5 იქვე, გვ. 141.

6 პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953, სურ. 68.

აღნიშნულის გარდა ძეგლის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპს, გუმბათოვან დარბაზს Kuppelhalle უწოდა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ი. სტრიგოვსკიმ⁷. მან დაინახა, რომ სომხურ და ქართულ გუმბათოვან ტაძრებში, ჩვეულებრივ, გუმბათს მოკავებული აქვს ზენობის ცენტრალური ნაწილი, მაგრამ ქვედა კორპუსში იგი გაშლილია და გეგმა მრავალფეროვანია. აქ კი გუმბათით დამთავრებული მხოლოდ ერთი დარბაზია. ამ თემის პირველ დამმუშავებელს, მიუხედავად სივრცის სიმცი-




სურ. 5.

რისა, სურდა ჯვარი გამოესახა. ამას მან მიაღწია ინტერიერში მარტივი ჯვრის გამოყვანით, სადაც გუმბათი გვერდითი კედლებს კი არ ეყრდნობა, არამედ კედლების გრძელ შვერილებს.

გ. ჩუბინაშვილმა ეს ტერმინი მიიღო და იგი განავრცო IX ს-ის დასაწყისის ისეთ ძეგლზე, როგორცაა—ვაჩნაძიანის ყველაწმინდა⁸. ეს ძეგლი რთულია და მრავალფეროვანია. მაგრამ მალე, X საუკუნეშივე, ტიპი გაამარტი-


⁷ J. Strzygowski, Die Baukunst der Armenier, I, 1918, გვ. 188

⁸ Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Тб, 1959, გვ. 287—320.



ვეს, აღმოსავლეთის წყვილი შვერილები ამოიღეს და ჯვრის გვერდებზე დააყენეს. ამგვარი ცვლილებები საკუთხეველს დაუკავშირეს. ასეთი ძეგლებიდან აქ დავასახელებთ ნახევარწრივ ხოვოს (მარტვილის რ-ნი) მცირე ზომის ეკლესიას⁹.

XI ს-დან, სხვა გუმბათოვან ტიპებთან ერთად, „კუბელპალემაც“ დატოვა არენა¹⁰. სიცოცხლე განაგრძო ამ საუკუნის პირველ ნახევარში წარმოშობილმა ცენტრალურ-გუმბათოვანმა ტიპმა.



სურ. 6.

გავიდა საუკუნეები და XVI ს-ში იწყება აღმავლობა კულტურის მრავალ დარგში და მათ შორის არქიტექტურაშიც. გუმბათოვან არქიტექტურაში მთავარ თემად რჩება ისევ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპი, მაგრამ პარალელურად ხდება უკან მიხედვა და ძველი თემების მოხმობა. ასეთი სახის რემინის-

⁹ პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 254—260.

¹⁰ ამ ტიპმა იმ პერიოდის საქართველოში დიდი გავრცელება, რომ ვერ პოვა ამას აღწინასწარ. მეფისაშვილიც (О некоторых особенностях композиционного построения крестовокупольных церквей Грузии XI в., 1982, № 3, გვ. 123.



ცენტრებიდან აღსანიშნავია „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიები, რომლებსაც ავტორები სამწევრისა და მისი ჯგუფისაკენ იცქირებიან. აღსანიშნავია—„გულბანდიანი საყდარი“ საქარასთან, ტყვირი აბაშის რაიონში და ქორეისუბანი სამტრედიის რაიონში (პირველი რაიონის მარჯვნივაა, ხოლო მეორე-მის მარცხენა მხარეზე).



სურ. 7.

ასეთივე ბედი ეწია დიდი ხნის დავიწყებულ „კუბელჰალეს“ თემს. ამ ტიპის ძეგლებიდან აქ დავასახლებთ—თბილისის „ჯვრის მამას“, კოჯრის „ორმოცთა“ და მანავის ეკლესიებს.

ამ ძეგლების ავტორებს ტიპში სიახლე თითქმის არ შეუტანიათ. ისინი მცირე ვარიაციებით გარე სწორკუთხედში ათავსებენ გუმბათოვანი დარბაზის ტიპს, მაგრამ აშკარად მოქმედებენ ეპოქის სტილის შესაფერისად, ე. ი. არქიტექტორებმა ძველიდან მხოლოდ ტიპი აიღეს, გადაწყვეტა, მასალა თანამედროვე გამოიყენეს.

¹¹ Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 287.

¹² ვ. ბერძენი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974. გვ. 170.



აქ ჩამოთვლილი ძეგლებიდან ზუსტი თარიღი მხოლოდ მანჯარაძის წარწერის მიხედვით იგი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ ძეგლებობაა. იგი აუგიათ 1794 წელს¹¹. ხოლო რაც შეეხება თბილისის „ჯვრის მამას“ იგი ჰსტილისტიკური მონაცემებით დათარიღებულია XVI ს-ით¹². კოჯრის „ორმოცთას“ დასათარიღებლად იგივე გზა უნდა გავიაროთ, თავისებურებებს უნდა მოეძებნოს ანალოგიები.

„ორმოცთა“ ეკლესიას და „ჯვრის მამა“ ძირითადად გეგმით და შიდა პოზიციით მსგავსნი არიან. ასევე დიდი მსგავსებაა გუმბათის თაღებით მორთვაშიც. ხოლო ისინი მანავისაგან შესამჩნევ განსხვავებას იჩენენ. ეს, ცხადია, მათი აგების სიშორიშორით უნდა აიხსნას.

„ორმოცთა“ ეკლესიის ფასადი ძალიან მარტივია და ამიტომ ქვედა კორპუსის თავისებურებებზე საუბარი შეუძლებელია. დაგვრჩა მისი გუმბათის ყელი, რომელიც მხატვრულადაა გადაწყვეტილი. იგი თაღებით მორთული რვაგვერდაა.

„ორმოცთას“ ანალოგიური უნდა მოიძებნოს გვიანი საუკუნის ძეგლებში. ამ ეპოქის აგურით ნაგები ტაძრებიდან გამორჩეულია კახეთის ისეთი გუმბათოვანი ძეგლები როგორცაა—შუამთა, გრემი და შიხიანი¹³. ამ ტაძრების გუმბათის ყელის პრიზმული მასები თაღებითაა დამუშავებული, მაგრამ რთულია და მრავალფეროვანია. აქ თაღები შეისრულია და სხვადასხვა სახით სწორკუთხა ჩაღრმავებებს იყენებენ. „ორმოცთას“ გუმბათზე კი მხოლოდ ლილვოვანი ნახევარწრიული თაღებია, ამათ გარდა, შიგნით კიდევ ერთი თაღია, რომელიც სარკმლის ღიობის კონცენტრულია.

„ორმოცთას“ გუმბათის დეკორატიული გადაწყვეტის თითქმის ზუსტ ანალოგიას ვხვდებით ანანურის მცირე გუმბათოვანი ეკლესიის, „ღვთების“ გუმბათზე. მსგავსება, მართლაც, დიდია¹⁴. განსხვავება მხოლოდ პროპორციებშია. საქმე ის არის, რომ ანანურის გუმბათი თოთხმეტწახნაგაა, მაშინ როდესაც „ორმოცთაში“ მხოლოდ რვაა. ამიტომაც პირველის წახნაგები თაღებით წვრილი და მალალია, ხოლო მეორეგან განიერი და დაბალი.

ანანურის ღვთაება სხვადასხვა მონაცემებით შედარებით კარგად თარიღდება XVI ს-ის მეორე ნახევრით, ან მომდევნო საუკუნის პირველ ნახევრით. ასეთივე მსგავსება ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იმავე საუკუნის თბილისის „ჯვრის მამასთან“ და ალიხ ეკლესიასთან.

კოჯრის „ორმოცთა“ ეკლესიის ზემოაღნიშნული დეკორატიული ელემენტი, წარწერა და სხვა ყველა მონაცემი მას XVI ს-ით ათარიღებს.

მომდევნო პერიოდში ეკლესიას სამხრეთით რთული მინიმუმი გასჩენია. ეკლესიისა და ამ ადგილის მფლობელს, მისთვის სამსართულიანი კოშკი-სამრეკლო ეკვდრით მიუღდამს (სურ. 1—5,7).

კოშკის პირველ სართულზე მოზრდილი კამაროვანი სივრცეა შექმნილი. სათავსის გვერდითი კედლები პილასტრებით ორ არათანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი და მათზე გადახურულ საბჯენ თაღზე ეყრდნობა შეისრული კამარა. სამხრეთით მდებარე თაღოვანი კარი მალალი და განიერია. სამრეკლო კი თითო აქვს აღმოსავლეთით და დასავლეთით. ეს სათავსი ფაქტობრივად ეკ-

¹³ Ч у б и н а ш в и л и Г. Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 440, 447, 450, ტაბ. 354, 366, 370.

¹⁴ ბ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953, გვ. 34—43, ტაბ. 7.



ლესიის კარიბჭის როლს შეასრულებდა. აქედან შეიძლება მოხვედრა, როგორც ეკლესიაში, ისე მასზე მოდგმულ ეკვდერში. იგი ორსართულიანია, ქვემოთ კამაროვანი საძვლეა. მასში ჩასვლა კართან მდებარე კიბით ხდება. მის ზემოთ მაღალი, კამაროვანი სათავსია. მისი ისრული ფორმის კამარა გვერდითი კედლებიდან მცირედ გადმოჰქვია. ეს სამლოცველო ნათდება მაღლა მდებარე თაღოვანი სარკმლით.

კოშკის მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლება გარედან, დასავლეთიდან, ამომავალი კიბით. კოშკის მეორე სართული პირველზე ვიწროა (სურ. 2,3). მისი ჩრდილოეთის კედელი ეკლესიას ერთი მეტრითაა დაშორებული. სწორედ ამ ტალანიდან მოხვედრით კოშკის მეორე სართულზე. ეს სართულიც კამარითაა გადახურული, მხოლოდ კამარის ღერძი, ქვედა კარის პერპენდიკულარულია. ასეთი კონსტრუქციული ხერხი, ჩვეულებრივ, შენობის კონსტრუქტიულად შეკვრას ემსახურება. სათავსის განათებისათვის სამ მხარეზე თითო განიერი და დაბალი სარკმელია. რითაა გამოწვეული სარკმლების ასე დაბლა გაჭრა, გაუგებარია.

ჩრდილო სქელ კედელში კიბეა ჩაშენებული. იგი მიემართებოდა მესამე სართულზე გამართულ სამრეკლოს ფანჩატურისაკენ. ჩვენი იქ პირველად ყოფნის დროს ფანჩატური არ იყო, მაგრამ ქვემოთ მიწაზე ეგდო ქვის კაპიტელის ერთი ფრაგმენტი და ორი სვეტის ფრაგმენტი. ოქტოგონური სვეტი და ქვის კაპიტელი¹⁵, საერთო იერით, ანჩისხატისას და ანანურისას მოგაგონებთ.

სამრეკლოს ქვედა კორპუსი და საღიაკვანე, ეკლესიის მსგავსად, მთლიანად აგურითაა ნაგები. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებშია (24—16 X 14—16 X 4—6 სმ.). სამრეკლოს ფასადები სრულიად სადაა. ჩანს მხოლოდ კარი და სარკმლები. ალბათ, ეკლესიის მსგავსად, აქაც მხოლოდ დამამთავრებელი ელემენტი, სამრეკლოს ფანჩატური, იქნებოდა დეკორირებული.

სამრეკლოს დათარიღება, კონკრეტული დამათარიღებელი მონაცემების უქონლობის გამო, ძნელია. სამრეკლოს საერთო გადაწყვეტით და განსაკუთრებით ზემომოყვანილი ფანჩატურის დეტალების ანალოგიით ანჩისხატისა და ანანურის სამრეკლოებთან, მისი დათარიღება შეიძლება XVII საუკუნით, უფრო კი მეორე ნახევრით.

როგორც დავრწმუნდით, კოჯრის „ორმოც მოწამეთა“ გუმბათოვანი ეკლესია, გვიანი საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია.

¹⁵ „ორმოცთა“ ეკლესიის 1943 წ. გადაღებულ ფოტოებს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს ფოტო-საცემში. სამწუხაროდ, ვერ მიაკვლიეთ.

ირმა ტალახაძე

ვანის ქვაბთა ისტორიული გეოგრაფიისათვის

ასპინძიდან 29 კმ-ის დაშორებით, ვარძიამდე 3 კმ-ის მანძილზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ჯავახეთის პლატოს ძირში, მდებარეობს მრავალსართულიანი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ვანის ქვაბთა სახელწოდებით არის ცნობილი. XIV საუკუნემდე მას ვაჰანის ქვაბები ეწოდებოდა. მისი დაარსების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვიცით, მხოლოდ, რომ XII საუკუნეში იგი სამეფო მონასტერი იყო, მონასტრის პატრონად ითვლებოდა თამარ მეფე. ვანის ქვაბთა ნანგრევებში აღმოჩენილ ერთ წარწერაში¹ აღნიშნულია, რომ თამარის მეფობის მე-20 წელს (ე. ი. 1204 წ.) მონასტრისათვის ზღუდე აუშენებია ანტონ ჭყონდიდელს. ანტონი მეფის პირველი ვაჟი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო. მის მიერ ზღუდის აშენება მონასტრისათვის იმას ნიშნავს, რომ იგი სამეფოა და მეფე ზრუნავს მისი კეთილდღეობისათვის².

რადგან ვანის ქვაბები უშუალოდ მეფის საკუთრებას შეადგენდა, მეფე პირობითი მფლობელობით უბოძებდა ზოლმე მას თავის მოხელეებს. ასე მაგალითად, იგი ეკუთვნოდა აფრიდონ მსახურთხუცესს, მის შემდგომ—ამირსპასალარ გამრეკელ-თორელს. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ 1190/91 წწ. თმოგვი ებოძა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს, რომელიც სარგის თმოგველად იწოდა. თმოგვი მხარგრძელთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა. თმოგველებისათვის საგვარეულო მონასტერი დიდი ფეოდალური სამფლობელოს ეს უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი იქნებოდა სწორედ ვაჰანის ქვაბი, რომელიც 1204 წ. ჯერ კიდევ სამეფო მონასტრად ითვლებოდა. ამ წლის ახლო ხანებში, როდესაც სარგისი გარდაიცვალა და თმოგვი საბოლოოდ განმტკიცდა მისი ჩამომავლების მემკვიდრეობაში, უნდა პბოძებოდათ თმოგველებს ვაჰანის ქვაბი³. მათვე დაუდეს მონასტერს ტიპიკონი, რომელმაც ჩვენამდე „ვაჰანის ქვაბთა განგების“ სახელწოდებით მოაღწია.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წ. ექსპედიციის დღიური, იხ. მისი „ქაქარ-თველოს ისტორიის საკითხები“. I, თბ., 1964, გვ. 116.

² სამეფო მონასტრები მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სამეურვეო იყო. პირველად ისინი დავით აღმაშენებელმა დაუქვემდებარა მათ. ამის შესახებ, მაგ., პირდაპირ არის აღნიშნული მეფის 1124 წლის ანდერძში შიომღვიმისადმი: „აწ სემონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ, რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოდის რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუად მწიგნობართ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის“ („ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, I, თბ., 1984, გვ. 58).

³ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება. ტფ. 1939, გვ. 17.

9. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, № 2

„ვაჰანის ქვაბთა განგება“ მონასტრის შინაურ ცხოვრებას და წეს-წყობილებას შეეხება. ძეგლი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ვანის ქვაბებში არსებული სამონასტრო კომპლექსის ისტორიის შესასწავლად. ტიპიკონში შესანიშნავადაა დახატული ვანის ქვაბთა მონასტრის ორგანიზაციული მოწყობის სურათი, განსაზღვრულია სამონასტრო იერარქია, წინამძღვრის, მოძღვრის, დეკანოზის და სხვა სასულიერო პირთა უფლება-მოვალეობანი. მკაცრად მოიკითხება ყოველი აუცილებლობა ამა თუ იმ რიტუალის შესრულების დროს. აქვე მოცემულია საკოროპორაციო სასამართლოს ორგანიზაცია და სასჯელთა სისტემა.

ვანის ქვაბთა ონომასტიკის შესასწავლად უპირველესი წყარო სწორედ „ვაჰანის ქვაბთა განგება“, მისი მინაწერები და ძეგლის კედელზე არსებული წარწერებია.

„ვაჰანის ქვაბთა განგებას“ გააჩნია სხვადასხვა დროის 21 მინაწერი, რომელიც იმავდროულად საბუთს, იურიდიული შინაარსის ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს. აქ არის, როგორც ნასყიდობის, ასევე შეწირულობათა სიგელები, გვხვდება სულის მოსასხენებელი აღაპებიც.

ვანის მონასტრის ტიპიკონის მინაწერები 1896 წ. გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ წიგნში „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა“, რომელშიც 15 მინაწერია გამოქვეყნებული. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერები ხელახლა შეისწავლა და მის მიერ სრული სახით დადგენილი ტექსტები მოგვაწოდა ვ. სილოგოვამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ. მინაწერთა ამ ახალ რედაქციაში გარკვეული ცვლილებებია. ეს ცვლილებები შეეხება უშუალოდ ვანის ქვაბთა ონომასტიკასაც. ახლებურადაა წაკითხული როგორც გეოგრაფიული, ასევე საკუთარ სახელთა გარკვეული ნაწილი. მაგ.: „ჯევის ბოლო“ და არა „წევის ბოლო“, როგორც ეს თ. ჟორდანიას აქვს, „ჟამიერაჲ“ და არა „ჟამერაჲ“ და სხვ. ჩვენი გამოკვლევა ამ ახალ მასალებსაც ეყრდნობა.

ვანის მონასტერი და აქ მოღვაწე საზოგადოება ძირითადად შემოწირულობათა საფუძველზე არსებობდა. სწირავდნენ ვანის ქვაბებს სოფლებს გლეხებითურთ, ვენახებს, ყანებს, ნატურალურ გამოსაღებს. ტიპიკონის მინაწერებში მრავალი ასეთი სოფელი და მამულია დასახელებული. მინაწერთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ვანის მონასტრის სამეურნეო მოწყობის სრული სურათი. აქ ნათლად იკვეთება მონასტრის საარსებო წყაროები, ურთიერთობა გარე სამყაროსთან, მიმართება როგორც ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ასევე ადგილობრივ მმართველებთან.

საკუთარ სახელთა შესწავლისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ვანის მონასტრის წარწერები. გამოქვაბულის ზედა სართულზე მდებარეობს მცირე ზომის ჯვარ—გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან კლდეშია ჩაშენებული. ამ პატარა ეკლესიის კედლებზე შავი საღებავით გაკეთებულია წარწერები. ისინი შეიცავენ როგორც მრავალსტრიქონიან, ისე ერთ ან ორსტრიქონიან ტექსტებს. აქ ოცდაათამდე წარწერაა, რომელიც სულ მცირე, სამ ხელს მაინც ეკუთვნის⁴. ეს ტექსტები შეისწავლა და გამოაქვეყნა ვ. ცის-

⁴ ვ. ცისკარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან, მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 170.

კარიშვილმა⁵. წარწერები XVI ს. I ნახევარზე გვიანდელი არ ისინი ქალებს ეკუთვნით, საკუთარი ბედით, უკმაყოფილო ქალებს. როგორც ჩანს, ვანის ქვაბთა მონასტერში ქალთა სადგომიც („დღდათა მონასტერი“) ყოფილა, ამანვე ადასტურებს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი მინაწერიც⁶.

* * *

ვანის მონასტრის ტიპიკონის მინაწერებში მოიპოვება საკმაოდ მდიდარი მასალა ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტორიული ტოპონიმისათვის. აქ მრავლად გვხვდება ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მოვახდინოთ ნაწილობრივი ლოკალიზაცია სამცხე-ჯავახეთის ამ რეგიონში მდებარე სოფლებისა, მონასტრებისა თუ ადგილ-მამულებისა. ამ მხარეში დადასტურებულ გეოგრაფიულ სახელებთან, მათს ისტორიასთან არის დაკავშირებული მრავალი საინტერესო საკითხი, რომელიც დღესაც მსჯელობის საგანია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ტოპონიმი იმავდროულად საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს. როგორც ენაში, ასევე ტოპონიმებშიც დალექილია მთელი საუკუნეები და ამა თუ იმ სახელწოდების ანალიზს ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივყავართ.

ზოგიერთი ტოპონიმი გამოირჩევა სიძველით. ნაწილი მათგან გამჟღავნავს და უშუალოდ გამოხატავს მასში ჩადებულ შინაარსს; ნაწილი—საუკუნეების მანძილზე ენაში მიმდინარე ფონეტიკური. თუ სხვა ცვლილებების შედეგად გადაკეთებულია, ნაწილიც უცხოტომელთა მიერ შელახულა და ამჟამად დამახინჩებული სახით მოვიდა ჩვენამდე.

„თანამედროვე ეტაპზე შეიძლება სულ სხვა ეთნიკური გარემო იყოს, მაგრამ ტოპონიმური სახელის სწორი ახსნა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ქვეყნის ეთნოგრაფია, ისტორიულ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური წარსული“⁷.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში, როგორც ითქვა, დასახელებულია ვანის მონასტრისთვის შეწირული მამულები სხვადასხვა სოფელში: ტოლოშს, „მიღნარაშიგან“, „მჭედლის უბანს“, „ერთი მამული ორხოფიას როტაშაული“, „გულშარშის ქუშმეთ აბჯარეული ზუჭრი“, კუნელეთი, დიდკლდე, ციხეცხელს, კუარბი, ერკუატა, „აგარას ორკალოსძისა მამული“, ერთი ყანაჲ, ხუტური ყორნისს“, კუჭრნული ვენახი, მირაშხანს ნაწალკოტევი ყანაჲ, გულაური ვენახი ზედა ვარძიის მიწები, „ერთი ვენახი მილახს გუარამათა მიწისა“, ახალშენი, ჭაჭკარი, განძასკევი და სხვა.

სწორედ აქ დასახელებულმა სოფლებმა და მიწებმა მისცა მკვლევართ საშუალება ზუსტად განესაზღვრათ ვაჰანის ქვაბთა ადგილმდებარეობა.

დღეს საქართველოში ცნობილია რამდენიმე ვანი, მაგრამ არსად ჩანს „ვაჰანი“. თ. ჟორდანიას ვაჰანის ანუ ვანის წმ. გიორგის მონასტერი თავისი

5 ვ. ციხეკარიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 168—180.

6 თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 45—46.

7 მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონომიკური ანალიზი), თბ., 1992, გვ. 3,



ქვაბებით ტაო-კლარჯეთის მთაში ეგულეობდა⁸. მას შემდეგ, რაც აქ თუროქები გაბატონდნენ, ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობა აიყარა, თან წაიღო ვანის მონასტრის ხატები და იმერეთში მდ. ჩხერიმელას ზემოწელში დამკვიდრდა. ახალ დასახლებას ვაჰანი, ანუ ვახანი უწოდეს (აქედან—ვახანის ხეობა, ვახანის ციხე), ახლად აშენებულ ეკლესიას—ვახანის „ქუაბი“. ასე რომ, თ. ქორდანიას აწინდელი იმერეთის „ვახანი“ მესხეთიდან გადმოტანილ ტოპონიმად მიაჩნია.

ლ. მუსხელიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ვანის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელებს, მონასტრისადმი შეწირულ მამულებს. ამით მას საშუალება მიეცა ვაჰანის ქვაბთა ლოკალიზაციისა. აქ ჩამოთვლილი სოფლები ვაჰანის ქვაბთა მიმდინარე ტერიტორიებზე მდებარეობს და უდავოა, რომ ვანის ქვაბები ტაო-კლარჯეთში არ უნდა გვეგულეობოდეს⁹.

„მართლაც ახალქალაქის რაიონში ცნობილი ვანის ნანგრევები მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ვარძიის მონასტრის ცოტა ქვემოთ, ეჭვს გარეშე, ძველი ვაჰანის ნაშთს წარმოადგენს. აქაც ქვაბებია, მსგავსად ვარძიისა, და აქაც ფართო სავანე უნდა: ყოფილიყო“¹⁰.

საინტერესოა თავად ტოპონიმი „ვაჰანი“ და მისი დღევანდელი სახელი— „ვანი“.

ვანი, სულხან-საბას განმარტებით, სადგომს, დასავანებელ ადგილს ნიშნავს¹¹ და აქ არსებული მონასტერიც, სამონასტრო ცხოვრებაც სახელში ჩადებულ შინაარსს უნდა ამართლებდეს. XIV საუკუნემდე ამ ადგილს ვაჰანი ეწოდებოდა—ტიპიკონში იგი „ვაჰანის ქვაბთა“ სახელწოდებით იხსენიება. 1393 წ. მინაწერით ვაჰანი უკვე ვანად იწოდება¹². ამიტომ უდაო ჩანს, რომ ვანი ვაჰანის ფონეტიკური ვარიანტია: ვაჰანი > ვანი.

მ. ბერიძემ ჯავახეთის ტოპონიმიკის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ვანს¹³. მის გამოკვლევაში „ვაჰან“ საშუალო ირანულიდან შემოსულად არის მიჩნეული, თანაც საშუალო სპარსული გადმოცემულია ჰ. თანხმონით. საუკუნეების შემდგომ ჰ. თანხმონი დაიკარგა (ეს პროცესი დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისათვის¹⁴) და ორი ა—ს შერწყმით მივიღეთ „ვანის ქუაბი“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში იხსენიება, აგრეთვე, სამკომლიანი სოფელი „ვ ა ნ ი ს კ ე ე ი“¹⁵. სავარაუდოა, რომ ისიც ვანის ქვაბების ხეობაში იქნებოდა. სახელწოდებაც იმავეს მიგვანიშნებს. ვანის ხევად შეიძლება მივიჩნიოთ ვანის ქვაბების დასავლეთით დღევანდლამდე მოსული მცი-

8 თ. ქორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

9 ამ ადგილის სახელწოდებად ვანის ქვაბები ცნობილი იყო ვახუშტი ბატონიშვილისათვის 1552 წელს სამცხე-საათაბაგოში შაჰ-თამაზის შემოსევის მარშრუტის გადმოცემისას იგი ვანის ქვაბებს ისეთ გარემოებაში ასახელებს („აღიღო ვარძია, თმოგვ, ვანის ქუაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი“: ქცა, IV, გვ. 716, 22.. შდრ. იქვე, გვ. 719, 26), რომ აქ უთუოდ ჩვენი მონასტერი იგულისხმება.

10 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

11 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991, გვ. 253.

12 თ. ქორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

13 მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

14 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 365.

15 იქვე.



რე ორკომლიანი დასახლება უშუალოდ ვანის ქვაბების ხევში¹⁶ მდებარეობდა და კომპლექსურად იკავებოდა. ნაკლებ საფიქრებელია სოფლის არსებობა. XIX ს. 30-იანი წლებისათვის ეს დასახლება („დავთარში“ სოფლად ხსენებულ) ნასოფლარად ქცეულა. „Пустопорожня казенная земля — Ванисхов“. — წერია ერთ-ერთ საბუთში¹⁶.

„ვაპანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „...შემოგწირე და მოგაკსენე ჩუწნგან აღშენებული წევის ბოლო და ახალშენი მისითა ვენაჯითა ჩუწნ რჩეულას ძეთა როსტევან...“¹⁷. ტექსტიდან ჩანს, რომ რჩეულას ძეებს „წევის ბოლო“ აუშენებიათ, რისი სისწორეც ექვს იწვევს. ვ. სილოგავამ მოგვაწოდა ტექსტის წაკითხვის განსხვავებული ვარიანტი. „წევის ბოლო“ მან „კევის ბოლოდ“ წაკითხა და ტექსტამაც გარკვეული, ნათელი შინაარსი შეიძინა: რჩეულას ძეებს ვანის ქვაბებისათვის შეუწირავთ მათ მიერ აშენებული ხევის ბოლო და არა წევის ბოლო. შესაძლოა ტექსტში მოხსენიებული ხევი ვანისხევის დასახლებას გულისხმობდეს.

როგორც ჩანს, რჩეულას ძეებს პატარა, რამდენიმე კომლიანი დასახლების, სოფლის—ვანის ხევის ბოლოში აუშენებიათ გარკვეული სამეურნეო ნაგებობანი და შემდგომ ეს მათი ნაშენები მონასტრისათვის შეუწირავთ. შესაძლოა ტერმინი „აღშენება“ ვენახის ან ბაღის გაშენებასაც გულისხმობდეს. მინაწერში დადასტურებული „კევი“ ვანისხევის შემოკლებული სახელი უნდა იყოს. ამ მიდამოებში, ვანის ქვაბების ბოლოს, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზეც, ჭაჭკრის ბოლოზე დღევანდლამდე შემორჩა ვაზის უძველესი ჯიშები. აქვეა არაერთი ქვის საწნახელი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს შეწირულობა აქ ახლად გაშენებული ვენახი იქნებოდა.

რჩეულასძეებს ვანის მონასტრისათვის სოფ. ახალშენიც შეუწირავთ მისი ვენახებით. ამ სოფლის სახელი—შენება ზმნას უკავშირდება. ახალშენი ახლად აშენებულ სოფელს, დასახლებულ პუნქტს გულისხმობდა თავიდან; წლებისა და საუკუნეების გასვლის შემდგომ იგი წმინდა ქართული წარმოშობის ტოპონიმად დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ ეს გეოგრაფიული სახელი საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად გვგვხვდება.

—შენება ზმნის ფუძე მიჩნეულია საშუალო სპარსულიდან შემოსულად. „შენ“ იხმარება აღმოსავლურ ენებში (სპარსულ, სომხურ, თურქულ და სხვ.) და ნიშნავს დამუშავებულ, კეთილმოწყობილ, დასახლებულ, საცხოვრებლად ვარგის ადგილს¹⁸. შამს-ედ-დინ სამის, რედჰაუზეს, ვ. რადლოვს ეს სიტყვა თურქული წარმომავლობისად მიაჩნიათ¹⁹.

„ვაპანის ქვაბთა განგების“ მინაწერში მოხსენიებული სოფ. ახალშენი ასპინძის რაიონში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ამ პატარა, 5-კომლიან სოფელს იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“²⁰. მოგვიანებით ეს სოფელი ახალშენის სახელს ატარებს (ახალშენი/ახალშენი) და ასევეა ფიქსირებული არქივისეულ სიებში, მ. ბროსესთან, ექ. თაყაიშვილთან,

16 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ. გვ. 365,

17 თ. ყორღანია, დასახ. ნაშრ., გვ. 48,

18 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

19 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ. გვ. 185.

20 იქვე, გვ. 184.



ხალხურ ლექსშიც: „ყურს წყაროები გამოვლენ, ნეტაი ახალშენის თარში“, ჩანს, ამ სახელწოდების პირველადი, უფრო სალიტერატურო ფორმაა მოცემული ახალშენის სახით²².

მაგრამ „ახალშენი“ ყოველთვის ტოპონიმური სახელი როდია. იგი შეიძლება ახალგაშენებულ ბაღს, ვენახს ერქვას²³. ასეთი სახელი ტოპონიმად ვერ იქცევა, რადგან ახალშენი მანამ, სანამ ახალი ბაღია, ვენახი და სხვ. იგი შეიძლება ახლად დამუშავებულ ადგილსაც ნიშნავდეს, ამისი მაგალითიც გვაქვს მინაწერებში. მურავან ღარიბას ძემ ვანის ქვაბთა „ეკუტერსა“, როგორც „სამკვდრებელსა ჯორცთა „მისსა, შესწირა „ერთი ვენაჯი ტოლოშს, ახალშენი, მალნარას, იგიცა ნასყიდი და მ(ო)უღდეგარი“²⁴.

მურავან ღარიბასძეს უყიდია სოფ. ტოლოშში ახალშენი (ვენახი, ბაღი და სხვ.) და ვანის ქვაბთა ეკატერისათვის შეუწირავს სულის მოსახსენებლად. აქ უკვე არის ახალშენი—არა ტოპონიმი, ცალკე სოფელი, არამედ სოფლის შიგნით დამუშავებული ალაგი, მიწა, მამული.

ვანის მონასტერს ბევრი მიწა ჰქონია სოფ. ტოლოშს. მურავან ღარიბასძეს, ორჯერ შეუწირავს XIV ს-ში ტოლოშის ვენახები, არც მის რძლებს—მამადედამას და დუნიას მოუკლიათ შეწირულობანი მონასტრისათვის, მათაც ერთი ვენახი შესწირეს სოფ. ტოლოშიდან. როგორც ჩანს, ტოლოშის სანახები ღარიბასძეთა საკუთრებას წარმოადგენდა. XIV ს. ბოლოს (1392 წ. 1 დეკემბერი) სოფ. ტოლოში მოხსენიებულია „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში“²⁵. ეს სოფელი მეფე ალექსანდრეს ყოველგვარი სამეფო გადასახადისაგან გაუთავისუფლებია.

სოფ. ტოლოში ძველთაგანვე არსებულა მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. აქ ძირითადად მეზობელი სოფლების ვენახები იყო გაშენებული. ტოლოშს იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“²⁶—მასზე დებს „დავთარი“ მესხეთისა და ჯავახეთის საზღვრებს.

დღეს ტოლოში უკვე ფართოდ დასახლებული სოფელია.

ვანის ქვაბის სამხრ-აღმ. მხარეზე, ვარძიის მონასტრის ქვემოთ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მოხსენიებულია სოფ. ჭაჭკარი. XV ს-ში ვანის ქვაბთა მონასტრისათვის პატრო ყვარყვარეს და მის თანამეცხედრე ანნას შეუწირავთ „ჭაჭკრული ვენახის სათავე და კალოს კაბიწი“²⁷. ჭაჭკრული ვენახიდან სხვებიც სწირავენ შესაწირს ვანის ქვაბს. ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილებმა ვანის ქვაბთა მონასტრისათვის „ჭაჭკარს საზედაშეთ ბერაულის მესამედი“ გაიღეს²⁸. ზედაშე ეკლესიის შესაწირი ღვიწკა²⁹.

21 იქვე. ამ სოფელში X—XI სს. დათარიღებული ეკლესიაც დგას, ცნობილია მასში დაცული შესანიშნავი რელიეფური გამოსახულება, ეკლესიის კტიტორის ნიაღვრა საურმაგის მისა ეკლესიის მოდელი ხელში. წმ. კტიტორული რელიეფი ჯავახეთის ახმენიდან, „ქართული ხელოვნება“ V, თბ., 1959, გვ. 137.

22 მ. ბერძეძე. დასახ. ნაშრ. გვ. 87.

23 იქვე.

24 თ. ყორღანია, დასახ. ნაშრ. გვ. 45.

25 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 176—181.

26 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 178.

27 თ. ყორღანია, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

28 იქვე.

29 სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 278.



„დავთრის“ დროს ჰაჭკარი 14-კომლიანი სოფელია. მოგვიანებით მისი სახეობა აყრილა და მხოლოდ ნასახლარების კვალია დარჩენილი. გილეზის შესახებ ს. ჯიქია წერს: „გოგაშენს ქვემოთ მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღებია და ამ ადგილს ჰაჭკარს ეძახიან... ვინიდან ახლა ჰაჭკარში მოსახლეობა სრულებით არ არის, ხოლო ჰაჭკრის ზემოთ მდებარე აწინდელი სოფ. გოგაშენი „დავთრის“ დროს სათესველად (ალბათ ჰაჭკრელების სათესველად) არის აღრიცხული. საფიქრებელია, რომ ჰაჭკრელები შემდგომი გოგაშენით წოდებულ ადგილას დასახლდნენ და თავიანთი ნასახლარი—ჰაჭკარი ბაღებად აქციეს“³⁰. ამ მოსაზრებას იგი ადასტურებს ერთი საბუთითაც, სადაც ჰაჭკარი და გოგაშენი ერთ ერთეულად არის აღრიცხული: „Чачкар (она же Кокочен) на пять тысяч ахчей“. მართლაც, „დავთარში“ გოგაშენს შეწერილი აქვს 500 ახჩა და ჰაჭკარს 4500; ამათი ჯამი სწორედ 5000 იძლევა“³¹. ჰაჭკარი, როგორც სოფელი რომ გაუჟაცრიელებელია და გოგაშენის ბაღებს წარმოადგენს ამჟამად, ამას მ. ბერიძეც ადასტურებს³².

ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ „ძველ ჯავახეთში ცნობილი იყო სოფ. ჰაჭკარი ვარძია-თმოვეს შორის მტკვრის მარცხენა ნაპირზე („ჰაჭკრული მალი“), ეხლა იქ სოფელი აღარ არის, გოგაშენელების ბაღეთია: ჰაჭკრებს უწოდებენ“³³.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ჰაჭკრისა და გოგაშენის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

„გოგაშენი“ მიკროტოპონიმად უნდა მივიჩნიოთ საწყის ეტაპზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ორონიმად იქცა. ეს ტერმინი, ისევე როგორც სხვა მრავალი ამავე ტიპის ტოპონიმი, საკუთარი სახელიდან—გოგადა—ნაა ნაწარმოები. ვინმე გოგამ (ან გოგიამ) გააშენა რაიმე ბაღი ან ვენახი, ანდა სათესლედ აქცია იგი. შემდგომ მის კვალს მიჰყვა სოფ. ჰაჭკრის მკვიდრთა უმრავლესობა და ეს ახალი ადგილი იქცა ჰაჭკრელების სათესველად, მიდამოს კი თანასოფლელებმა „გოგიას ნაშენები“—„გოგაშენი“—„გოგაშენი“ დაარქვეს. შემდეგ ალბათ ათწლეულების მანძილზე სოფ. ჰაჭკრის მკვიდრნი დასახლდნენ კიდევ აქ და თვითონ ჰაჭკარი იქცა ნასოფლარად. XVI ს-ში გოგაშენი ჯერ კიდევ არ არის სოფელი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰაჭკარის სათესველად იხსენიება. ე. ი. აქ „შენს“ დაკარგული აქვს უკვე დასახლებული ადგილის, სოფლის გაგება. იგი შეიძლება უბრალოდ ადგილისაც ნიშნავდეს, „დამუშავებულს“ და ნამყო დროის მიმლეობის გაგებაც ჰქონდეს“³⁴.

ნ. ბერძენიშვილი სოფ. ჰაჭკარს ახალქალაქის რაიონში მდებარე სოფ. ჰაჭკასთან აკავშირებს. ჯავახეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს მას უნახავს ტამბოვკა, რომელსაც დუხაბორებს გარდა ყველა „ჩაჩკას“ ეძახდა. „შეიძლება ეს ძველი ქართული სახელის სომხურ-თურქული ფორმა იყოს: ჩაჩკა(რი) ან ჰაჭკა(რი). როგორც ჰაჭკა, ისე ჩაჩკა უცხო არაა ქართულ ონომასტიკონში—აღნიშნავს მკვლევარი-ქუთაბულისძე ჰაჭკა ჰაჭკას ძე, ჩაჩკი კასშვილი... „კარი“—

30 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 364.

31 იქვე.

32 მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

33 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

34 მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

ამ შემთხვევაში შეეკვიცლად შეიძლება იყოს წარმოდგენილი ასეთი შეკვეცა ვფიქრობთ, თურქულ ან სომხურ ნიადაგზეა მომხდარი³⁵.

ვანის ქვაბთა მონასტერი ტერიტორიულად შორს მდებარე სოფლებიდანაც იღებდა შესაწირავებს. „ვანის ქვაბთა განგების“ ერთ-ერთი მინაწერიდან ვეცნობით, რომ მირძამ და ზაზამ ვანის ქვაბებს შესწირეს ღვინო, რომელიც გამოსაღების სახით ყოველწლიურად უნდა გაეღოთ სოფ. ერკუატაში მცხოვრებ კვირკას ორივე ძეს, აგრეთვე ევატას ძე ჟამიერას³⁶. მირძამს და ზაზამს ჰქონიათ უფლება გლეხთა ამ ოჯახებზე.

სოფ. ერკუატა დღეს ცნობილი სოფ. ერკოტის თავდაპირველი სახელი უნდა იყოს.

ერკოტა ვანის ქვაბებიდან საკმაოდ დაშორებული სოფელია. იგი ორ ნასოფლარს ვარნეთსა და დადემს შორის მდებარეობს ასპინძის მახლობლად, საიდანაც მოსახლეობა 60-იან წლებში ჩაასახლეს რაიონულ ცენტრში და ნასოფლარად აქციეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით ერკოტა ახალციხის ლივას განეკუთვნება³⁷. ს. ჯიქიას ამ სოფლის შესახებ ერთი ცნობა მოაქვს: „Казенное сел. Эрката—при роднике Пона пшари [ფუარ თურქ. წყარო], на возвышенном месте под подошвою горы Керкеда, над оврагом Уканхеви и против горы Коцахура...“³⁸.

ფია მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელია ვანის ქვაბების ჩრდილოეთით. ლ. მუსხელიშვილი მას ასახელებს სხვა სოფლებთან ერთად (ეარძია ტოლოში, მირაშხანი, ჭაჭკარი) ვანის ქვაბთა მიახლოებითი ლოკალიზაციისათვის³⁹.

ფია თმოგველთა საუფლისწულო მამულს წარმოდგენდა და ეკუთვნოდა გულშარს, თმოგველთა ასულს. გულშარმა სოფ. ფიიდან ვანის მონასტერს შესწირა კუ მ რ ნ ა უ ლ ი ვ ე ნ ა ჯ ი, რომელიც მისთვის დაუმტკიცებიათ დედასა და მამას⁴⁰. გარდა მის ხელთ არსებული ამ მამულებისა, გულშარს ნასყიდვით გააჩნია, რომელსაც აგრეთვე სწირავს ვანის ქვაბებს.

ფიურნი ყანანი, „ნასყიდი და მოუდეგარი“, მურვან ლარიბას ძესაც შესწირავს ვანისათვის 1393 წელს⁴¹. „ფიურნი ყანანი“—იგულისხმება სოფ. ფიაში მდებარე ყანები.—ურ სუფიქსი აღნიშნულ ტერმინში („ფიურნი ყანანი“) კუთვნილებას გამოხატავს, სოფ. ფიას კუთვნილ მიწებს აღნიშნავს მრავლობით რიცხვში.

სოფ. ფია X ს-შიც არსებულა. რადგან აქ არის ეკლესია, რომლის საამშენებლო წარწერაც 995 წლისაა⁴².

35 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

36 თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

37 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., II, გვ. 138.

38 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 190.

39 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

40 თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

41 იქვე, გვ. 45.

42 ე. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 167—168; გ. გაფრინდაშვილი, IX—X სს. არქიტექტურის ნაგებობა ნასოფლარ ფიაში, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XVII, № 6, თბ. 1956, გვ. 761—768; მ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 26.

XVI ს-ში ფია უკვე 19-კომლიანი სოფელია ხერთვისის რაიონში. დღემდე დღეობით იგი ნასოფლარია. შემორჩენილია მხოლოდ ნაშთი ნანგრევებისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ ერთ დროს სოფელი ყოფილა თავისი ეკლესიით.

მურვან ღარიბას ძეს, გარდა ფიაში მდებარე ყანებისა, ო რ ხ ო ფ ი ა შ ი ც შეუწირავს ნასყიდი მამული „როტაშაული მისითა მითთა, ბარითა, ზღვრითა, ჭალითა, წყლითა, წისქულითა, საჯმარითა და უკმარითა“⁴³. საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა ორხოფია. მას იცნობს „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი“⁴⁴. 1841 წ. საბუთით იგი მემამულე სულეიმან-ბეგ მეჰმედ-ბეგ-ოღლის მფლობელობაშია (пустопорожнее [место] Орхопия)⁴⁵, მოგვიანებით იგი ნასოფლარად ქცეულა.

სოფ. ორხოფია ფიას ზემოთ მდებარეობდა. ს. ჯიქიას ცნობით—გელსუნდისა და ჯოლდის ახლოს⁴⁶. იგივე ს. ჯიქიასათვის ნ. ნათენაძეს უცნობებია, რომ „ორხოფია ნასოფლარია თოლერთასა და ზედა თმოგვს შუა“⁴⁷.

ტოპონიმი ორხოფია ფიასთან უნდა იყოს კავშირში. ისინი ტერიტორიულადაც ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან. ამაზე მიუთითებს ს. ჯიქიაც: „შესაძლებელია ეს ორი სიტყვა ეტიმოლოგიურადაც დამოკიდებული იყვნენ ერთმანეთისაგან(ფია//ორხო—ფია)⁴⁸.

ვანის ქვაბებზე შეწირულ მამულებს შორის აგარაც მოიხსენიება. საგიას ვაჟებს მირძასა და ზაზას სულის მოსახსენებლად მონასტრისათვის, გარდა სხვა საწირავებისა“, „ავარას ორკალოსძისა მამულიც“ გაულიათ⁴⁹.

საქართველოში საერთოდ და, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში ტოპონიმ ავარების სიმრავლეა. სამცხე-ჯავახეთში გვხვდება ჭაჭარაქის ანუ ურავლის ავარა, ფოცხოვის ავარა, ასპინძის ავარა, დემოთიის ავარა, ნიალისყურის ავარა.

იმის დასადგენად, თუ რომელი ავარაა ჩვენს დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, ვანის ქვაბთა უკვე ცნობილი ონომასტიკონიდან უნდა ამოვიდეთ. რადგანაც გარკვეულია ვანის მონასტრის ზუსტი მდებარეობა, ამით ავარის მდებარეობაც შეგვიძლია განვსაზღვროთ. ცხადია, ამ მრავალ ავარას შორის ის იქმნება შეწირული ვანის ქვაბებზე, რომელიც ტერიტორიულად უფრო ახლოა მასთან. უდავოა, ეს არის ე. წ. ნიალისყურის ავარა, რომელიც იქვე ნიალის ველზე, ლეპისთან მდებარეობს. „დავთრის“ მიხედვით ის მოზრდილი, 26-კომლიანი სოფელია⁵⁰. ს. ჯიქიას ამ სოფლის შესახებ კიდევ ერთი დოკუმენტი მოაქვს: „Агора большая при роднике Ортули“⁵¹.

ნიალის ველის თითქმის ყველა ნასოფლარში ადრეფეოდალური ძეგლები გვხვდება, გამონაკლისი არც ავარაა. ავარის საყდართან ახლაც დგას დაახლოებით 4-მეტრიანი სტელა⁵².

43 თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ., 45.

44 ს. ჯიქია. დასახ. ნაშრ., III, გვ. 257.

45 იქვე.

46 იქვე.

47 იქვე.

48 იქვე, გვ. 261.

49 თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

50 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 371—372.

51 იქვე.

52 დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ.,



რაც შეეხება უშუალოდ ტოპონიმის წარმოშობას, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „აგარა“ სადგურია საზაფხულო დასასვენებელი, აგარაკი კი, არს ადგილი საყანური, გინა სავეკე⁵³.

ქართულ წყაროებშიც მრავლად გვხვდება აღნიშნული შინაარსით „აგარა“ და „აგარაკი“. დროთა განმავლობაში ამ საზოგადო სახელებმა დაკარგა შინაარსის გამომხატველი ფუნქცია და გეოგრაფიულ სახელებად იქცა. ამის გამოა, რომ ტოპონიმი აგარა მრავლად გვხვდება საქართველოში. დღეს უკვე ტოპონიმია იგი, წინათ კი ეს ადგილები ან სათესველს, „საყანურს“, „სავენაკეს“ წარმოადგენდა, ანდა საზაფხულო დასასვენებელს, გროლ ალაგს.

ვანის ტაძარზე შეწირულ სოფლებში შედის მირაშხანიც, რომელიც საკმაოდ დიდ სოფელს უნდა წარმოადგენდეს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მერვე მინაწერის მიხედვით. მირაშხანიდან გულშარს (თმოგველთა ასულს) გულაური ჭალა, საგუბარი და ნაწალკოტევი ყანა შეუწირავს მონასტრისათვის.

მირაშხანი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვანის ქვაბებიდან მოშორებით, ახჩიასთან ახლოს. XVI ს-ში მირაშხანში 11 კომლი სახლობდა, 1870 წლისათვის კი უკვე-2; ნელ-ნელა დაიცალა ეს სოფელი და ამჟამად აქ აჭარიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ და სოფელს მტკვარს უწოდებენ.

გულშარს მილახებიც ეკუთვნოდა და აქედანაც ერთი ვენახი შეუწირავს გუარამთ მიწისა⁵⁴. მილახები სახნავ-სათესს უნდა ნიშნავდეს და იგი რომელიმე სოფლის განკარგულებაში იყო. ამ შემთხვევაში მილახი ორონი-ნიმად არ შეიძლება განვიხილოთ, იგი მიკროტოპონიმია და სოფლის გარეთ მდებარე დამუშავებული ალაგია. ამ მილახებს დღესაც იხსენებენ სოფ. ტოლოშის მახლობლად, მაგრამ დასაშვებია, რომ იგი სხვა ადგილასაც მდებარეობდეს, ვანის ქვაბთან უფრო ახლოს, კერძოდ, ზედა ვარძიის მიდამოებში.

მურვან ლარიბასძის შეწირულობიდან სოფ. ხარაკია ცნობილია თავისი მთით, ბარით, შესავალ-გამოსავალით.

ხარაკია სოფ. ხარაკი უნდა იყოს სულდის მახლობლად⁵⁵. „დავთარიც“ იცნობს ამ სოფელს ჩრდილის რაიონში სწორედ სულდის მახლობლად⁵⁶, მაგრამ ამ დროს სოფელი უკვე გაუქცარიელებელია.

თ. ყორღანის მიერ გამოქვეყნებული „ვაჰანის ქვაბთა განგების“ VIII მინაწერში, სადაც საუბარია თმოგველთა ასულის გულშარის მიერ შეწირულ მიწებზე, ერთი ადგილი (IX სტრიქონი) ამოუკითხავია. ეს ადგილი წაიკითხა ვ. სილოგავამ და მოგვცა კიდევ ერთი ახალი ტოპონიმი—„ყორნისი“.

ყორნისის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება, მაგრამ დოკუმენტში დასახელებულ სხვა გეოგრაფიულ სახელთა მეშვეობით შეიძლება მისი დაახლოებითი ლოკალიზაცია. მერვე მინაწერში ყორნისს გარდა დასახელებულია სოფლები: ფია, მირაშხანი და, სავარაუდოა, რომ იგი სწორედ ამ ორ სოფელს შორის უნდა მდებარეობდეს. უფრო ზუსტად, ვანისა და ვარძიის ახლოს, რადგან ყორნისში ყოფილა ხუცური ყანები და იგი ძალიან მოშორებით არ იქნებოდა მონასტრიდან.

53 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991, გვ. 38.

54 თ. ყორღანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

55 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

56 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 424.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ „ერთ-ერთ მინაწერში“ დასახელებულია მჭედლისუბნა⁵⁷, რაც უდავოდ მჭედლისუბანს გულისხმობს. მჭედლისუბანი ერუშეთის მთიანეთში ნასოფლარებთან შალოშეთთან და გუნდთან მდებარეობს, მთის ფერდობზე. XVI ს-ში იგი 10-კომლიანი სოფელი ყოფილა, რომელიც მოგვიანებით გაუქარიელებულა⁵⁸.

მჭედლისუბანს იცნობს XIX ს. ერთ-ერთი დოკუმენტიც (1859 წ.), სადაც წერია: Чедлисубани—пустошь помещчья, без вохы, на ровном месте, под подошвою горы Тавтава,⁵⁹ ამ სოფელში გელსის ნანგრევებიც ყოფილა.

რაც შეეხება უშუალოდ ტაბონიმს, იგი მიკროტაბონიმიდან უნდა იყოს წარმომდგარი. თავიდან იქნებოდა პატარა უბანი მჭედლისუბნის სახელწოდებით, ხოლო დროთა განმავლობაში იგი ორონიმად იქცა, ისევე როგორც ახალშენი, დავითასუბანი, გავაშენი და სხვ.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მეხუთე მინაწერით მურვან ღარიბასძე სწირავს მამულებს სხვადასხვა სოფელში; ესენია: კუნელეთი, დიდკლდე, კუარბი და ციხეკნელი⁶⁰. თავისთავად საინტერესო ტაბონიმებია.

კუნელეთი—ასეთი ტაბონიმი დღესდღეობით არ გვხვდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ საუკუნეების მანძილზე სახელწოდებამ ფორმა იცვალა. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ გვხვდება სოფ. კულულეთი//კულილეთი⁶¹. იგი მდებარეობს სწორედ ჩვენთვის საინტერესო არეალში—ხერთვისის მიდამოებში და ხერთვისელთა სათესველს წარმოადგენდა. როგორც ს. ჯიქია აღნიშნავს, ერთ-ერთი საბუთით, კულულეთის მიწებით სოფ. შეღვაშეთის (შალოშეთი//სალოშეთი) მცხოვრებნი სარგებლობდნენ⁶².

ამრიგად, ტაბონიმი კუნელეთი გვიანდელი კულილეთის თავდაპირველი სახელია და ნაწარმოები უნდა იყოს „კუნელიდან“.

დიდკლდე კომპოზიტური სახელია დიდ-მსაზღვრელით (ისევე როგორც დიდგორი, დიდველი). იგი ტერიტორიულად ხერთვისის, ტოლოშის, ცხეკნელას, კუნელეთის მიდამოებში მდებარე სოფელია, რადგან ეს ტერიტორიები XIV—XV საუკუნეებში ღარიბასძეთა საკუთრებას წარმოადგენდა და აქი ისინი სწირავენ კიდევ მათ ვანის ქვაბებს. ამ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის კუარბიც. დიდკლდე და კუარბი დღესდღეობით გამქრალია და ნასახლარების კვალიც არ ჩანს.

საინტერესო ტაბონიმიცაა ციხეკნელი, რომელიც ალჯუასა და ჩუნჩხას შორის მდებარე სოფელი, აწ ნასოფლარი ცხენკნელაა. „იგი შესაძლოა ხალხური გააზრების გამო იყოს სახეცვლილი, რადგან ამ ნასოფლარის მიდამოებში ციხის ნაშთები შეინიშნება“⁶³. საერთოდ, ახლომასლო მდებარე სოფლებში შედარებით მრავლადაა აღრეფეოდალური ხანის საყურადღებო ძეგლები.

ტაბონიმ ცხეკნელას შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ხალხური ეტიმოლოგიით, ცხენს კლავდნენო და ამიტომ დაერქვაო ცხეკნელა,

57 თ. ქორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

58 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 256.

59 იქვე.

60 თ. ქორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

61 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

62 იქვე, გვ. 254.

63 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., თბ., 1985, გვ. 123.



მაგრამ ვრ. ბერიძეს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი განმარტება. მისი აზრით, სემართლესთან უფრო ახლოს იქნებოდა „ცხენკელა“ ნ-ს გადასმით, აქედან ცხენისკელი—ცხენისნაკელი, ხოლო მეორე გავებით—ცხენკოჭლა⁶⁴. კელობა ძველი ქართულით კოჭლობას ნიშნავდა⁶⁵.

ჩვენის აზრით, ცხეკნელი—ცხეკნელა გეოგრაფიული სახელი ციხესთან უნდა იყოს კავშირში. როგორც ნასოფლარსაც ეტყობა, აქ პატარა ციხე ყოფილა.

ცხეკნელა გვხვდება „დავთარშიც“. იგი პატარა, 7-კომლიანი სოფელია⁶⁶, რომელიც მომდევნო საუკუნეებში ნელ-ნელა იცლება, მახინჯდება ტოპონიმიც. XIX ს-ის არქივისიულ საბუთებში იგი უკვე იხსენიება, როგორც „Цигнела“⁶⁷.

ვანის ქვაბთა ტიპიკონის მინაწერებში რჩეულაშვილთა შეწირულობანიც ჩანს⁶⁸. ეს არცაა გასაკვირი, რადგან უკვე XIII სის ბოლოდან ვანის ქვაბთა ბატონებად რჩეულასძენი გვევლინებიან. XV ს-ის ბოლოდან მათ ხელშია ტერიტორია ვანის ქვაბსა და ოლადის ქვაბს შორის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამასვე ადასტურებს „მესხური მატინაეც“⁶⁹.

რჩეულაშვილებს ვანის მონასტრისათვის შეუწირავთ მიწები სოფ. ჭაჭკარში, განძსკვეს ვენახი და მევენახე თავისი სახლ-კარით, დმელიას—ბაქელიძის ნახევარი, ვანის ქვაბში ირინაშვილი, ფარნაოზა და ელისა ნახევარი ვენახით. ამდენ მამულს ძმები ენუქ და ალფეზ რჩეულაშვილები იმიტომ სწირავენ შონასტერს, რომ ერთ-ერთ მათ ნათესავს—დავითს ღვიძლი ძმისწული ლეონი მოუყლავს უსამართლოდ და მისი „მამული ყოველი“ ენუქსა და ალფეზს დარჩენიათ; ისინიც უშურველად სწირავენ მონასტერს ლეონის სულის საოხად.

სოფ. ჭაჭკარი ჩვენთვის უკვე ცნობილია, განძასკვევის ადგილმდებარეობა კი გაურკვეველია. განძანი, მერმინდელი განძა, ფოკასთან ფარანის წყლის პირას მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში. იგი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული ვანის მონასტრიდან. საეჭვოა, რომ რჩეულაშვილებს ასე შორს ჰქონოდათ მამულები. უფრო დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დოკუმენტში მოხსენიებული განძასკვეი ჭაჭკარს, ვარძიასა და ვანის ქვაბს შორის უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ ტოპონიმებთან ერთად იხსენიება მინაწერში და დაახლოებითი ლოკალიზებაც მათ მიხედვით უნდა მოხდეს.

ასევე გაურკვეველია სოფ. დმელიას მდებარეობა. თ. ყორღანია მინაწერში „და მელიას“ ცალ-ცალკე კითხულობს და გამოდის, რომ გეოგრაფიულ სახელად „მელია“ იგულისხმება⁷⁰, ვ. სილოგავა „დმელიას“ ფიქრობს, დ. ბერძენიშვილს კი უფრო მიზანშეწონილად „დამელია“ მიაჩნია⁷¹.

64 ვრ. ბერიძე, ქართული ენის ჭავახური კილო. თბ., 1988, გვ. 149.

65 სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

66 ს. ჭიქია, დასახ. ნაშრ., II, გვ. 180.

67 ს. ჭიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 250.

68 თ. ყორღანია, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

69 ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ. 1961, გვ. 44.

70 თ. ყორღანია, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

71 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.



ასეთი სოფელი სხვაგან არცერთ წყაროში არ არის ფიქსირებული. მხოლოდ ერთი პატარა საინტერესო ცნობაა „გურჯისტანის ვილაიეთის დასახლებების“ ში⁷². ვარძიასთან არის ერთი სოფელი, რომლის სრული სახელიც ს. ჯიქიას ვერ ამოუკითხავს, წაკითხული აქვს მხოლოდ სიტყვის მეორე ნახევარი „მელა“. სავარაუდოა, რომ ამ ტოპონიმის პირველი ნაწილი „დ“ ან „და“ ასოები უნდა იყოს, მით უფრო, რომ ადგილმდებარეობაც „დავთარში“ ნახსენები სოფლისა ემთხვევა „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერში ნახსენებ დმელიას მდებარეობას. ის ვარძიის, ჭაჭკრისა და ვანის ქვაბების მიდამოებშია.

ასე რომ, სოფ. დმელია მდებარეობდა ვარძიასთან და პატარა დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.

დღეს დ მ ე ლ ი ა ანუ დუმეილა ნიალის ველზე საძებარი სახელია, რადგან ამავე ველზე გაედინება დუმეილის ანუ დუმეილის წყალი; საფიქრებელია, რომ დუმეილა ანუ დუმელია „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერში დამოწმებული სახელი დმელია უნდა იყოს.

მეტად საინტერესოა ვანის მონასტრის ტიპიკონის მეოთხე მინაწერი, რომელიც XIII ს-ით თარიღდება⁷³. ვანის ქვაბთა ბატონს როსტევანს, თავის ძმებთან და შვილებთან ერთად, წმინდა გიორგისათვის შეუწირავს „გულაშარშისა ქუშეთ აბჯარეული ზუჭრი და რაიცა პარტახტი არის მას შინა“.

რას ნიშნავს „გულაშარშისა ქუშეთი“?

დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ „აქ მოხსენებული „აბჯარეული“ ახლა სოფ. გოგაშნის მიწებშია. იგი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სწორედ გოგაშნის ქვევითაა, ამიტომ „გულაშარშის ქუშეთი“ უნდა წავიკითხოთ „გოგაშნის ქუშეთი“⁷⁴.

დედანში ზუსტად მოცემულია „გულშარშისა ქუშეთი“, თ. ყორდანიას ვახსნილი აქვს ქარაგმა და წაკითხული „გულაშარშისა“, მაგრამ ვ. სილოგავა სხვანაირად ფიქრობს. აღნიშნულ დოკუმენტში, მართალია, არის ქარაგმები, მაგრამ ისინი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. მინაწერში ქარაგმას სხვა ფუნქცია აქვს; ადგილ-ადგილ იგი დართულია იმის გამო, რომ სტრიქონებს შორის ადგილი სხვა ჩანაწერებისათვის არ გამოყენებულიყო; პალეოგრაფია ასეთ ფაქტებს იცნობს.

დაკვირვება მოცემულ ტოპონიმზე (გულშარშენი) გვაფიქრებინებს, რომ იგი საკუთარი სახელიდან, გულშარიდან არის წარმოდგენილი, გულშარშენი—გულშარის ნაშენები. ეს მით უფრო მისაღებია, რომ „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებიდან ვიცნობთ გულშარს—თმოგველ ჩაისრის ასულს. რადგანაც ეს სახელი ამ მხარისათვის დამახასიათებელია, საფიქრებელია, რომ ვინმე გულშარს მართლაც გაეშენებინოს თავის კუთვნილ მიწაზე ვენახი, „ზუარი“, რაიმე სამეურნეო სავარგული და ტოპონიმიც ამ ფაქტიდან მიმდინარეობდეს; თუმცა, გულშარშენი შესაძლოა მიკროტოპონიმდაც ჩავთვალოთ, თუკი იგი ახალშენია და ახალ დამუშავებულ ბაღს, ვენახს ანდა სათესველს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, არ არის სწორი თვალსაზრისი, რომ „გულშარშენი“ უნდა იქნეს წაკითხული, როგორც „გოგაშენი“.

72 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 372.

73 თ. ყორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

74 დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.



ვანის ქვაბთა მონასტერს ათაბაგებიც სწორადნენ შესაწავისა და აღმოჩენისა. ბაგი ივანე თმოგვი თვისი „საპატრონოსა ტალმისაგან“ სწორავს 1500 თეთრს⁷⁵. (ტამლა მონღოლური გადასახადია⁷⁶).

თმოგვი ორი არსებობდა: ზედა თმოგვი და საკუთრივ ციხე თმოგვი თვისი სამოქალაქო მოსახლეობით (რაბათი)⁷⁷. ზედა თმოგვი შედარებით პატარა დასახლებაა, რაბათის მოსახლეობა კი 69 კომლს აღწევს და წუნდასა და ვარძიას შორის მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე⁷⁸.

თმოგვის დაყოფა ზედა და ქვედა თმოგვად ექ. თაყაიშვილის დროსაც რჩება ძალაში⁷⁹.

ივანე ათაბაგის მინაწერში ივულისხმება ციხე თმოგვი, სადაც მოსახლეობა მრავალადა და ისეთი დიდი გადასახადიც, როგორცაა 1500 თეთრი, მხოლოდ ასეთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობიდან თუ აიკრიფებოდა.

მინაწერების მიხედვით ვარძიაც ორია: ზედა ვარძია და ვარძია. „დავთარშიც“ ორი ვარძია აღრიცხული⁸⁰. ზედა ვარძია 2-კომლიანი სოფელია, ვარძია კი—გაუქაცრიელებული. დ. ბაქრაძე ზედა და ქვედა ვარძიად მოიხსენიებს მათ და ამასთანავე ზედა ვარძიაში 5 ოჯახს აღრიცხავს⁸¹.

გულშარი-თმოგველთა ასული, ზედა ვარძიიდანაც სწორავს მიწებს ვანის ქვაბებს⁸².

ტიბიკონის მინაწერთა კრულობით ნაწილშიც იხსენიება ყოვლადწმინდა ვარძიის ღმრთისმშობელი, აგრეთვე საუფლო ხატი კუმურდოსი. კუმურდოც და ვარძიაც ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ ობიექტს წარმოადგენენ და ვანის ქვაბის მიდამოებში მდებარეობენ, თანაც მინაწერებში ჩამოთვლილი ჯავანეთის სოფლები ან ვანის ქვაბებისაა, ან ვარძიის მონასტრისა და ან კიდევ კუმურდოელის სამწყსოს წარმოადგენდა. მცირე ნაწილი ეკუთვნოდა სვეტიცხოველსაც. ჩვენ მოგვებოვება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (1392 წ. 1 დეკემბერი)⁸³, სადაც ჯავანეთის რამდენიმე სოფელიც შედის; ასევე გვაქვს კათალიკოზის ხელქვეშეთ მღვდელმთა-

⁷⁵ თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

⁷⁶ რ. კიკნაძე, თამლა ილხანთა სახელმწიფოში, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 93—100., ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 150.

⁷⁷ ტამლის შესახებ იხ.: В. Бартольд. Персидская надпись на стене анийской мечети Мануче., соч., т. IV, М., 1966, გვ. 334 რ. კიკნაძე თამლა სახელმწიფოში, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 93—100., ვ. სილოგავა. სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1980, გვ. 150.

⁷⁸ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 361.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ Э. Такайшвили. Источники грузинских летописей, три хроники, СМОМПК, XVIII, тб. 1900, გვ. 194.


⁸¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 329.

⁸² Бакрадзе Д., Кавказ в древних памятниках христианства, „Записки Общества Любителей Кавказской археологии“ (ЗОЛКА), I, Тиф., 1875, გვ. 55

ცნობილია ზედა ვარძიის XI ს. შესანიშნავი კტიტორული წარწერა ერისთავთ-ერისთავის ლიბარტისა და კედელზე მიწერილი იმავე დროის ეპიგრაფიკული საბუთი (ც. გაბაშვილი, ზედა ვარძია, თბ., 1985, გვ. 23, 50).

⁸³ თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

⁸⁴ ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 176—181.



ვართა და სამწყსოთა სია სამცხე-საათაბაგოში (XVI ს)⁸⁴. კუმურდოვლის სამწყსოდ ითვლებოდა „ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდი (ხვეთამდი)“⁸⁵.

ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებს ერთი ტბის სახელიც შემოუნახავს—**ჯალაბადინის ტბა**⁸⁶. ასეთი სახელწოდებით ვანის ქვაბის მიდამოებში არცერთი გეოგრაფიული პუნქტი არ გვხვდება, არც ტბების სიმრავლით გამოირჩევა ეს ადგილი. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რომელ ტბაზეა საუბარი მინაწერში. შესაძლოა ვანის ქვაბების ზემოთ, ახალქალაქის მხარეს მდებარე პატარა ტბებიდან, რომელიმეს ძველ ქართულ სახელს წარმოადგენს ჯალაბადინი.

* * *

ონომასტიკონის შესწავლის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროტოპონიმებსაც. საინტერესოა ვანის ქვაბთა მიკროტოპონიმთა; სხვა დოკუმენტებში ეს სახელები ფიქსირებული არაა, მათი ნაწილი მხოლოდ ადგილობრივ ხალხურ ვადმოცემებს თუ შემოუნახავს. მაგალითად, „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ აღნუსხულია ვანის ქვაბთა მინაწერებში არსებული თითქმის ყველა ტოპონიმი მცირე გამოწაკლისის გარდა, მაგრამ საერთოდ არ იხსენიება მიკროტოპონიმები. ეს გასაკვირიც არაა, რადგან მიკროტოპონიმი ძალიან მცირე გეოგრაფიული პუნქტია და ქვეყნის აღწერა, ან იურიდიული დოკუმენტის შედგენა, ამ ვიწრო გეოგრაფიული ობიექტების მიხედვით არ ხდება.

მიკროტოპონიმების შესწავლა საინტერესოა მათს წარმოშობასთან დაკავშირებით. მათი შექმნა ხომ ძველ ხალხურ მეტყველებასთან, მოვლენების უბრალო, მაგრამ ლალ და ხალას გააზრებასთანაა კავშირში.

ვანის ქვაბთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები ძირითადად საკუთარი ანდა ზედმეტი სახელებიდანაა წარმომდგარი: **ბერაული, კუტრნაული, გულაური, ლუკაური, როტაშაული, აბჯარეული** და სხვ. ყველა ეს მცირე გეოგრაფიული ობიექტი ბერას, გულას, ლუკას, როტაშას, აბჯარას თუ კვერნაანთ ბალებს, ვენახებს, სათესებსა და ზვრებს აღნიშნავს. მიკროტოპონიმების წარმოება, როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, საკუთარ სახელზე-**ულ**, **ურ** კუთვნილების გამომხატველი სუფიქსების დართვით ხდება. საკმარისია ჩამოვაცილოთ ტოპონიმს მაწარმოებელი, რომ დაგვრჩება საინტერესო სახელები, რომლებიც გავრცელებული იყო სამხრ. საქართველოში. ასეთი გზით შესაძლოა მრავალი, დღეს უკვე არარსებული საკუთარი სახელისა თუ მეტსახელის აღდგენა⁸⁷. აქ წარმოვადგენთ ტოპონიმთა ერთ ნაწილს, რომელთაგან აღვადგენთ საკუთარ სახელებს:

ბერა — (ბერა-ულ-ი, ქაქაყარი)

გულა — (გულა-ურ-ი, მირაშხანი)

ლუკა — (ლუკა-ურ-ი, მილახები, ზედა ვარძია)

როტაშა — (როტაშა-ულ-ი, ორზოფია)

84 ი. დოლიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

85 იქვე.

86 ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

87 მ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

აბჯარა — (აბჯარა-ულ-ი, გოგაშენი, გულშარშენი)

კუჭრნა — (კუჭრნა-ულ-ი, ფია)

საინტერესოა მიკროტოპონიმი მაღნარა, რომელიც ორჯერ მოიხსენიება „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში: „ტოლოშს ორნი ვენაწნი მაღნარაშიგან“⁸⁸, ანდა „ერთი ვენაწი ტოლოშს ახალშენი მაღნარას“⁸⁹. როგორც ჩანს, მაღნარა პატარა, ახალდამუშავებულ ტერიტორიას წარმოადგენდა სოფ. ტოლოშში.

სახელი მაღნარა უნდა იყოს წარმომდგარი ბალი//მაღნარისაგან.

ვანის ქვაბთა ონომასტიკონიდან საინტერესოა გეოგრაფიული სახელები ორივე მაწარმოებლით—სუფიქსითაც და პრეფიქსითაც; მაგალითად, ნაწალკოტევი ყანა მირაშხანში. ეს სახელი ნა- პრეფიქსითა და -ევ სუფიქსითა ნაწარმოები და წარმომდგარია სიტყვა წალკოტისაგან; (შდრ. ნავარძიევი).

მიკროტოპონიმებს წარმოადგენს -შენ ფუძიანი სახელებიც, თუ ისინი უკვე საუკუნეების განმავლობაში ტოპონიმებად არ არიან ქცეულნი.

„ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერებში ახალშენი ერთ შემთხვევაში სოფელიცაა და მეორე შემთხვევაში დამუშავებული ადგილიც. გოგაშენი უკვე სოფელია, ხოლო გულშარშენი მიკროტოპონიმია ჯერ მხოლოდ. ასეთ გეოგრაფიულ სახელთა გამიჯვნა თვითონ დოკუმენტის მიხედვით, კონტექსტიდან ხდება.

ასევე განიხივეთ ერთმანეთისაგან ჭალა—ტოპონიმი და ჭალა—აბელატივი. „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მეორე მინაწერში ჭალა სოფ. მირაშხანში შედის და გულაურებს ეკუთვნით⁹⁰. ცხადია, აქ იგი ტოპონიმი არ არის და შიშარისითაც სოფლის ხეობაში არსებულ ნესტიან, ჭაობიან ადგილს გული-სხმობს, სადაც ბალ-ვენახებია გაშენებული. სულ სხვაა სოფ. ჭალა. მესხეთში მრავალი სოფელი მოიძებნება ამ სახელით. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით ჯერ მხოლოდ ახალციხის ლივაში რამდენიმე ჭალაა: უდესთან⁹¹, თვითონ ახალციხის გარეუბანში⁹², სოფ. ჭეჭლასთან⁹³, ჭაჭარაქთან⁹⁴, ბორჯომთანაც არის სოფ. ფაფას მახლობლად⁹⁵, აღჯაყალასთან ჩილდირის ტბის ნაპირას⁹⁶ და სხვ.

* * *

აქ მიმოვიხილეთ ყველა გეოგრაფიული სახელი, ტოპონიმიც და მიკროტოპონიმიც, რომელიც კი დაკავშირებული იყო ვანის ქვაბთა მონასტერთან (თვითონ „განგების“, მისი მინაწერებისა და მონასტრის კედლების წარწერების მიხედვით). ყოველი მათგანი დატანილია რუკაზე, რომელიც თან ერთვის გამოკვლევას.

⁸⁸ თ. ქორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

⁸⁹ იქვე, გვ. 45.

⁹⁰ იქვე, გვ. 47.

⁹¹ ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., III, გვ. 85.

⁹² იქვე, გვ. 80.

⁹³ იქვე, გვ. 119.

⁹⁴ იქვე, გვ. 191.

⁹⁵ იქვე, გვ. 22.

⁹⁶ იქვე, გვ. 385, 399—400.



ვანის ქვაბთა ონომასტიკის შესწავლას, როგორც ვნახეთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული ტოპონიმიკის კვლევისათვის.

И. Л. ТАЛАХАДЗЕ

ИЗ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ МОНАСТЫРЯ ВАНИСКВАБЕБИ

Резюме

Монастырский комплекс Ванисквабеби расположен в Аспиндзском районе, не доходя до Вардзии 3 км, на правом берегу Куры, у подножья Джавахетского плато. Находился данный комплекс во владении феодального рода Гургенидзе, в XII веке Ванисквабеби стал царским монастырем, а впоследствии фамильным монастырем рода Тмогвели. Представители этой фамилии составили устав, который известен под названием „Устав Ваханисквабеби“ („ვაჰანის ქვაბთა განგება“). Он имеет приписки, которые содержат достаточно богатый материал для исторической географии и исторической топонимии.

В статье рассмотрены все географические имена, связанные с Ванисквабеби. Часть этих имен представляет собой название существующих деревень, населенных пунктов, а часть из них осталась в названии селищ. Таковы: топонимы—Вахани-Вани (ვაჰანი), Ванисхеви, Ахалшени, Толоши, Чачкари (ჭაჭკარი), Гогашени, Эркуата, Пиа (ფია), Орхопиа (ორხოფია), Агара, Харакиа, Корниси (ყორნისი), Мчедлсубна (მჭედლოსუბნა), Кунелети, Дидკდე, Курби, Цихекнели, Гандзасхеви (განძასხევი), Дмелиа, Тмогви Вардзия, Зеда Вардзия (Все вышеназванные топонимы нанесены на карту, которая приложена к статье); микротопонимы: Магнара (მალნარა), Ахалшени, пашиа Нацалкотევი (ნაწალკოტევი), вотчина Роташаули, виноградник Квернаули, вотчина Оркалосдзе, Чала (ჭალა), Милахеби, в тчина Бераули и др.

В разное время все вотчины были пожертвованы владельцами и переданы монастырю Ванисквабеби.

В статье предпринята попытка идентифицировать современные наименования указанных топонимов.

წარმოადგინა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა.

ღალი მამლარაშვილი

ჰიაკოკონობა საქართველოში

(XIX ს-ის ნახ-ის გაზეთების „ივერიისა და „დროების“ მიხედვით)

ქართველი ხალხის ყოფაში დღემდე შემორჩენილია ერთი საინტერესო ჩვეულება, რომელიც „ჰიაკოკონობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი დამახასიათებელია საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის.

ჰიაკოკონა // ჰიაკოკონა არის „ჩალის ცეცხლი დიდი¹, რომელსაც ანთებდნენ კუდიანების დასაფრთხობად გაზაფხულზე, დიდმარხვის უკანასკნელი კვირის (ვენების კვირა) ოთხშაბათს. მას სხვანაირად „კუდიანების ღამეს“ უწოდებდნენ²; სვანეთში კი მთელ ვნების კვირას „ეშმაკების კვირა“ („პორიალე ნაგზი“) ერქვა³. ხალხური რწმენის თანახმად, იალბუზის წვერზე ზის „ტარტაროზი ღრჯოლებიანი“ (|| მეგრული მახაკვალი//შხაკვარი||, როკაპი, რომელიც ტაბაკონას მთაზე იმყოფება⁴, იმერული „დიდი რუკაპი“⁵), გარს ეშმაკები ახვევია და მოახსენებენ, ვინ რამდენი სული მოიძხრო და გააკუდიანა. კუდიანებად, უმეტეს შემთხვევაში, ქალებს მიიჩნევდნენ; ხალხის შეხედულებით, ყოველ სოფელში მოიძებნებოდა ერთი ან ორი ასეთი დედაბერი, მათგან ზოგიერთი კატაზე იჯდა, ზოგი ცოცხზე, ზოგიც—ფილთაქვაზე და მიჰქროდნენ იალბუზისაკენ. იქ მჯდომ „ტარტაროზს“ (კუდიანების უფროსი), ეშმაკის დარიგებით, ეშვისებურ კბილებში კენჭებს ესროდნენ. ვინც დიდ ქვას მიარტყამდა, ტარტაროზი მადლობის ნიშნად თავს დაუყრავდა, მაგრამ იმ ღამეს მას რაიმე დიდი საქონელი მოუკვდებოდა, ვინც პატარა კენჭს ესროდა, მას—პატარა ხბო ან ზაქი⁶.

ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. ქალები და ბავშვები ასკილის ტოტებს აგროვებდნენ. საღამოთი მას დაჰკრიდნენ პატარა ნაწილებად და თითოეულ მათგანს დაამაგრებდნენ კარებში, ბუხარში, ფანჯრებში, კარადებში, ყუთებსა და სხვა. თუ ვინმეს ახალი ტანსაცმელი ჰქონდა, ერთად შეკრავდნენ და ზედ ასკილის ტოტს დაადებდნენ იმ მოსაზრებით, რომ კუდიანი ვერ მიუახლოვდებოდა და ველარ დაჰკრიდა⁷. ეკლიანი მცენარის ტოტის დამაგრებით კარებსა და ფანჯრებში სახლის შესასვლელებს იცავდნენ მავნე სულებისაგან⁸.

1 ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, IV 2, გვ. 399.

2 დ. მეღვინეთ-ხუცესოვი, ჰიაკოკონობა, „დროება“. 1872, № 3; ზ. მთაწმინდელი, (ქიქინაძე), „დროება“, 1977, № 38.

3 ბ. სვანი (ბ. ნიყარაძე), სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი.

4 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956, გვ. 19.

5 М. Сагарадзе, Культурно-исторический очерк Западной Грузии (имеретии), Кутаиси. 1909, გვ. 76—78.

6 დ. მეღვინეთ-ხუცესოვი, „დროება“, 1872, № 3.

7 ზ. მთაწმინდელი, „დროება“, 1988, № 38.

8 ბ. სვანი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1886, № 143.

ვისაც კატა ჰყავდა, საღამოთი იჭერდნენ და სკივრში ჩაკეტავდნენ ან სახლში არ უშვებდნენ, რომ ეშმაკი არ შეჰყოლოდა, რადგან, გავრცელებული აზრით, იმ ღამეს კატებმა „ყვირილი“ იცოდნენ და მათ ხმას მიჰყვებოდნენ კუდიანებიც. ისინი ატმის ან კაკლის ხეებს ეტანებოდნენ და ეფარებოდნენ, თუ ამ ხეებზე საცერი იქნებოდა ჩამოკიდებული, კუდიანების დანახვაც შეიძლებოდა⁹.

ქართველთა რწმენა-წარმოდგენებს წელიწადის გარკვეულ დროს გრძელ-ულთა შეკრების შესახებ ანალოგი ექმნება მრავალი ხალხის რელიგიურ აზროვნებაში, რომელთაგან აღსანიშნავია გერმანელების ცნობილი ვალბურგის ღამე 1 მაისს¹⁰.

ჰიაკოკონობის ძირითად ნაწილს შეადგენდა ყოველი მოსახლის მიერ საკუთარი სახლის წინ ცეცხლის დანთება. ამ მიზნით აგროვებდნენ თივას, ჩალას, ანთებდნენ კოცონს და სამჯერ ხტებოდნენ მათზე შემდეგი სიტყვებით: „აჰარი! ჰურული კუდიანებსა! ან“ არურუ კუდიანებს, ჯვარი აქაურობასო!“ რიტუალში მონაწილეობდა თითქმის ყველა დიდი და პატარა, ასაკისა და სქესის მიუხედავად, მათი აზრით, ცეცხლზე გადახტომის შემდეგ კუდიანი ვეღარ მოუახლოვდებოდათ და დილა მშვიდობიანად გაუთენდებოდათ¹¹.

საინტერესოა სიტყვები, რომლებიც ახლდა ცეცხლზე გადახტომას, იგი, მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებით (ა-რ-ურ-უ; ა-რ-ულ-ი; ა-ლ-ულ-ი. ძირი „რ“ ყველა მათგანისათვის საერთოა) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართული ჰიაკოკონობის დღეს წარმოითქმებოდა: „არურუ კუდიანებო! აჰარი! ჰურული კუდიანებს¹². „არული კუდიანებს!“ „ალული კუდიანებს!“¹³ ამასთან დაკავშირებით გვახსენდება შუამდინარულ მითოლოგიაში კარგად ცნობილი „არალი“, რომელიც ქვესკნელს ნიშნავს¹⁴ და, რომელსაც ეტიმოლოგიურად უახლოვდება ზემოჩამოთვლილი სიტყვები, კუდიანობისთვის ამ სიტყვებით მიმართვა ხომ არ უნდა ნიშნავდეს, რომ მათ ქვესკნელში ჩასვლას, ე. ი. კაცთა სამყოფელიდან შორს გადაკარგვას, უკიყინებდნენ, მით უფრო რომ სვანური წარმოდგენით, ავისულები ქვესკნელიდან მოდიან.

აღნიშნულ რიტუალებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ასკილს. მისი გამოყენება ბოროტი სულების საწინააღმდეგო ცერემონიალში განპირობებულია ამ მცენარის ეკლიანობით. კუდიანებისთვის ეკლები წარმოადგენდა ისეთ დამაბრკოლებელ ზღვარს, რომლით დაცულ სივრცეშიც ისინი ვერ შეიჭრებოდნენ. ასევე მნიშვნელოვანია ასკილის ნაყოფის, ღეროსა და ტოტების მოწითალო ფერი, რადგან სიწითლეს, როგორც ცეცხლთან ასოცირებულ ფერს, ავი სულების განდევნის მაგიური ძალა მიეწერებოდა¹⁵. წითელ-

⁹ დ. მეღვინე თ-ხ უცესოვი, „დროება“, 1872, № 3; ზ. შაქინდელი, „დროება“, 1877, № 38.

¹⁰ Дж. Ф р е з е р, Золотая ветвь, М., 1986, გვ. 512, 525.

¹¹ დ. მეღვინე თ-ხ უცესოვი, დასახ. ნაშრომი, „დროება“, 1872, № 3.

¹² იქვე.

¹³ ბ. სვანი, დასახ. ნაშრომი, „იერიო“, 1886, № 143.

¹⁴ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 238.

¹⁵ ა. სოხაძე, ასკილის მაგიური მნიშვნელობა და მისი სარიტუალო გამოყენება ქსნის ხეობაში, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975, გვ. 247.

ნაყოფიანი ხის სპეციალურ ჯიშს (*bsvetta, Ficus religiosa*) იყენებდნენ ინდუსები წმინდა ცეცხლის მისაღებად¹⁶.

რაც შეეხება ატმის ან კაკლის ხეზე ჩამოკიდებულ საცერს, იგი, ჩვენი აზრით გარკვეულწილად—ასოცირდება ბადესთან; ამასთან, საგულისხმოა, რომ საცერს, ჩვეულებრივ, წრის ფორმა აქვს. წრე და ბადე კი, როგორც ცნობილია, მავნე სულებისაგან დაცვის საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული.

ქართლში მიცვალებულს ღამის საცერს აფარებდნენ, რათა დაეცვათ იგი ავისულის, კერძოდ, მიწის კატისაგან, რომელიც ღამე ამოძვრებოდა და მიცვალებულს ცხვირ-პირს მოაჭამდა¹⁷.

ავისულების განდევნის რიტუალი სვანეთში მთელი ვნების კვირის მანძილზე სრულდებოდა. აქ ეშმაკების განსადევნად („ლიროკინალ“—განდევნა) კოცონის მაგიერ მუგუზალი გამოიყენებოდა. ოჯახის უფროსი წევრი იღებდა ნაჯახს, დანარჩენი მამაკაცები, ბავშვები—მუგუზოებს და გარბოდნენ გარეთ წყევლით: „ფრთები დაგეწვათ მავნე სულებს! ცნობილი ხართ როგორც თეთრი და შავი ცხვარი, თორმეტს მთის იქით იყოს თქვენი ხსენება (წმინდა გიორგის ბეჭდით დადალული ხართ) ბასრის იარაღით დასერილი გაქვთ ყველაფერი! ფიქალს დადგით კბილები, ჩვენ კი ჯვარი გვეწვროს! წყლის, ქვიშისა და ფიქალის მეტი საჭმელი სხვა ყველა ამოგიწყდეთ. ამ დროს უფროსი მამაკაცი ნაჯახის ყუას ქვაზე დაარტყამდა რამდენჯერმე და იტყოდა, ასე გახმეს თქვენი მოზარდი თაობაო. სხვები მუგუზოებს დაარტყამდნენ ქვებზე და მის ნათქვამს იმეორებდნენ. ამ ცერემონიას ყოველი ოჯახი ასრულებდა ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს დღეში ორჯერ, დილა-სალამოს.

ვნების კვირის ორშაბათს, ძილის წინ, ოჯახის ერთ-ერთი წევრი—დედა-კაცი ყველა დანარჩენს ქონს წააცხებდა შუბლზე, კისერზე, გულზე და ამბობდა, ღმერთმა ბევრ აღდგომას დაგასწროსო, დიდ ხეთშაბათ დილას იგივე დედაბერი ყველაზე ადრე დგებოდა და შავი მატყლისაგან ძაფს დაართავდა უბრაოდ. როცა ოჯახის დანარჩენი წევრებიც გაიღვიძებდნენ, იგივე ქალი—ხმისამოულებლად ყოველ მათგანს მაჯაზე (ქალებს—წვივებზეც) ამ ძაფს შეაბამდა, ძაფს შემოავლებდა აგრეთვე ოჯახის ავეჯიდან რამოდენიმე ნივთს. ამის შემდეგ მას ლაპარაკის უფლება ჰქონდა. ძაფი ყველას ექნებოდა აღდგომის დილამდე. წირვიდან დაბრუნების შემდეგ ცეცხლში აგდებდნენ სიტყვებით—ასე დაიწვას ჩემი სნეულებაო (ზოგან სნეულების მაგიერ დიდმარხვას ამბობდნენ)¹⁸.

ანთებულ მუგუზოებს ამავე დანიშნულებით, მავნე სულის მოსაცილებლად იყენებდა სვანი მონადირე სანადიროდ წასვლამდე. სახლიდან გასვლის წინ იგი გადააბიჯებდა მუგუზალს, იქვე წაღმა ატრიალდებოდა და პირჯვრის წერით გზას დაილოცავდა¹⁹. სამგზავროდ გამზადებული კაცის ნაკვერჩხლებზე

¹⁶ Л. Я. Штернберг. Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936, 33. 371.

¹⁷ თ. თჩიაური, დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, „ტრადიცია და თანამედროვეობა“, თბ., 1987, გვ. 11.

¹⁸ ბ. სვანი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1886, № 143.

¹⁹ ბ. სვანი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1886, № 146.



გადასვლის წესი დამოწმებულია რაჭა-ლეჩხუმში²⁰ ავი სულელების განხორციელებაში. ანთებული ჩირაღდების გამოყენებით მიმართავდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის რელიგიურ კულტმსახურებაში²¹.

აგრეთვე კოცონის დანთება ბნელი ძალების დასაფრთხობად და, საერთოდ საგაზაფხულო ცეცხლის დღეობების გამართვა დამახასიათებელია სხვა ხალხთა ყოფისთვისაც²².

ცეცხლის დღეობების ფუნქციის შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მრავალი არგუმენტი მოიპოვება როგორც სოლარული, ისე განწყენდის თეორიის სასარგებლოდ „ივერია“—„დროების“ მასალებიდან და, აგრეთვე, სამეცნიერო ლიტერატურაში²³, ფიქსირებული მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში ცეცხლის დანთების რიტუალი მიმართულია ავი სულეების განსაღვენად, მათგან ადამიანების დაცვის მიზნით; თუმცა არ გამოირიცხება ისიც, რომ იგი ოდესღაც მზისადმი მიძღვნილ რიტუალის ნიშნებს ატარებდეს და მიწაზე დანთებული კოცონი იყოს მზის (ზეციური ცეცხლის, სინათლისა და სითბოს) მიწიერი გამოვლენა.

საგულისხმოა, რომ ქართველების შეხედულებით, „მამნეულობა“ (მავნე, ავი სულეები) დაბინდებისას აიძვრება²⁴ და მათ გასაფანტად ჭიაკოკონასაც ღამით ანთებდნენ, ე. ი. იმ დროს, როდესაც მზე ჩასულია და ავსულებისაგან დამცავ და განწყენდ როლს უკვე „მიწიერი მზე“—ცეცხლი ასრულებს. ფშაველის მიერ „ცეცხლის სინათლის მადლის“ დაფიციება²⁵, ალბათ, ანარეკლია იმ შორეული წარსულისა, როდესაც მზე ღვთაების დონემდე იყო აყვანილი და საფიცარი საგანი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭიაკოკონას ანთებდნენ გაზაფხულზე, როდესაც სამყაროს სასიცოცხლო ენერგია აღორძინებას იწყებდა. ბუნების გამოღვიძება—განახლების ამ პროცესს მსოფლიოს მრავალი ხალხი მზისადმი მიძღვნილი ზეიმით გამოხატავდა²⁶.

²⁰ ა. სოხაძე, რელიგიური გადმონაშთები რაჭა-ლეჩხუმში და ბრძოლა მათი აღმოფხვრისათვის, 1945—1965 წლები, რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, გვ. 13.

²¹ Н. Г. Краснодембская, Тойил в Полгасовите (о символике обряда демонического культа, сингалов), Мифы, культуры, обряды народов зарубежной Азии, М., 1986, გვ. 186.

²² Дж. Фрезер, Указ. труд, გვ. 570. В. В. Иванов, Крлытогня у хеттов, в сб. Древний мир, М., 1962, გვ., 266; К. Ramakishnan, Introducing India, (a glimpse of the past and present), New Delhi, India, 1986, გვ. 73

²³ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნეობის ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ); თბ., 1941; გვ. 82; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს შთიანეთში (ფშავი), თბ., 1991 გვ. 172—174; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), თბ., 1988, გვ. 135—138; თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 19; ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 318; მისივე, მთიულეთი, ტფ., 1930, გვ. 148.

²⁴ კორნელი (მალრაძე), ჭაჩი ხალხის შეხედულებით იმერეთში, „ივერია“, 1888, № 177.

²⁵ ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, „ივერია“, 1886, № 35.

²⁶ G o s e p h E p e s B r o w n, The Sqritual Legacy of the American Indian, Crossroad, №. უ., 1986, გვ. 102; З. А. Никольская, Религиозные представления и земледельческие обряды аварцев, в сб. Вопросы истории религии и атеизма, М., 1859, т. VII, გვ. 320.

Д. Б. МАДЗГАРШВИЛИ

„ЧИАКОКОНОБА В ГРУЗИИ“

(по материалам газет II пол. XIX в. „Иверии“ и „Дрозба“)

Резюме

„Чиакоконоба„ — сохранившийся до наших дней в быту грузин обычай, который характерен почти во всех уголках Грузии. Он известен еще и как ночь ведьм („кудиани“).

В Грузии „чиакоконоба“ имеет и очистительную функцию, хотя не исключено и то, что он носил когда-то черты ритуалов, посвященных солнцу, а зажженный на земле костер представляет собой земное проявление солнца (небесный огонь).

წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრამ

გელა გამყრელიძე, „ისტორიულ-ტოპოგრაფიკოლოგიური ძიებანი“,

თბ., „მეცნიერება“, 188 გვ., 1993.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გრიფით გამომცემლობა „მეცნიერებამ“ მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ისტ. მეცნ. დოქტორის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სექტორის გამგის გ. გამყრელიძის მონოგრაფია „ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი“. ეს არის არქეოლოგიის სპეციალისტის, უფრო ფართოდ—მეცნიერი ისტორიკოსის ნაშრომი, რომელშიც განხილულია ძველი კოლხეთის ისტორია და ტოპოარქეოლოგიის საკითხები; ბიოგეოგრაფიის როლი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. ეს არის ამასთანავე, ბიოგეოგრაფიის და მოდელის კონცეფციის და სქემის შეისტორიებული განვითარების საერთო მუშაების პირველი ცდა.

ნაშრომის ავტორი სხვადასხვა მეცნიერებათა (მათ შორის—საბუნებისმეტყველო) მიჯნაზე კომპლექსურად განიხილავს ამ პრობლემეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. კონკრეტული ბიოგეოგრაფიის მაგალითზე და, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად არატრადიციული, ორიგინალური მეთოდიკით, როგორც საკითხთა დაყენების და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ასევე კვლევა-ძიების ხერხებითაც; ყერძოდ—ისტორიის მოსაზღვრე სხვა სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდიკის არსენალში არსებული ხერხებით და სქემებით. აქვე წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამგვარი მიდგომა საკითხთა ახლებურად დასმის და გადაწყვეტის გარკვეული წინაპირობაა და ეს აისახა კიდევ ნაშრომის ავტორის მიერ შემოთავაზებულ ძირითად დასკვნებსა და წარმოდგენილ სქემაში.

რა ძირითადი ამოცანა დაუსახავს ნაშრომის ავტორს? ამას წიგნის მოკლე წინასიტყვეობაში გაეტანობთ. მოკლე

პერიფრაზით ეს ამოცანა არის ბიოგეოგრაფიისა და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ახალი სქემის შექმნა. ამ თეორიული მოდელის საფუძვლად აღებულია კონკრეტული ისტორიული ბიოგეოგრაფიის — კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესი. მკითხველ ამოცანად დასახულია საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა ამ პროცესში. შესაბამისად, წიგნიც ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ბიოგეოგრაფიის და ისტორიული განვითარების მოდელი (ძველი კოლხეთის მაგალითზე) და 2. საგარეო ფაქტორი კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. თითოეულ თავს თან ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია. აქვე შევნიშნავთ, რომ წიგნი თავისი სტრუქტურითაც გამოირჩევა ორიგინალურობით.

გ. გამყრელიძის წიგნის სათაურში ხმარებული ტერმინი „ტოპოარქეოლოგიური“ და შემდგომ, უკვე პირველივე გვერდებზე მოყვანილი სხვა ტერმინები („ბიოგეოგრაფიის“, „საქიანოსი“ და სხვ.) ბუნებრივად იწვევს მკითხველის დაინტერესებას მათში ჩადებული სიახლის და ავტორისეული დეფინიციების თვალსაზრისით, რამეთუ ავტორი წიგნის ბოლო ფურცლამდე ოპერირებს ამ ტერმინებით და, რა თქმა უნდა, მკითხველისთვის თავიდანვე ნათელი უნდა იყოს ცნებათა ზოგადი და ავტორისეული განსაზღვრა. ეს ყველაფერი განმარტებულია წიგნში, მაგ.: „გეოგრაფიული გარემოს“ მაგივრად ავტორს შემოაქვს ახალი ტერმინი—„ბიოგეოგრაფიის“.

ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, რომ „გეოგრაფიული ფაქტორის როლი საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ფრიად განსაკუთრებულია“. არ შეიძლება ამას არ დაეთანხმო, მაგ-

რამ მკითხველმა ისიც იცის, რომ ეს აზრი არა ახალ არს. „ბიოგეოგრაფიულად დამოკიდებული უმთავრესად სოციოგარემოს, საზოგადოების ისტორიული განვითარების, კონკრეტული რეგიონის, ერის, ქვეყნის მდგომარეობა“. ავტორს მოჰყავს ფაქტოლოგიური ცნობები ბიბლიიდან დაწვებული თანამედროვე ფრანგულ გეოისტორიულ კონცეფციამდე. ყოველივე ეს ის ემპირიული საფუძველია, რაზედაც დაყრდნობით წიგნის ავტორი მიდის ზოგად დასკვნად და დებულების სახით გვთავაზობს: „ბიოგეოგარემოს გამოწვლილით შესწავლის გარეშე შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის ისტორიის აღდგენა“. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში სწორედ ბიოგეოგარემომ ითამაშა წამყვანი როლი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში“. შეუძლებელია გეოგრაფიული დეტერმინიზმი არ გაგახსენდეთ ამ დასკვნის მერე. მაგრამ ავტორი ნაშრომში არეთვე აღნიშნავს—„ჩვენ ზოგადად ვიზიარებთ მათ (გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეების—**ე. კ.**) მოსაზრებებს და ვცდილობთ ზემოთ მოყვანილ ფაქტორებს კიდევ რამდენიმე დავუმატოთ და სქემის საშუალებით ისინი გარკვეულ ურთიერთობათა სისტემაში წარმოვადგინოთ“. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ სპეციალისტისათვის საინტერესოზე მეტი, მეცნიერულად ღირებული და წიგნის ამ თავის დაწერის გამართლება შემდეგშია: პირველად არის წარმოდგენილი ბიოგეოგარემოსა და ისტორიული განვითარების საერთო მოდელის ახალი, გ. გამყრელიძისეული სქემა. ამ სქემაშია კონცენტრირებული წიგნის დედააზრი, არსი. ამ სქემაზეა ფოკუსირებული მთელი ის ფაქტოლოგიური, საინფორმაციო, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული და სხვ. მასალები, რასაც ავტორი წიგნში მოუხმობს. ჩვენ აქ აღარ ვაიმიჯორებთ ამ სქემის დეტალებს, ზოლო ძირითადი დასკვნის ხაზგასმის და ამ სქემის არსის დასაწახად ავტორისეულ ციტატას მოვიყვანთ: „ისტორიული განვითარების განხილვისას ჩვენ იერარქიულად პირველ ადგილზე გვეყვარება ვიწრო თვითრეზიუმეში ვაყენებთ. მხოლოდ ამ ვიწრო თვითრეზიუმეში ვაყენებთ ვიწრო თვითრეზიუმეში ვაყენებთ სოციოგარემოს. ბიოგეოგარემო არის სოციოგარემოს, საზოგადოების განვითარების ძირითადი დეტერმინატორი, რაც კარგად ჩანს ძველი კოლხეთის მაგალითზე“. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით და ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. ავტორი ისტორიული განვითარების მამოძრავებლად ძირითადად ოთხ „პროცესს“ მიიჩნევს. ესენია— ბიოგეოქიმიური, გენეტიკური, ქრონოლოგიური და საკრანოლო.

წიგნის მეორე თავი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ფაქტორის როლს ეხება ისტორიული განვითარების პროცესში და ესეც ძველი კოლხეთის მაგალითზეა განხილული. ავტორი ამბობს, რომ „ისეთ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი პატარა ქვეყნისათვის, როგორც კოლხეთი იყო, საგარეო ფაქტორის ერთერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე კოლხეთი ორი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო ძალის, ირანისა და ანტიკური ორიენტაციის ქვეყნების საომარი მოქმედების ასპარეზი იყო. საგარეო ფაქტორი მნიშვნელოვან, ზოგჯერ გადამწყვეტ როლს ასრულებდა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში“. ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს ამ მოსაზრებებს და დასკვნებს.

წიგნის ავტორს უზარმაზარი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა, შესწავლა და ანალიზი დასჭირდა დასმული პრობლემატიკის განხილვასა და დასკვნების გამოტანაში. ეს ლიტერატურა საზოგადოებრივ მენიერებათა სფეროში (ვანსაკუთრებით—სოციოლოგიაში) კლასიკად ქცეული წიგნებია. ყოველივე ეს მარჯვედ და შედეგადაადა გამოყენებული. ამას ერწყმის ასევე ფართო ქართველოლოგიური წყაროთმცოდნეობითი მასალა.

ვფიქრობთ, გ. გამყრელიძის წიგნი „ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი“ ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ნოდარ კერესელიძე



ნაპროლოზი


ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების გამგე, პროფესორი **ოთარ ვარლამის ძე ციტიშვილი**.

ის დაიბადა 1927 წ. 19 ოქტომბერს ქ. ქუთაისში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1947 წ. დაასრულა თბილისის ვაჟთა 25-ე საშუალო სკოლა. 1947—1952 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი—ისტორიის სპეციალობით, 1952—1955 წწ.—უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ასპირანტი. 1956 წ. დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ხურტიული საზოგადოების ისტორიიდან (ნუზის არქივის მასალების მიხედვით)“. 1956—1960 წწ. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, 1960 წ. ივლისიდან გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლადდაარსებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი, მისი სწავლული მდივანი, 1966—1985 წწ.—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1985 წ. ოქტომბრიდან გარდაცვალებამდე—ინსტიტუტის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გამგე. 1969 წ.

დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ქალაქ ბლდადის ისტორიისათვის (მასალები ფეოდალური ქალაქის წარმოშობა-განვითარების ისტორიისათვის მახლობელ აღმოსავლეთში)“.

ო. ვ. ციტიშვილი იყო ღირსეული წარმომადგენელი ქართული აღმოსავლეთმცოდნე—ისტორიკოსთა იმ სკოლისა, რომელიც შექმნა გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა პროფ. ვ. გაბაშვილმა, ფართო განათლება და საფუძვლიანი მომზადება მას საშუალებას აძლევდა წარმატებით ეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ კი შუა საუკუნეების არაბული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის პრობლემები. ავტორია 60-ზე მეტი ნაშრომისა. მათ შორის 4 მონოგრაფიისა. მის გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობა-განვითარების პროცესს. სპეციალიზტა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პროფ. ო. ციტიშვილის მონოგრაფიამ „ქალაქ ბლდადის ისტორიისათვის“ (თბ. 1968), რომლის ერცეული რუსული რეზიუმე ითარგმნა არაბულად და გამოქვეყნდა ერავის საინსტორიო და არქეოლოგიის საზოგადოების კურნალში „ალ-მაჯალა ათ-თარისია“ (II, ბლდადი, 1972).

პროფ. ო. ციტიშვილმა დიდი ენერგია შეაღია IX ს. არაბულენოვან



ავტორის იბნ ალ-ფაკიბ ალ-ჰამადანის გეოგრაფიული თხზულების „ქვეყნების წიგნის“ მაჰადის გამოუქვეყნებელი ზელნაწერის შესწავლას. მასალები ამ თხზულებიდან შევიდა მის ზემოდასახელებულ წიგნში და საფუძვლად დაედო კალევორ მონოგრაფიას „Ас-Савад и Табариган по Машходской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани (Тб., 1977) და Раннесредневековый Багдад (по данным Машхадской рукописи труда Ибн ал-Факиха ал-Хамадани); (Тб., 1986).

პროფ. ო. ცქიტიშვილი ნაყოფიერად იკვლევდა არაბთა სახალიფოსა და საქართველოს შორის არსებულ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხებს. დიდა მისი დამსახურება ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ შესწავლის საქმეში, გამოაქვეყნა ამ სიგელის ტექსტები IX ს. არაბი ავტორების აბუ უბაიდისა და იბნ ზანჯუვიანის თხზულებებიდან. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მან შემოიტანა X ს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასამ ალ-ქუფის „დაპყრობათა წიგნის“ ცნობები საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობების, ქართულ-არაბული ურთიერთობების შესახებ, საგანგებო წერილი მიუძღვნა ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში ისლამის გავრცელებას და სხვ.

პროფ. ო. ცქიტიშვილს ეკუთვნის შრომები, რომლებშიც შეფასებულია ვ. ბარტოლდის, ვ. მინორსკის, ივ. ჯავახიშვილის, ვ. გაბაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა; რეცენზიები ცნობილი ორიენტალისტების, ნ. პიგულევსკაიას, ო. ბოლშაკოვის, დ. დანლოპის, ჯ. ლასნერის, ბ. ახმედოვის და სხვ. გამოკვლევებზე, რომლებიც გამოირჩევა პირუთვნელობითა და პრინციპულობით. მას საქმიანი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა გამოჩენილ ფრანგ ორიენტალისტთან კლოდ კაენთან, რომლის გარდაცვალებასაც გულთბილი ნეკროლოგიტ გამოეხმაურა. ო. ცქიტიშვილის შრომები იბეჭდებოდა როგორც სსრ კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო ორგანოებში.

იყო აქტიური თანამშრომელი ტრეტული უცხოური ჟურნალებისა:

„Arabica“, Revue des Etudes Arabes“, „Journal of the Economic and Social History of the Orient“, „Revue des Etudes Géorgiennes et Caucasiennes“, „Studia Isfamica“.

პროფ. ო. ცქიტიშვილი იყო „მაცნეს“ (ისტორიის სერია) რედკოლეგიის წევრი. ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, იყო თბილისის ღია პეიანიტარული უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე. მონაწილეობას ღებულობდა საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი და ხშირად გამოდიოდა როგორც ოფიციალური ოპონენტი.

1985 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პროფ. ო. ცქიტიშვილი ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებას. ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური მხარდაჭერით განყოფილებაში დაეუღ იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ო. ცქიტიშვილის რედაქტორობით გამოიცა კრებული „საქართველო და აღმოსავლეთი“ მიძღვნილი პროფ. ვ. გაბაშვილის დაბადების 80-წლისთავისადმი. გამოსაცემად იზრადებდა ახალ მონოგრაფიას იბნ ალ-ფაკიბ ალ-ჰამადანის თხზულების მიხედვით; სამეცნიერო კრებულს მიძღვნილს ნაადრევად გარდაცვლილი ქართველი არაბისტის ეთერ სისარულიძისადმი, მაგრამ არ დასცალდა.

უძვირფასესი, ნორჩიშვილის ტრავიკულმა სიკვდილმა შეარყია ოთარ ცქიტიშვილის ჯანმრთელობა და მოუსწრაფა სიცოცხლე ღვაწლმოსილ მეცნიერს, ჩინებულ მოქალაქეს, სიკეთით სავსე, გულსხმიერ და გულთბილ პიროვნებას, რომლის ხსოვნაც მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების გულებში.

ზოჩა ჯაფარიძე

გადაეცა წარმოებას 21.11.95 წ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.01.97 წ;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ბეჭდვა მაღალი;
ნაბეჭდი თაბახი 13.65; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,08;

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა 562;

ტირაჟი 200



საწარმოო-საგამომცემლო
გაერთიანება „მეცნიერება“,
თბილისი 380060;
დ. გამრეკელის ქ. № 19.



საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკა

40 267/3

ფანო 2 მან.